სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

II თებერვალი II



შინაარსი: 1) ი. ევდოშვილის პოეზია—**იპ. ვართაგავა**. 2) შენიშვნები საქართველოს პრესტორიის შესახებ—**ა. სვანიძე**. 3) პროფ. გურლიტტი. მაგალითი და ჩვეულება—**ლ. ბოცვაძე**. 4) ქ-ნ მონოს სპბვშვო ბადი—**კატო ბაქ—ძე**. 5) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—**ს. დადიანი**. 6) რუსეთი და საქართველო, მოკლე მიმოხილვა ურთიერთობისა **პეტრე მირიანიშვილი**. 7) შინაური მიმოხილვა. 1881 წელს მთავრობის მიერ მოწონებული და დამტკიცებულის სასწავლო გეგმის კარშემო—**ელი—აძე**. 8) ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი. 9) მოწერილი ამბები (წერილი დიდი-ჯიხაიშიდან) **რობერტი**. 10) ბიბლიოგრაფია—**დ. კარიჭაშვილი**. 11) დამატება: ოქმი წ.-კ. საზოგადოების გამგეობის და დელეგატთა კრებისა, ოქმები 1912 წ. საზოგადო კრებისა. წესდება თავადის გრიგოლ დადიანის პრემიისა. 12 განცხადებანი.

რედაქციისაგან: წლიურ ხელის მომწერთათვის დაპირებული სურათი განსვენებულის **იაკოვ გოგებაშვილისა** საადგომოდ გაეგზავნებათ ხელის მომწერლებს, ვისაც წლიური ფასი სრულად ექნება შემოტანილი; ამიტომ რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ მარტის ოცამდის სრულად გამოგზავნონ ჟურნალის ფასი, რადგანაც სურათი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც წლიური ხელის მომწერნი აღმოჩნდებიან.

რედაქციაზე დამოუკიდებელ მიზეზის გამო ჟურნალ „განათლების" იანვრის ნომრის გაგზავნა უველა ხელის მომწერთათვის შეფერხდა. რედაქციას იმედი აქვს, რომ ამ ნომერსაც ხელის მომწერლები ადრე მიიღებენ. თუ რომელიმე ნომერი ჟურნალისა ხელის მომწერლებს დროზედ ვერ მიუვა, რედაქცია სთხოვს ადრე შეატყობინოს.

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველთან, რომ თებერვლის ნომერი რამდენიმე დღით დაგვიანდა მასზე დამოუკიდებელ მიზეზის გამო. შემდეგში რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ჟურნალი განსაზღვრულს დროზე დაურიგდეს მკითხველებს.

სამეცნიერო-პედაგოგიური ᲓᲐ სალიტერ. ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეექვსე)

II თებერვალი 1913 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . . . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.	ცალკე ნომრის ფასი 40 კაპ.	ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

ი. ევდოშვილის პოეზია

მწუსარე და ნაღვლიან ჭანგზე სიმღერა.

(**ირ. ევდოშვილი.** ლექსები და პოემები. ტფ. 1905 წ.)

„ნუ... ნუ იწვევ სულს მიუწდომელ სერაბიმთ მთაზე,
ჭხედავ: მე ვსტირი—შენც დაუკარ გლოვისა ხმაზე...“

როგორც გვახსოვს, ბ. ი. ევდოშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე იმ დროს, როდესაც ჩვენში გ. წერეთლის მეთაურობით და რუსეთის სოციალ-დემოკრატულ მწერალთა და მწერლობის უტყუარის ზედგავლენით პირველად ჩაისახა და აღიზარდა კიდეც ჩვენს ცხოვრებაში და ლიტერატურაში „მესამე დასელობა“. ეს იყო დრო მარქს-ენგელსის აპოთეოზისა, „კაპიტალის“ გაღმერთებისა და „პროლეტარიატის“ შეყვარებისა; ეს იყო დრო გატაცებულის პროზელიტობისა და განდიდებულ „თეორიის“ უცდომელად და ახალ დროის სახარებად აღსარებისა; ეს იყო დრო ვითომც ძველის იდეალების, რწმენის, შეხედულობის, წარსულ ისტორიის და მწერლობის უარყოფისა, დანგრევისა, გაცამტვერებისა და ახალ ცხოვრების იდეალის გაფურჩქვნისა და აყვავებისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ზიზღით იხსენიებდნენ წარსულს ჩვენს ცხოვრებას, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ უწინდელ მოღვაწეთა მოქმედებას და „ჩანგს ურცხვენდნენ“ იმ პოეტებს, რომლებიც უმთავრესად თვის სამშობლოს და მის წარსულს და ახალს ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილბალს მწუხარედ დასტიროდნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც სამშობლოზე წერა, ბაასი და ჩანგზე სიმღერა სამარცხვინოდ მიაჩნდათ...

ამ ახალმა, სხვაგან ნასესხმა და უხერხულად ვადმონერგულმა მიმართულებამ მაშინ გაიტაცა საკმაო ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა, რომელიც დაუფიქრებლად, აუწონ-დაუწონლად დაეწაფა ამ მოძღვრებას. მან, სხვათა შორის, სათაყვანებლად დაისახა „მუშა", „მშრომელი ხალხი", „პროლეტარიატი". რასაკვირველია, საგანი თავისთავად ფრიად პატივსაცემი და სიმპატიურია, მაგრამ ამ საგანმა, ან უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, ამ „პროლეტარიატმა", რომელიც, მართალი უნდა ითქვას, მაშინ და ახლაც ჩვენის ერის უმცირეს ნაწილს შეადგენს, დაავიწყა ჩვენს გატაცებულს ახალგაზდობას მთელი ერი, მისი უღრმესი იარები, მისი სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვები; მოკლედ რომ მოვსჭრათ, მან ირცხვინა, დამამცირებლად ჩასთვალა „ქართლის ბედზე" ფიქრ-ზრახვა. „მიმართულების" ზედგავლენით ის ვითომც გაკოსმოპოლიტდა, ვითომც საკაკობრიო იდეებით განიმსჭვალა და მოსალოდნელ საერთო „განთიადზე" დაიწყო ზრუნვა და ოცნებობა. ჩვენ აქ არ შეუდგებით არც იმის განხილვას, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლო იყო ასეთი მიმართულება და სულიერი განწყობილება ჩვენს ბედში მყოფ ერისათვის და არც იმას შევეხებით, თუ რამდენად გულწრფელნი და ნამდვილად დაჯერებულნი იყვნენ თვის რწმენა-შეხედულებაში და მოქმედებაში მომეტებული ნაწილი ამ ჩვენთვის ახალ მიმართულების მიმდევრებისა. ამის დამფასებელი და უტყუარი მსჯავრის დამდები დრო და ცხოვრებაა. და აკი კიდევაც მათის მეოხებით თანდათან ირკვევა ახალის ჩვენის სტუმრის სახე და შინაარსი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მიმართულებამ გაიტაცა ცხოვრებით უკმაყოფილო, მისი ულმობელობით გულნატკენი, ბედისაგან, უფრო კი ადამიანისაგან, დაჩაგრული, ენერგიით და მოქმედების სურვილით აღსავსე აგალგაზდობა, მომეტებულად სემინარიელნი (ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, ის. რამიშვილი და მრავალი სხვ.).

ამ მიმართულების დაღი ატყვია ბ. ია ეკალაძის პირველ ხანის მოთხრობებსაც. ამ მიმართულების მსოფლ-მხედველობით, სულიერ განწყობილებით, იმედ-მისწრაფებით და მოლოდინ-სურვილითაა გაჟღენთილი ი. ევდოშვილის „ლექსები და პოემები", გამოცემული 1905 წელს.

ჩვენ სხვა და სხვა მიზეზისა გამო ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში უფრო სისტემატიურად ვადევნებდით თვალ-ყურს ბ. ი. ევდოშვილის პოეტიურს შემოქმედებას და ვამჩნევდით ბ. ი. ევდოშვილის ნაწარმოებთა მომეტებულ ნაწილში ნ. ბარათაშვილისაგან ნაანდერძევს და მერე ყველა ჩვენი შესამჩნევი პოეტებისაგან სიყვარულით ტ მადლობით მიღებულ-შეთვისებულს ეროვნულს და მოქალაქობრივს მოტივებს. მით უფრო გაგვაკვირვა მისმა „ლექსებმა და პოემებმა", რომლებიც მას ამ შვიდი წლის წინად დაუბეჭდია: მთელს ამ კრებულში, რომელიც 250 გვერდს შეიცავს, პოეზიის სამოსელში, ლექსად სწორედ იმისი ქადაგებაა, რასაც პროზით და მსჯელობით ქადაგებენ ბ. ნ. ჟორდანია და მისი მიმდევარნი: ერთი და იგივე საგანი წერისა და მოქმედებისა, ერთი და იგივე ფიქრ-ზრახვა, ერთი და იგივე საშუალება და ხერხი მიზნის მისაღწევად, ერთი და იგივე მოლოდინი და იმედ-ნუგეში, ერთი და იგივე დავიწყება „ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ბედისა“, ერთი და იგივე კოსმოპოლიტობა!

ჩვენ ყურადღებით გადავიკითხეთ ბ. ი. ევდოშვილის კრებული და მის წიგნში ჩვენ მხოლოდ სამჯერ შეგვხდა სიტყვა „სამშობლო“ (იხ. გვ. 136, 150, 155) და არც ერთხელ—„საქართველო“! ავტორი იშვიათად ხმარობს სიტყვა—„ერსაც“; ამ სიტყვის ნაცვლად ის წამ და უწუმ იხსენიებს „ხალხს“, „მშრომელ ხალხს“... ესეც ნიშანდობლივი მოვლენაა! იქაც, სადაც პოეტი სიტყვა „სამშობლოს“ ხმარობს, ამ სიტყვაში გულისხმობს მხოლოდ ადგილს, სადაც დაიბადა და არა სამშობლოს, როგორც ისტორიულს ერთეულს და ეროვნულ თვისებათა განხორციელებას...

ბ. ი. ევდოშვილის ამ დროის შემოქმედებას აკლია სივრცე-სიგანე აღმაფრენისა; სფერა პოეტის მუზის ნავარდობისა შემოფარგული და შეზღუდულია; მისი ფიქრი და აზრი მიწას მიჰკვრია; საზოგადოდ მიწას და მიწიერს კი არა, მხოლოდ „პროლეტარიატს“, „მუშას“ დასტრიალებს თავს. ამნაირად მისი მღერა და გოდება ძლიერ ცალმხრივია. პოეტიური პაფოსი მის ნაწარმოებში ბევრს შემთხვევაში შექმნილია, შეთხზულია, უსიცოცხლოა, გულის სიღრმემდი არ წვდება, სულს არ აშფოთებს, თუმცა ავტორი მჭექარს სიტყვებს და შავს საღებავს უხვად ხმარობს. მართალია, პოეტი ხშირად გვეუბნება: «ფიქრი... ფიქრი, მხოლოდ ფიქრიო“ და მით გვატყობინებს და გვამცნევს, რომ ის ფიქრთა ხროვას მოუცვავს, მაგრამ ნაყოფი ამ ნაფიქრალისა, სამწუხაროდ, ძლიერ ერთგვარი და ღარიბია. მაგალითად, საკითხი სიკვდილ-სიცოცხლეზე მას არ აინტერესებს; სიყვარულის და მეგობრობის გრძნობას ის ცალმხრივ და რაღაც არა ჩვეულებრივის ელფერით გვიხატავს; გრძნობა ბუნებისა მის პოეზიაში თეორეტიულის ხასიათისაა და უმეტეს შემთხვევაში ტენდეციურია. საზოგადოდ კი პოეტი გამუდმებით გოდებს, ვიღაცას ემუქრება, ვიღაცას საბრძოლველად იწვევს, თითონ ცრემლებს ღვრის, შურის ძიებით ივსება, ცხოვრებას ჯოჯოხეთად ხატავს, ერთი სიტყვით—უკიდურესად პესსიმისტობს. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ატირებს მგოსანს, რას მოუწამლავს მისთვის სიცოცხლე, ვის ბედს დასტირის, ვის ესარჩლება?—კაცობრიობას? არა. ქართველ ერს, მის წარსულს და მომავალს? არა. აბა ვის?—„მუშას“, ახალი ტერმინით რომ ვთქვათ, „პროლეტარიატს“. აი სწორედ აქ არის უმთავრესი ნაკლი ბ. ევდოშვილის მაშინდელ პოეტურ მოღვაწეობისა. როდესაც მეცნიერი სწავლობს რომელისამე დარგს მეცნიერებისას და მთლად ამ შესწავლას სწირავს თითქმის მთელს თავისს სიცოცხლეს და მას ემსახურება,—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებაში; ასეთის სპეციალურის შრომის მეოხებით განვითარდა ეს უკანასკნელი. მაგრამ რისი მაქნისია, რა აზრი აქვს სპეციალიზაციას პოეზიის სამეფოში? სასაცილო და უაზრო არ იქნება, რომ რომელიმე ერის პოეტებმა დაინაწილონ სხვა და სხვა წრე, წოდება თვისის ერისა და მხოლოდ ეს დაისახონ საგნად თვისის შემოქმედებისა?! ვინ არ იცის, რომ პოეტის გული უნდა ეკუთვნოდეს თავდაპირველად მთელს ერს, მის მშობელს და აღმზრდელს; მისთვის უნდა ჰკვნესოდეს ის, მისთვის უნდა მღეროდეს. რასაკვირველია, ნება აქვს და ხელოვნებისთვისაც უფრო სასარგებლოა, რომ პოეტმა, ან საზოგადოთ მწერალმა, უმთავრესად იმ წრისა ან წოდების ცხოვრება ან მისწრაფება აწეროს და დაასურათოს, რომელსაც ის უფრო კარგად იცნობს. ასეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება ხოლმე ყველა ერის ლიტერატურაში: ერთი უფრო ხშირად გლეხების ცხოვრებას ასურათებს, მეორე—თავად-აზნაურობას, მესამე—სამღვდელოებას, მეოთხე—სამხედრო წოდებას და სხვა და სხვა. მაგრამ უმთავრესად, როგორც რჩეული და საუკეთესო ერის შვილი, ყოველი მხატვარი გულით უნდა გრძნობდეს და გონების თვალით უნდა ნათლად ხედავდეს, თუ რა შეადგენს მის სამშობლოს ძირითად საკითხს, რა შეუწყობს ხელს მის გათვითცნობიერებას, გონებრივად, ზნეობრივად, ქონებრივად და პოლიტიკურად წინ სვლას; რა აღამაღლებს მას ერთა შორის, რით დაიმსახურებს სახელს, დიდებას, გავლენას. პოეტის ღვთაებრივი ნიჭი, როგორც მზე, ერთნაირად უნდა დაჰშუქებდეს თვის ერს, სამშობლოს; მისთვის ყველა წოდება, თითოეული პიროვნება, ნაკლული და უნაკლო, ძვირფასი და ყურადღების ღირსია; რასაკვირველია, შემცდართ და სწორ გზას ამცდართ ის ამხელს, გულის წყრომით იხსენიებს, მაგრამ იმ აზრით კი არა, რომ სამუდამოდ შეიძულოს: არა, მას ყველა თანამოძმე, რაც გინდ ზნეობით დაცემული და დამნაშვე იყოს, მაინც უნდა უყვარდეს; მხოლოდ სამშობლოს შეგნებულად მოღალატე და ერის სახელის წინასწარ მოსაზრებით გამტეხი და შემრცხვენელი მას უნდა ეზიზღებოდეს. როგორც ზღვა, რომელსაც ერთვის როგორც წმინდა და ანკარა წყარო, ისე მღვრიე მდინარე და რომელიც ყველა ამას თვის წიაღში მოკამკამე და ლაჟვარდოვან ტალღებად გადაჰქმნის, ისე პოეტის გული უნდა იჟღინთებოდეს მშობელ ერის ცხოვრების ყოველნაირის მოვლენებით და მერე თვისი მოსიყვარულე სულში ყოველსავე ამას ძვირფას ბროლად უნდა აქცევდეს. ბრალი იმ პოეტს, რომელიც ამ მართალს და სწორს გზას შეგნებულად აუხვევს, ან შემთხვევით აცდება! რაც გინდ ნიჭიერი და გენიოსიც იყოს, ის ვერ გახდება ერის გულის მესაიდუმლედ, მისი სულიერ და გონებრივ მისწრაფების და ნება-ყოფის გამომხატველად; ის ვერ უმღერებს მშობელს ქვეყანას გამამხნევებელ ჰიმნს, ვერ დაეწაფება ერის უკვდავ სულის სიმდიდრეს და იქიდგან ვერ შესძლებს ძვირფას მარგალიტების ამოკრეფას, ერის წმინდათა წმინდა—მისი ისტორიული სული—მისთვის გაცივებული და დახშულია: იქ ის ვერ შებედავს! როგორც მაცოცხლებელ ძალას და მასაზრდოებელ მჩქეფარე წყაროს მოკლებული და მართალ გზას ამცდარი,—პოეტის ნიჭი თავის ცალმხრივობაში სჭკნება, მჭლევდება და ბოლოს კვდება. ამის ცოცხალს მაგალითს წარმოადგენს ცნობილი რუსის ნიჭიერი მწერალი მ. გორკი. მას შემდეგ, რაც მან თვისი შემოქმედება პარტიულს დოგმებს დაუმორჩილა, მისს ნიჭს ელვარება, სიმძლავრე და მიმზიდველობა მოაკლდა. და ბევრს სამართლიანადაც ეშინია, რომ მისი ნიჭი მთლად არ ჩაჰქრეს პოლიტიკურს ცალმხრივობაში!

ჩვენი პოეტი—ბ. ი. ევდოშვილი, ერთს დროს პარტიულის ცალმხრივობით შეკრულ-შებოჭვილი, ჩვენდა სასიხარულოდ და მისი ტალანტის სასარგებლოდ, დიდი ხანია განთავისუფლდა ასეთის ცალმხრივობისაგან, და დღეს თავისუფლად აჟღერებს თვის ჩანგს; მან იპოვა ნამდვილი საგანი ჭეშმარიტის შემოქმედებისა—ერი და კაცობრიობა და ამით აიცდინა თავიდან დამღუპველი ცალმხრივობა და უშინაარსობა.

—

ბ. ი. ევდოშვილს თვის პოეტურ მოღვაწეობის პირველს ხანაშიაც ეტყობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბუნებით ნიჭიერი ხელოვანია: მას ეხერხება გრძნობათა და აზრთა კოხტად და მოხდენილად გამოხატვა. რითმა, ლექსთ-წყობა მას შესამჩნევად ემარჯვება; ენაც კარგი აქვს და სურათებშიაც ოსტატურად ჩააქსოვს ხოლმე თვისს სულიერ მდგომარეობას.

მაგრამ, როგორც დოგმით დამძიმებული და ცალმხრივობაში მომწყვდეული, პოეტის ნიჭი ვერ შლის ლაღად ფრთებს. მას დარჩენია მხოლოდ ორიოდ საგანი სასიმღეროდ: მშრომელი ხალხი და თვისი პირადი „მე“. სხვა და სხვა გვარად, სხვა და სხვა პოეტიურს ფორმაში პოეტი მართლაც თითქმის მხოლოდ ამ საგნებზე ორატორობს, მსჯელობს, მხატვრობს, სტირის, სწუხს, მეხს ისვრის, სასოწარკვეთილებას ეძლევა, ხანდისხან, იშვიათად კი იმედოვნებს და სიამოვნებს. როდესაც თქვენ მის ლექსებს ერთდროულად, გაბმით დაუწყებთ გადაკითხვას, თანდათან მოწყენას ეძლევით, რადგანაც ლექსთა ერთფეროვნება, როგორც იდეის, ისე ფორმის მხრით, ვის არ მოაბეზრებს თავს?! სწორედ ამ დროს თქვენ ამჩნევთ ბ. ევდოშვილის ლექსთა იდეურს სილარიბეს, მისი პოეტიურ აღმაფრენის ხელოვნურად შეზღუდვას და განცდათა ერთგვარობას.

როგორც ვსთქვით, პირად ჭმუნვას, გოდებას და ვარამს დიდი ადგილი უჭირავს ბ. ევდოშვილის პოეზიაში. მისი პოეზია არ არის მხნე, ნათელი, ხალისიანი; ის მელანხოლიურია; ეს მელანხოლია ხშირად სასოწარკვეთილების ხასიათს იღებს. იშვიათად, ძლიერ იშვიათად, პოეტი ჰპოებს სულიერს სიმშვიდეს, იშვიათად ურიგდება ბედს.

ასეთის ხასიათისაა მისი ლექსები: „ამონაკვნესი“, „ტაძარი“, „მარტოკა ვიყავ“, „მუზიკას“, „აი კვლავ სევდა ეწვია გულს“, „პოეტს“, „შვილის ნუკრი“, „ოხ, მწვანე ველო“, „ძველ სატრფოს“, „გავჩუმდე“, „ოხ, მეგობარო“, „სალამი“, „ჩვენება“, „შედექი ტალღა“, „საყვარელი“, „გედის სიმღერა“, „ცა ვარსკვლავს მოუჭედავს“, „სამშობლოში“, „ჩამოწყვეტილი ფოთოლი“, „ჩანგურს“, „როცა ვარდს სძინავს“ და ბევრი სხვა.—

„ფიქრი... ფიქრი... და ფიქრი“ არ შორდება პოეტის გონებას; ეს მწარე ფიქრი ძლიერ შავია; ის გულს სწიწკნის, როგორც სამარის გველი (გვ. 231); პოეტისთვის ავ ბედს ბევრჯელ უსროლია „მახე და რკინის ქამანდი“ (გვ. 157); მას არა ერთხელ რგებია „ჟამი შავბედ-დღიანი“ და შეხვედრია გასავლელად «უდაბური გზა ეკლიანი“ (გვ. 10). ეტყობა, რომ პოეტს ბედი „შეჩენია ჭირათა“; მას მისთვის მხოლოდ ცრემლები ურგუნებია და მით ჭაბუკი წელში მოუღუნავს (გვ. 31). ბ. ი. ევდოშვილი დედას შესჩივის, „ნუ თუ იმისთვის გამომზარდე, დედავ, მშობელო, რომ ცრემლის გუბეში უყურებდე ჩემსა სახესო“. ბედი, შავი ბედი მას ნამდვილ „მტარვალად“ მოვლენია (გვ. 42); პოეტი დაშთენილა „მწირი გულითა, ძუნწი გრძნობით; გულით და სულით გაცივებული სდგას სოფლის გარეშე, ვითა ტაძარი მიტოვებული“ (გვ. 34). ამნაირი „მწარე სიცოცხლე, მარტოკა გდება“, ეტყობა მას „ქუდ-ბედათ თან დაჰყოლია» (გვ. 24. ასეთი ყოფა, პოეტის აზრით, საზოგადოდ არის „ცხოვრებისა ჯილდო მწარე“ (გვ. 145).

ამის შემდეგ რასაკვირველია, რომ მღელვარებისაგან დაღლილ-დაქანცულს მგოსანს ცეცხლისა ალი გულს ედებოდეს და მის სულს კაეშანი არ ნელდებოდეს“ (გვ. 52). რადგანაც პოეტს დროს „აწოვა შხამი-სამსალა (გვ. 37), ამისთვის ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის ცხოვრების გზაზე „ობოლის ეტ-ლით“ (გვ. 86), „სულით ობოლი“ (გვ. 46); ის ვერავის ეკარება (გვ. 85) და ვერც უპოვია „თვისთა ჭირთა თანამგრძნობელი“ (გვ. 46). ასეთი სულიერი მდგომარეობა ადამიანისათვის აუტანელია. ამისათვის ტანჯული სული ეძებს შვებას; მას „ერთს წუთს, ერთს წამს მაინც სურს დაივიწყოს გულის ვარამი, ქვეყანას შეურიგდეს და უძღვნას სალამი; სურს, სწადია შესწყვიტოს კვნესა, დროებით მაინც თავი მისცეს ტკბილს ოცნებას; ის ნატრობს, რომ ერთის წუთით მაინც მისმა გულმა ტკბილად გაიფართხალოს და მის თვალებში გლოვის ცრემლი სიხარულის ცრემლმა შესცვალოს“ (გვ. 26). პოეტი შესთხოვს ბედს, რომ „ერთხელ მაინც მხიარულად ამღეროს“ (გვ. 9). მაგრამ სჩანს, ამაოა პოეტის სურვილი და წადილი: ცხოვრება მას სამუდამოდ გადაჰკიდებია მტრულად და ჭაბუკს სიცოცხლეს უმწარებს. „რწმენა გამქრალის, სევდისაგან დაწყლულებულის“ პოეტისათვის „ცხოვრებას მთლად მოუკლავს სიცოცხლის ძალა“, მას სასო წარკვეთია; მისი გული დამზგავსებია „დანგრეულს წმინდა ტაძარს, სადაც წირვა-ლოცვა აღარ ისმის, არც რეკავს ზარი, სად ქებათ-ქება სულს არ ატკბობს, გულს არ ახარებს, სად ანგელოზის წილ ავი სული დაძრწის, ხარხარებს“ (გვ. 14).

როგორც მკითხველიც ხედავს, პესსიმიზმი ბ. ი. ევდოშვილისა უსაზღვროა. ეს განსაკუთრებით აშკარად სჩანს შემდეგის მისის ლექსებიდგან: „თან არ ამოაქვს“ (გვ. 132), „ტურფავ, მახვილს ნუ ამაცლი“ (104), „ნუ ამომაცლი მახვილს“ (124), „შენ ცდები“ (93), „ჩემს ოთახს“ (130), „ვუძღვნი №“ (113), „უკანასკნელი ცრემლები“ (106), „მხოლოდ ნაღველი“ (186) და სხვ...

ცხოვრების მსვლელობამ და მისმა ვითარებამ პოეტს ყოველგვარი იმედი წარუკვეთა; ამის შედეგი ის არის, რომ

„ჩაქრა უკვალოდ ოხერ წალკოტში,
ჩაქრა კანდელი, ქვითინებს გული,
ზამთრის სუდარამ გათოშა მდელო,
დამისუდარა ტურფა ზაფხული!
ჭოი, ოცნებავ, ალუკვეებულო,
თაიგული ხარ შხამ-გესლიანი,
ტკბილის ალერსით მოომტაცე გული
და გამიშალე გზა ეკლიანი!
აჭა, გვირგვინი შენის ტრფობისა:
მოკლული სული, მოდლილი მკლავი,
დღეს-ხვალის ფიქრი, ბრძოლა ⸗ ბრძოლა
და იმედისა შავი სავლავი!

—

რისთვის ბიუკარდა ასე წამებით!
თვით მტერიც კი რად მებრალებოდა?!
სხვის ცრემლს ჩემს ცრემლს შეუერთებდი,
მე მეგობარიც არ მმეგობრობდა!

—

მაშინ მეგობრად მიმაჩნდა ყველა,
ძალა შემწევდა, მომდევდა გული,
მეგონა მარად თან მომყვებოდა
შეუბოვარი ძალა და სული;

—

მაგრამ გამრიყა ცხოვრებამ გარე,
შემუსრა ტალღამ მამატი ნავი
და, ვით იალქანს კიდეზე გდებულს,
მმეგობრობს მხოლოდ სევდის ნიავი!

—

აწ ვისთვის უნდა მტკიოდეს გული,
ცრემლი შეაშრათ თვალებს ნაღველთ!
ჩაქრა კანდელი, ჩაწყნა ყვავილი
მომზადებული გადასაშლელათ!“

თუ ეს აკორდი სულის სიღრმიდგან გულმართლადაა ამოგლეჯილი, მაშინ ამისთანა სულიერ მდგომარეობის განმცდელს ისლა დარჩენია, რომ საკუთარის ხელით ბოლო მოუღოს დუხჭირს სიცოც-

ხლეს და მით განითავისუფლოს თავი ჯოჯოხეთურის მდგომარეობიდგან. ხომ ამჩნევთ, მკითხველო, რომ არსად სჩანს ცხოველ მყოფელი სხივი, რომ მოლუშულა, ჩაშავებულა და უკუნეთი გამეფებულა პოეტის გარშემო! მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს სულიერი განცდა პოეტისა ჭაბუკურის, მაშასადამე, გაზვიადებულის ხასიათისაა. ბევრს ახალგაზდა პოეტებს სჩვევიათ ასეთი გადამეტებით გაზვიადებული პესსიმისტობა: ზოგი მათგანი დასტირის „დანგრეულს ტაძარს“, ზოგი „ჩაჩუნარს წალკოტს“, ზოგი — „იალქან აგლეჯილ ნავს“ და ყველა ერთად კი „დამსხვრეულს გულს“, „ობოლს სულს“, „მოღლილ მკლავს“ და სხვ.

მართალია, ბ. ი. ევდოშვილის პოეზიაში დღესაც სჭარბობს ნაღვლიანი კილო, მწუხარე მოთქმა; მართალია, ის პირდაპირ გვეუბნება, რომ „ისევ ცრემლი მირჩევნია უდარდელ შემოძახილსაო“ და სატრფოსაც, მისი გასამხნევებლად მოსულს, ეხვეწება:

„ტურფავ, მახვიდს ნუ ამაცდი,
დეე, ისევ გულში მესოს,
ნუ შეახებ მკერდს ნაზ ხელსა,
რომ უცებ არ დაიკვნესოს!

—

ფრთხილად, ტურფავ, თორემ ნადვილს
გადაუშლი ფრთოა ზდუდეს,
მე არა მსურს, კაეშანი
რომ ერთბაშათ ამოდუდეს“-ო,

მაგრამ მასაც, როგორც ყველა სხვა ადამიანს, სამუდამოდ ასეთს სულის განწყობილებაში ყოფნა არ შეუძლია. ასეთს მდგომარეობაში მყოფ ადამიანმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ჩვენმა პოეტმა სიცოცხლე არჩია, ოღონდ სიცოცხლე ბრძოლისათვის და უსამართლობის მხილებისათვის.

ასეთი გადაწყვეტილება პოეტისა მოწმობს, რომ ის მაგარი და გაუტეხელის ხასიათისაა, რომ მას არ შეუძლია ქედი მოუხაროს და დამორჩილდეს ულმობელს ბედს; პირიქით, ის მზად არის, სანამ ღონე შერჩება, ებრძოლოს დუხჭირს ცხოვრებას, ხელიდგან არ გააგდოს ჩანგი და მწუხარ ჰანგზე მაინც აჟღეროს მისი სიმები. ერთს ლექსში პოეტი მხნედ ამბობს:

„რაც უნდა დამე იყოს ბნელი,
ცა დრუბელით მოიწნედოს,
არსად სჩანდეს ვარსკვლავები,
მოვარემ გზა ვერ გაიკვეთოს:
მაინც ვედით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,
უკვე ადგა ქარიშხალი
განთიადის მოციქული“. (გვ. 128).

იკითხავთ: რამ გააკაჟა პოეტის გული? რამ შთაბერა მას ასეთი სიმხნევე, იმედი და მედგარი ბრძოლის სურვილი?— იმან, რომ „ხალხის გულში სიმართლის ხმა დღეს იფურჩქნება“; მას სუსხამს ზამთარი, მაგრამ იგი მაინც არ ჭკნება“ (გვ. 32);—იმან, რომ თვალწინ ეხატება „შორით მორბედი მომავალი სხივები მზისა, მადლ-მოფენილი დედა-მიწა ყვავილ-ვარდებში, დროშა სიმართლისა და გვირგვინი სიყვარულისა“ (გვ. 108—9);—იმან, რომ ხედავს—„გაზაფხულის ტურფა დროშა გადაშლილა მინდორ-ველზე“ და „აწ მოფრინავს ჩვენსკენ ნათელი სხივი, რომ გულს ცეცხლი დააკვესოს, გადაფანტოს შავი ნისლი და ზამთარი ააკვნესოს“... (გვ. 132).

ასეთის იმედ-მოლოდინით გატაცებული პოეტი სადღესასწაულო სულის განწყობილებას ეძლევა და აღფრთოვანებული მღერის:

„კვლავ გადმოურის განთიადი

მთის წვერიდგან სხივთა კონას,
სიყვარული გაშლის ფრთებსა,
მთა და ბარი იწყებს თრთოლას,
მას დაატკბობს ბულბულიცა
და განთიადს მისცემს სალამს,
უმღერებს და უგალობებს
გაზაფხულის დროშა-ალამს!

—

და ამიტომ, თუმც მზეს ნისლი
შემოდგომამ მოახვია,
ჩაწკნა მდელო, ჩაწკნა ველი,
არსად ვარდი, არსად ია;
მაგრამ მაინც შეუბოვრათ
გული ისევ გაზაფხულობს,
შემოდგომის კაშანიც
გაზაფხულებრვე კაშნობს''. (გვ. 143).

რა გაზაფხულს მოელის ასე გატაცებით მგოსანი? რას მოუტანს მას ის განთიადი, რომელსაც ასე მოუთმენლად უცდის და ასე ტკბილად უმღერს? ვის გაათბობს, ან ვის ცხოვრებას გააშუქებს ის სხივები, რომელიც ასე ენატრება მგოსანს? მისი პირველი ხანის ლექსებიდგან სრულიად არა სჩანს, რომ ბ. ი. ევდოშვილი შეჰხაროდეს და მოელოდეს ჩვენი ეროვნების აღორძინებას, განახლებას, ან, თუ განახლებას არა, გამობრუნებას, გამოცოცხლებას მაინც. მაცოცხლებელი სხივი განთიადისა მას იმისთვის კი არ ენატრება, რომ „ჩაბალახ ჩამოხსნილს" და გადაგვარების გზაზე დამდგარს ,,ქართლს'' დაკოდილს გულში ჩაწვდეს ის და მისი მოდუნებული, შეჩერებულ-შედედებული სისხლი ააჩუხჩუხოს სასიცოცხლოდ და სამოქმედოდ, ისტორიულის პრინციპების დასაცველად და განსამტკიცებლად. ერთის სიტყვით, მას არ აინტერესებს აკაკის „მიჯაჭული ამირანის" ბედ-ილბალი, რომლის ხორცს სწიწკნიან და სისხლს სწუწნიან ყვავ-ყორანნი; სრულიად დავიწყნია ვაჟასი დაჭრილ-დაკოდილი „არწივი", რომელსაც გარს შემოხვევიან მსუნაგი მტრები და მიწასთან გასწორებას უპირობენ და არც კი აგონდება ილიასი ბაზალეთის ტბაში ჩამალული ,,ოქროს აკვანი'', რომელიც მოუთმენლად ელის მხსნელ ვაჟკაცს. ბ. ი. ევდოშვილის გაზაფხული თავისებურია, მისი მღერა-მოლოდინის საგანი სულ სხვა არის:

„მე გაზაფხული იქა მაქვს", ამბობს პოეტი
სადაც რკინა და ჯაჭვია,
სად ამართული საკანი...
მას ბევრი დაუტანჯია'' (გვ. 213)

გვჯერა, რომ ეს საგანიც საპატიოა, რომ მთელის კაცობრიობის სიყვარული და ქომაგობა საქებური არის, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ვისაც მთელ კაცობრიობაზე ოცნებობის დროს თავისთავი, თავის მშობელი დედ-მამა და აღმზრდელ ერის სახელი, პატივი, დიდება, მომავალი და მდგომარეობა უყურადღებოდ დაუტოვებია და დაუვიწყნია, ის სხვის ქომაგად და მეგობრადაც ვერ გამოდგება. ცნობილია, რომ კოსმოპოლიტობა ხშირად უნაყოფო და უსისხლხორცოა. მხოლოდ რჩეულ ადამიანთ, რომელთა გული უსაზღვრო ზღვაა და გონება უშრეტი წყარო, მხოლოდ მათ შეუძლიანთ ნამდვილად განიმსჭვალონ ,,საქვეყნო ჭმუნვით'' და ჰგოდებდნენ საქვეყნო ჭირ-ვარამზე. მაგრამ ესენიც ,,საქვეყნო ჭმუნვას'' საძირკვლად და სარჩულად თავისს ქვეყანაზე ფიქრს და ზრახვას უდებენ. მხოლოდ ჭეშმარიტი მოქალაქე თვისი სამშობლოსი შესძლებს გარდაიქცეს მთელის ქვეყნიერების მოქალაქეთ. და რადგანაც გენიოსები ქვეყანაზე იშვიათად იბადებიან, ამისათვის ნამდვილი კოსმოპოლიტებიც ძლიერ იშვიათად მოგვევლინებიან ხოლმე.

ბ. ი. ევდოშვილის გაკოსმოპოლიტება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის ბრალია. როგორც ჭაბუკი, ის გაიტაცა ახალმა მიმართულებამ, ახალმა იდეამ და ამისათვის დროებით აცდა იმ სწორს შემოქმედების გზას, რომელიც გაჰკაფა ნ. ბარათაშვილმა და რომელიც შემდეგ მე-XIX საუკ. ჩვენმა პოეტებმა, მათდა სასახელოდ, გაამშვენიერეს, გააფართოვეს. ერთს თვის ლექსში ,,გავ-ჩუმდე'', პოეტი თვითონ ასე განმარტავს თავისი პირველ ხანის შემოქმედების ხასიათს:

,,მე დროს შვილი ვარ, მან გაზარდა თვის მთრთოლვარ მკერდზე
და ახლავ თითებს ვათამაშებ მისავ სიმებზე...
მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემის მშობლისა,
დავგმობ მე მასში, რაც დირსია კრულვა-გმობისა''. (გვ. 37).

ეს პოეტური აღსარება იგივე რწმენაა, რასაც საქვეყნოდ აცხადებდნენ ,,მესამე დასელები''; ეს ის აზრია, რომელსაც ჰქადაგებდნენ ,,კვალის'' პუბლიცისტები და რაც შემდეგში დროშაზე დაიწერეს მათმა მიმდევრებმა. დრო კი მართლაც მოითხოვდა, რომ ყველას, ვინც დოგმებით იყო გამსჭვალული, მხოლოდ ,,მშრომელ ხალხზე'' და მუშაზე ეზრუნათ და ემღერათ. ბ. ი. ევდოშვილიც, როგორც ,,დროს შვილი'', თვის ლექსთა კრებულში გამუდმებით ამაზე მღერის და ჰგოდებს...

—

,,მაშვრალ ხალხის'' თანაგრძნობა და ქომაგობა ბ. ევდოშვილის პოეზიის უმთავრესი მოტივია. პოეტის პირადი ჭმუნვა, მწუხარება, უკმაყოფილება და კვნესა ამ მთავარ მოტივითაა დაჩრდილული ანდა ამ მოტივშია ჩაქსოვილი და გადაბმული. მხოლოდ თვით „მშრომელს" და „შრომის შვილს", მხოლოდ თვით ბედისაგან დაჩაგრულს და უსამართლობის მსხვერპლს შეუძლიან ასე გულჩათუთქული წუხილი, ასე ღრმად ტანჯვა-სიმწარის გრძნობა და ამ გრძნობის გამოხატვა, როგორადაც ეს შესძლო და გამოხატა ბ. ი. ევდოშვილმა!

,,შრომა... ოფლის ღვრა... სილარიბე... ძუნწი ცხოვრება'' (გვ. 41) არ აძლევს მოსვენებას პოეტს. მას თითქოს დაუვიწყნია პირადი სევდა და ნაღველი:

,,მე არა ვსტირი ჩემს სიჭაბუკეს,
არც გულის სატრფოს, არცა მეოდია,
მარტოკა გდება, მწარე სიცოცხლე
ვეჭიბ ქუდ-ბედათ თან დამეოდია.
მე ჩემს გარშემო მომესმის კვნესა,
მაშვრალი ხალხი ტვირთ ქვეშა გმინავს,
მათი ვაება... უსამართლობა,
ვითა ისარი გულსა მიგმირავს.
თავის ტრემლებით ნაბანი მკერდი,
მითხარით ერთი, ვინ არ იგიწყოს,
თუ მის გარშემო დაბა-სოფელი
კვნესით ადსავსე ტრემლით მოირწყოს.
და როს კვნესასთან ერთად მოკესმით
მჩაგვრელთ სიმღერა, სიცილ-ხარხარი,
ვფიცავ ზეცასა, თვით ჰირუტყვისთვის
საშინელია და საზიზღარი!'' (გვ. 24).

პოეტის სიტყვით, მწარეა ,,მაშვრალთა ბედი''; რკინის უღელს ქვეშ ქედ-მოხრილნი, ისინი იძულებულნი არიან ვინმე ბატონს უპოხიორონ ოფლით მამული'' (გვ. 36); თვით სილარიბით წელში მოხრილნი და კონკათ ქცეულ ძველ ფარაჯაში გახვეულნი, ისინი სხვას უკეთებენ ,,მდიდარ ქულაჯას'' (გვ. 33). სიჭაბუკის დროს ძალ-ღონით სავსე მუშა ოფლსა ღვრის... სოფელს ქედ-წახრილი მუშა მანამდის უნდა, სანამ პირუტყვივით შრომობს. მერე კი უზომო შრომით ღონე მიხდილი, ღაწვ ჩაყვითლებული, აკანკალებულის ხელებით, ჩვრებში გახვეული და ფეხებ დაწყლულებულ-დაიარავებული

მუშა არავის უნდა, ის არავის გულში არ იწვევს სიბრალულს და თანაგრძნობას (გვ. 43).

მუშა ,,ჩაქუჩთან ერთად, ვით ღვიძლ ძმასთან, ტანჯვით აღზრდილია'' (გვ. 40); ის ქარხნის ქვემო სარდაფის დახუთულ და მოწამლულ ჰაერში იხრჩობა (გვ. 58); პაწაწკინტელა ლითონ რკინის აწყობის წყალობით ,,მკვდრის სუდარას სახე უგავს, თვალები კი გამქრალ სამთელს, ლომი იყოს ვერ აიტანს ფეხზე დგომას კაცი ამდენს'' (გვ. 95).

შრომის შვილს საბოლოოდ მაინც წილად ხვდება დღეს თუ ხვალ „ჩაეშვას ტანჯვა-შრომის შავს უფსკრულში'', რადგანაც მშრომელ ხალხის და მისი შვილების გარშემო ,,მწარე ოფლის მორევი სდუღს, ისვრის ტალღას და აწოვებს ჩვენს ცხოვრებას გულ-გასაგმირ ტანჯვა-ბალღამს'' (გვ. 166).

პოეტს სურათებადაც აქვს დახატული მუშის შავ-ბნელი და ტანჯული ცხოვრება. ის ცდილობს პირდაპირ ან და კონტრასტების საშუალებით გვაგრძნობინოს ტანჯვა-წვალება მშრომელის ხალხისა და ჩვენი გულიც გმობით და სიძულვილით აღავსოს შიხი მჩაგვრელთა მიმართ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთის სურათებით ავტორი მომეტებულს შემთხვევაში მიზანს აღწევს და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. და რომ ლექსებში არ სჭარბობდეს გადამეტებული გულის წყრომა და ,,მიმართულების'' ელფერი არ გადაჭკრავდეს, მაშინ ისინი მშვენიერნი იქნებოდნენ, როგორც ფორმის, ისე იდეის მხრივ...

აი ,,მატანტალა'' (გვ. 43), როგორც გუშინ, ქუჩა-ქუჩა კვლავ იარება; მის ტანს ჩვრები ჰფარავს, ფეხებს—წყლული და იარა; გაყვითლებულ შუბლზე სისუსტის ოფლი გადასდის; ხელი უკანკალებს, ტუჩები უთრთის; თუმცა ის ღონე შიხდილი უმკლავდება წყურვილს და შიმშილს, მაგრამ ვერ ბედავს იმათხოვროს: მას ,,სამოწყალოდ გაწვდილი ხელი უკუ უბრუნდება''. პოეტი ასე მიმართავს ტანჯულს შრომის შვილს:

,,ამ სიცივეში ქუჩა-ქუჩა რას დაწანწალებ.
სიკვდილი გიჯობს, ტანჯულს სულსა რადას აწვალებ!
შენ მუქთად ბური არა დრო ს არ გიწამია
და მოწყალების აწ მოთხოვნა შენთვის შრამია"...

აი ,,მჭედელი პეტრე'' (გვ. 77)—შრომის შვილი, რომელსაც მამა მისმა უანდერძა რკინის ჭედვა და მძიმე კვერი, ,,ვითომც დიდი განძი იყვეს, რკინას კი არა, ფულსა ჭედდეს''. შვილიც პირნათლად ასრულებს მამის ანდერძს:

,,გამურულა, ოფლში ყანგი
ჩამოტურავს მის სახეზე,
და დილიდგან სადამოდის,
როგორც მწვადი, იწვის ტეტხლზე''.

აი ,,ბიძია ლუკა'' (გვ. 68)—,,დღე და ღამე გზის აჩრდილი, ქუჩის სტუმარი'', ერთს დროს კი მუყაითი და ბეჯითი ასოთ-ამწყობი, მას შემდეგ, რაც შეიქმნა უსინათლო, ქუჩა ქუჩა ეძებს სარჩოს, მაგრამ ქუჩამვე იმსხვერპლა საწყალი. გაქანებულმა ეტლმა ქვეშ მოიყოლია და მისი მკერდი, ნაქცევი ძვალ-ტყავად, სასიკვდილოდ ჩაუჭეჭყა:

,,შეგროვდა ხალხი, უცქერდნენ გვამს გაცივებულს,
,,სტოდავიო'', ვინცდამ ჩუმად ჩაიდუდუნა,
ერთმა კაბედა, მიეკარა კონკის ძველებსა
და წუნარად გვამი დამხობილი გადმოაბრუნა''.

,,მუშაკს'' (გვ. 58), დღისით დაღლილს, შიშველს მიწაზე, დიდ ქარხნის სარდაფში, სძინავს; ზედ ახურია ჩოხის ნაგლეჯი, თავი დაუყრდნია კონკის ძველა ტოპრაკისათვის.

იმდენად ტკბილია საწყალ „მუშის“ ძილი, რამდენად მწარეა მისი დღისით გამწარებული ლუკმისთვის ბრძოლა.

„შაგრამ ნელ-ნელ შეენაკვთა ნაოფლი შუბლი, სახეს გადაჭკრა სანთელივით ყვითელმა ფერმა, დახე ძილშიაც არ ელირსა მას მოსვენება: აქაც კი უსწრო ცხოვრებისა მსახვრელმა სულმა! შავი სიზმარი, ჯოჯოხეთი შავი სიზმარი, დაესიზმრა და გულმა უწყო მწარედ დონება. ვაი, საბრალოვ, შავ დღიანო, თუ არ შავს რასმე ნათელს რას შეჭქმნის, რას მოიძვნის შენი ოცნება!..

ბედკრულს, სახლ-კარს მოშორებულს, დაესიზმრა, რომ მისი ცოლ-შვილი, საყვარელი ხუთის წლის ნიკო და პატარა ნუცა საშინელს შიმშილს განიცდიან.

„ხედავს მუშაკი ამ ჯოჯოხეთ სანახობას, სურს შეაუენოს თვალთაგან ცრემლი, ვერ მოითმინა

და უცებ, თითქო დაკოდილმა ძლიერმა ლომმა, შეშფოთებულმა ერთი მწარეთ ამოიგმინა.

. . . . . .

გამოიდვიძა: ჯოჯოხეთი იგივ სურათი
კვლავ თვალწინ უდგა და წაიდო საგონებელმა;
ტირის უმწეო, ან ვინა ჭვავს თანამგრძნობელი
და ან რა უთხრას ნესტიანმა ქარხნის კედელმა“...

ამ გვარივე სამწუხარო და შავი სურათები აქვს პოეტს დახატული ბევრს სხვა ლექსშიაც, მაგ. „უქმე დღე იყო“ (გვ. 40), „მუშა“ (36), „რას შესცქერ, ძმაო“ (33), „სიმღერა ასოთ-ამწყობის“ (154), „შენ სცდები, ბავშვო“ (93), „აკვანთან“ (166), „სახლების მხურავი“ (199), „განკიცხული“ (64), „ღამო ქალაქში“ და სხვ.

ბ. ი. ევდოშვილი მტკიცედ იმედოვნებს, რომ მალე მოელება ბოლო „მაშვრალთა“ და შრომის შვილთა ამისთანა ტანჯვა-წვალებას, დაჩაგვრა-დაბრიყვებას და შიმშილ-წყურვილს. მათს დაგუბებულს და შეჩერებულს ცხოვრებასაც ერთს დროს მოხვდება მაცოცხლებელი სხივი შეგნებისა და გათვითცნობიერებისა; მუშაც იგრძნობს თვის ძალას, ნათლად დაინახავს თვის მტარვალს და პირნათლად გაუსწორდება მას. პოეტის გონების თვალწინ აი რა სურათი იხატება:

„აივსო გუბე, ვედარ ტეულა
აშმორებული მას შიგან წყალი,
მაგრამ თან და თან კვლავ ემატება,
ქაფს იგდებს ზევით, გაქვს ტრიალი.

—

ტრიალებს იგი და აირია
წუმბე, ტალახი, ლექი და მწიკვლი,
ვერ დაიწირა სამსე გუბემ,
უცებ გადასქდა, გაირღვა თხრილი.

—

გადასქდა, მაგრამ, ვაი მიდამოს!
კარგი მან იმას არ დააყარა
და რაც მიედო გუბეს მისგანა
ახლა ჰირშივე ბას მიაყარა“ (გვ. 5).

„მშრომელი ხალხი“, „მუშა“ პოეტს ამირანადაც აქვს დასახული. მრავალი საუკუნეა მას შემდეგ, რაც მას გარს ეხვეოდა მწყვდიადი, რაც გადამეტებულ ტანჯვისაგან მისი თვალებიდან უშრეტი სისხლის ღვართქაფი დგებოდა და თავს დაჰყიოდენ სვავები, მაგრამ ბოლოს დროს მაინც

„იფეთქა ადმოსავლეთმაც,
წითელი დროშა გაშალა,
კლდეზე მიჯაჭულს ამირანს
სხივები გადააყარა!
და აბა, ავ დროს ასრულდა!
ვერ გასძლო გულმა გმირისა,
მკლავი გაშალა, მიდეწა
წეული ჯაჭვი რკინისა“. (გვ. 225).

ხან კი პოეტს „მშრომელი ხალხი“ გემად წარმოუდგენია, რომელიც აბობოქრებულ შავის ზღვის ტალღებში მისცურავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიბრძვის და ,,გზას იკვლევს ჭირის ოფლით"; ის მისცურავს გაზაფხულისკენ და, თუმც მის თამამ იალქანს თავს დასტრიალებს ჭილყვავი ყიალით, აფრას ღრუბელი ახვევია და ქარიც დასძახის ზრიალით, ის მაინც აღწევს სამშვიდობო ნავსადგურს და ლაღად გაზაფხულს ეთამაშება (გვ. 168). პოეტს სწამს, რომ მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით შეუძლიან ,,მაშვრალ ხალხს'' გაიუმჯობესოს სვე და ბედი. ამისათვის კი შემდეგის მოწოდებით მიმართავს მას და მის იდეოლოგებს:

,,მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დადი ჩხნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
,,წინ, წინ, შედგრად შეგებრძოლოთ
ჩარხ-უკუდმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავცუროთ
სიმართლის და ძმობის დროშა'' (გვ. 19).

ოღონდ ბ. ი. ევდოშვილს სწამს ბრძოლა კულტურული, იდეიური და არა ძალმომრეობაზე და მახვილზე დამყარებული. ის პირდაპირ ეუბნება მებრძოლთ, ჩვენ რაზმს წინ უნდა უძღოდეს სიმართლის და ძმობის დროშაო. და თუ თავის ერთს ლექსში ხანჯალს უმღერის და აქებს, ეს იმისთვის კი არა, რომ მითი მტერი ჩეხოს; არა, მას ხანჯალი იმისთვის არ უყვარს,

,,რომ მტერი სჩეხოს მისითა
ის განა მინდვრის სვავი ვრის,
გაძღეს სისხლით და ტრემლითა?!

—

უყვარს მიტომ, აგონებს
მისსავით ბასრსა ენასა,
ორგულს რომ მკერდში ესობა,
მტერს რომ მოუშლის ლხენასა'' (გვ. 6)

ბოლმა-წყრომით აღსავსე ლექსში ,,ჩვენება'' ბ. ი. ევდოშვილი იხსენიებს იმ ხმალზე მკვეთრს'' მახვილს, მხოლოდ რომლითაც უნდა ებრძოლოს ადამიანი ,,ჯოჯოხეთურ სიცოცხლეს'', ,,მჩაგვრელთა ხარხარს" და ლაღობას;—ეს არის ენა, სიტყვა ადამიანისა და ამ სიტყვის საშუალებით შექმნილ-შედგენილი მსჯელობა, მხატვრობა და შემოქმედება. პირადად თვით პოეტს ერთად-ერთ იარაღად ,,უარყოფილ, ულირს ხელთაგან დასჯილ, გმობილ, შემწიკვლულ, ჩაგრულ და ლახვარ სობილ'' სიმართლის აღსადგენად ჩანგი მიაჩნია. მას სურს ჩანგის წყალობით აატიროს მსმენელთა გული, მოსთქვას ქვეყნის უსამართლობა—,,ყურით ნასმენი, თვალით ნახული'' (გვ. 55—56).

ბ. ი. ევდოშვილს ერთს თავის ლექსში (,,გმირი'' გვ. 56) დამცირებულ ,,მართლმსაჯულების'', ,,შემწიკვლულ დროშის'' და საზოგადოდ მშრომელ ხალხის მოსარჩლე მეგობარი ,,გმირის'' იდეალური სახეც აქვს დახატული. აი ის—

,,შეუპოვარი, გულზვიადი და თავმოწონე
ამაყთ მჩენი დგას და ოფლს დვრის ბრძოლის ველზედა,
სადაც ბასლსა კაუშლია თავისი დროშა
და თვისი ტახტი აუმართავს ტანჯულთ გვერდზედა...
სიტიდ-ხარხარით, გესლიანი, უკმეხი სიტყვით
ბრბო უგუნური ტაფახს ესვრის ურჩ, ამაყ ძესა
და თითქო დემონს, დამამხობელს ცისა და ქვეყნის,
წყევლით და კრულვით იხსენიებს იმის სახელსა.
ზოგნი შიშით და მოწიწებით აძლევენ გზასა,
ზოგნი კვირობენ მისსა ესდენ თავ-გამოდებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგნი ცბიერნი, – ფარისევლურ ენა მსჭევრობით
გზას ულოცავენ, შეესხამენ ქებათა-ქებას.
ჩუ... სულ-მდაბალნო, მას არა სურს თქვენგან დიდება,
მის მეგობარი ხალხი არის, ხალხი ტანჯული,
შვილს ესმის მშობლის მაჯის ცემა, კვნესა ტკივილი,
და ღვიძლზე ნადებს შურის გებით ეგზნება გული!
თქვენ ვერ მიხვდებით მისსა გრძნობას, მისსა წადილს;
თქვენ ხომ არ გშიანთ, არა გცივათ, ცხოვრობთ და სტკბებით.
ბალთან ახლო, ვითა ქურუმთ, მოგიკვეცნიათ,—
იგი ვარვარებს და თქვენ ხარბათ თბებით და თბებით.
ესროლეთ გუნდა, შეუთვალეთ წეევლა და კრულვა,
ის წამების გზას ჭირის ოფლით აბოხიერებს,
და ვიდრე გმირსა გული უძგერს ხალხთ სიყვარულით,
ძირს არ დაუშვებს საბრძოლველად ამართულ ხელებს''.

ამ ლექსის მთლად ამოწერა ჩვენ საჭიროდ იმისთვის მივიმჩნიეთ, რომ აქ გამოთქმულია მთელი მრწამსი და იდეალი ,,ახალი მიმართულებისა". ეს გმირიც (მართალი უნდა ითქვას, ასე ტლანქად და უსიცოცხლოდ დახატული) სტერეოტიპული სახეა ,,მუშათა'' იდეოლოგებისა. აქ, ამ ლექსში, პოეტი მკაფიოდ ამჟღავნებს თავის სიმპატიას ,,ხალხისადმი'' და არა ,,ერისადმი'' და ცხად ჰყოფს იმ მანერას წერისა და აზროვნებისას, რომელიც მისი პირველ ხანის შემოქმედების ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს,—ეს არის: მაღალ-მაღალი ფრაზეოლოგია, შავი სურათი, გადამეტებული გულის წყრომა და უსისხლხორცო იდეალიზაცია.

პოეტი მარტო ,,გმირთ'' კი არა, ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს მისი სიმღერის საგანს—მშრომელ ხალხს და მუშას—მებრძოლ ცხოვრების და მოქმედებისაკენ იწვევს (იხ. ,,ზოგიერთს მეგობარს'', ,,ვნახე ვარდი'' და სხვა).

ბ. ი. ევდოშვილის რამოდენიმე ლექსებში გაისმის უფრო ზოგადის ხასიათის მოქალაქობრივი მოტივი. მაგ., პოეტი თავისთვის შეუძლებელად სთვლის სიამოვნებით ,,ვარდსა, იასა სჭვრეტდეს'', ,,მზიანს დღეს შესტრფოდეს'' და საზოგადოდ სიამოვნებდეს ,,უტყვთა მეჯლიშით'', ,,ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა კვნესა'' (გვ. 1). გზა საერთო ,,ტანჯვისა და წამებისა'' (გვ. 60), ,,ჟამი შავბედ-დღიანი'' (გვ. 10) და საზოგადოთ ადამიანის ,,ეკალზე აგებული ცხოვრება'' პოეტის გულს უკიდებს ,,ცეცხლის ალს'' (გვ. 85)...

სამშობლოს და მის მდგომარეობას პოეტი ორ-სამ ადგილს შეეხო. მაგრამ, თითქოს რაღაცასი ერიდებაო, ის მკაფიოდ და ნათლად ვერ ბედავს ამ საგანზე ლაპარაკს. ეტყობა კი, რომ პოეტის გულის სიღრმეში მხოლოდ დროებით ჩახშულა ეს უწმინდესი გრძნობა და ის ხანდისხან უნებლიეთ, თავისთავად ამოხეთქავს გულის სიღრმიდგან. მაგრამ გონს მოსული და ცალმხრივობაში მყოფი პოეტი უცბად ხელს აფარებს მას და ამ გვარად უსუსტებს.

ერთს ლექსში ,,ორი სიმი'' ბ. ევდოშვილი სწორედ ასე იქცევა. ამ ლექსის ერთს ტაეპში ის ამბობს, რომ ,,სიყვარული ფრთა კვეცილი **ერმა** დაჰგმო, შეა-

ჩვენაო"; მაგრამ იქვე, ორი სტრიქონის შემდეგ, ვითომც ისწორებს შეცდომას, და სიტყვა ,,ერს'' ,,ხალხად'' სცვლის. (,,შედექ, შედექ შენც, ნიავო, სძულს **ხალხს** თავისუფლებაო''). როგორც სჩანს, ამ ლექსში იბრძვის ორნაირი მიმართულება და სულიერი განწყობილება პოეტისა: ერთი—ბუნებრივი და ყველასათვის ძვირფასი ეროვნული გრძნობა, სამშობლოს სიყვარული და მეორე—განყენებული, მხოლოდ გონების პროცესით შეთვისებული კოსმოპოლიტური შეხედულობა. ოღონდ ეს ბრძოლა ამ ლექსში სამშობლოს სასარგებლოდ გვირგვინდება. პოეტი გარკვევით და პირდაპირ ამბობს:

,,ასე ორათ გაიგეთ
ჩემი გული, ჩემი გრძნობა,
ხმას საგმირო ტოლთა მიმართ
მწარე ტრემლი გადედობა.

—

ან კი გრული ქვეყნის შვილმა
ვით ავწიო ზეგით ქედი,
რომ სამშობლოს გაძრცვილ შტოსა
შეეგრიხა ჩემი ბედი'' (გვ. 63).

როგორც ვიცით, შემდეგში ეს ბრძოლა ორ მიმართულებათა შორის პოეტის შემოქმედებაში სამუდამოდ და უცვლელად პირველის გამარჯვებით დასრულდა და მით პოეტი და მისი შემოქმედება ბუნებრივ, ისტორიულად ნაანდერძევ კალაპოტში ჩადგა. დღეს ბ. ევდოშვილი ამ ნიადაგზე ნ. ბარათაშვილის ერთი ღირსეული მემკვიდრეთაგანია...

ვიმეორებთ: ბ. ი. ევდოშვილის პოეზიის უმთავრეს მოტივს შეადგენს ,,მაშვრალთა'' ქომაგობა, მათზე ფიქრი და მოქმედება. ამ მთავარმა მოტივმა მის პოეზიაში დაჩრდილა ისეთი ძლიერი მოტივიც კი, როგორიც არის სიყვარული და გრძნობა ბუნებისა. იშვიათად შეხვდებით ისეთს პოეტს, რომლის შემოქმედებაში ამ ორს მოტივს საპატიო ადგილი არ ეკავოს, გარდა ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისა, რომელთა ლექსებში უფრო სჭარბობს ლირიკა აზრისა. ყველა ჩვენი პოეტების—ძველების და ახლების—შემოქმედებაში ბუნების აღწერას დიდი ადგილი უჭირავს. ამათში თითქმის ერთად ერთ გამონაკლისს შეადგენს ჩვენი პოეტი თავის შემოქმედების პირველს ხანაში.—ბ. ევდოშვილი, თითქოს ჩოთირობს მიეცეს ტკბილ სიამოვნებასო, გაურბის უტენდენციო, იდილიური ბუნების აღწერას. თითქოს მას ბუნება, მისი მშვენიერება, მრავალფერადობა და საიდუმლეობა თავისთავად არ აინტერესებს; ბუნებაში ის არ ხედავს სულის დამამშვიდებელს, გულის დამტკბობს და გონების მასაზრდოებელს უშრეტს წყაროს. ბუნების აღწერას პოეტი მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც კონტრასტის ან ანალოგიის სახით უნდა გამოსთქვას რომელიმე აზრი ან გამოხატოს რომელიმე სულიერი განწყობილება. ასეთის ხასიათის ბუნების აღწერა ჩვენ გვხვდება შემდეგს მისს ლექსებში: ,,ორი სიმი'' (გვ. 60), ,,ძმობილო კარი გააღე (73), ,,პირველი სხივი'' (221), ,,ზამთარში'' (164), ,,მხოლოდ ნაღველი სამუდამოა'' (186), ,,განთიადი'' (152) და სხვა. როგორც ამ მხრივ ნიშანდობლივს ლექს, ჩვენ აქ ამოვწერთ ,,პირველ სხივს''.

,,მთას ბურუსი შემორტყმია,
ნისლს მინდორი დაუფარავს,
ქარი გმინავს და ბობოქრობს,
არე-მარეს აკრთობს, ზზარავს!
ტყეს ტოტები დაუშვია,
ბალში ვარდი მთლად გახრწნილა.
მწუდიადია. ჩუ! ბუმ სადღაც
დაიკვნესა, დაიკივლა.
რას დაგეძებ ბუნებისა

ცრემლებსა და კაეშანსა
გლოვის ძაძით შემოსილსა
მადლა ცას და დაბლა ბარსა!

გულში, გულში გაზაფხულის
სუსხმა დაჭკრა, გაიცინა
და იმედმა, ფრთა შესხმულმა,
ადმადგინა, ადმაფრინა!

ქარი კვნესის, ჩანგი მდერის,
სიხარულით თრთოლავს გული.
ეს ბირველი სხივი არის:
შეგობრებო, გაზაფხული.

ვიმეორებთ: უტენდენციო, რ. ერისთავისებურს ბუნების აღწერას ძლიერ იშვიათად შეხვდებით ბ. ევდოშვილის ლექსებში. ჩვენ შეგვხდა მხოლოდ ერთად ერთი ასეთი ლექსი—„გაზაფხული“ (გვ. 146)

სიყვარულის გრძნობის გამოხატვასაც ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს ჩვენ პოეტის ლექსებში. ამ გრძნობას კი თითქმის ყველა ჩვენის და უცხოელ პოეტების ნაწერებში (განსაკუთრებით სიჭაბუკის ხანის) საპატიო ადგილი უჭირავს. აქაც ბ. ევდოშვილი გამონაკლისს წარმოადგენს-.. ჯერ პოეტი იშვიათად ეხება ამ საგანს, და თუ როდისმე შეეხო, მაშინაც მისი სიყვარულის გრძნობის გამოხატვა და გამოთქმა თავისებურია. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი მოვლენა იმის შედეგი არ უნდა იყოს, რომ ვითომც პოეტი ამ გრძნობას სიმღერის და აღმაფრენის ღირსად არ სთვლიდეს ან და მისი გული დახშული იყოს ამ გრძნობისათვის, არა, —ცალმხრივობაში მყოფი და ,,მიმართულებით'' გრძნობაგონება შებოჭვილი პოეტი უხერხულად სთვლის თვის ერთად ერთს საგანს ასცდეს, სხვა რასმეს კიდე უმღეროს; ყველა სხვა გრძნობას ის ხელოვნურად გულში იკლავს.

იქაც კი, სადაც უძლურია თავი შეიკავოს და სიყვარულს ეხება, პოეტი მაინც ცდილობს ამ გრძნობას არა ბუნებრივი, მრუდე და რეფლექტიური ხასიათი და მიმართულება მისცეს.

დავასაბუთოთ ეს აზრი.

აი სალამო ჟამს პოეტი მარტოკა დადის და არავის ეკარება. ამ დროს მას შეხვდა ღიმილით საყვარელი არსება. პოეტს სურდა მოხვევნოდა სატრფოს და მის მკერდზე ამოეტირნა მწუხარება.

,,მაგრამ შეგდექი, სხვათაებრ გზა აკიარე'',
მოგვითხრობს პოეტი
ჩემი ნადგელი, ჩემი დარდი არ ვადიარე.
მე მეშინოდა, მეშინოდა გულტივ ღიმილის
და ისევ ისე შევახვიე გულში სამარე!
ასე მივდივარ მე ჩემს გზაზე ობოლი ეტლით,
მე მსურს მიეკარდეს მოშორემით, ხალხის ფარულათ.
დე, ზოგი წუეგლით, ზოგი სიმთა ამოკვნესით
ამოიცალოს ჩემი გული, წავიდეს რულათ!
(გვ. 85).

საყვარელს, ,,ტურფა არსებას, ხედავს რა პოეტის დაკოდილს და განგმირულს გულს, უნდა ,,ცხოვრების მახვილი მის გულს ამოაცალოს'', მაგრამ პოეტი შესთხოვს სატრფოს:

,,ტურფა, მახვილს ნუ ამაცლი,
დეე, ისევ გულში მესოს,
ნუ შეახებ მკერდს ნაზს ხელსა,
რომ უცებ არ დაიკვნესოს!
ფრთხილად, ტურფავ, თორემ ნადგელს
გადაუმლი ფართო ზღუდეს,
მე არა მსურს კაეშანი,
რომ ერთბაშათ ამოდუღდეს!

—

მითხარ, ნატვლად რადა დარჩეს?
დრმა იარა დაბასრეული?!
ტურფა, ტურფა, ნუ მაწვდი ვარდს,
თუ გწამს წმინდა სიყვარული'' (გვ. 104).

პოეტს და, ისიც ჭ ბუკს პოეტს, არ ხიბლავს არც გარეგანი სიმშვენიერე და სიკეკლუცე სატრფოსი, არც მისი ვნებათა ღელვა და გიჟმაჟი გრძნობა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცემს ზღვის ტალღასავით; მას ხიბლავს მხოლოდ გული, გრძნობათა ტალღების ქვეშ ჩაჩრდილული (გვ. 111). მგოსანს არ შეუძლიან დაივიწყოს ერთი მარად საამო და სანატრელი საღამო და სწადიან „ყოველს ჟამს მის მოგონებით შვების ცრემლმა თვალი დანამოს". რაღაც იშვიათი საღამო უნდა ყოფილიყო ეს საღამო, რომ პოეტის გულში მისთვის არა ჩვეულებრივი სიამე და სიტკბოება წაუშლელად ჩაუნერგავს!

„ოხ, გულის ტოლო, არ დავივიწყებ
მე ამ სადამოს, ტკბილს კაეშანსა,
ცასა წაგრაგნილს, მთებს ბუმბერაზებს,
დინჯ მოსუბრე სამშობლო მტკვარსა!
და შენსა აჩრდილს, ფიქრით აღზნებულს,
მთრთოლვარე სახეს, მთრთოლვარე მკერდსა,
გრძნობას—ცეცხლის ალს გონების დამწველს
და გულის მწარე ამონაკვნესსა!
ამ დროს ჩვენ ერთად ვისხედით მტკვრის პირს,
აქ გამოვშორდით ქალაქს მშფოთვარეს,
გამოვექეცით ზღვას აღზნებულსა
და გაშოვშორდით მის არე-მარეს.
აქ არ გვესმოდა მონების კვნესა
და ბოროტების მათრახთა ქნევა,
ველარ ვხედავდით ბრძოლის მოედანს,
სადაც მაშვრალთა ოფლი ინთქება;
ველარ ვხედავდით დანგრეულს ტაძარს,
მაზე ამართულს არშინს და სასწორს,
გრძნობას, გონებას და ადამიანს
ფულზე გაყიდულს, ფულზე ასწონს" (გვ.146)

ამ ლექსს განმარტება არ ესაჭიროება. თავისთავად ცხადად სჩანს, თუ რა რიგ შეუბოჭავს „მიმართულებას" პოეტის აღმაფრენა და ფანტაზია!

ბ. ი. ევდოშვილის სატირაც, როგორც მთელი მისი შემოქმედება, სერიოზული და მღელვარეა. მსუბუქი, დაწყნარებული და ირონია გარეული, აკაკისებური დაცინვა და მხილება მას არ ეხერხება.

პოეტს ეზიზღება თვალთმაქცობა და ის გულის ამღვრევი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ადამიანთა სიტყვის და საქმის შორის (იხ. გვ. 234, 97). პოეტს ეჯავრება აგრეთვე ორპირი იანუსები, რომლებიც მოხერხებულად „ხვრელში ძვრებიან", პირი „ჩასავლისაკენ აქვთ და კეფა კი ცხოველ მზისკენ" (გვ. 92). პირმოთნეობა ისეთ ნაირად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი ადამიანს, რომ ის მიცვალებულების წინაშეც ორპირობს. ხშირად ცოცხლები საუცხოვო გვირგვინით—სათნოების და სიწმინდის ემბლემით—ჯვრით და ყვავილის თაიგულით ამკობენ ისეთის მიცვალებულის საფლავს, რომელსაც სიცოცხლეში

„ყვავილისა მაგიერათ დვარძლი ედვა გულს,
მას ჯვარისა წილ წინ უძღოდა სიმართლის
გმობა,
და მთლად სიცოცხლე მისთვის იყო შური და
მტრობა".

ასეთის სისაძაგლით გულამღვრეული პოეტი შემდეგის სიტყვებით მიმართავს ადამიანს:

ადამის ძენო, ვით სჩვევიხართ ხირმოთნეობას,
თვით მკვდრებსაც კი ტბიერებით მიუძღვნით
ქებას" (გვ. 35).

ერთის სიტყვით, პოეტს „ჩარხ-უკუღმართ ამ ჩვენს დროში", როდესაც უმრავლესობა ავარჯიშებს „საქვემძრომოთ მკლავს და ენას", ერთი ღა დარჩენია, რომ ასეთს ცხოვრებას და მოქმედებას „სამარცხვინო და საზიზღარი უწოდოს და თვის რჩეულ მეგობრებს მოუწოდოს ადამიანური და წმინდა სამოქმედოთ (გვ. 19).

ბ. ი. ევდოშვილის ლექსებში თარგმანს ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს; მას მხოლოდ რამოდენიმე ლექსი აქვს გადმოთარგმნილი და ისიც ისეთის ხასიათისა და შინაარსისა, სადაც ჩვენი პოეტისაგან დევიზად დასახული პრინციპებია გამოთქმული, ე. ი. სადაც „მაშვრალთა" და „მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა'' სვე და ბედია აღწერილი. ასეთებია შემდეგი მისი ლექსები: ,,სიმღერა ინგლისელებს'' (გვ. 202), ,,საფრანგეთის მომავალი" (183), ,,უცხოეთში" (196), ,,ბარაბანი'' (229) და სხვ.

რუსეთის პოეტებიდგან მას მხოლოდ ერთად-ერთი ნეკრასოვის ლექსი „დობროლიუბოვის ხსოვნას" აქვს გადმოთარგმნილი. საყურადღებო აქ ის არის, რომ ეს ლექსი ნამდვილ ეროვნულის აზრით და შეხედულობით არის გაშუქებული, მაგ., ნეკრასოვი ასე მიმართავს დობროლიუბოვს:

„სამშობლო, როგორც სატრფო, გიუვარდა,
დიდების გვირგვინს მას უმზადებდი,
შრომას, სიცოცხლეს აძლევდი მსხვერპლათ
და განთიადის კარებს ადებდი!

—

. . . . . .

სამშობლო მიწავ, იტირე შვილი,
მაგრამ იმავ დროს მით ინუგეშე!

—

დდიდგან შენისა დაბადებისა
ამგვარი შვილი შენ არ გინახავს;
ერის სუნჯე, ერის დიდება,
ბედს შენს ვარსკვლავად გამოუსახავს"... (138)

სჩანს, რომ ეროვნული გრძნობა, პოეტის გულში ხელოვნურად ჩამწყვდეული, ხანდისხან მძლავრად ამოხეთქავდა თავის საპყრობილედგან და, თუ პოეტის საკუთარ სიტყვებში ჯერ კიდევ ვერ ბედავდა თავის გამოსახვას, უცხო პოეტიდგან გადმოქართულებულ სიტყვებში მაინც დროებით გამოაკაშკაშებდა!

—

ბ. ი. ევდოშვილს თვისი კრებულის ბოლოში მოთავსებულ ლექსებისათვის ,,პოემები'' უწოდებია. ეს, ჩვენის აზრით, შეცდომა მოსვლია ავტორს. აქ მოთავსებული ნაწარმოებნი პოემები არ არიან, თუ მათ იმ თვალსაზრისით გავსინჯავთ, რა თვალსაზრისითაც მიღებულია ხოლმე ევროპაში და რუსეთში პოემად აღიარება ამა თუ იმ ნაწარმოებისა.—პოემა ისეთს ნაწარმოებს ეწოდება, სადაც პოეტურის ფორმით აღწერილია ცხოვრება და მოქმედება რითიმე შესანიშნავის ისტორიულის ან ,ერძო პირისა და სადაც ალაგ-ალაგ პოეტი ან გამოსთქვამს თავის გრძნობას ან და ეპიურად მხოლოდ მოუთხრობს. ბაირონიდგან დაწყებული, პოემისთვის სიუჟეტად ისეთს მომენტებს და შემთხვევებს იღებენ ადამიანთა ცხოვრებიდგან, რომლებიც ხიბლავენ პოეტის წარმოდგენას თვისის განსაკუთრებულის იდეალურის და პოეტიურის თვისებით. სანიმუშო პოემად ითვლებიან ბაირონის ,,გიაური'', ,,კორსარი'', ,,მანფრედი'', ,,შილიონის ტუსაღი''; პუშკინის—„პოლტავა", გოგოლის—,,მკვდარნი სულნი''; ს. ,ქსაკოვის—„ოჯახური ქრონიკა" და სხვ.

ის მომენტები და შემთხვევები, რომლებიც ბ. ი. ევდოშვილს აქვს აწერილი, საზოგადოდ პოემისათვის გამოსადეგნი არიან, მაგრამ ისინი პოეტს ფართედ არა აქვს შემუშავებული და ამისათვის ღირსეულადაც ვერ ატარებენ ,,პოემის'' სახელს. ჯერ სხვა სუყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორ შეიძლება პოემა უწოდოთ ისეთს ნაწარმოებს, რომელიც ერთს თაბახზე ეტევა და ასიოდ სტრიქონიდან არის შემდგარი?! ბ. ი. ევდოშვილის **ხუთ პოემას კი** კრებულში მხოლოდ ოცდა ათი გვერდი უჭირავს!—ვინ იტყვის, რომ ლაკონიზმი მხატრულ შემოქმედებაშიაც დიდი ღირსება არ იყოს (გაიხსენეთ პუშკინის ,,მოცარტი და სოლიერი'', ,,ძუნწი ბარონი" და სხვ.), მაგრამ ბევრის თქმა რამოდენიმე კალმის მოსმით მხოლოდ რჩეულთ შეუძლიანთ. ჩვენ ამ ფორმალურ ნაკლს იმისთვის მივაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენში, მომეტებულად ახალგაზდა პოეტები, ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტათი მოზრდილს ლექსს „პოემებად“ ნათლავენ და ორიოდე თავიდგან შემდგარი პატარა მოთხრობა „რომანის“ სახელით გამოაქვთ ხოლმე!

პოემად წოდებული „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ უბრალო სურათია და არა პოემა. თემა ამ ნაწარმოებისა თავისთავად ძლიერ დრამატიულია, ოღონდ მისი უნაკლოდ დაძლევა მხოლოდ დიდს ნიჭს შეუძლიან. ბ. ევდოშვილმა, რასაკვირველია, ვერ შესძლო, ვერ მოახერხა ასეთ საიდუმლოებით მოცულს მომენტში, როგორიც არის სიკვდილის პირისპირ ხილვა და წამ და წუთზე მისი მოლოდინი, რამე თავისებურ და ორიგინალურ სულის განცდის და ფიქრ-ზრახვის შეტანა; მას სასიკვდილოდ განწირულის ტანჯვის და წამების მომენტები სტერეოტიპიულად, ჩვეულებრივად აქვს აღნიშნული. შედარებით კარგად პოეტმა მხოლოდ მოძღვრის „აცრემლებული გულის“ წუხილი და სიბრალული გადმოგვცა, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც ის სდუმს და ისე იტანჯება და არა მაშინ, როცა საპყრობილეში შესვლისათანავე შაბლონურის წინადადებით და დარიგებით მიმართავს დასჯილს.

გულში ჩამწდომი იქნებოდა სასიკვდილოდ დასჯილის სულის კვეთება და სიტყვებიც, ცოტა რომ მსჯელობითი და რეზონიორული ხასიათი არა ჰქონდეს. ჯეროვან შთაბეჭდილებას არ ახდენს მკითხველზე, მაგალითად, შემდეგი სიტყვები დასჯილისა:

...„უკვე სიკვდილი მე მომესჯა,
მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს,
რომ სამართალმა სწორეთ გამსაჯა;
მართალი არის, მე ენა მქონდა
მწარე, სასტიკი, დაუნდობელი
და ფარისევლებთ ამა ქვეყნისა
გულს უგმირავდა, ვითარცა გველი.
ამა დამეწყო პირმოთნეობა,
შემესხა მათთვის ქებათა-ქება,
მაშინ ამ ქვეყნად სარჩობელას წილ
მათებრ მხვდებოდა მე ნეტარება.
მაგრამ ცის ნიჭი მომადლებული
ოქრო და ვერცხლზე არ იყიდება,
ის წმინდა არის, ვით ანგელოზი
და თვით ტალახშიც წმინდათ დარჩება!“

ლექსი „მუზა და მუშაკ“ ბ. ევდოშვილს უსაბუთოდ პოემად უწოდებია; ეს ნაწარმოები მხოლოდ დრამატიული სურათია, მაგრამ უხერხულად, გადამეტებული ბრჭყვიალა საღებავებით დახატული. ამ ლექსში პოეტი თითქოს სინტეზს უკეთებს ყოველივე იმას, რაც მან სხვა და სხვა ლექსში ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსთქვა ცხოვრებაზე, მისს უკულმა ურთობაზე, მშრომელ ხალხზე და მისს ბედზე, მდიდრებზე, ძლიერებზე და მათს უსამართლობაზე და სხვა და სხვა. ფრაზეოლოგია მეფობს ამ ლექსში, რაც უსიამოვნოდ მოქმედობს მკითხველზე.

ერთხელ კიდევ გავახსენებთ მკითხველებს, რომ ჩვენ ამ წერილში გავარჩიეთ ბ. ი. ევდოშვილის იმ ხანის ლექსები (გამოცემა 1905 წ.), როდესაც ის „მიმართულების“ ზედგავლენით ცალმხრივობაში იმყოფებოდა და შემოქმედებითი ნიჭი „დოგმით“ ჰქონდა შებოჭვილი. დღეს კი ბ. ევდოშვილი მთლად განთავისუფლდა ამ ცალმხრივობისაგან; დღეს მისი ნიჭი თავისუფლად მოქმედებს და საპატიო ადგილიც დაიჭირა ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეთა შორის...

საინტერესო და საჭიროცაა შეგროვდეს და გამოიცეს ბ. ევდოშვილის ამ მეორე ხანის ლექსებიც.

იპ. ვართაგავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფენიფვნეები საქართველოს პრეისტორიის შესახებ

ერის წარსულის შესასწავლად უმთავრესი მნიშვნელობა მისი კულტურის მეტუველ ნაშთებს ე. ი. მწერლობასა აქვს. მაგრამ წარსულის ის ნაწილი, რომელსაც ეს ნაშთები აშუქებენ, მთელთან შედარებით, საუბედუროთ, მეტად ხან მოკლეა. ამიტომ როცა საქმე იმ ხანებზე მიდგება, რომელთაც მწერლობა ვეღარ სწვდება, მაშინ ისტორიული მეცნიერება იძულებული ხდება კულტურის უტუვ ნაშთებს მიაბერას თავადი და შეძლების და გვარად აამეტყველოს ისინი. ეგვიპტის მწერლობითი ცნობები 4 ათას წლამდისა სწვდებიან, ბაბილონის 3 ათასამდე. მაგრამ ამ ქვეყნების ზოგი არქეოლოგიური ნაშთები კიდევ უფრო შორეულ წარსულზე გველაპარაკებიან. ჩვენი ისტორიაც ამ ერების ისტორიასავით დროთა წუგდიადში იკარგება, ამიტომ ჩვენთვისაც საჭირო ჩვენი კულტურის უტუვ ნაშთებს შეგეკითხოთ ჩვენი ვინაობის შესახებ. მართალია, შეკითხვამდის ამ ნაშთების მოძებნაა საჭირო, მართალია, ამ მხრივ ბევრი არაფერია გაკეთებული, მაგრამ რაც გაკეთებულა, ის მაინც უნდა ვიცოდეთ.

ფრანკლინის განმარტებით ადამიანი ისეთი ცხოველი ეოფილა, რომელსაც უკვე იარაღის გაკეთების უნარი ჰქონდა. ეს შესანიშნავი განმარტება საშუალებას გვაძლევს, მოვძებნოთ ის წერტილი, როდესაც კაცი ცხოველთა სამეფოს შორდება.

თავის თავად ცხადია, რომ პირველ ეოფილი ადამიანის იარაღი ის იყო, რასაც მას ბუნება მზამზარეულად აძლევდა ე. ი. ქვა. საუკუნეებმა განვლეს, სანამ იგი ამ პრიმიტიული იარაღის გადამუშავებას ე. ი. გასიბვას მისწვდებოდა. ქვის იარაღების ხანა ამიტომ ორ ნაწილად იყოფა: თლილი და გასიბული ანუ ტეხილი ქვის ხანებად. ქვიდამ ადამიანი ლითონებზე გადადის. წინსვლა აქაც, რასაკვირველია, მეტად ნელი და თანდათანა. ჯერ იგი სპილენძს უნდა გასცნობოდა [1]), შემდეგ ბრინჯაოს და მერე რკინას, რომლის ხანაში დღემდისაც იმყოფება კაცობრიობა. უნდა ვიფიქროთ—ჩვენს ქვეყანასაც გაუვლია ეს ხანები, თუმცა ზოგი მათგანის ნაშთები მეტად ძვირია ჩვენში. ქვის ხანას მაგალითად, რომლის ნაშთები ესე ხშირია დასავლეთ ევროპაში, თითქმის არაფერი ნასახი არ დაუტოვებია ჩვენში. ამას მოწმობს ყველა, ვისაც კი შემთხვევა თუ საშუალება ჰქონია ჩვენს არქეოლოგიას გასცნობოდა. მართალია, აქა იქ, მაგალითად, სამთავროში (მცხეთის ახლო), ქუთაისის ახლო და დიდიყანში შეხვედრია თ [2]) მკვლევარებს ქვის ხანის ნაშთები, მაგრამ საერთოდ ესენი ისე ძვირი უნდა იყვნენ ჩვენში, რომ მათი მიხედვით საქართველოში ქვის ხანის შესახებ რაიმე დასკვნის გამოყვანა მორგანის და აგრეთვე ვირხოვის [3]) აზრით შეუძლებელია. ამ ფაქტის მიხედვით დასახელებული მეცნიერი შესაძლებლად სცნობს განაცხადოს, რომ ქვის ხანა ან სულ არ არსებულა, ან კიდევ ძალიან ტოტა ხანს გაგრძელებულა საქართველოში. მართალია არქეოლოგია დიდი ხნის სიდი არაა ჩვენში, მაგრამ მის ნაკლებ

---

[1]) ბეკის მტკიცებით სპილენძზე ადრე რკინას უნდა გასცნობოდეს კაცობრიობა, რადგან მისი გადადნობა ნაკლებ ტემპერატურას მოითხოვს. იხ. მისი Geschiechte des Eisens ტომი I შესავალი.

[2]) იხ. T. de Morgan, Wission scientifique au Caucase II, გვ. 5.

[3]) იხ. მისი Kaukasische Prehistorie. Verhandl. der Berlin. antropol. Geselschaft 1881 გვ. 411.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებას ვერ მოვახვევთ თავზე ეველაფერს. ამიტომ მორგანის აზრი აბუჩად ასაგდები არ არის, მით უფრო, რომ ჩვენ არაფერი არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ზემოთ დასახელებული ქვის საგნები მაინც და მაინც ქვის და არა სხვა რომელიმე ხანას ეკუთვნიან. ხანები არასოდეს არ არიან ერთი მეორისაგან მარტივად გამოყოფილნი. ერთი ხანა მუდამ მეორესთანაა გადახლართული და მუდამ გადადის მეორეში; ასე რომ მომეფოლ ხანაში მუდამ მოიპოვება ხმარებაში წინა ხანის საგნები. ეველაზე კარგად ამას ვირხოვის ნაამბობი კურიოზული ამბავი გვიმტკიცებს [1]: მას პირადად შეუძენია ათხაზეთში ქვის იარადი (ჩაქუჩი), რომელსაც მისი პატრონი ჩვენს დროშიაც ხმარობდა, მაშასადამე ზემოდ დასახელებული საგნების მიხედვით ქვის ხანის ე. ი. ქვის ბატონობის შესახებ დასკვნა ჩვენში შეუძლებელია; რაც ქვაზე ითქმის, იგივე ითქმის ობსიდიანზე. ორივე ეს მასალა მუქთი და ადვილი საპოვარია ჩვენში. მათი სპორადიული და ეპიზოდიური ხმარება ამიტომ ლითონების გაცნობის შემდეგაც ადვილად შესაძლებელია.

გადავიდეთ ლითონებზე. მათი წარმოების, ადორძინების კითხვას ჩვენში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ადვილი შესაძლებელია, კატაბრიობამ პირველად ქართველების სახით შესდგა ფეხი ამ ახალ სარბიელზე. საქმე აი რაშია: პრეისტორიის სხვა და სხვა ხანებად დაყოფას, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ცალკე დროსთვის და ცალკე ადგილისთვისა აქვს აზრი, რადგან თვით ისტორია გვიმტკიცებს, რომ ერთს და იმავ დროს სხვა და სხვა ქვეყნებში ერთი და იგივე ხანა არ არსებობდა.

ჰეროდოტი მოგვითხრობს, მაგალითად, რომ მის დროს მასაგეტები ბრინჯაოს ხმარობდნენ ეველაფრისთვის. ამის და მიხედვით არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ ლითონის ხანა რომელიმე განსაკუთრებულ ქვეყნიდამ გავრცელდა დანარჩენ ადგილებში. ამ კურთხეული ქვეყნის შესახებ თუ ძველ გადმოცემებს შევეკითხებით, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ როგორც ბერძნები, ისე ებრაელები ლითონების კულტურის სამშობლოდ იმ ქვეყანას სთვლიდნენ, სადაც ძველად უმთავრესად ქართველები ბინადრობდნენ, სახელდობრ: მტირე აზიას. მტირე აზიელები იყვნენ ბერძნული მითოლოგიის დაკტილები [2]), რომელნიც გერმანული მითოლოგიის ქონდრის კაცებს (Zwergen) უდრიან. აქაურივე უნდა იყვნენ კაბირები, კორიბანტები, ტელხინები, რომელთაც კავშირი აქვთ აგრეთვე მეტალურგიასთან. ებრაული გადმოცემა არა თუ ადგილს, ერსაც კი გვისახელებს, რომელსაც მეტალურგია უნდა წარმოშვა. დაბადების მე-IV თავის მიხედვით პირველი ოსტატი ლითონების გადამუშავებაში ტუბალკაინი უნდა ეთვალოთ. ბიბლიური წელთაღრიცხვა 1057 წელს (ქვეყნის გაჩენიდამ) აკუთვნებს მას. ე. ი. 3 ათას წელს ქრისტეს წინ. ეჭვს გარეშეა ერთის მხრივ ის, რომ ეს ტუბალკაინი ისტორიული ტუბალისაგანაა წარმომდგარი (ედ. მაიერი) და მეორე მხრივ ის, რომ ეს სახელი შეკრებილობითი მნიშვნელობით, ესე იგი, ერის სახელად უნდა გავიგოთ (მუხი. მორგანი). დაბადებაში კიდევ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდამ ამუშავებდნენ ლითონებს: „ტუბალი და მესეხი ვარჯიმობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელ რვალისანი მისცნეს სავაჭროთ შენდა“ [1]), სწერს ეზეკიელი ტირუსის გოდებაში. თავის თავად ცხადია აქ, უძველეს დროზეა დაბარაკი, რადგან ეზეკიელის დროს (მეექვსე საუკ. დასაწ-

[1]) იქვე.

[2]) Preller. Griechische Mythologie და აგრეთვე Pauly-Wissowa-ს ენციკლოპედია.

ეისს) დასახელებული ტომები ადრეთვერ მნიშვნელობას არ წარმოადგენდნენ. ასურული წარწერებიც ხშირად გვისახელებენ ტაბალებს და მათ უახლოეს მეზობლებს, როგორც დიოონებით მოხარკეებს. სალმანასარ მე II-ის წარწერა ჰირდაჰირ აცხადებს, რომ მეფის ტაბალში გალაშქრების მიზანი აქეური მთამდნების ხელში ჩაგდება იყო.

ზემო ადნიშნული, როგორც წინადაც ვთქვი, არა თუ ჩვენი ისტორიისთვისაა უადრესი ეურადღების ღირსი, არამედ მსოფლიო ისტორიის თვალთასაზრისითაც ფრიად საინტერესოა. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა უმადლიდეთ ჩვენ, რომ ამ კითხვის ასე თუ ისე გადასწეეტად ტოტალური მასალები მოიპოვება. თავის თავად ცხადია, რომ ისტორია ვერც გვერდს აუხვევს ბერძნულ-ებრაულ გადმოცემებს და ვერც უკრიტიკოდ მიიღებს მათ. ამიტომ გახდა საინტერესო თვით ადგილობრივი ჰირობების და არქეოლოგიური ნაშთების შესწავლა. ბევრი რამ, რასაკვირველია, არც აქაა გაკეთებული, მაგრამ რამოდენიმე კურთხეული ხელი მაინც შეხებია ამ კითხვას და თავისი წვლილი შეუტანია მის ასე თუ ისე გადაწეეტაში.

რომ კავკასიონის გადმოდმა მხარე დიოონებით მდიდარია, ეს მეცნიერი სპეციალისტების გარდა, ეველა აქ მცხოვრებმა იცის. მაშასადამე ამ მხრივ დიოონების კულტურას ამ ადგილს მუდამ შესანიშნავი ნიადაგი ექნებოდა. მეორე მხრივ ძველი კულტურული ქვეყნები ეგვიპტე და ბაბილონი გაშლილ მდაბლობს წარმოადგენდნენ, სადაც თითქმის სრულიად არ მოიპოვება მადნეულობა. სინაის ნახევარ კუნძულის ან ფინიკიის მადნებს, როგორც ამტკიცებენ, არას დროს არა ჰქონია დიდი მნიშვნელობა დასახელებულ ქვეყნებისათვის. მაშასადამე, დიოონებით მდიდარს გადმოდმა კავკასიას და ჩრდილოეთ მცირე აზიას ძალაუნებურად უნდა მოეპოვა უძველეს დროშიგე მადნეულობის ერთად-ერთი უახლოესი წყარო მნიშვნელობა მაშინდელი კულტურული ქვეყნებისთვის და სწორედ ამაზე უნდა მიგვითითებდნენ ბერძნულ-ებრაული გადმოცემანი. ერთად-ერთი დიოონი, რომლითაც ბუნებას დასახელებული ქვეყნები არ დაუჯილდოვებია—კალა არის. დღემდისაც არაა მისი არსებობა აქ დამტკიცებული. როგორც სჩანს, არც იქნება იგი აქ როდისმე ადმოჩენილი, რადგან, მორგანის არ იყოს, შეუძლებელია, რომ ერის მეხსიერებას დაეკარგოს მადნის არსებობა ან მისი ადგილ-მდებარეობა. მაშასადამე, კალა წარსულს არ სცნობია, თორემ ჩვენც გვეცოდინებოდა ეს. ამაზე მისი უცხოსახელიც მიგვითითებს, რომელიც, როგორც ქართული, ისე თითქმის ეველა კავკასიურ ენებისთვის [2]) და ოსმალურ-არაბულისთვის [3]). კალა აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ბრინჯაოსი. ეს უკანასკნელი—კალასა და სპილენძისაგანაა შეზავებული. რაკი ჩვენში კალა არ მოიპოვებოდა, ამიტომ ბრინჯაოს კულტურის სამშობლოდ ჩვენი ქვეყნის დასახელება შეუძლებელი ხდება. საიდან გავრცელდა ეს კულტურა ჩვენში? ე. ი. სად ადმოაჩინეს მისი დამზადების საიდუმლოება? ამ კითხვას ჩვენ აქ არ გამოუდგებით.

ეჭვს გარეშეა, ადამიანი იქ მისწვდება მისი შემზადების ხელოვნებას, სადაც ბრინჯაოს შემადგენელი დიოონები (კალა და სპილენძი) მეზობლად იპოვებიან.

ბრინჯაოს საგნები შედარებით ძალიან ხშირია ჩვენში. უმთავრესად ესენი სამთავროს, საროიწყალას, ინიანთ-კარის და სხვა ძველ საფლავებში არიან ნაპოვნი და იარაღის სამკაულებს და სხვა ნივთებს წარმოადგენენ, რო-

[1]) ქართული თარგმანი ამ ადგილისა გადამახინჯებული უნდა იყოს. აქ ეს სახელები სრულიად გამოტოვებულია.

[2]) აფხაზურ-ჩერქეზულ-ავარულის გარდა.

[3]) იხ. Morgan II 36(?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც მუდამ ხელოვნურად არიან მოხატულნი. ამითი შესწავლა და სხვებთან შედარება ორი მხრივაა საინტერესო. ვირხოვის აზრით ერთის მხრივ იგი გვაჩვენებს იმ განსაცვიფრებელ მადალ საფეხურს, რომელზედაც ამ ადგილებში უძველესი დროიდამვე მდგარა დითონების გადამუშავების ხელოვნება [1]), მეორე მხრივ იგი მიგვითითებს აქაური ხელოვნების აშკარად გამოხატულ ინდივიდუალობაზე. ფრთიან ხარს ან ლომს, რომელნიც ესე ზოზუდიარულნი არიან საამბრეთით, ეს მოხატულებანი სრულიად არა სცნობენ.

მიუხედავად ამ თავისებურობისა ამ ნაშთებს საერთო ისა აქვთ მესოპოტამიის ნაშთებთან, რომ ესენიც მეტად ხელოვნურად არიან დამუშავებულნი. ამით განსხვავდებიან ესენი თვით მეზობელ ეუბანის ნაშთებისაგან, რომელნიც ხელოვნების მხრივ უფრო დაბალ საფეხურს ეკუთვნიან.

ეს საეურადღებო განსხვავება აშკარად გვიმტკიცებს, რომ გადმოდმა კავკასიას ე. ი. საქართველოს არავითარი კულტურული კავშირი არა ჰქონია ჩრდილოეთთან. (მხოლოდ ათხაზეთში ნაპოვნი ბრინჯაოს საგნები წაგვაგონებენ ეუბანისას) და მხოლოდ სამხრეთთან ეოფილა თავიდამვე დაკავშირებული. ეს ფეთის წინაშე ასეც უნდა ეოფილიო, რადგან კავკასიონის ქედი ეოველ ჩინეთის კედელზე უკეთ იცავდა გადმოდმა მხარეს ჩრდილოეთის ზედგავლენისაგან.

თუმცა ბრინჯაოს კულტურის ნაშთები შედარებით ხშირია ჩვენში, მაგრამ მორგანის აზრით პოზიტიური საბუთი ბრინჯაოს ხანის არსებობისა ჩვენში მაინც არ მოიპოვება [2]). მიზეზი ამისა ისაა, რომ უველა ის ადგილები, სადაც ბრინჯაოს კულტურის ნაშთები ადმოუჩენიათ, მათთან ერთად რკინასაც შეცავდნენ. არც ძველს და არც ახალ საქართველოში არც მორგანს და არც სხვა ვისმეს, რამდენადაც მახსოვს, მარტო ბრინჯაოს საწეობი არ ადმოუჩენია. მხოლოდ ათხაზეთში, დადისტანში და ყაბარდაში თუ შეხვედრიათ ესეთი ადგილები, სხვაგან კი არსად ჩვენში. ეს ადგილები კი, როგორც უველაფერიდამ სჩანს, ჩრდილოეთის ზედგავლენას უფრო განიცდიდნენ, ვიდრე სამხრეთისას.

ზემოთ დასახელებულ ავტორის აზრით ეს მოვლენა იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ამიერ კავკასიელებს ბრინჯაოს გაცნობის შემდეგ ძალიან მალე უნდა ადმოჩენილთ რკინა.

ეს შესანიშნავი ადმოჩენა უნდა დასდებოდა საბრძოლად, მისი აზრით, ტუბალის ძველს სახელს ლიოონების გადამუშავებაში ბერძნებთა და ებრაელთ შორის. მასზე მიგვითითებენ აგრეთვე საქართველოს უძველესი სასაფლაოები, რომელნიც უკვე შეიცავენ რკინას (სადახლო, სამთავრო). მას გვიკარნახებს აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ვერც მესოპოტამიაში და ვერც ეგვიპტეში ვერ ვხედავთ ამ ლითონის მადანს.

რომ ეს ლითონი არც ადმოსავლეთიდამაა გავრცელებული, ამას ზემოდ დასახელებული მასალეტების მაგალითი გვიჩვენებს, რომელნიც ჭერადოტის დროსაც კი არ სცნობდნენ რკინას ე. ი. მაშინ, როდესაც კავკასია, მცირე აზია და მესოპოტამია დიდი ხანია ხმარობდა მას.

მორგანი არაა ერთად ერთი, რომელიც ტიბარენებს ადიარებს რკინის პირველ მწარმოებლად; სხვებიც სამართლიანად უჭერენ მას მხარს ამ კითხვაში, როგორც, მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი ვ. მაქს მიულლერი [3]). ასურული წარწერებიც ერთხმად გვიჩვენებენ,

---

[1]) B. Virchow. Verhandlungen der Berl. antropolog. Geselsch. იხ. 1882. და მისივე წერილი Verhandl. der Berl. Academie der Wiss. 1895.

[2]) Mission I 33—8.

[3]) იხ. მისი Studien fur vorderasiatischen Geschichte.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხარკად ამ დიოთხს უმთავრესად ჩრდილოელები აძლევდნენ ასურელებს.

თუ კი კავკასია ერთად ერთი წყარო იყო, რომელსაც შეეძლო ეს დიოთხი მიეწოდებინა ძველ კულტურულ ქვეყნებისთვის, მაშინ რკინის არსებობა მესოპოტამიის უძველეს სასაფლაოებში უნდა მიგვითითებდეს მის უფრო ადრინდელ არსებობასზე გადმოდმა. კავკასიაში მორგანი ამ გზით სცდილობს განმარტოს დაახლოვებით რკინის ადმოჩენის ხანა ჩვენში. ვარგის და მუღაირის სასაფლაოები (ქალდაში), რომელნიც უკვე შეიცავენ რკინას, მისი აზრით სამი ათას წელზე ძველი უნდა იყვნენ.

თვით საქართველოში, როგორც მორგანი, ისე ბაიერნი [1]) სამთავრის და რედკინ ლაგერის სასაფლაოების სთვლიან, რომლებშიაც, როგორც ზემოთაც ვსთქვით, უკვე მოიპოვება რკინა. მორგანი მესამე ათასს წელს (ქრ. წ.) აკუთვნებს ამ საფლავებს. ზემო აღნიშნულის მიხედვით იგი დასკვნის, რომ რკინა დასახელებულ ადგილს ოთხელ შემთხვევაში მე-XX საუკუნეზე ადრე უნდა ადმოჩენილა.

ეს მოსაზრებები ქრონოლოგიის მხრივ ჩვენ საუბედურად მეტად ბრობლემატიურად უნდა ვიცნოთ; ერთის მხრივ იმიტომ, რომ თვით მათი ნიადაგია ასეთი, მეორე მხრივ იმიტომ, რომ არც ისტორია ამართლებს მათ.

მართალია, კგვიპტე უძველესი დროიდამ იცნობდა რკინას, მაგრამ როგორც მაიერიც აღნიშნავს [2]) ეს ეგრედ წოდებული რბილი რკინა იყო, რომელიც ათრეკაშიაც ხშირი ყოფილა. რაც შეეხება ჩვეულებრივ რკინას, მას არც ძველი და არც საშუალო სამეფო არ იცნობდა. მისი სახელი მხოლოდ ახალ სამეფოში ჩნდება. ამას ეთანხმება მ. მიულერის ის ცნობაც, რომლის მიხედვით ამარნას ხანაში (მე-XIV საუკ.) ვიღაც წინა აზიელი ვასალი რკინას, როგორც ძვირფას საჩუქარს შესთავაზებს თავის პატრონს.

ასურული წარწერები კიდევ უფრო საეჭვოდ ჭეოფენ მორგანის ინგარიშს. საკმაოდ ტიგლატ-პილესერ I-ის წარწერების გადათვალიერება, რომ დავრწმუნდეთ, რომ მაშინ რკინა თითქმის სრულიად არა ყოფილა ხმარებაში. მის დროს თუ ჯარი „ბრინჯაოს ხანკლებით“ იყოფოდა გზას, როგორც ამას წარწერა გვაუწყებს, მაშინ უეჭველ გარეშეა, ეს დიოთხი ნაკლებად ყოფილა ხმარებაში. ეს იმას არ ამტკიცებს, რასკვირველია, რომ ამ დროს რკინას სრულიად არ იცნობდნენ ასურელები, მაგრამ ცხადია, რომ იგი ამ დროს დიდი ხნის ნაცნობი მაინც არ იქნებოდა. მხოლოდ ასურნაზიპალის დროს, ვხედავთ ჩვენ [3]), რომ რკინა ასურეთში უკვე საკმაოდ გავრცელებულა და საომარი იარაღისთვისაც კი იხმარება. მე-VIII საუკუნის შემდეგ კი მას სრულიად გაუძეღია ბრინჯაო ხმარებიდამ და მისი ადგილი დაუჭერია ფეოლგან. ამისა მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან დავსკვნათ, რომ რკინა მე-XX საუკუნეზე ადრე კი არა, მე-XV საუკუნის შემდეგ ადმოუჩენიათ ქართველებს.

თუმცა ეს დასკვნა საკმაოდ საპატიოა ჩვენი წინაპრებისთვის, მაგრამ მე მაინც არ მესმის, რათ უნდა გამოვეთ მაინც და მაინც რკინა და მხოლოდ მის საშობლოდ ადვიარათ ძველი საქართველო; ეგვიპტე და ბაბილონი მარტო რკინით არ არიან დარიბნი და გადმოდმა კავკასია მარტო ამ დიოთხნით არ არის მდიდარი. იგივე მორგანის მტკიცებით საშრეთ კავკასიის ძველ სასაფლაოებში ჩვენ უკვე ვხვდებით თითქმის ყველა ძველად ცნობილ დიოთხნებს: ოქროს, ვერცხლს, რკინას, ტყვიას,

---

[1]) იხ. მისი Bemerkungen u. Ansichten uber d. Kauk. u. seine vorhistor. Verhältnisse.— (Verh. der Berl. ontrop. Geselsch. 1882.

[2]) იხ. Geschiechte Alterthums II გამოც. I, ტომი § 525.

[3]) იხ. H. Winckler Altorientalische Forschungen 164.

სპილენძს და სხვ.[1]) რათ უნდა გამოვეთ მაინც და მაინც რკინა? რატომ უნდა ადვილად შესაძლებლად, რომ უძველესი დითონი სპილენძიც ძველ ქართულ ნიადაგზეა ადმოჩენილი?

ებრაულ, ბერძნულ გადმოცემებში, როგორც დავინახეთ, სრულიადაც არ გამოჩენილან რკინას; ესენი საერთოდ მეტალურგიაზე გველაპარაკებიან. დაბადების ტუბალკაინი, მაგალითად, მარტო რკინის კი არა, სპილენძის და სხვა დითონების ოსტატი იყო. საეურადღებოა აგრეთვე, რომ, რომელიმე დითონის საგნები კი არა, არამედ საერთოდ დითონების კულტურის ნაშთები ყველა შესანიშნავი ხელოვნებით არიან დამუშავებული. არც წმინდა ისტორიული მოწმობები გამოჩენილან მაინც და მაინც რკინას, პირიქით ესენი უფრო ხშირად სპილენძზე გველაპარაკებიან. ყველაზე საეურადღებო ამ მხრივ ეზეკიელის მოწმობა ტუბალ-მესეხის ტირუსთან სპილენძით ვაჭრობის შესახებ. ეჭვს გარეშეა, დასახელებული ტომები უძველესი დროიდამვე აწარმოებდნენ ამ დითონის ინდუსტრიას და საკმაოდ დახელოვნებული იყვნენ მის გადამუშავებაში. წინაადამდეგ შემთხვევაში ესენი ვერ უპოვიდნენ მას ასეთ შორეულ ბაზარს.

საეურადღებოა აგრეთვე ყალბი არისტოტელის მოწმობა, რომლის მიხედვითაც „მიზინოკების ქვეყნის თითბერი სხვაზე უფრო ეფითელი და ბჟეფრიალა“ ეოფილა.

მაშასადამე, ჩვენ არაფერი საბუთი არა გვაქვს, მარტო ძველი ქართველების და მათი მეზობლების სახელი რკინის აღმოჩენას და დითონების გადამუშავებას მივწეროთ.

ამ დასკვნას, შეიძლება ითქვას, დითონთა სახელების ფილოლოგიური განხილვაც მხარს უნდა უჭერდეს არა იუ ქართულში, არამედ ყველა კავკასიურ ენებში[2]). კალის გარდა ყველა დითონის სახელები თავისებური არიან. ურთიერთ შორის ამ სახელებს, რასაკვირველია, მსგავსება აქვთ.

რომ მხოლოდ კალაა ყველა ამ ენებში ამ უცხო სახელით ცნობილი, ესეც უნდა უჭერდეს მხარს ზემოაღნიშნულს. რაცა კავკასიური სახელები უკეთ იქნებიან შესწავლილნი, მაშინ იმედია დითონების აქაური სახელების ანალიზი კიდევ უფრო განამტკიცებს მას. ამის იმედს ის ფრიადე საეურადღებო ცდაც გვაძლევს, რომელნიც ამ მხრივ დღემდის მოუხდენიათ. ნ. მარის შესანიშნავი ახსნა სიტყვა თითბერისა (თუთა-ფერი=მოვარის ფერი) საბოლოოდ სწორად უნდა ჩაითვალოს. ესევე შეიძლება ითქვას სპილენძის შესახებ (სპირენჯი=სპერის თუ ისპირის დითონი)?

იარაღების და სამკაულების გარდა იმიერ კავკასიის სასოფლოებში საქონლის ძვლებს და აგრეთვე სხვა და სხვა ნივთებსაც ვპოულობთ. ამათი განხილვა გვიმტკიცებს, რომ ქართველებს უძველესი დროიდამვე სტნობიათ ცხენი, ხარი, კამეჩი, ძაღლი, ცხვარი და დორი[3]). სხვა და სხვა ნივთები კი ვიჩხოვის აზრით[4]) აშკარად მიგვითითებენ „ერთის მხრივ ხალხის ერთგვარ კეთილდღეობაზე და მეორე მხრივ განვითარებულ ვაჭრულ ურთიერთობაზე ქართველებსა და მათს ხანდახან მეტად შორეულ მეზობელთ შორის“. ამავ ნაშთების განხილვას მორგანი შემდეგ დასკვნამდის მიჰყავს[5]) „მათ (ე. ი. გადმოდმა კავკასიელებს ა. ს.) ძალიან განვითარებული ცივილიზაცია ჰქონიათ, რომელიც იმ ცივილიზაციას მოგვაგონებს, რომლის ნაშთებსაც ჩვენ ქალდეაში ვხვდებით და რომელიც ბევრად უფრო მაღალია დასავლეთ მცირე აზიის, სპერძნეთის და არქიპელაგის კუნძულების უძველეს ცივილიზაციაზე, რაგორც აქაური ნაშთები გვიმტკიცებენ“. ეს დასკვნები ყველა

[1]) იხ Mission 83.
[2]) იხ. Mission II 36.
[3]) იხ. Mission 39.
[4]) Verhandl. d. Berl. antrop Gesel. 1882.
[5]) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ მოყვანილის შემდეგ არაფერს ახალს არ შეიტანენ. თუ ქართული ტომები მეტალურგიის ბიონერები იყვნენ, მაშინ მის გავრცელებას მეზობლებში კომერციული კავშირის გარეშეც უნდა მოჰყოლოდა უსათუოდ. ამ კავშირზე მიგვითითებს სწორედ ეზეკიელის მოწმობაც. რაც შეეხება მატერიალურ კულტურის სიმაღლეს, ჩვენ დავინახეთ ზემოთ, რომ ესეც თვალსაჩინოა წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ უნდა დავინახოთ და ვსცნოთ.

აქ ძალიუნებურად მაგონდება ბ-ნი ანი, რომელმაც „ისტორიულ სისულელეთ" იცნო ძველ ქართულ კულტურაზე დაბარაკი. სწორედ ანისგან არ იყო ეს „ისტორიული სისულელე" მოსალოდნელი, რადგან მას, რამდენადაც ვიცი, ისტორიკოსობის მოდრეკილება უნდა ჰქონდეს.

ძველი ქართული სასაფლაოების შინაარსის განხილვა კიდევ ერთი მხრივაა საინტერესო. ჩვენ შეგვიძლიან აქ ნახოვნი თავის ქალები შევადარეთ დღევანდელებს და ამისდა მიხედვით ესა თუ ის დასკვნა გამოვიტანოთ. ცნობილია, რომ დღევანდელი ქართველები **საერთოდ** ბრახიცეფალებია. ბრახიცეფალურებია აგრეთვე ზოგიერთი ძველი სასაფლაოების თავის ქალები. ინიანთ კარში, მაგალითად, თითქმის არც ერთი დიდი ხოცეფალი არ შეხვედრია ბაიერს [1]). მაგრამ სამაგიეროდ სწორედ იმ სასაფლაოებში, რომლებსაც ბაიერნი და მორგანი უძველესებად სთვლიან, როგორც მაგალითად სამთავროში, თავმოკლეების მაგიერ თავგრძელების ვხვდებით. მხოლოდ აქა იქ ურევია აქ თავმოკლეები. ამ საუკუნეებზე მოვლენას ზოგი ასე ხსნის, ზოგი ისე. ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი (ჯავახიშვილი) ამ თვალს თავის ყალბი ჰიპოტეზის დასამტკიცებლად ხმარობს. მისი აზრით სწორედ ეს ძველი საქართველოს დოლიხოცეფალები უნდა დახვედროდნენ სამხრეთიდამ მოსულ თავმოკლე ქართველებს. სამხრეთიდამ მოსვლის შესახებ წინადაც ადვნიშნე, რომ როგორც მეცნიერი სპეციალისტები, ისე თვალსაჩინო (ასურული წარწერები) გვიმტკიცებენ, რომ ჩრდილოეთიდამ იწევდნენ სამხრეთისკენ და არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. რაც შეეხება სამთავროს თავის ქალების დოლიხოცეფალობას, არც ეს არგუმენტია ჩვენი ავტორის ჰიპოტეზისთვის ისე სასარგებლო, როგორც ეს შეიძლება პირველი შეხედვით გვეჩვენოს. საქმე იმაშია, რომ შესაძლებელია ერის ნაწილები ანტროპოლოგიურად სხვა და სხვა ტიპებს ეკუთვნოდნენ, ისტორიულად კი ერთეულს წარმოადგენდნენ [2]). შეიძლება ითქვას, რომ დღეს ადარ არსებობს ერი, რომელიც ანტროპოლოგიურად ერთ ტიპს შეიცავდეს; არა თუ ისეთი დიდი ერები, როგორც ფრანგები ან გერმანელები, არამედ პაწია ნორვეგიაც კი ასეთ არეულ სურათს წარმოადგენს. საფრანგეთში დოლიხოცეფალებს მხოლოდ ბორდოდამ ფლანდრიამდე და ხმელთა შუა ზღვის პირებზე ვპოულობთ, საფოია-ბრეტანი და ოვერნი კი თავმოკლეებითაა დასახლებული. თავგრძელების „სამშობლოში", გერმანიაში მთელი ბადენი, ბავარია და ვიურტენბერგი თავმოკლეებსვე უჭირავთ. ეს არევ-დარევა ისტორიული შემოსევების და ჩასახლების ბრალია. ამ მხრივ კი ძნელი საფიქრელია, რომ რომელიმე ქვეყანას განეცადოს საქართველოსდენი. ამიტომ ძნელი საფიქრებელი არ არის, რომ ძველი ქართული ანტროჰოლოგიური ტიპი გადაგვარებულიყოს. რომ ეს მართლაც ასე უნდა მოხდარიყოს, ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ დღეს სწორედ საქართველოს იმ ნაწილში გხვდებით ხშირად ბრახოცეფალებთან ერ-

---

[1]) იხ. Verhandlungen 1882.

[2]) იხ. Коропчевскій. Расы Европы. რატცელის ხალხთ მეტყველებაში II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად მეხოტეფოლებს, რომელიც მეტად იყო დაცული ასეთი შემოსევებისაგან (დასავლეთ საქართველოში). როგორც მორგანი [1]), ისე ვირხოვი [2]) შესაძლებლად სცნობენ ადიარონ, რომ დღევანდელ იმერლებშია რომელიმეო დაცული ძველი ქართული ფიზიკურ-ანტროპოლოგიური ტიპი; ესეც რომ არ იყოს, მე მგონია, მაინც არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სიმთავრეს ქვეყით სართულის დოლიხოტეფლები არა ქართველებს ეკუთვნიან.

ა. სვანიძე.

[1]) იხ. Wission გვ. 188.
[2]) Verhandlungen 1882 გვ. 470.

პროფ. გურლიტტი.

მაგალითი და ჩვეულება

თეორიულ-ფილოსოფიური გარჩევა საკითხისა სათნოებისა და ბიწიერების შესახებ აქ უადგილოა. მაგრამ უმთავრესი კანონი ყველა ცხოველ არსებისა არის თავისი თავის დაცვის კანონი. უეგოიზმოთ არ იქნებოდა სიფრთხილისა და სიმამაცის ინსტიქტები; არ იქნებოდა ბრძოლა, გამარჯვება. უეგოიზმოდ ადამიანი უარსჰყოფდა თავისს ცოლს, თავისს საცხოვრებელს. უეგოიზმოდ არ იქნებოდა წაქეზება მუშაობაში, კვლევა-აღმოჩენაში. უეგოიზმოდ ყველა ცხოველი არსება სიზარმაცისა და წინ დაუხედაობის მორევში შთაინთქმებოდა. ამიტომ ბუნება ბავშვს თავმოყვარეობის სასტიკი გრძნობით აჯილდოებს. პირველი ამოძახილი, რომლითაც ბავშვი დედისაგან საჭმელს მოითხოვს, ან სხვისგან, ვინც დედის მაგიერობას ეწევა, გვამცნევს სიცოცხლის სურვილსა და დაცვას. მაგრამ თვით ის წყარო, რომელიც აქ უმთავრესად და ცხოვრების ჭეშმარიტ წყაროდ მიგვაჩნია, რასაკვირველია, წარმოშობს აუარებელს ვნებას და ძალდატანებითს საქციელს, რასაც ჩვენ ბიწიერებას ვუწოდებთ, ესენია: თავშეუკავებელი გაქსუებულობა, ჯავრის ამოყრა, უდიერობა, ჯიუტობა, გამხეცება, სიცრუე, ცბიერება, მოტყუილება, მკვლელობა და სიკვდილი. ადამიანის ბუნების ამ თვისებათა ყველა მოვლენა ჩამოყალიბებულია იმის მიხედვით, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას საზოგადოებისათვის, მონათლულია სათნოებისა, თუ ბიწიერების სახელით. მაგრამ ადამიანი ყველა ამ თვისებას საჭიროებს, ამიტომ ჩვენ თავიდანვე არ უნდა ვცდილობდეთ მათ ძირიან ფესვიანად ამოფხვრას. ომში საჭიროა თავგამოდებული, შეუდრეკელი, მოხერხებული და ძლიერი ნება. საჭიროა ბავშვების ცნობის მოყვარეობაც, უამისოდ როგორ შეიძლება აღიძრას მოზრდილებში ცოდნის წყურვილი და განათლების შეძენის სურვილი? ჩვენთვის საჭიროა განუსჯელობაც, უამისოდ როგორ შეიძლება მეზღვაურთა სიმამაცე, მოგზაურთა მიერ ახალი ქვეყნების აღმოჩენა? საჭიროა ბავშვების გონების გაფანტულობაც. თუ ბავშვების გონება პატარაობიდანვე კერძო ერთიანი გავლენის ქვეშ იქნება და მას შეეგუება, ბავშვები ვერ შეიგნებენ და ვერ შეიმუშავებენ იმ აუარებელს შთაბეჭდილებას, რასაც გარშემო არსებული ბუნება იძლევა. გონება გაფანტული ბავშვები სხვა და სხვა ინტერესებით აღჭურვილნი არიან. ძველი

პედაგოგიკა ერთსა და იმავე შეცდომას იმეორებს, როცა საჭიროდ მიაჩნია მოსპოს ყველა პირობა, რომელიც ბუნებას მიუცია ბავშვის ნორმალურ ცხოვრებისათვის, ცდილობს რომ ბავშვი ისეთ არსებად გახადოს, რომელიც უნდა შეეფერებოდეს მოხუცთა მოთხოვნილებას. საბოლოო მიზანი, რასაც ძველი პედაგოგიკა გადმოგვცემს, არის სურვილი: ჩავუნერგოთ ბავშვებს ჩვენი გულის წადილი. ბავშვი ბავშვად არ უნდა დარჩეს, ბავშვის თვისებანი სათნოებად არ ჩაითვლებიან: როგორც ვიცით სიჭაბუკეს არავითარი სათნოება აქვს. მხოლოდ მოხუცნი არიან სათნოიანნი. ყველა ეს თვისება კი მთლად საჭიროა მისთვის, რომ ბავშვი გახდეს ისეთი, რასაც ბუნება მოითხოვს და რასაც ჩვენც უნდა ხელს ვუწყობდეთ: სახელდობრ—თავისუფალ თვითმპყრობელ პიროვნებას.

ბუნება აქაც წესიერ დარიგებას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლიან საზოგადოების მიერ შექმნილ მაგალითით, ჩვეულებათა ძალით, აღვზარდოთ ყველა ახალი წევრი საზოგადოებისა სოციალურ მოთხოვნილებათა მიხედვით: ვინც კი ნებას აძლევს ბავშვებს გაიცნონ და შეითვისონ მოზრდილთა ცხოვრება, როგორც ცხოველები იქცევიან, როცა შვილებს თავიდან არ იშორებენ, მათთვის ბავშვის აღზრდაში მაღალ ფრაზებიანი სიტყვიერი ზნეობრივი სწავლება საჭირო არ იქნება. შთაბეჭდილება, მაგალითი და ცდა თავისთავად ყველაფერს შვრებიან. ჩვენ შეგვიძლიან სიტყვა „აღზრდა“ მთლად წავშალოთ და მის მაგიერ ვიხმაროთ სიტყვა „მაგალითი“, მხოლოდ ეს მაგალითი ბავშვებს უნდა ვუჩვენოთ თვით ცხოვრების პროცესში; ვისაც ეს შეუძლიან, ის ნამდვილი მამაც არის, აღმზრდელიც და უფლებით შემოსილიც; ვისაც ეს არ შეუძლიან, იმას ვერც ვერავითარი ჭკვიანი სიტყვები არგებს. ავტორიტეტი, რომელიც თავისთავად მაგალითს არ წარმოადგენს—მით უფრო რყვნის, რამდენადაც მეტად მიბართავს სიტყვიერ დარიგებას. სიჩუმით აღზრდა—საუკეთესო აღზრდაა. წესიერი აღზრდა მართლა სიჩუმით უნდა სწარმოებდეს, რადგანაც გონიერი აღზრდა განმარტებას არ მოითხოვს. თუ დღევანდელი აღზრდა ქალაქებში, ოჯახებში და სკოლებში უჩივის ავტორიტეტის სისუსტეს, ამით ბრალს თავისთავსა სდებს. რა გასაკვირველია თუ ბავშვები აზრს ვერ პოულობენ გრამატიკის შესწავლაში, უცხო ენების აუცილებელს ცოდნაში და სასკოლო პროგრამის ამ ნაწილს უარსჰყოფენ, როგორც ნაძალადევს, ბუნების საწინააღმდეგოს და მოსაწყენს. რამდენადაც აღზრდა გონიერია, იმდენად ადვილიც არის. გონიერი თავის-თავად გასაგებია. გონიერი ბუნებრივიც არის. ამ სახით ჩვენს მსჯელობას იმ ძირითად ჭეშმარიტებამდის მივყევართ, რომ აღზრდაც სნეულდება და იღუპება, თუ ის ჩამოშორდა ბუნების სარწმუნო გზას. ყველა ხელოვნური და განძრახ მოგონილი მიზნები და მეთოდები აღზრდისა საეჭვოა იმით, რომ ბუნებას ძალას ატანენ. მეტად მშვიდი, რაც მოითხოვს ყველაზე ნაკლებ გონების ძალდატანებას და სხვებშიც ნაკლებ აღტაცებას გამოიწვევს, აქაც მეტად საღი და გონიერია.

ამ ვიწრო ჩარჩოებში ძნელია ჩვენება და განმარტება, თუ რამდენად ყალბია ჩვენი სასკოლო აღზრდა, რომელიც საუკუნოების ტრადიციებით არის დატვირთული და რამდენად მცირე საშუალება მოგვეპოვება, რომ ამ არეულ-დარეულ და წყვდიადით მოცულ სასკოლო სისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზე ააგო ისეთი შენობა, რომელიც აწინდელს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ჩვენი უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ვერ ვბედავთ დავასაფლავოთ დრო მოჭმული მკვდარი და წარსულის მიმყოლთ გვავიწყდება უსაჭიროესი პატივისცემა მომავლისადმი: ჩვენ გვინდა დავაკმაყოფილოთ სხვა და სხვა პატივცემულ მოხუცთა მეცნიერული მოთხოვნილებანი და ეს საჭიროდ მიგვაჩნია, ნაცვლად იმისა, რომ გვეფიქრნა და გვეზრუნა ერთად ერთს საჭირო საგანზე, ბავშვების კეთილდღეობაზე. აღზრდა ცრუ გზას დაადგა იმ დღიდან, როცა ბავშვები მშობლებს მოაშორეს და ამ სახით მშობლები შვილთათვის მაგალითს ვერ წარმოადგენდნენ. თუნდ სიყალბედაც ჩამოგვართვას ვინმემ, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ბავშვების აღზრდის საქმეს დიდი ზარალი მოუტანეს პროფესიონალ აღმზდელებმა. მეტად ბუნებრივი და მასთან ნამდვილად წარმოსადგენი ის არის, რომ შვილი მამასა ჰგვანდეს, და თუ შეიძლება მასზე უკეთესიც იყვეს, უკეთესი იმით, რომ შვილს შეუძლიან ისარგებლოს მამის ცხოვრების გამოცდილებით. ეს გარემოება კი უტყუარი საბუთია წარმატებისა და წინმსვლელობისა *).

ასე იყო საქმე საშუალო საუკუნოებში რაინდულსა და საქალაქო წოდებაში, უმთავრესად დღესაც ასეა საქმე გლეხობაში. ახლაც საშუალო ქალაქის წოდების მრავალ ბავშვთათვის კარგი იქნებოდა, რომ ვაჟებს მონაწილეობა მიეღოთ მამის ცხოვრებაში და ქალებს—დედისაში. აქ შვილები ბევრს რასმე დაინახავდნენ, რაც მათთვის ცხოვრებაში სასარგებლო იქნებოდა: სარგებლობას და ცხოვრებას საღს ატმოსფერაში, ოჯახის მტკიცე სულს, ოჯახურს საღს მოვლას და საზოგადოთ სარგებლობას ოჯახის ყოველგვარის კულტურის სიკეთით, რომელსაც აქ რამდენიმე სიტყვით ვერ განვსაზღვრავთ. ეს ყველაზე უკეთესი იქნებოდა პატარების სკოლაში გზავნაზე, სადაც უცხო ადამიანებს მიჰყავთ ბავშვები შორეულის უცნობის მიზნისაკენ. ყველაფერს, რასაც ბავშვები აკეთებენ სკოლაში ყოველ დღე და ყოველ წელს, ცოტა დამოკიდებულება აქვს ბაშვის შინაურს ცხოვრებასთან, მცირე კავშირი აქვს სკოლაში მიბარებამდის შეძენილს შთაბეჭდილებასთან და გამოცდილებასთან. ტრაგიკული მხარე ჩვენი სასკოლო აღზრდისა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის ცხოვრების პირველს უსაჭიროესს წლებს სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ; ექვსი წლიდან ბავშვის წარსულსა და ახალს ცხოვრებას შორის მთელი ჯურღმული ჩნდება, რომელზედაც შემდეგ ხიდის გადება შეუძლებელი ხდება. ბავშვი, რომელსაც ექვსი წლის განმავლობაში ბუნების თანახმად და მაშასადამე გონიერების გზით თავის მშობლებისა და მის გარშემო მყოფთა მაგალითებით შეუკრებია აუარებელი შთაბეჭდილებანი და ცნობები, სკოლაში ვერ პოულობს ძველ გზას—თავის ცხოვრებისა და გამოცდილების განგრძობას. ის კი არა, სკოლა მტრულად უცქერის ბავშვის მიერ შეძენილს ცნობებს, გამოცდილებას და ასწავლის, რომ ტყუილია და არც საჭიროა მრავალი ნივთი, რაც ბავშვისათვის დღემდის უსაჭიროესი იყო და თავისთავად ცხადი.

ბავშვის ბუნებრივი დედა-ენა სკოლაში

*) ქართული სიბრძნე—ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, სრულიად ეთანხმება ამ შეხედულობას.

ლ. ბ.

კრიტიკისა და სამეცნიერო განსახილველ საგნად ხდება. ამასთან ბავშვი ტყობილობს, რომ კანონიერად ვერ ლაპარაკობს, თუმცა მშობლების ენით ლაპარაკობს. ამ სახით ბავშვი მისდა სამწუხაროდ და განსაცვიფრებლად გაიგებს, რომ მისი მშობლებიც კი, რომლებშიაც ბავშვი საკაკობრიო სიბრძნის გამოხატულებას ხედავდა და რომელსაც პატივსცემდა, ვერ აკმაყოფილებენ მასწავლებლის მოთხოვნილებას. ამის გამო ბავშვსაც არა სჯერა ყველა ის, რაც წინად იცოდა და რაც უყვარდა. იგი მალე შეიზიზღებს დედის საოჯახო მუშაობას და მამის ხელობასაც. ძველ-რომაულ პრინციპზე აგებული Schola, მისი ფორმალურ-გონებრივი მუშაობის უსამართლო დაფასებით და ხელოსნობისა და ყოველგვარ ფიზიკური შრომის შეზიზღებით, ჩვენი სკოლები ბავშვობიდანვე აგონებენ მოწაფეებს დამღუპვე ლამპარტავნობას, რომ ისინი თავისი გონებრივი მუშაობით გაცილებით მეტს და კარგს რასმე აკეთებენ, ვიდრე შინ მშობლები. მაშინ შუქი ეკარგება მშობელთა მაგალითს. მშობელთა ავტორიტეტს მასწავლებელი იჭერს, რასაც მოჰყვება სკოლასა და ოჯახს შორის უთანხმოება; ამის გამო ოჯახისა დ სკოლის ავტორიტეტი—ორნივე ზარალობენ. ნამდვილი და სამართლიანი საყვედური, რასაც სკოლაზე გაიგონებთ, ეს არის ის, რომ სკოლა ბავშვებს ოჯახსაც აშორებს და ცხოვრებასაც. თუმცა სკოლა გვიმტკიცებს, რომ იგი ბავშვებს ცხოვრებისათვის ამზადებს, მაგრამ ამისათვის იგი შეუფერებელს ზომებს ხმარობს. საჭირო არ არის იმათი მომზადება ცხოვრებისათვის, ვინც ცხოვრებაში უკვე მონაწილეობას იღებს.

ბავშვიც ხომ ცხოვრებაშია, საჭიროა მხოლოდ ზრუნვა დარჩეს ცხოვრებაშივე. სკოლა სხვას რასმე არ უნდა წარმოადგენდეს, თუ არა საზოგადო საცხოვრებელ კავშირს, ამ სახით სკოლა ისეთივე უნდა იყვეს, როგორიც გვინდა—ჩვენ რეფორმატორებს: სკოლა ცხოვრებისათვის, დღემდის კი იგი იყო სკოლა სწავლებისათვის.

ჩვენი მასწავლებლები მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ სკოლისათვის უმჯობესია, როცა იგი ბავშვის საკუთარ ცხოვრებასთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. ბედნიერმა შემთხვევებმა და მასწავლებლების მიერ წარმატებით გამოყენებულმა ღონისძიებამ ბავშვების ნაწერები ციდან დედამიწაზე ჩამოიყვანეს და გახადეს ისეთი, როგორიც ყოველთვის უნდა ყოფილიყო: შემოწმება და აწერილობა ყველა იმ შემთხვევათა და შთაბეჭდილებათა, რაც ბავშვს თავის ცხოვრებაში განუცდია. შესაფერისი რეფორმა მოხდა ხატვის სწავლებაშიაც, რადგანაც დაგმობილი იქმნა ძველი ძალდატანებითი სისტემა და ცდილობენ ბავშვებში უკვე არსებულის მხატრობითი ნიჭის განვითარებას. ნაყოფიერია აგრეთვე ახალი მეთოდი ხელით მუშაობასა, რომელიც პრაქტიკულად ავარჯიშებს ბავშვებს გაზომვაში, ანგარიშში, აშენებაში, იმის ნაცვლად როგორც წინად იყო: ასწავლიდნენ წიგნებში, როგორც ახალს რასმე თეორიულად, სასტიკ—წმინდა გონებრივ ლოგიკურს წესზე. ერთი სიტყვით: ახალი მეთოდები ბავშვების სწავლებაში—უახლოვდება ჩვენს მოთხოვნილებას, რომ ბავშვის განვითარებაში ყურადღება უნდა მიექცეს მისს ბუნებას, მოთხოვნილებას და მიმბაძველობის ძლიერს ინსტიქტს.

უკანასკნელ მტკიცებას ბუნებრივად მივყევართ იმ სამუშაოს კრიტიკულად განხილვამდის, რომელიც ჩვენს დროში სახელმწიფოს მიერ მოწონებულია ჭაბუკ-

ეროვნული

თა აღზრდაში და სამაგალითოდ დასახული ოჯახის მიერ. მასწავლებელი მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ჭაბუკთათვის, ეს მიაჩნდათ სასურველად და ამასვე მოითხოვდნენ ყოველ დროს. ახლა ვიკითხავთ —რით აკმაყოფილებს დღევანდელი მასწავლებელი ამ მოთხოვნილებას?

თუ ვრცლად განვიხილავთ ამ მოთხოვნილებას, მასწავლებელი მასწავლებელს უნდა ამზადებდეს. მასწავლებლის მოქმედება შეიძლება სამაგალითო გახდეს მომავალ მასწავლებლისათვის. თუმცა სკოლა გვარწმუნებს, რომ მასწავლებელი მაგალითს წარმოადგენს მოწაფეთათვის სხვა და სხვა პროფესიებშიო, ამასთანავე უჩვენებენ მასწავლებლის კეთილსინდისიანობას, ცხოვრების წესებს და მოვალეობის სინდისიერად ასრულებას. მოწაფემ ღრმად უნდა აღიბეჭდოს მეხსიერებაში, როგორც სამაგალითო რამ თავის მომავალ ცხოვრებაში ის მუყაითობა, ბეჯითობა და წესიერება, რასაც მასწავლებელი იცავს სამსახურის დროს, მზრუნველობა და ბეჯითობა, რასაც მასწავლებელი იჩენს მოწაფეთა ნაწერების გასწორებაში და საგნის სწავლებაშიო. რასაკვირველია, ყველა ეს უგავლენოდ არ დარჩება, მაგრამ იგი ისეთი ძლიერი არ არის, როგორიც იქნებოდა მაშინ, როცა ბავშვი დაუკვირდებოდა მუშის მოქმედებას მისი ცხოვრების ყოველგვარს მდგომარეობაში, დაუკვირდებოდა სხვა საქმეშიაც და ამის წყალობით უკეთ წარმოიდგენდა ამა თუ იმ მუშაობის საზოგადო მიზანსა და იდეალს. ბევრი მოწაფის აზრით ასეთი დაკარგული დრო რვეულების სწორებაზე პედანტიზმობა და მოსაწყენი ძალდატანებითი სამუშაოა, და არა ისეთი მოქმედება, რაც მიბაძვის ღირსია. მოწაფეებს კი უფლების ძალით სურთ თვალწინ ედგათ სრული კაცი და თუ საკითხი ქალებს შეეხება—სრული დედაკაცი, ყველა ამისათვის ხაზის გასმა მეტად მიმაჩნია, ბავშვებს უნდათ დაინახონ ცოცხალი მაგალითი ადამიანებისა, რომლებიც იბრძვიან რაიმე მძიმე მიზნისადმი მისაღწევად. რომელიმე ფიზიკურად ძლიერი და გამბედავი მებრძოლი საღისა და ძლიერის ყმაწვილისათვის უფრო მისაბაძი მაგალითია, ვიდრე კეთილსინდისიერი მოხელე.

ბავშვები, რომლებიც თავიანთ მასწავლებლებში მართლა ცხოვრების მაგალითსა ხედვენ, სასკოლო დუხჭირი წესების წყალობით არ არიან ნამდვილი ბავშვები. ყმაწვილებს ყოველთვის ძლიერი მოთხოვნილება აქვთ—გამოიჩინონ საკუთარი ძალა რომელსამე საქმეში, იმათ ცოცხალი სამუშაო უნდათ, და არა უბრალოდ ჩატარება საუკეთესო წლებისა, მომავალ სამუშაოსათვის თეორიულად მომზადება. არავის ჭკუაში არ მოსდის მომავალ ცხოვრებისათვის ლექციების კითხვით მოამზადოს რომელიმე ახალგაზდა ხელოსანი, კალატოზი, ან დურგალი; არც ზეპირად ასწავლიან ვისმე რაიმე სამეცნიერო დებულებას. არა, აქ სხვანაირად იქცევიან და სწორედ გონივრულადაც: მოწაფე ადრიანად მიჰყავთ შენობის ადგილას, ან საამშენებლო კანტორაში. მხოლოდ ისეთი მასწავლებელი შეიქნება მოწაფისათვის მისაბაძი, რომელიც ერთგულად მუშაობს და თავისს სრულს ძალღონეს იმ მაღალ მიზანს სწირავს, რასაც სულით და გულით ემსახურება. რომელ დარგშიაც უნდა მსახურებდეს ჭაბუკთა აღმზრდელი, იგი ყველაფერში მოწინავე მებრძოლი უნდა იყვეს. მარტო სწავლება თავისთავად არ შეადგენს დიდს მოწოდებას. ყოველ მხრივ სრულისა და ვაჟკაცურის მუშაობის დროს სწავლება ჩამოშორებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, იქმნას. რადგანაც ის მხოლოდ მიყოლებითი მოვლენაა. ვინც მართლა ნამდვილს იძლევა, ის არც უნდა ზრუნავდეს და შრომობდეს იმაზე, რაც შემდეგ თავისთავად იქნება; ბისმარკმა საკუთარს სკოლაში ვერ შეჰქმნა თვისი მსგავსი დიპლომატი, ვერც გონებით და ვერც პატრიოტობით, გიოტეს სრულიად არ უზრუნვია გიოტეს სკოლის დაარსებაზე. სადაც ხელოვანი მუშაობს და ჰქმნის, იქ ყოველთვის გაჩნდებიან მოწაფეები, რომლებიც უცქერიან იმის თითებს რომელიმე ნაწარმოების შექმნის დროს და სწავლობენ კიდეც. ჩვენ სკოლებს წარმატება ეტყობათ იქ, სადაც მოწაფეები სწავლობენ ისეთი ადამიანების მაგალითზე, რომელთაც სახელი მოუხვეჭიათ სამეცნიერო თუ სამხატვრო ასპარეზზე, ამიტომ საუკეთესო შედეგებს ვხედავთ მხატვართა სახელოსნოებში და ცნობილ ბუნების მეტყველთა და ექიმთა ლაბორატორიებში. ჩვენს საშუალო სკოლებშიაც კარგი ნაყოფი სჩანს იქ, სადაც მასწავლებლები მუშაკი მეცნიერები არიან, ან მხატვრები. რასაკვირველია ამისთანა მასწავლებლებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ რაოდენადმე მაინც უარჰყონ პენდანტიური სასკოლო პროგრამა, რომ აჩვენონ მოწაფეებს ყველა არსებითი მხარე თავისი საკუთარის შემოქმედებითი მუშაობისა. სხვა და სხვა გვარ ცოდნის სპეციალიზაციას ექნება და ცუდი გავლენა აღზრდაზე, რადგანაც იგი მოწაფეებზე პირად გავლენას მოსპობდა. ახლა ჩვენი მოწაფეები მრავალ სპეციალისტთა გავლენას განიცდიან, რომელნიც კმაყოფილდებიან სპეციალ ცოდნის მზა-მზარეულად გადაცემას. ის აღმზრდელი, რომელიც ჩაფლულია თავის სამასწავლებლო პროფესიაში, მოკლებულია დროს და სურვილსაც, რომ თვალყური ადევნოს თავისი მეცნიერების საგანს, რადგანაც მთლად დატვირთულია მასწავლებლობის მოვალეობით. ამ სახით მთელი სწავლება და პედაგოგიკა თვალწინ აბსოლუტურ მიზანს ისახავს. ამის შემდეგ მასწავლებელი ისეთი კაცი არ არის, რომელმაც თავისი ძალღონე მაღალს ცხოვრების მიზანს შესწიროს, იმუშაოს ცოდნისა და საზოგადო ცხოვრების საზღვრებში, იგი შუამავალია წარსული ცხოვრების ცოდნის გადაცემაში, ძველი ტრადიციების დამცველი და ბავშვების გუვერნიორია. აქედან ის წარმოსდგება, რომ მასაც ბავშვური რამ ადვილად ეხერხება. მასწავლებელი მუდამ მოუსმენს ბავშვებს, ცდილობს გაიგოს მათი სულიერი ცხოვრება, მათი აზრები; აქედან — შეუძლებელია თავისთავში მწიფე პიროვნების განვითარება. უეჭველია აქედან წარმოსდგა ისიც, რომ მასწავლებლის წოდებას ყოველ დროს დაცინვით უყურებდნენ, რაც ხელს უწყობდა მიეღო მას მბრძანებლის სახე. შეიძლება სრულიად სამართლიანის მოსაზრებით ჩვენ მასწავლებელს შესაფერს პატივსა ვცემთ, მაგრამ შინაგანი გრძნობა ამას არ ეთანხმება. იგი ჩვენთვის მაინც სკოლის მასწავლებლად რჩება და როცა მასთან ერთად გამოჩნდება სამხედრო პირი, რომელსაც ომში რკინის ჯვარი მიუღია, ან მეზღვაური, რომელსაც ასჯერ აუტანია ზღვის ქარტეხილი, ან აღმაშენებელი, რომელსაც გადაუწყვეტია ძნელი საალმშენებლო ამოცანა, ან პოლიტიკოსი, რომელსაც თავისი ხალხისათვის დიდი საქმე გაუკეთებია, მაშინ მასწავლებელი თვალწინ გვიდგას ცხოვრების მშვიდი ამოცანის კაცად. ეს ასე არ იქნებოდა მაშინ, მასწავლებელს რომ მიეღო მონაწილეობა ცხოვრების ფართო ნაკადულში, ჩამდგარიყო მოწინავე მებრძოლთა რაზმში, ისე,

როგორც ცხოვრების ძველი მოწინავე მებრძოლნი გახდნენ ჩვენი მასწავლებლები. ჩვენი მთავრობა ისე უყურებს საქმეს, რომ მასწავლებელი მხოლოდ მოხელე და მასწავლებელი იყვეს და თუ ის პოლიტიკას შეეხო, მაშინვე ეჭვს შეიტანენ მისი თანამდებობის ასრულებაში. ძველ დროში, როცა კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა უმრავლესობა ფილოლოგებად იზრდებოდა, ან ფილოლოგიის პროფესორებად უნივერსიტეტებში, ან გიმნაზიის მასწავლებლებად, მასწავლებლები ზოგის მხრით მაგალითნი იყვნენ მოწაფეთათვის. ჩვენს დროში კი მოწაფე, სკოლაში სწავლის დროს, სკოლის გარედ ეძიებს მაგალითებს მომავალის ცხოვრებისათვის, და გონებაში უკვე გადაწყვეტილი აქვს წავიდეს ჯარის კაცთა უფროსად, კაპიტნად, ინჟინრად ან მხატვრად, მაშინ როდესაც მასწავლებელი მხოლოდ თეორიულ მომზადებას აძლევს მას ყველა ამ პროფესიისათვის.

აღმზრდელი მაგალითს უნდა წარმოადგენდეს მოწაფისათვის არა მარტო რამდენიმე წლის განმავლობაში, სკოლაში ყოფნის დროს, არამედ, თუ კი შეიძლება, შემდეგშიაც. ამ მიზნისთვის ჩვენი მასწავლებლები, უფრო კი სახალხო სკოლებისა, განთავისუფლებული უნდა იყვნენ სხვა ყოველგვარ თანამდებობისაგან, ამის მაგიერ მათ უნდა შეიძინონ სამეურნეო ცოდნა, შეისწავლონ ხელით მუშაობა, ხელოსნობა და ყოველგვარი პრაქტიკული მუშაობა. იმის მაგიერ რომ აუარებელი დრო დახარჯონ წინადადებათა გრამატიკულს გარჩევაზე და ბიბლიის ტექსტის განმარტებაზე, მასწავლებლებმა ბავშვები უნდა ატარონ ბაღებში და ბოსტნებში, უჩვენონ როგორ უნდა მოყვანა მწვანილს, მოშენება ხეხილისა, ფუტკრისა. იმათ უნდა აუხსნან ბავშვებს რა არის ქარი, მზე, მთვარე, წელიწადის დროები და მათი განსხვავება. მოწაფეები სახელოსნოებში უნდა დადიოდნენ და სწავლობდნენ დურგლობას, მჭედლობას, ზეინკლობას. სოფლის მასწავლებელი უნდა იყვეს სოფელში არა მარტო ნასწავლი, არამედ ყოველ პრაქტიკულ საქმეში საჭირო კაციც. ის ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელთანაც გლეხი სიამოვნებით დაიწყებს საუბარს მეურნეობაზე, სახლების აგებაზე, გზისა და არხების გაყვანაზე და რკინის გზით მიმოსვლაზე. თუ მასწავლებელი თავისთვის შეიძლებს ავეჯის გაკეთებას, ოთახების მორთვას მის მიერ გაკეთებული ჩარჩოიან სურათებით, როგორი საკვირველი კაცი იქნება იგი მოწაფეების თვალში! მაშინ ყველაფერი, რასაც კი სკოლაში ასწავლიან, დაკავშირებული იქნებოდა ცხოვრებასთან და ყველაფერთან, რასაც ცხოვრებაში ფასი აქვს. საქმიანს და რეალურს ღირებულებას თავის-თავად უნდა საჭირო აზრები და სიტყვები. ესენი კი თვით ამ ღირებულებაშია.

ჭეშმარიტი და წესიერი პედაგოგიკა ღრუბლებიდან ძირს უნდა დაეშვას და მაგარს ფეხზე დადგეს; იგი განთავისუფლებული უნდა იქმნას იდეებისა და ცრუ იდეალიზმისაგან, რომ ხელახლად გონიერი გახდეს, უნდა განთავისუფლებული იქმნას აგრეთვე აბსტრაქციისა და სხვებისაგან.

ლ. ბოცვაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ-ნ მონოს საბავშვო ბალი.

(M—lle Monod)

(რუსულიდან)

როდესაც ვათვალიერებდი საფრანგეთის საუფლოგიო ლიტერატურას, ამოვიკითხე ქება ქ-ნ მონოს საბავშვო ბალისა.

პირველ მოხსენებაში ეს ბალი დახასიათებულია, როგორც „ნამდვილი საბავშვო ბუდე“, მეორე მოხსენება კი ეკუთვნის სენატორ გუიბას, „ხელოვნება სკოლაში“-ს წიგნის ავტორს და ამავე სახელობის სკოლის თავმჯდომარეს.

ასეთი სანაქებო „საბავშვო ბალი“, რომელიც მე დიდი სიამოვნებით დავათვალიერე სამზღვარ გარეთ, ჩვენშიაც ხომ არის!— ამბობს გუიბა.

— პოლ ბესკი დაბრუნდა იქიდან აღტაცებული: ,,ლათინთა კვარტალის შუაგულში, კლოდ ბერნარის ქუჩაზედ, 53,—მოგვითხრობს იგი ჩვენ,—პატარა ბალში იმალება ამ ბალისთანავე პატარა ორ ოთახიანი სახლი. კედლები რიგიერის სურათებით და ბავშვების ნახატებით არის სავსე. მართალია, ბავშვების ნახატებში ბევრი შეცდომაა, მაგრამ მაინც თვალს ახარებს ფერების სიცოცხლე. აგერ უვავილებიც, სუმბულის და ზათრანას ძირები, ბუჩქები, ახლად გადაშლილ მწვანე კოკრებით. აგერ შუშის ვაზაც, რომელშიაც საამურად დასცურავენ წითელი თევზები; იქვე გალია ჭკიდია მოშინაურებული გვრიტებით. ამ ბალის პროგრამას შეადგენს ხუთიდის მოგდა, პირუტყვების დაკვირვება, ბალოსნობა, მებოსტნეობა, ხატვა, ძერწვა, კალობა და სხვა გვარი თამაშობანი და გიმნასტიკა მუსიკის შემწეობით.

გადავწყვიტე დამეთვალიერებინა ქ-ნ მონოს ბალი და მივმართე მას თხოვნით-ნება მოეცა. შეხვედრა მართლაც არა ჩვეულებრივი იყო. ქ-ნი მონო გამოდგა არამც თუ მარტო საუკეთესო მასწავლებელი, არამედ შეგნებული, დაკვირვებული ადამიანი, რომელიც უეურადღებოდ არა სტოვებს ცხოვრების ამა თუ იმ საკითხს. მიმიწვიეს ოთხშაბათს, რადგან ამ დღეს სკოლის კარი დია იყო ყველა გარეშე პირთათვის. მეორე დღეს (სწორედ ოთხშაბათი იყო) მივედი. გავიარე ბალი და შევედი პატარა საკლასო ოთახში, რომელიც სავსე იყო სხვა და სხვა გვარ წიგნებით და სახელმძღვანელოებით. ყველა ამის დანახვაზედ გამახსენდა პოლ ბესკის სიტყვები. კუთხეში ორი დედაკაცი იჯდა: ეტყობოდათ ბავშვის მშობლები იყვნენ. ერთ მათგანს, უფრო ახალგაზრდას, ოთხი წლის ვაჟი ჰყავდა. პატარა ბავშვები, ქალები და ვაჟები, რიცხვით ათამდინ ხუთიდან რვა წლამდინ აკეთებდნენ გიმნასტიკას ახალგაზრდა მასწავლებელ ქალის ხელმძღვანელობით. ამასთანავე ყოველივე მოძრაობას ისინი აკეთებდნენ მუსიკის შემწეობით, რომელსაც ქ-ნი მონო უკრავდა. „რიტმიული გიმნასტიკაა!“—გამიელვა თავში. სწორედ ამ დღეს მიწვეული ვიყავი დალკროზის სისტემის რიტმიულ გიმნასტიკის გაკვეთილზედ, ქ-ნ ადისა სოგრეზისის დიდ და მშვენივრად მოწყობილ კურსებზედ. აი სწორედ ამ სისტემის მოხმარებას შევხვდი ქ-ნ მონოს პატარა ბალში *). მუსიკის გამაცხოველებელი გავ-

*) შვეიცარელ პედაგოგის დალკროზის რიტმიული გიმნასტიკა არსებობს სულ სამი წელიწადი. მისი მიზანია—მუსიკის შემწეობით მშვენიერ მიმოხვრის შემუშავება.

ლენა სჩანდა იმ გატაცებიდან, სიადვილიდან და ოვისუფლებიდან, რომლითაც ბავშვები ასრულებდნენ სხვა და სხვა ექსპერიმენტებს. არავითარი ნიშანი მოწყენისა და აბატიისა არა სჩანდა, რაც ხშირად შენიშნულია გიმნასტიკის გაკვეთილებზედ.

— აბა, ბავშვებო,—სთქვა ქ-ნმა მოხრომ, როცა გიმნასტიკას მორჩნენ და გარშემო შემოუსხდნენ მას.—ახლა განვაგრძოთ იმ სიმღერის შესწავლა, რომელიც გუშინ დავიწყეთ. რაზეა იქ დაბარაკი?

— ქარზე!.. ქარზე!..

— რომელ ქარზეა ჯერ სიმღერა?

— ჩრდილოეთის ცივ ქარზე... რომელსაც თოვლი მოაქვს... სიცივე... ყინვა... ყვირობდნენ ბავშვები, იკრუნჩხებოდნენ წარმოდგენილ სიცივისგან, ხელებს იფშვნეტდნენ და ეხვეოდნენ.

— და რომელიც მიდში ზუზუნებს: აი ესე! ცხადლივ გამოხატა ბატარა მარიმ, რომლის შემდეგაც სხვა ბავშვებმაც მიბაძეს ქარის ზუზუნს.

— სამხრეთის ქარი კი გაზაფხულზედ დედა-მიწას ათბობს... ხეებსაც... ბალახსაც... ზაფხულში კი სიცხე მოაქვს. სულს უხუთავს. — იგონებდნენ ბავშვები.

— კიდევ რომელი ქარი შეიძლება ჭქრიდეს კარდა ჩრდილოეთისა და სამხრეთისა? ჭკითხა ქ-ნმა მოხრომ, როდესაც ბავშვებმა გაიმეორეს სიმღერის პირველი ორი მუხლი. —გუშინ ჩვენ გავარჩიეთ ქვეყნის ყველა მხარე: აბა, მაშ მოიგონეთ, კიდევ რომელი მხრიდან შეიძლება ქარი ჭქროდეს?

დასავლეთიდან... ალმოსავლეთიდან... გაისმა ხმები.

— კარგი ბავშვებო. რადგანაც თქვენ ეგრე კარგა დაიხსომეთ ის, რაც ვისწავლეთ, ამიტომ გაიმბობთ ერთ პატარა ამბავს. ერთ სოფელში მარტო მარტო სცხოვრობდა ერთი ბებერი კაცი. ხალხი ამბობდა ამ კაცზედ, ისეთი ნასწავლია, რომ ყველაფერი იცისო. მაგ კაცს წინდაწინვე შეეძლო დარის გამოცნობა. ამიტომ, როცა გლეხები თიბვას უნდა შესდგომოდნენ, ჯერ ამ მოხუცს შეეკითხებოდნენ, თუ როგორი დარი იქნებაო, რომ მოთიბული ბალახი არ დალპობოდათ: არა ერთხელ მიუმართნია ამ მოხუცისათვის მებოსტნეს, როცა კომბოსტოს გადარგვის დრო იყო, რომ გადარგული კომბოსტო უწვიმობით არ გახმობოდა. ერთი სიტყვით, ყველა, ყველა ეკითხებოდა ხოლმე ამ მოხუცს, და როგორც ის ურჩევდა, ისე მოიქცეოდნენ ხოლმე. ერთხელ, ბავშვებმა გადასწყვიტეს კვირა დღით სასეირნოდ წასვლა. შაბათს ყველაფერი ჩალაგეს, მოემზადნენ, მაგრამ ერთი რამ ათიქრებდათ: არ იცოდნენ მეორე დღეს როგორი დარი იქნებოდა. ამიტომ წავიდნენ ამ მოხუცთან საკითხავად. მოხუცი გამოვიდა სახლიდგან და დაუწყო სახლის სახურავს დაძტერებით ტქერა. რაგორა ფიქრობთ, ბავშვებო, რას უტქერდა მოხუცი? რა იყო სახურავზედ?

— ქარის მაჩვენებელი—წამოიყვირა ვერონიკამ, ყველაზე განვითარებულმა გოგონამ.

— ქარის წისქვილი!—წამოიყვირეს სხვებმაც.

— გამოიცანით, ბავშვებო... მოხუცმა შეხედა ჯერ სახურავს, მერე ცას, მზეს და სთქვა: „ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვგონებ, რომ ხვალ წვიმა იქნებაო: მზე დრუბლებში ჩადის და ქარიც დასავლეთიდან ჭქრის“. რათ გადასწყვიტა მოხუცმა, რომ დასავლეთის ქარმა უეჭველად წვიმა უნდა მოუტანოს?

— იმიტომ, რომ დასავლეთის ქარი ნესტიანია... – გაისმა ვიღაცის ხმა.

— რათ არის ნესტიანი? რაგორა ფიქრობ ვერონიკა“.

— იმიტომ რომ ზღვაზედ გადმოჭქრის.

— შაროალია. საფრანგეთის დასავლეთით დიდი ზღვა არის. იმასა ჭქვიან ოკეანე. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკეანეს მზის სითბოსაგან ორთქლი ასდის. ეს ორთქლი იკრიფება ოკეანეს ზემოთ სწორეთ ისე, როგორც იმ წულიან ქვაბის ზემოთ, რომელიც ჩვენ გავათბეთ.

ქარი ამ ორთქლს დრუბლად აქცევს და ჩვენთან მოაქვს; როდესაც ეს ორთქლი გაცივდება, მოიკუმშება და წვეთებად გადიქცევა. ხომ გახსოვთ შუშაზედ რომ ვნახეთ. ეს წვეთები მერე დედამიწაზედ წვეთებად ჩამოდიან.

მერე განსაზღვრეს ადმოსავლეთის ქარი, როგორც ხმელი, რადგანაც ხმელეთზე მოჭქრის. ამის შემდეგ შეისწავლეს სიმდერის უკანასკნელი მუხლები და ქ-ნი მოხო მიუბრუნდა ბავშვებს შემდეგის სიტყვებით: „ეხლა, ბავშვებო, თქვენ კიდეც იცით ქვეყნის უმთავრესი მხარეები და ქარის მიმართულება. აბა, მაშ ეხლა, თქვენ შემოიტანეთ ის რგოლი, რომელზედაც გუშინ მიაკარით ასოები N (nord) და S (sud.) ეხლა ჩვენ, დასავლეთის ადასნიშნავად მივაკრთ ასო O (ouest) და ადმოსავლეთის ადასნიშნავად ასო E (est).

ბავშვებმა მაშინვე შემოარბეინეს მშვენივრად გარანდული ფიცარი, რომელზედაც დახატული იყო რგოლი. ამ რგოლზედ მიკრული იყო სხვა და სხვა მხარეებზედ ოქრის ფერ ქაღალდისაგან გამოჭრილი ასოები და S. ბავშვებმა მაშინვე აიღეს ჩაქუჩები და შეუდგნენ ახად ასოების O და E-ს მიკვრას. ახლად მოსულ ქალის ბიჭუნამაც ვერ მოითმინა და ჩაერია ბავშვების საერთო მხიარულებაში: აიღო ჩაქუჩი, აცოცდა სკამზედ და ერთი პატარა ლურსმანი იმანაც ჩაურჭო.

„აი კოშკასის ნიმუშიც მზად არის მეთქი.

— მარტო მაგნიტის ისარის გაკეთება და აკლია“.

— ეხლა, ბავშვებო, შეგიძლიანთ ითამაშოთ... — დაიძახა ქ-ნმა მოხომ. რა თამაშობა გინდაო?

— გუგული... გუგული...

ქ-ნმა მოხომ დაიწყო ბიანინოს დაკვრა. ბავშვებმა ხელი-ხელთ ჩაბეს და სიმღერით უვლიდნენ გარშემო ერთ მოთამაშეს; ეს უკანასკნელიც თავს იქნევდა და „გუ-გუ! გუ-გუ-ს გაიძახოდა. უნდოდა ამ გუ-გუ-ს ძახილით მიეგნო გუგულისათვის, რომელიც ამოდენა ჩიტებში იყო არეული. როდესაც გამოიცნობდა, გუგული იმის ადგილს დაიჭერდა.

— გინდათ ექიმობა ვითამაშოთ?—ჩაეკითხა ბავშვებს ქ-ნი მოხო. ეს თამაშობა შემდეგში მდგომარეობდა: ექიმი და ავადმყოფი ოთახის ბოლოში იეგნენ; დანარჩენნი კი ავადმყოფს გარს ეხვეოდნენ, როგორც ძველ საბერძნეთის ტრაგედიებში, სტიროდნენ და ოხრავდნენ; მერე მოიწვევდნენ ექიმს, რომელსაც დიდის სიხარულით უხვდებოდნენ. ამას ეველაფერს სიმღერით და მუსიკით აკეთებდნენ. სწორედ ამ გვარადვე სრულდებოდა ექიმის და ავადმყოფის დაპარაკი.

ავადმყოფი უჩიოდა ფეხში ტკივილს; ექიმიც კუბნებოდა, რომ ეს ტკივილი ბევრი ცემვისაგან არისო და აძლევდა წამალს. თამაშობის შემდეგ მე შევნიშნე ქ-ნ მოხოს, რომ რამდენადაც სასარგებლო და კარგია მუსიკა ჯგუფობრივ თამაშობებში, მოქმედებებში, გრძნობისა და მდგომარეობის გადმოცემაში, იმდენად უხერხულად მიმაჩნია იგი იმისთანა კერძო და სამარადდეო საქმეებში, როგორც, მაგალითებრ, ავადმყოფთან ექიმის მისვლაა.

— დალაგრობი აქ ცოტა უკიდურესობამდინ მიდის—დაუმატე მე. — მით უმეტეს, რომ მზა-მზარეულ დექსის მუხლების მდერა ზღუდავს ბავშვის ინიციატივას. თქვენ, რასაკვირველია, წარმოდგენილი გაქვთ, ის, თუ რა შეუძლიან შეჭქმნას ბავშვის თავისუფალმა ზეკარდმო ნიჭმა და გამოგონებამ „ექიმობი“-ს თამაშობაში. თუ თქვენა გსურთ და მიისწრაფით, რომ ეს თამაშობა ბავშვისათვის ნაყოფიერი გახადოთ, მაშინ იგი უნდა დაუკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთ არა მუსიკას, არამედ ანატომიას, ფიზიოლოგიას და ჰიგიენას.

ტოტა დაფიქრების შემდეგ, ქ-ნი მონო დაეთანხმა ჩემ საბუთებს.

სანამ ის ბავშვებს ატიდებდა, მე კლასს ვათვალიერებდი. აგერ კედლზედ მოსჩანს ტაბულა სადურგლო იარაღებისა; იქვე რანდია ჯოხზედ ჩამოკიდული; მის გვერდით კი ამ რანდის თიხის ნიმუშები ჰატარა ბრინჯაოს ნაჯრებით რკინის მაგიერ; მას მოსდევს ჩაქუჩების ნიმუშები ასანთის ტარებით და ბოლოს თიხისაგან შეძერწვილი თევზები. ადამიანის ყურადღებას იპყრობდა სურათები შავად და სხვა და სხვა ფერად შედებილები, რომლებზედაც დახატული იყო მდინარე, ზღვა, ქარიშხალი ზღვაზედ, ღრუბლები, ჩანჩქერები, წყლის წისქვილი, წყალ-დიდობა, თოვლი და სხვა.

— ჩვენ ეხლა ხანს გავათავეთ ბავშვებთან საუბარი წყლის გარდაქმნაზედ და მის მოგზაურობაზედ,—სთქვა ქ-ნმა მონომ.

„ამ სურათების მომეტებული ნაწილი, რომლებსაც თქვენ აქა ხედავთ, მოტანილია თვით ბავშვების მიერ. როდესაც ჩვენ რასმე ვსწავლობთ, მე ვთხოვ ბავშვებს მოიტანონ ყველა ის, რაც ტოტა-ოდნად მაინც ეხება საგანს; ამისთანა თანამშრომლობას ბავშვები ადტაცებაში მოჰყავს. თვითოეული მათგანი ეძებს, იგონებს, თუ რით შეუძლიან მოუტანონ სარგებლობა ამხანაგებს და მე; რასაკვირველია, ამისთანა ფიქრი სხვებზედ, საერთო საქმეზედ ძალიან ატოტხლებს ჩვენ მეცადინეობას, ავითარებს თავაზიანობას, უღვიძებს ბავშვებს ამხანაგურ გრძნობას. თქმა ადარ უნდა, რომ იმ მისწრაფებით, რომლითაც ბავშვები სცდილობენ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ცოდნა, წიგნები, სურათები, ისინი უფრო ღრმად უკვირდებიან საგანს, რომელსაც სწავლობენ.

სისტემა მართლაც ძალიან მარტივი იყო: მაგრამ რა რიგ ხელოვნურად გაეთვართოვა მან სკოლის სახსარი და როგორი მძლავრი და ძლიერი ზნეობრივი სტიმული შეიტანა მან ცოდნის შეძენის საქმეში.—ეს სურათები კი ბავშვებისაა დედნიდან გადადებული,—განგრძობდა ახსნას ქ-ნი მონო და მიჩვენებდა სხვა და სხვა ფრად ნახატ ბოსტნეულს: კარტოფილს, სტაფილოს, ჯარხალს, კომბოსტოს. ეს ყველაფერი მე ვიუიდე დუქანში, რადესაც ვსწავლობდით ადამიანის საზრდოობას, კვებას.

დასასრულ, გადავათვალიერე ნოტები, სხვა და სხვა სახელმძღვანელოები და მოვთხოვე ქ-ნ მონოს ეამბნა ჩემთვის, თუ რამდენი ხანია რაც ეს ბადი არსებობს და ან რა საშუალებით და როგორ დაარსდა.

ბადი სამი წელიწადია, რაც დაარსდა,—დაიწყო ქ-ნმა მონომ. მართალია, ფასიანია, მაგრამ განსაზღვრული ფასი კი არ არის: 10-დან 30 ფრანკამდის ადის. ეს დამოკიდებულია მშობლების შეძლებულობაზედ. როგორ მომივიდა ამ ბადის გახსნის აზრი? აი როგორ. მე მყავდა დისწული, ძალიან სუსტი და ნაზი გულის გოგონა, რომელიც გაგიუებით მიუვარდა და რომელიც არა ერთხელ მიმიყვანია აქაურ „დედათა სკოლებში“ *). მუდამ,

*) დედათა სკოლები, რომლებიც მარტო საფრანგეთში არიან, აძლევენ თავშესაფარს ბავშვებს $2^1/_2$—3 და 6—7 წლამდინ. უმთავრეს მიზნად ამ სკოლებს დაუსახავთ, მისცენ მუშაობის შეძლება მშობლებს. ისინი სწარმოებენ სახელმწიფოს და ქალაქების ხარჯით. ბავშვები ამ სკოლებში დილიდან საღამოს 4—6 საათამდინ არიან არიან სკოლები 300—400 ბავშვისათვის. (და ეგრეთ წოდებულ „საბავშვო კლასებით“—მოსამზადებ-ლებით école primaire—500 ბავშვისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ბავშვს ვეთხოვებოდი, იგი კბილზე მეჭიდებოდა და არასფრის გულისთვის არ მიშვებდა.

მას ეშინოდა როგორც იმ დიდრონ კლასებისა, ისე იმ ბრბოსი, რომელსაც იგი უნდა ჩაეყლაპა. ამით სრულიად არ მინდა რამე ცუდი ვსთქვა ზემოხსენებულ სკოლებზედ; ბირიქით, მათ შორის არის რამდენიმე მშვენივრად დაუნებული სკოლა, რაც აიხსნება მასწავლებლების არჩევით და უკანასკნელების სიყვარულით ბავშვებისა და საქმისადმი. ამასთანავე, გიმეორებთ, ბავშვი ძალიან გულში ჩამტანი იყო. აი სწორედ მაშინ, მე გადავწყვიტე შემექნა ბავშვებისათვის ისეთი კუთხე, სადაც ისინი სითბოს და სიყვარულს იგრძნობდნენ, სადაც შიშის კანკალი კი არ აიტანდა, როგორც იმ უზარმაზარ კაზარმულ დარბაზების დანახვაზედ, არამედ თვითეულ მათგანს შესძლებოდა თავისი ბიროვნების განვითარება. აი ასე დაარსდა ეს ჩემი ბადი. ეხლანდელი ჩემი თანაშემწისა ძალიან კმაყოფილი ვარ,— დაუმატა ქ-ნმა მონომ.—იგი გერმანელია, მოწაფე Pestalossi Froebel-Haus' ისა ბერლინში: ეს არის უზარმაზარი სამაგალითო საბავშვო ბადი 400—500 ბავშვისათვის; ამ ბადთან გამართულია საბედაგოგიო კურსები ამისთანავე ბადების საქმის შესასწავლად; ამ კურსებზედ 250 მოვარჯიშეა. ეხლანდელი ჩემი თანაშემწე თავისი ამხანაგით ქ-ნ ბრანდტით მოვიდნენ ბარიზში ორი წლის წინათ, და რადგანაც კარგად იცოდნენ ფრანგული ენა, ამიტომ მალე მიიღეს ადგილები აქაურ დედათა სკოლებში. მაგრამ იძულებულნი გახდნენ მალე მიეტოვებინათ ეს სკოლები, რადგანაც მათი მიმართულება და სული არ მოეწონათ. ამიტომ გადაწყვიტეს დაარსებინათ თავიანთი გემოვნების სკოლა. საჭირო იყო ეჩვენებინათ, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა. ქ-ნმა ბრანდტმა თავისი ხარჯით იქირავა სახლი, იყიდა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო ამ სკოლებისთვის და აიყვანა დარბაზში 12 ბავშვი, რომელებიც მარტო სწავლაში 1 საუს (2 კაპ.) იხდიდნენ და 3 საუს ცხელ საუზმეში. საქმე ისე კარგად წაიყვანა ქ-ნმა ბრანდტმა, რომ მოკლე ხანში მიიპყრო ყურადღება რამდენიმე საზოგადო მოღვაწისა. გამოჩნდნენ ქველმოქმედნი და დაარსდა „ოჯახურ აღზრდის საზოგადოება“, (Société d'education familiale). ეხლა კი, რამდენადაც ვიცი, ქ-ნ ბრანდტის საბავშვო ბადი უზრუნველყოფილია. მე თქვენ გირჩევთ უეჭველად დაათვალიერონ იმის ბადი. აი იქ შეიძლება სწორედ ადამიანმა რამე ისწავლოს.

ამის შემდეგ მე გამოვართვი ქ-ნ მონოს ადრესები ქ-ნ ბრანდტის საბავშვო ბადისა და კიდევ ერთ კერძო დედათა სკოლისა, რომელიც არსებობდა საქველმოქმედო კომიტეტის ხარჯით. გამოვეთხოვე ქ-ნ მონოს და მოვთხოვე—ნება დაერთო ერთხელ კიდევ მოვსულიყავი იმის ბადში.

— დიდი სიამოვნებით! დიდი სიამოვნებით! — მიპასუხა ქ-ნმა მონომ,—მობრძანდით და თქვენი შთაბეჭდილებანი გამიზიარეთ.

II.

ორი კვირის უკან, ოთხშაბათს, მე ისევ იმ კლასში ვარ. ეხლა უფრო ადრე მოვედი და შევესწარი შემდეგ სურათს: ოთხი უფროსი კარნახსა სწერდა, ბატარები კი თამამობდნენ აგურებს და კუბიკებს: ზოგი კოშკს აშენებდა, ზოგი ბოსელს.

ბავშვები ძალიან თავისუფლად, ბირდაბირ და ლამაზად სწერდნენ. კლასს თვალი გადავავლე და ბევრი რამ ახალი შევამჩნიე: აგერ გათავებული კომბასი, აგერ კედელზედ ფერადებით ნახატი რამდენიმე სურათი ლურჯი ზღვისა, რომელზედაც ცელქად დაცურავენ გემები თეთრი ათრებით; აგერ თაროზედ რამდენიმე დედანი ქარის წისქვილისა; ეტეო-

ბათ ქარი და მისი მნიშვნელობა ძალიან კარგათ შეუსწავლიათ.

— M—lle,—გაისმა ერთბაშად ბატარა ბერრის ადელვებული ხმა.—სერჟმა ბეატრისას მამადი წაართვა! მაგრამ რადგანაც არც სერჟი და არც ბეატრისა ამაზედ ხმას არ იღებდნენ, ამიტომ ბატარა ბერრის ჩიგიდი უეურადღებოდ დარჩა.

ეს ხომ, ძალიან, ძალიან ცუდია... სხვების წავართვა... ბატარა დავჩაგრო...—გაიძახოდა დარიგების კიდოთი მოდად გაწითლებული და ადშეფოთებული ბატარა ბერრი.

ათი წუთის შემდეგ, გიმნასტიკის გაკვეთილზედ, მასწავლებლის თხოვნაზედ „ქუსლები ერთად, წვერები ცალ-ცალკე, ისმის ისევ ბატარა ბერრის ამაყი, თვით კმაყოფილი ხმა:

— მე დიდი ხანია ეგრე ვდგევარ კიდეც!

— თავ-მოყვარე ბიჭია! ვიფიქრე მე.

— უფლების ბატივის მცემელი და მოვალეობის თაყვანის მცემელი. რაგორ გაბუქებდნენ მას საჩუქრები და გადაჭარბებული ქება, რომელიც ასე გავრცელებულია აქაურ ოფიციალურ სკოლებში.

გიმნასტიკას მოსდევს გეომეტრიის გაკვეთილი. „გეომეტრია ასეთის ბატარებისათვის!“—გაგეცინებათ თქვენ... მაგრამ ეს კი ასეა.

ბავშვები ლამაზად დამწკრივდნენ სკამებზედ; შემოვიდა M-lle არტელი კოლოფით ხელში, აჩვენა ბავშვებს და რადაცნაირ უცნაურის დიმილით უთხრა მათ:

— უცქირეთ, ბავშვებო, რას ამოვიღებ ეხლა ამ კოლოფიდან.

ყველამ ეურები ცქვიტა.

— სფერა! სფერა!—შესძახეს ერთ ხმად ბავშვებმა, როდესაც ორმა თითმა ამოიღო ხის სფერა.

— რაგორ გაიგეთ, რომ ეს სფერაა?

— იმითი რომ რგვალია... რგვალი...

— კარგი. მაგრამ საიდან იცით, რომ ეს რგვალია?

— იქიდან, რომ დაგორავს... იქიდან, რომ ერთ ადგილას არა ჩერდება.

სფერას დაუდგრომლობა და მისი მოძრაობა აქვე გამოარკვიეს გამოცდით. გამოარკვიეს აგრეთვე ამის მიზეზიც: ერთად ერთი მისაურდობი წერტილი.

— კიდევ რომელი რგვალი საგნები იცით?

—...ბურთი... გორგალი... ფორთოხალი... ვაშლი...

— ვაშლი? არა. — შეიტანეს შესწორება, გაკვრით შეადარეს ეკვალა სფერასებური ნივთები.

მე გაოცებით ვადევნებ თვალ-ყურს მასწავლებელს და მიგხვდი, თუ რათ არის ქანი მოხო ასე ადტაცებული თავისი თანაშემწით. მიგხვდი იმ მომზადებლობის მიზეზს, რომლითაც ქ-ნ არტელს მოეხვეწა ბავშვების სიყვარული. ბავშური ნათელი, მხიარული და გამომეტყველი სახე, ტკბილი ხმა, აუჩქარებელი და დაბეჯითებული ლაპარაკი, ალერსით სავსე თვალები, რომლებიც ჭიბლავდნენ ბავშვებს; მისი შეხედვა ხან ცელქური—გამაშხნეველი, ხან მბრძანებელ-დამამშვიდებელი თავის დადეში არა ჭბოჭავს ბავშვს. აი ის მოხიბვლელი ძალა, რომლითაც მოიპოვა ქ-ნმა არტელმა ბავშვების ნდობა და სიყვარული. ძალიან მშვენიერად იყენებს ქ-ნი არტელი მეამიტურ ეშმაკობას: ხან საიდუმლოებით მოიცავს ყველაფერს და ხან კი მის სახეზედ მეამიტური გაკვირვება და გაუგებრობა იხატება. ადარებენ სფერას კუბს. კუბი ერთ ადგილას მაგრადევს, არა გორავს და თუ ხელსა ჭერავ, ახტება-დახტება, ერთ გვერდიდან მეორეზედ გადაბრუნდება და შეჩერდება. იგი დამდგრობია, იმიტომ რომ მარტო ერთ წერტილს არ ეურდნობა, არამედ მთელ მხარეს. სთვლიან კუბის მხარეებს; მასწავლებელი უხსნის მათ ზედა პირს, გვერდებს, კუთხეებს.

— კარგი. მაგრამ საიდან იცით, რომ ეს რგვალია?

— იქიდან, რომ დაგორავს... იქიდან, რომ ერთ ადგილას არა ჩერდება.

სფერას დაუდგრომლობა და მისი მოძრაობა აქვე გამოარკვიეს გამოცდით. გამოარკვიეს აგრეთვე ამის მიზეზიც: ერთად ერთი მისაურდობი წერტილი.

— კიდევ რომელი რგვალი საგნები იცით?

—...ბურთი... გორგალი... ფორთოხალი... ვაშლი...

— ვაშლი? არა. — შეიტანეს შესწორება, გაკვრით შეადარეს ეკვალა სფერასებური ნივთები.

მე გაოცებით ვადევნებ თვალ-ყურს მასწავლებელს და მიგხვდი, თუ რათ არის ქ-ნი მოხო ასე ადტაცებული თავისი თანაშემწით. მიგხვდი იმ მომზადებლობის მიზეზს, რომლითაც ქ-ნ არტელს მოეხვეწა ბავშვების სიყვარული. ბავშური ნათელი, მხიარული და გამომეტყველი სახე, ტკბილი ხმა, აუჩქარებელი და დაბეჯითებული ლაპარაკი, ალერსით სავსე თვალები, რომლებიც ჭიბლავდნენ ბავშვებს; მისი შეხედვა ხან ცელქური—გამაშხნეველი, ხან მბრძანებელ-დამამშვიდებელი თავის დადეში არა ჭბოჭავს ბავშვს. აი ის მოხიბვლელი ძალა, რომლითაც მოიპოვა ქ-ნმა არტელმა ბავშვების ნდობა და სიყვარული. ძალიან მშვენიერად იყენებს ქ-ნი არტელი მეამიტურ ეშმაკობას: ხან საიდუმლოებით მოიცავს ყველაფერს და ხან კი მის სახეზედ მეამიტური გაკვირვება და გაუგებრობა იხატება. ადარებენ სფერას კუბს. კუბი ერთ ადგილას მაგრადევს, არა გორავს და თუ ხელსა ჭერავ, ახტება-დახტება, ერთ გვერდიდან მეორეზედ გადაბრუნდება და შეჩერდება. იგი დამდგრობია, იმიტომ რომ მარტო ერთ წერტილს არ ეურდნობა, არამედ მთელ მხარეს. სთვლიან კუბის მხარეებს; მასწავლებელი უხსნის მათ ზედა პირს, გვერდებს, კუთხეებს.

ბავშვებიც, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ხმიარულად, თამამად უპასუხებენ. მართალია, ხან და ხან ბავშვები სრულიად მიუდგომელ პასუხს იძლევიან, მაგრამ ხშირად მათი პასუხები ადმოაჩენენ ხოლმე საკანში რამე ახალს. ბოლოს ჯამს ადგენენ.

— რა განსხვავებაა სოფერასა და კუბის შუა?—ჭკითხა მასწავლებელმა პატარა ოგიუსტს, უსიტყვოდ და დუნდულა ბავშვს, რომელსაც ოფიციალური სკოლა ივიწყებს და ასულელებს. ოგიუსტი უტქერის ხან ერთსა, ხან მეორეს და სდუმს, თითქოს თქმას ვერა ჭბედავსო.

— აბა, ოგიუსტ, მითხარი; მეც არ ვიცი.

— იცით, იცით!— გაისმა ბავშვების ხმა.

— მაშ თუ არ იცით, როგორ გაიგებთ ხოლმე, რომ მართალი გვითქვამს?— დიმიდით შენიშნა პატარა ბეატრისამ.

— როგორ გავიგებ! აი როგორ: რაც თქვენ მეტუვით, მეც ეურადღებით დავათვალიერებ ხოლმე სოფერასაც და კუბსაც, დავფიქრდები და ვნახავ, რომ თქვენ მართალი გითქვამთ. მეც მაგიტომ გეუბნებით: „მართალია, სწორეა“. ბოლოს ოგიუსტმა, როგორც იუო ხმა ამოიდო და დაპარაკი დაიწყო, მაგრამ ისე დაბალ დაპარაკობდა, რომ არავის ესმოდა.

— ოგიუსტ, შენ მუდამ ისე დაბალ დაპარაკობ, რომ არაფერი ისმის. მაღალ სთქვი! გინდა დაიუვირე კიდეც, რამდენადაც ხმა შეგწევს.

ოგიუსტი იდიმებაა... როგორ... დავიუვირო...

— იცი, ოგიუსტ, რა ვქნათ. მოდი შედი მეორე ოთახში და იქიდან ისე მაღალ სთქვი, რომ ეველამ გავიგოთ.

ეს ხერხი, ეველაზე სასიამოვნო და საუკეთესო გამოდგა.

გეომეტრიის გაკვეთილის შემდეგ, მივეცი ქ-ნ არტლს შემდეგი ჩვენება, რომელსაც ეგი დაეთანხმა.

— მე ვგონებ ქ-ნო,—შეგნიშნე მე,—რომ ბავშვები უფრო ადვილად შეითვისებდნენ და შეამჩნევდნენ თორმეტის განსხვავებას, თუ რომ ეს შეადარება აღწერილობით კი არ იქნებოდა, არამედ დასმული იქნებოდა კითხვა, თუ როგორ შეიძლება ერთი თორმეტ მეორე თორმეტად ვაქციოთ. მაგალითებრ. ბავშვს უფრო ხათლად წარმოუდგებოდა თვალ-წინ განსხვავება სოფერასა და კუბის შუა, თუ რომ მას კუბიდან სოფერას გადაკეთებინებდით. ბავშვი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ამისათვის საჭიროა კუთხეების და გვერდების ჩამოტყდა ე. ი. კუბის ექვსი მხარის გადაქცევა სოფერას ზედა-პირად იმ შემთხვევაში, თუ რომ მათ შორის მოვსპობთ საზღვრებს.

აშ დაპარაკის დროს ბავშვები შეგრეოდნენ პიანინოს გარშემო და რამდენიმე სიმღერა იმღერეს. ქ-ნი მონო თვითეულ ბავშვს აძლევდა ნებას აერჩია ის სიმღერა, რომელიც უფრო მოსწონდა.

ძალიან საინტერესოა და კარგ შთაბეჭდილებასაც ახდენენ მიმიკური სიმღერები, რომლებიც აქ ძალიან გავრცელებულია; მაგალითებრ, ბავშვებმა შეასრულეს სიმღერა, რომელიც მიმიკაში ჭხატავს სოფლის ეოველ-გვარ მუშაობას.

— ეხლა ბავშვებო,—სთქვა ქ-ნმა მონომ, მე დავათავებ „მეფის მძინარის ასულის“ ზღაპარს, რომელიც გუშინ დავიწეე.

აბა ჯერ თავი მიამბეთ.

ბავშვები მხიარულის ეიეინით შემოუსხდნენ გარშემო ქ-ნ მონოს და დიდის მდელვარებით და სიჩქარით უამბეს ზღაპრის თავი. ქ-ნმა მონომ უამბო შემდეგ ზღაპრის მეორე ნახევარი და თან გამოჩენილ მხატვრის მშვენიერ სურათებს აჩვენებდა.

— მეფის მძინარე ასულს, ბავშვებო, ასი წელიწადი ეძინა. ეს, რასაკვირველია, ზღაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია; საზოგადოდ ადამიანს მარტო ერთი დამე სძინავს, დღე კი მუშაობს. მაგრამ, იქნება თქვენ იცით იმისთანა ცოცხალი არსებანი, რომლებსაც ერთ დამეზედ მეტი სძინავთ და ას წელიწად-ზე ნაკლები.

— ბუზები... ფუტკრები .. ბუაუები... ციუვები... დათვები...—გაისმა ბავშვების ხმა.

— მართალია. მაგრამ თქვენ მარტო ცხოველები დამისახელეთ, განა სხვა ცოცხალი არსებანი არ არიან?

— არიან... არიან... ხეები... ბუჩქები... ბალახი...

— რასაკვირველია: მცენარეებიც ხომ ცოცხალი არსებანი არიან. მათგანი, რომლებიც ერთ ზაფხულზე მეტსა სცოცხლობენ, შემოდგომაზე დაიძინებენ გაზაფხულამდინ, ვიდრე ხეები მწვანე ტანისამოსით არ შეიმოსებიან და ბალახის ფესვები ახალ დეროებს არ ამოუშვებს. მაგრამ არის ერთი ვინმე დიდი, რომელიც დაიძინებს ხოლმე და თავისთან ერთად ყველას დაძინებს; ბავშვები ერთმანეთს გაკვირვებულნი უცქერიან.

— ეს ხომ თვით დედა-მიწაა, ბავშვებო, რომელიც ზამთრობით ციდგება და იყინება, როდესაც ოთვლი და ყინული თეთრი საბანივით ზედ გადაეფარება ხოლმე. დედა-მიწა—დედაა მცენარეებისა და ცხოველები მისი შვილებია. როდესაც დედა დაიძინებს, ბავშვებმაც უსათუოდ უნდა დაიძინონ, თორემ ანა მაშინ მათ ვიდა აჭმევს? რად უნდა დაიძინონ, მაგალითებრ მწერებმა? თქვენ არ გახსოვთ, რითი იკვებებიან მწერები?

— რაგორ არა... ყვავილების მტვერით... ბალახით ..

— დიახ, უფრო მცენარეებით, მაგრამ მცენარეები ხომ იყინებიან და კვდებიან ზამთარში... ამიტომ მწერებმაც უნდა დაიძინონ... რა კი მწერები არ იქნებიან, ვინ უნდა დაიძინოს კიდევ? ვინ იკვებება მწერებით? ანა მოიგონეთ?..

— ბუაუები... ჩიტები...

— და მართალია ბუაუებიც დაიძინებენ ხოლმე, ჩიტები კი, რომლებიც მწერებით იკვებებიან, რაგორც, მაგალითებრ ,მერცხლები, მიფრინავენ თბილ ქვეყანაში. იძინებს აგრეთვე დათვი, რადგანაც ნაოფი ადარ არის; ციყვი, რომელსაც კაკალი და თხილი ადარ აქვს.

— ციყვი რომ ზამთრისათვის კაკლებს იმზადებს?

— მართალია იმზადებს, მაგრამ იმდენს არა, რომ მთელ ზამთარს ეყოს. ციყვმა რომ ბევრი იხტუნოს, მოშიდება და ზამთრის შენახული სარჩო ადარ ეყოფა. ყვავილები, მიწის ყოველნაირი ნაოფი, კაკლები, ყველა ესენი მიწის წვენით იკვებებიან. რაკი მიწა გაიყინება და დაიძინებს, მცენარეებიც და ცხოველების მომეტებული ნაწილიც დაიძინებს ხოლმე ამასთან ერთად. მაგრამ, ანა ერთი ეს მითხარით ბავშვებო, ვინ გაადვიძებს დედა-მიწას ძილისაგან?

— გაზაფხული... გაზაფხული...

— მართალია. მაგრამ ვინ არის ის ბრწყინვალე, მშვენიერი ბრინცი, რომელიც ადვიძებს დედა-მიწას გაზაფხულზედ?..

მზე... მზე...

აქ ქ-ნმა მოხომ დაუხატა ბავშვებს გაზაფხულის სურათი, როდესაც მზე თავისი ცხოველი, მხურვალე სხივებით ათბობს დედა-მიწას და ანთავისუფლებს მას ყინულის ბორკილისაგან. შემდეგ ქ-ნმა მოხომ ურჩია ბავშვებს ედევნებინათ თვალ-ყური დედა-მიწის გადვიძებისათვის, გაზაფხულის პირველ ნიშნებისათვის და ოფელი თავიანთი დაკვირვება გაუზიარებინათ მისთვის და ამხანაგებისათვის.

— ეხლა კი, აიღეთ ხატვის რვეულები, და „მეფის მძინარე ასულიდან“ დამიხატეთ ის, რაც ყველაზე ძალიან მოგეწონათ. ბავშვები გატაცებით შეუდგნენ საქმეს და ხუთი წუთის შემდეგ სურათები მზად იყო. თუ რომ მხედველობაში მივიღებთ პატარა მხატვრების ხნო-

ვანობას და სწრაფ ასრულებას, მაშინ ეს ნახატები ძალიან კარგი იყო. მე ძალიან დამაინტერესა იმან, თუ რა არჩია თვითეულმა ბავშვმა. ტოტხალმა ვერონიკამ აირჩია ის სცენა, რომელსაც მეფის ასული ართავს თითის ტარზედ კუდიან დედა-კაცის წინ და თითის ტარს ზედ დაეგება. ოცნებით სავსე ადეკმა დახატა ათ სართულიანი კოშკი და ბრინცი, რომელიც ფანჯარასთან მიდგმულ კიბეზედ ადის მეფის მძინარე ასულთან. შემდეგ ჩვიხედე ბატარა, დუნდულა ოგიუსტის რვეულში, რომელსაც დაეხატა ხეები დიდრონი ეკლებით; ტეიდან მოსჩანდა კოშკის წვერები.

— არა გნებავთ ნახოთ წარსული გაკვეთილის ნახატები?—მკითხა ქ-ნმა მონომ.—რომელსაც ბავშვებს გავაცანით ოკეანე, ქარი, კომეტა, მაშინ უამბე მათ ამერიკის ადმოჩენაზედ კოლუმბის მიერ და ეს ყველაფერი ბავშვებმა სურათებით გამოხატეს. ყველაზე საგულისხმიერო ბავშვების სურათებში იყო ისტორიის არეკვა აწინდელ სინამდვილეში. დიდებული იყო კოლუმბი, რომელიც რკინის გზის მატარებლით მიმოგზაურობდა ამერიკაში და თან ახლად ორი ინდოელი: მემანქანე და ფეჩის მეთვალყურე. როცა ქ-ნი მონო ატიკებდა ბავშვებს, მოაგონა, რომ ყურადღებით დაჰკვირვებოდნენ გაზაფხულის მოახლოვებას.

— მე კი,—დაუმატა მან,—ხვალ მოვიტან ყვავილების და ბოსტნეულობის ოესლს. თვითეული თესლი—ეს მეფის მძინარე ასულია. იმას სძინავს, და რომ მოგვცეს ულორტი, ლერო, ყვავილი და ახალი თესლი, უნდა ვიცოდეთ მისი გაღვიძება. ხვალ გიჩვენებთ, თუ როგორა ხდება ეს.

ბავშვების წასვლის შემდეგ, მე არ შემეძლო ჩემი აღტაცება არ გამომეცხადებინა ქ-ნ მონოსათვის ზღაპრის ამისთანა შშვენიერ გამოყენებისათვის. ამით მან გაუღვიძა ბავშვებს ინტერესი გაღვიძებულ ბუნებისადმი.

— თქვეს იცით,—შეიშნა იმან,—რომ მშობლების მომეტებული ნაწილი წინააღმდეგია ოთვალნაირ ზღაპრებისა და თხოულობენ, რომ ბავშვებს მარტო ნამდვილი ცოდნა მიეცეს. რას იტყვით ამაზედ?

— რას ვიტყვი?—გავიდიმე მე.—ამ მოთხოვნილებაში ვცნობ ამ დროის ბრაქტიკულ სულს: მეტი ჭკვა, ცოდნა, ფხიზელი სჯა, ნაკლები ფანტაზია, ოცნება. უბედურება იმაშია, რომ რამდენიც გინდა შეისწავლო ასაშენებელ მასალების თვისებები, უიდეოდ, უოცნებოთ მაინც ვერაფერს შეჰქმნი, ვერაფერს აშენებ. და თუ ბავშვში ჩვენ მოვკალით ოცნება, ამით ჩვენა ვკლავთ შემოქმედების სულს კატობრიობაში. გაჰქრა ოცნება და ადამიანიც სინამდვილის მონათ იქცევა; ცხოვრება შესდგება, გაჰქრება. უზღაპრებოთ, უოცნებოთ, ფანტაზიის ფრთების შეკვეცით, როდესაც შეუძლებელი შესაძლებლად მიაჩნიათ და როდესაც ადამიანი ვერა გრძნობს თავისუფალ ადმაფრენის საზღვრებს, მიწა დაიძინებს, დაიძინებს საუკუნოდ, და ვერც ერთი ბრინცი იმას ვერ გაადვიძებს.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ საკითხში ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით.

მე ვკითხე შემდეგ ქ-ნ მონოს, რით ხელმძღვანელობს იგი სწავლის საგნების არჩევაში, ან აქვს თუ არა რამე გეგმა, პროგრამა?..

— ჩვენ ვცდილობთ, უმთავრეს წერტილად თვით ცხოვრება დავისახოთ, იქნება ეს ბუნება, გარშემო მოწყობილობა, თუ რამე შემოხვევა, რომელმაც ბავშვები დაინტერესა. რასაკვირველია, თვით დროთა შეცვლა გვაძლევს ჩვენ ბუნებრივ გეგმას. ჩვენ ვუკვირდებით, თვალ-ყურს ვადევნებთ დარს და ვადგენთ კიდეც ბატარა მეტეოროლოგიურ დღიურს.

აქ ქ-ნმა მონომ გამოიწოდა სქელი ქაღალდი, რომელზედაც სვეტებათ დახაზული იყო თვის ყველა დღეები. ამ დახაზულებზედ მიკრული იყო სხვა და სხვა ფერის ქაღალდები.

— ეს ფერადი ქაღალდების ბირობითი

ნიშნებია; ძალიან ეკითხული—მშვენიერი მზიანი დღეა, ეობრალი—მოდრუბლული და სხვა. ერთი თვალის გადავლებით თქვენ შეამჩნევთ, თუ როგორი დარით გაიარა ამა თუ იმ თვემ. ხედავთ რა ტოტა მზიანი დღეები ეოფილა...

— ერთი ეს მითხარით, მკაცრად განსაზღვრულ ხრიგრამის უქონლობას თქვენ მეცადინეობაში არ შეაქვს არეულ-დარეულობა და ზერელეობა?

სრულიადაც არა. არავითარი არეულ-დარეულობა აქ არ შეიძლება, რადგანაც ეველა მოგლენას, გინდა შემოხვევითს, ჩვენ უკავშირებთ ბავშვის წარმოდგენას, რომელიც მას უკვე აქვს; ამით ბავშვის მსოფლ მხედველობა თავის მთლიანობას არა ჰკარგავს. ამა თანავე: რიგორც ნახეთ, ჩვენ მაინცა და მაინც გვაქვს სწავლის სისტემა. რაც შეეხება ზერელობას, ჩვენ მისი დიდი მტერნი ვართ. ბრავალ-ფერეოვანი ცხოვრების შთაბეჭდილებანი ბავშვს სულს უხუთავს; იგი ეჩვევა ქარაფშუტულ, ეეურადღებო გადახტომას ერთ საგნიდან მეორეზედ. ჩვენ ვებრძვით ამას, ვაჩვევთ ბავშვს დაკვირვებას, საგანში დრმად ჩახედვას, და არც ერთ საგანს არა ვტოვებთ, ვიდრე დრმად არ შეგისწავლით, ვიდრე არ ვაჩვენებთ მის დამოკიდებულებას კარშემო საგნებთან; რა საგანიც უნდა იეოს: ცხოველი, მცენარე თუ რამე ნაწარმოები, ეველა ამათ ჩვენ ვუჩვენებთ ბავშვებს ნამდვილად; ჩვენ გავატარებთ მას არა თუ მარტო მის აზრში, არამედ ეოველ მის გრძნობაში: ბავშვი ნახავს მას, დახატავს, შეეერწყვის თიხისაგან, გაკეთებს ქაღალდის ან ხისაგან, გამოხატავს ფერადებით და მიმოხვრით; იმდერებს იმაზედ სიმდერას, მოისმენს მუსიკას, ერთი სიტეევით შეითვისებს მას ეოველი თავის გრძნობით, სრულიად. აქ რადა ზერელობა იქნება?

მივდიოდი ამ ხატარა ბაღიდან, მოხიბლული ნანახით და გაგონილით. . აქ შეიძლება რამე ისწავლოს ადამიანმა და კიდევაც დავბრუნდები. რამდენის რისმე კაკეთება შეიძლება სულ უბრალო, მტირე საშუალებით! მე მინახავს სკოლა, სადაც ბავშვის ნიჭი და ძალა თანაბრად ვითარდება, სადაც მისი ხიროვნება არამც თუ ისპობა, არამედ ვითარდება იქამდინ, რამ ორჯელ მისვლით, ხასუხებით, ნახატებით, სამდერების არჩევით გავიცანი ბავშვების ხასიათი და გემოვნება უფრო კარგა, ვიდრე რომელიმე ოფიციალურ სკოლის მასწავლებელი ორ წელიწადში. მე ვნახე სკოლა, რომელიც არ იეო მოწეეტილი ცხოვრებას, რათა არ გადაიქცეს ბავშვისათვის საზერობილეთ, არამედ სკოლა, რომელიც შეადგენს ცხოვრებასთან ერთად ერთ ერთეულს, რომელიც ეველა საკითხებს აძლევს ხასუხს, სადაც ბავშვები ბედნიერნი არიან, სადაც ისინი იძენენ სწავლას თავისუფლად, მხიარულად, ბუნებრივად, როგორც მცენარის ძირი სწოვს მიწიდან წვენს, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საზრდოთი გაივსოს.

კატო ბაქ—ძე.

1913 წ. 27 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(ნაწილი პირველი)

II.

ნშირად ყოფილა, რომ ხანგრძლივი ომისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ქართველი ხალხის მაჯის ცემა მიყუჩებულა და როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს ესაჭიროება დახარჯულ ენერგიის დაგროვება, აგრე ერთხან დასვენების შემდეგ იგი ისევ შესდგომია ინტენსიურ ცხოვრებას. ძლიერ ძუნწი გამოდგა მე-XII საუკუნე, რომ შემდგომ საუკუნეთ არ გადასცა ის ცხოველ-მყოფელი ძალა, რომელიც მას ასე მოჭარბებით ებადება. მე-XII საუკუნეში დააღწია თავი ქართულმა მწერლობამ ბიზანტიურ, სქოლასტიურ გავლენას და სპარსულ-ბიზანტიური კულტურა თავისებურათ შეაზავა. მთელი სამი-ოთხი საუკუნე ჩვენ არა მოგვეპოვება რა ისეთი, რომლის ამოყენებაც შეიძლებოდეს მე-XII საუკუნის ნაწარმოებებთან, თითქოს ხალხის გენიოსობამ ვეფხის-ტყაოსანში მიაღწია უმწვერვალესობას და იქ გაიყინაო. სიტყვა-კაზმულ მწერლობაში არ მოიძებნება არაფერი ღირს-შესანიშნავ, გარდა იმ მოლექსეებისა, რომელნიც უხეიროდ რუსთაველობდნენ. პროფ. მარრი ამ ძველი და ახალი საქართველოს შორის ასეთი უფსკრულის გაჩენის დროთ ასახელებს მონღოლთა შემოსევას და ამბობს: ამ დროს საუბედუროთ არა მარტო საერო მწერლობა განადგურდაო. „ამ დრომდი (თემურ-ლენგის შემოსევა) საქართველო არ ასცილებია იმ კალაპოტს, რომელიც თამარის წასულ დიდებულ ეპოქამ აღბეჭდაო“, განაგრძობს იგი. მივუახლოვდებით რა მე-XVII საუკუნეს, აქ ქართველთა მუზა თითქოს ისევ იღვიძებს და იმდენი პოეტებიც კი გამოჩნდნენ, რომ 1712 წელს არჩილ მეფემ საჭიროთ დაინახა ამ ღირებულებათა შეფასება. ბოლოს დავით გურამიშვილი დგას თითქმის ორი ქვეყნის, სპარსული გავლენის ქვეშ მყოფ და უკვე გამორკვეული ნაციონალური მწერლობის შუა. ამ დროიდან მწერლობა უფრო და უფრო უახლოვდება ხალხს და მთელი ერის ეროვნული გრძნობის გამომხატველი დგება. „ახალ ეპოქის დასაწყისი თეორიულად ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში მზადდებოდა ევროპიულ მეცნიერთა ქართულად თარგმნით, რასაც წინ კიდევ მისიონერთა განმანათლებელი მოღვაწეობა მიუძღოდა“ *). ის ეროვნული შეგნება და მისწრაფებანი, რომელნიც გურამიშვილს ეტყობა და იმ თავითვე XVII და XVIII საუკ. მწერლებმა აიტაცეს და ააყვავეს, თითონ ქართველ ხალხსაც არასოდეს არ დავიწყებია. „ქართველი ხალხი გაჟღენთილი იყო იმავე ნაციონალური მისწრაფებით და არასოდეს არ დავიწყნია იგი აღეარებიაო“ (ნ. მარრი. იქვე). გურამიშვილი იხედება უკან, იგი

---

*) Проф. Марр. Исторія Грузіи 25 გვ.

იქ ჰხედავს და ჰკიცხავს შინაობაში ერთი მეორის დაუნდობლობას და ინტრიგებს, რადგანაც იცის, რომ ამის წყალობით მის სამშობლოს გარს უთვალავი მტერი შემოხვევია და გაწეწას უქადის. როდესაც ერს თავის დიდებულ წარსულიდან არაფერი დარჩენია გარდა მწარე მოგონებისა, როდესაც აწმყოშიაც ვერა ჰხედავს რასმე საიმედო და სასიქადულოს, მაშინ მგოსნები, რომელნიც ხალხის უმწვერვალეს გრძნობათა დუღილის ნაყოფნი არიან, თუ ხანდახან სახმატკბილოთ მომართავენ თავიანთ ჩანგს, უფრო ხშირად სამგლოვიარო ჰანგები ამოისმის იმათი გულის სიღრმიდან. საქართველომ ბევრი რამ დაჰკარგა, ერთობ ბევრი სისხლი დაიღვარა და ამ „თავგანწირულმა სულის კვეთებამ“ ქართულ ეროვნულ ლიტერატურაში მწარე მოგონების ადგილი დაიჭირა. თუ ქართველობამ საუკუნოების განმავლობაში ცხოვრების ასეთი უნარი გამოიჩინა, თუ იგი დაუზოგველად გმირი ზურაბივით ცოცხლივ იმარხებოდა იმ შენობის კედლებში, რომელსაც ეროვნება ეწოდება, იგი შეიძლებს მოიკლას წარსულ დროებზე დარდი; იგი დაივიწყებს იმას, რაც დასავიწყია და რაც დამარხულა, „რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა“, შეუდგება ახალ ცხოვრებას და არ დაივიწყებს, „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეოთხადი, ჩვენ უნდა მივსტეთ მოამავალი ხალხს“.

პირველად ამ ხმებზე დავით გურამიშვილმა ააჟღერა ჩანგი და შემდგომ მგოსნებმა კი იგი უფრო გაამშვენიერეს, გააკეთილშობილეს და ერობრივი შეგნებაგანვითარებას და დროს შეუფარდეს. ამ წარსულმა ღირსეული შინაარსიც მისცა მწერლობას.

დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა ძირითადი მოტივები: სამშობლოს უმწეო მდგომარეობით გამოწვეული სიყვარული რაღაც მისტიური აიაზმით ნასხურები იყო. გურამიშვილი ეხება საქართველოს სამაჰმადიანოსთან დამოკიდებულებას, ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე კი მოწამე იყო საქართველოს ახალი ცხოვრებისა, მაგრამ როგორც სხვა მრავალს, ისე დაებნა გზა-კვალი, რომ ვერ გამოერკვია რა პოზიცია უნდა დაეჭირა და როგორ შეხვედროდა ახალ-მდგომარეობას. ამ გამოურკვევლობისაგან გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ღრმა კვალი დააჩნია მის ნაწარმოებთ. მასში ჯერ კიდევ სჩქეფს წინაპართა მოუსვენარი სისხლი; სილაღეს მიჩვეული მისი ბუნება ამ სოფლის ნეტარებას ეტრფიალება და სამხრეთის მზის სხივით გამთბარ სიყვარულის მორევისაკენ მიიწევს:

„ჭოი ვინც არებთ თავისუფლებით,
ნუ ეტრფით ვარდთა გარს შემოვლებით!
მიეახლენით გულისა ხლებით“-ო.

მგოსნის ასეთ „მეტად ხორციელ“ შეხედულებას სიყვარულზე კ. აბაშიძე ხსნის სპარსული და აზიური გავლენით. მართალია, ალ. ჭავჭავაძე თუმცა პირველია, რომელიც შეეცადა სპარსულ და არაბულ გავლენისაგან თავი დაეღწია, მაგრამ სავსებით, რასაკვირველია, ვერ განთავისუფლდა, რადგან სამაგალითოდ მას მე-XVII და VXIII-ის ქართულ მწერლობის აღორძინების ხანის მგოსნები ჰყავდა. იმათ დროს კი ძლიერი იყო სპარსული გავლენა. თვით მეფე თეიმურაზ I სპარსეთის შაჰის კარზე გაზდილი იყო, მშვენივრად იცნობდა სპარსულ მწერლობას და სწორეთ მის მეოხებით გამოინასკვა ის ორ გვარი მიმართულება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სპარსულ-ეროტიული და ქართული ეროვნული.

ამ მიმართულებათ შესაფერი ხარკი გადაუხადეს მე-XVIII საუკუნის მწერლებმა: თვით თეიმურაზმა, არჩილ მეფემ, იოსებ თბილელმა, დავით გურამიშვილმა და ბესიკ გაბაშვილმა. ამ მიმართულებათა შეერთება მოინდომა ალ. ჭავჭავაძემ, რომელსაც მისთვის ანგარიშ-მიუცემელი მწუხარება უღრღნიდა გულს. ეს მწუხარება იყო ნაყოფი იმ დიადი „ეროვნული ვაებისა“, რომლითაც მე-XIX საუკუნის ქართველი ხალხის ცხოვრება გაჟღენთილი იყო. სპარსულ გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ფორმის მხრით, მაგრამ რაც შეეხება სიყვარულის ხასიათს, არავისი გავლენა არ ესაჭიროება ალ. ჭავჭაძეს, რომ მას შეექმ და ედიდებინა არა საიმქვეყნო, უსუსური და სენტიმენტალური სიყვარული, არამედ ამ ქვეყნიური, ძლიერი გრძნობათა ამშლელი და საღი სიყვარული.

„სიყვარულო! ძალსა შენსა
ვინ არს რომე არ მონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტკბილად,
ოხვრას ხარკად არა გტემდეს?“-ო

დამღერის მგოსანი, მაგრამ ამ სიყვარულს თითონ კი სრულად ვერ მისცემია, თავის ჭმუნვა ვერ დაუვიწყნია. იგი გრძნობს, რომ მის გარშემო არსებობს ის ზღვა ვაებისა, რომლის ნაკადია მისი დაღვრემილებაც, რომელიც ათქმევინებს:

„ვჭმუნავთ ბედ-მწირნი,
ბვწვევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი!“

თვით იგი ვერ გამოერკვა ამ მდგომარეობიდან, იგი ვერ ჩასწვდა ხალხის გულის თქმას; იგი კისრულობს მომავლის ბუნდოვან წინასწარმეტყველობას და აწმყო კი მისთვის დადუმებულია:

„აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი“,

ამბობს იგი გადაჰხედავს რა გოგჩის ტბის მიდამოებს და ნანგრევებს და უიმედოთ განაგრძობს:

„მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ ხედავ.
ძმობილო?!“

ალ. ჭავჭავაძე გრძნობდა და თანაუგრძნობდა ხალხის დარდებს, მას ესმოდა ხალხის გლოვა, მაგრამ ვერ შეეგნო მისი მიზეზთა სიდიადე. მგოსანმა დარდის გასაქარვებლად სრული ნება მისცა თავის მგზნებარე ბუნებას და მართლაც „ვარდ-ბულბულის“ მომღერალ პოეტად გადაიქცა, მაგრამ მისი ჩანგი მთლად სახმა-ტკბილოდ არ იყო მომართული. მას სურდა ურჩი გონება სიყვარულში და ღვინოში ჩაეხრჩო, მაგრამ თავის მგრძნობიარე გულს იგი მაინც ვერ იჩლუნგებდა და უფრო ღრმათ გრძნობდა თავის დარდების სიმწვავეს. ალექსანდრეს შეეძლო თავისთავზე ეთქვა ეს ხალხის გულიდან ამონაკვნესი სიტყვები:

„განა ლადი ვარ, რომ ვმღერი?—გულისა
დარდსა ვიქარგი!
ვინაც ჩემზე სთქვა ლადია, ესეთი ლადი ის
არი!“

მის შემდგომ მგოსანს წილად ხვდა უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა ამ ეროვნულ გოდებას, თუმცა ვერც იმან შეიძლო სავსებით ჩასწვდომოდა მას და გაეზომა მისი სიგრძე-სიგანე. რაც დრო გადიოდა მით უფრო ძლიერდებოდა იგი ერის შეგნებაში; ეგ გაძლიერერებული გრძნობა უკმაყოფილებისა გულს უღრღნიდა ნიკ. ბარათაშვილს და რადგან ადამიანთ წესია ჭირთა გამოთქმა, იგი თავის პოეზიის საგნად საკუთარ პიროვნების ვარამთან ერთად ამ ვაებასა ჰხდის. რომანტიულ ჰანგზე მომართულ თავის ჩანგის ხმაზე მგოსანი სცდილობს დაივიწყოს „საწუთროება“, მისი „გულის თქმა“ ვარსკვლავთ იქით ქვეყნებში „ეძიებს სადგურს“, მაგრამ ნ.

ბარათაშვილი ერთობ მგრძნობიერი მგოსანია, იმას ერთობ ღრმად ჰქონდა არსებაში გაჟღენთილი თავისი ერის საამქვეყნო მწუხარება, რომ შესძლებოდა სრულებით თვალი მოერიდებინა ამ ქვეყნისათვის და თითონ დამტკბარიყო ბუნების სიმშვენიერით, რომელსაც იგი ისე ღრმად გრძნობდა, რომ სიტყვით გამოთქმა ვერ მოეხერხებინა:

„მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი
სძღვენით მას შვება“-ო.

ღრმა გრძნობა სიმშვენიერის სიტკბოებისა და უკვდავი სიყვარულისა ისეთ წერტილამდე იყო მასში განვითარებული, რომ მართლაც შეეძლო ეთქვა: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს, უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“-ო. მგოსანი, გრძნობს რომ „ჭმუნვარება“ მძიმეთ აწვება გულზე, იგი მიისწრაფის საღამო ჟამზე მთაწმინდის მყუდრო არე-მარეში და იმისთვის უყვარს ეს ბინდი ღამისა, რომ:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დიდა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათებს».

ადამიანის ბუნებაში ერთი ისეთი თვისებაა ჩანერგილი, ურომლისოდაც ადამიანი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა სხვა ცხოველთა წინ; მისთვის ევოლიუციის კანონი თვისებით და რაოდენობით იგივე იქნებოდა, როგორც მდაბალ ცხოველთათვის. ვიცით რომ ყოველი არსი თანდათან ვითარდება: უბრალო თბედან ვლებულობთ უჯრედებს, თითოეული რომელთაგანიც რთული აგრეგატია; ამათგან შესდგება ორგანიზმი, უფრო რთული, რომელიც ყოველ მის გარემოს ცვალებადობის მსგავსად იცვლება, რადგან ყოველ ორგანიულ სახეს აქვს მინიჭებული თვისება შეგუებისა. მაშინ, როდესაც ყოველი მდაბალი სახე პასიურად განიცდის ბუნების ზედგავლენას, ადამიანში ჩანერგილია ისეთი თვისება, რომლის წყალობითაც მან გადმოაბიჯა იმ წრეს, რომელიც აქამდის თვალსაჩინოთ გავლებულია იმ პირველთა და homo sapiens-ის გვარის ცხოველთა შორის. თვით ადამიანთა ქცევის მოტივებშიაც არ მოიძებნება თავიდან ბოლომდე ისეთი მომენტები ნების გამოცხადებისა, რომელთაც მიზან შეწონილი ხასიათი ჰქონდეთ, თორემ დაბალ საფეხურზე მდგარ ცხოველებში ხომ ესა თუ ის ემოციები მხოლოდ ფიზიოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენდებიან ხოლმე და მათ ფსიხოლოგიური ხასიათი ძლიერ ნაკლებად ეტყობათ. პროფ. ლ. ი. პეტრაჟიცკი ამტკიცებს თვით დარვინის ევოლიუციონურ ჰიპოტეზის მიხედვით, რომ პრიმიტიულ ცხოველთა და თვით ჩვენი შორეულ წინაპართა მამოქმედებელი მოტივები მარტივი ემოციონალური მოტივებია და ძლიერ განირჩევიან იმ ორპირი, რთული პასივო-აქტიურ მოტივებში, რომელნიც შემდეგ მომხდარ ფსიხიური დიფერენციაციის ნაყოფი არიანო და როდესაც პრიმიტიულ ცხოველების მოქმედებაშიაც შეგნების პროცესს ჰხედვენ, ეგ მხოლოდ ანთროპომორფიული მოსაზრებით მოსდითო *). ბუნებას არ უყვარს ერთგვარობა და მასში ცნება ინდივიდუალობისა მტკიცედ დაცულია; ყველაზე უფრო კი ეგ ინდივიდუალობა ადამიანშია განვითარებული. თვით ადამიანის ბუნებაშიაც ღრმად, არის ჩანერგილი გრძნობა, წადილი სხვა და სხვაობისა და არსებულით უკმაყოფილებისა. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარი ცხოველი შეგნე-

*) Теорія права и государства въ связи съ теоріей нравств. I, 19, 20, 21 ст.

ბულად არ განიცდის თავის მდგომარეობის ღირებულებას. ოღონდ შესაძლებელი იყოს მისთვის ფიზიოლოგიური არსებობა, ოღონდ მის ფიზიურ და ქიმიურ ენერგიას გასავალი ჰქონდეს (ფსიხოლოგები ნერვების მოძრაობას ქიმიურ რეაქციას ადარებენენ), და იგი მისი ღირებულების შეფასებაში არ შევა. მისთვის არსებული თვით სიცოცხლეა, თვით მიზანია. ადამიანის თვით წმინდა მოტორულ რეაქციასაც კი თან შეგნებაც ახლავს; იგი ყოველთვის სასწორით ხელში უახლოვდება არსებულს და ამიტომაც იგი „კმაყოფილი და ბედნიერი“ არასოდეს არ არის. ადამიანი, რომელსაც შეუსრულებია თავისი სურვილები და მეტი აღარაფერი აქვს სასურველი მის სულს, უსრულია, იგი არ არის ღირსი ადამიანის სახელის ტარებისა. თვით ჩვენი ცხოვრება, რომელიც გამოხატულებაა ტანჯვისა და ნეტარების ურთიერთობისა, ყოვლად უფერულია, უშინაარსო და უღირსი, თუ იგი დაცალგვერდებულია ე. ი. თუ ჩვენ ვცდილობთ შევიმციროთ სურვილები იმ ზომამდე, რომელთა შესრულებაც უთუოდ შეგვეძლება. ელინთა ფილოსოფოსი ანტისთენი, ცინიკთა სკოლის მამამთავარი, ზნეობრივ თავისუფლებას საჭიროებათა, სურვილთა უქონლობაში ჰხედავდა. ამ სკოლიდან გამომდინარე სტოიკებიც სიბრძნეს ბუნებრივ ძალთა განწყობილების მორჩილებაში ჰხედავდნენ და სულელად მიაჩნდათ ის, ვინც ჰბედავს არსებულის, და მაშასადამე ბუნებრივის ურჩობას; კაცობრიობის ცხოვრებას რომ ჩავუკვირდეთ, რომ დავაკვირდეთ საუკუნოებით შემუშავებულ თეორიებს და სისტემებს, იმ დასკვნამდი მივდივართ, რომ კაცობრიობის თვით საოცნებო „ჭეშმარიტება“ (истина), ჯერაც ერთობ გამოურკვეველი სახისაა. სად არის ისეთი გარანტია, ისეთი კრიტერიუმი, რომელმაც ამა თუ იმ მსოფლმხედველობის, ფილოსოფიურ სისტემის ობიექტიურ სიმართლეში, უცდომლობაში დაგვარწმუნოს?! არსებობენ სხვა და სხვა დროის მეტად თუ ნაკლებად გენიალური, მახვილი გონებისა და ღრმა დაკვირვების ნაკარნახები სისტემები ჭეშმარიტების ძიების გზაზე; არიან მხოლოდ მათი მოწინააღმდეგენი და მიმდევარნი და ადამიანისათვის არ არსებობს ისეთი ავტორიტეტი, რომელმაც გადასწყვიტოს რომელიმესი აბსოლუტური სიმართლე, და ამ მხრით მართალი იყო ნიცშე, რომა სთქვა: თვით ჭეშმარიტებაც ინდივიდუალურიაო. შეიძლება ადამიანმა დიოგენივით ბოჭკაშიაც მოიპოვოს ბედნიერება, მაგრამ როდესაც იგი გონების თვალით იმ ხაზს გადაჰხედავს, რომელიც მის „წინაპარ მაიმუნსა“ და თანამედროვე „ადამიანის“ შორის არის გავლებული, გაითვალისწინებს იმ ბრძოლას, რომელიც საჭირო იყო ასეთი გასაოცარი ცვლილების მოსახდენად, იგი მორჩილების, კმაყოფილების, პასივობის თეორიას ვერ აღიარებს თავის სახელმძღვანოთ და ამ მშვიდობიანობაში, გონიერ მორჩილებაში ვერ ჰპოვებს ბედნიერებას. დარვინის ასი წლის იუბილეს დღეს პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფ. შიმკევიჩმა სხვათა შორისა, სთქვა: „ბევრს დარვინის თეორია ადამიანის უმდაბლეს ცხოველიდან წარმოშობისა მისი ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნია, მაგრამ როდესაც ჩვენს შორეულ წინაპარს ადამიანს დავუპირდაპირებ, ადამიანისათვის სიხარულით ვივსები, რადგანაც თუ იგი მართლა მაიმუნიდან განვითარების ასეთ სიმაღლემდე ავიდა, უკეთესობისაკენ მის ევოლიუციას მომავალშიც საზღვარი არ ექნებაო. საგულისხმო აზრია წარმოთქმული მეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ამ სიტყვებით და ამ უკეთესობისაკენ მისწრაფებისთვის საზოგადოება ერთ წუთსაც ვერ შესწყვეტს ბრძოლას, მოძრაობას; იგი ამ ბრძოლის დროს ვითარდება, ამ ბრძოლას კი შინაარს პიროვნების ის თვისება აძლევს, რომელიც „არსებულით უკმაყოფილებაში“ მდგომარეობს. მართლადაც, რომ არ ჩნდებოდნენ ისეთი პირები, რომელნიც წინ უსწრებენ საზოგადოების არსებულ მდგომარეობას და შეგნებას, რომელნიც წინ მიისწრაფიან, მიუთითებენ კაცობრიობას შორს მბჟუტავ იდეალებზე, ცხოვრება შეჩერდებოდა და არც ისტორია იქნებოდა. სიმონიდან მოკიდებული მეცნიერები ისტორიაში ორგვარ ფაზას ამჩნევენ: ორგანიულს და კრიტიკულს *). აი ეს „არსებული უკმაყოფილება» რომ არ არსებობდეს, კაცობრიობა ვერ გადასცდებოდა ამ ორგანულ ეპოქას და ახლამდისაც პირველ-ყოფილ მდგომარეობაშა იქნებოდა. ამ უკმაყოფილების უმწვერვალესობამდე განვითარება დიდ-ბუნებოვან ადამიანთა ხვედრია; ისინი სხვებზე უფრო ძლიერ გრძნობენ არსებულ მდგომარეობის სიმწვავეს და სცდილობენ თავი დააღწიონ ამ აუტანელ მდგომარეობას. აი აქ იწყება მათი დიადი მნიშვნელობაც პროგრესისათვის.

ეს „არსებულით უკმაყოფილება“, თავისი ხვედრით უკმაყოფილება, რაც კაცობრიობის მამოძრავებელ თვისებათ მიგვაჩნია, ნ. ბარათაშვილში უმწვერვალესობამდე განვითარებული იყო. მას შემდეგ, რაც მგოსნის სიტყვით, პირველად სცნო წუთი-სოფელი, რაღაც „იდუმალი ხმა“ ჩასძახის მას: „ეძიე, ეძიო, შენ მხვედრი შენი ვინძდო იპოვნო შენი სიშვენი!“-ო, მაგრამ იგი „მხვედრს ვერ ჭეშმარიტებდა და მით კაეშანს ვერ იშორებდა“. გადაავლებდა რა თვალს ჩვენს წარსულს, შავი ფიქრები შემოეხვეოდნენ მგოსანს და მთელი ჩვენი ცხოვრება ფუჭად და ამაოებად ეჩვენებოდა. მგოსანს ვერ აუტანია არსებული მდგომარეობა, იგი თავს თავისუფლად ვერა გრძნობს, იგი გულგატეხილია სოფლის ამაოებით და მისთვის „შვება“ მხოლოდ „ოხვრაა უბედურისა». მგოსანს შეუგნია ამ „ცრუ სოფლის ამაოება“, გული მოკლული აქვს „კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით“, მან განიცადა სიძნელე სულის სიობლისა, იგი მიხვდა, რომ წუთი სოფელ არა არის „თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი“, ერთი სიტყვით მგოსანი თითქმის სიცოცხლის უარყოფამდი მიდის, მაგრამ... „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვიდნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“-ო. აქ ცოტაოდენი ეჭვი იბადება ჩვენი მგოსნის ზნეობრივ, უკედ რომა ვსთქვათ, სულიერ სიძლიერეზე, რამდენადაც „სოფლის მიდევნაზე“-ა ლაპარაკი, მაგრამ ეს ეჭვი შემდეგი მისივე სიტყვებით ქარწყლდება:... არც კაცი ვარგა, რომ ტოტსადი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელსა არა რა არგოს“-ო. აქ ჩვენის აზრით მგოსანი იმიტომ ურიგდება ცხოვრებას, რომ მის სულიერ ნათესავ ნიკშესავით, რაკი სცხოვრობს, სურს ეს სიცოცხლე, რაც შეიძლება, მშვენიერი იყოს. ჩვენს მგოსანს არა ჰქონდა მტკიცედ გამორკვეული მსოფლმხედველობა, მას არ ჰქონდა ერთი დასრულებული ფილოსოფიური სისტემა და მისი აზრები დიდ რყევაში იყვნენ. სანამ სიჭაბუკე გახლავთ და სიყვარული გაქვთ დაჯავრიანებულ გულში დასადგურებული, ჭმუნვას ნუ დაიმჩნევთ „და შეუპოვრად წარიხოცეთ ტრემლნიცა მწარნი“-ო,

*) Карѣевъ Сущность историч. процессовъ и роль мѣности въ истор.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩვენებს ღირსეულად მგოსანი: ყოველი დრო თქვენი ასაკისა შესაფერად მოიხმარეთ, რადგანაც „სასაცილოა ბერი კაცი რომ ემაწვილობდეს, და საბრალოა, რომ ემაწვილი ბერიკაცობდეს“-ო; როდესაც იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბედმა არგუნა სიამეზე მეტი ტანჯვა და ამა სოფლად თავისუფლების იმედი ამაო გამოდგა, იგი უშიშრად ხელსა ჰკრავს თავის ბედს, იგი მზად არის გადაირიოს „ბედის სამზღვარი“ და როგორც „აქამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს. მან დასწვა ადამიანისათვის სანატრელი ნავთსაყუდელი, რომელსაც სასოება (იმედი) ეწოდება, მაგრამ მას მაინც შერჩა სალოცველი საგანი:

„შეგიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწყავ დასანატრებელს
და მისსა ფერფლსა ვითა საკმეველს
შეგსწირავ სატრფოს ჩემსა სალოცველს“.

როცა ქართველებში წინანდელ არეულობის შემდეგ მშვიდობიანობა დამყარდა და კავკასიის დასამშვიდებლად რუსის ჯართან ერთად ქართველნიც იბრძოდნენ პოეტი ძლევა მოსილად გაიძახის:

„ძრწოდე კავკასო! ახლა არს დღე შენის
ადსასრულისა!
შეთქმულან შენზე ერთ პირად ძენი ქართლისა
სრულისა“-ო,

და შემდეგ აღტაცებული ქართველებს უბრუნდება:

„ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი დიდნი
თქვენთა წინაპართა
იმერეთსა ემსგავრებელთ, ვი დამარეთ წარ-
მართთა“-ო,

ნ. ბარათაშვილი მეფე ერეკლეს გადაწყვეტილებას რუსეთთან შეერთების შესახებ აღტაცებით ეგებება. მგოსანი სდგას ერეკლე მეფის საფლავთან და ამბობს:

„აჰა ადსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი
ძენი“-ო.

...„სადაც აქამდინ ხმალით და ძალით ჭეშდა
და ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხე-
ლი!“-ო.

ჩვენმა მგოსნმა თავის ჩანგს ჩაუქსოვა თავისი ნაღვლიანი ჰანგები, ხშირად თავდავიწყებამდე ძლევა ომის სიყვარულს; ხან მტკვრის აბობოქრებულ ტალღებში კითხულობს თავის ქვეყნის წარსულს, ხან არაგვის ნაპირებზე აშლილ ტყეების და ატეხილ ჭალებ-ს ხმაურობას უგდეს ყურს, თითქოს თავისი ქვეყნის საიდუმლოება იქსურს გაიგონოსო. როდესაც თავისი პოეტიური ალღოთი იგი სწორ აზრს მოხვდებოდა მისი მგზნებარე ტემპერამენტი უუმწვერვალეს ექსტაზამდე აღწევდა და სწორედ ამისთანა წამებში წარმოითქმოდა ისეთი დიდებული და მთელი მისი ნაწარმოების უძვირფასესი მარგალიტი, როგორიცაა მისი:

„მირბის, მიმაფრენს“...

ბარათაშვილს „აღფრთოვანებს გრძნობა ნამდვილი სიყვარულისა, სადაც იგი პიროვნების თავისუფლებისათვის საომარ იარაღს იძენს“ *). ნათქვამია „ცხოვრება ბრძოლაა“-ო, მაგრამ აქამდისაც ერთ თავსამტვრევ საკითხთაგანია ის, თუ ეგ ბრძოლა-ცხოვრება რისათვის არის საჭირო? რატომ უნდა უთუოდ ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ? რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი?? ვინ იცის, ეგებ მართლაც ის სათაყვანო იდეალები, რომელთა განხორციელებისაკენ მივისწრაფით, ის ჭეშმარიტება, სიმართლე რომლის მიღწევა და დამყარება საბოლოო მიზნად დაგვისახავს, მარტოოდენ ილიუზიები იყვნენ, რომელთაც ჩვენ, ვით სინამდვილეს, ამაოდ დამამშვრალნი მივსდევთ! ვინ იცის, ეგებ ყველამ, ვინც ჩაუკვირდება ცხოვრე-

*) А. Хахановъ Ист. лит. XIX в.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, თავის სიცოცხლეს შესწირავს ამ სიმართლის ძიებას, ფაუსტივითა სთქვა: ცხოვრება განვლე; მეცნიერება ზედმიწევნით შევისწავლე, მაგრამ სულის სიმშვიდე ვერაფერმა ვერ მომანიჭა, ყოველივე ფუჭი და უძლური გამოდგა და წყეულ იყოს ადამიანის გრძნობა და გონებაო. ადამიანის ბუნება ისეთი დაუშრეტელი წყაროა ამგვარ მისწრაფებათა, სულის კვეთებისა და იჭვნეულობისა, რომ კმაყოფილებას მას ვერაფერი მიანიჭებს. მისი ხვედრია ცასა და დედამიწას შუა უბრალო ჭიასავით დაღოღავდეს და თავის უძლურ არსებაში ატარებდეს კეთილისა და ბოროტის კოლიზიას. რა საბრალოა ადამიანი სინასდვილეში მისი ძალ ღონით და რა მძიმე ვალდებულება აქვს ცხოვრებისაგან ნარგები! „თითოეული ცალკე ადამიანი მთელი ერთი ქვეყანაა, რომელიც მასთან ერთად იბადება და მასთან ერთად კვდება. ყოველ საფლავის ქვის ქვეშ სძევს მსოფლიო ისტორია“ ამბობს ჰეინე. ეს მიკროკოსმიც იმ კანონებს ექვემდებარება, რომელნიც განაგებენ მთელს ქვეყნიერებას და სხვათა შორის დაუდგარ მოძრაობის კანონს და თუ ეს აგრეა, დეე ის იდეალები, რომელნიც „მიბჟუტვით ნისლით გამო მონათობენ“ მხოლოდ აჩრდილი იყოს; დეე ნუ იქნება სიმართლე, რომელსაც კაცობრიობა დაეძებს; დეე მას ნუ ექნება მიზანი, მხოლოდ ის ბრძოლა ამ სიმართლისათვის, ის ს იდეიდო სულის კვეთება არსებობდეს მთელი თავისი სიდიადით, გამოიჩინოს მან მთელი თავისი ტიტანიური ძალა და მოინელოს კიდეც კაცობრიობა, მხოლოდ ცხოვრებას, რაკი იგი არ შეწყვეტილა, მისცეს ინტერესი, მიმზიდველობა და ვინ იცის, ეგებ, ჰუსტავ ლებონის თქმისა არ იყოს, ამ გზა და გზა ნახულობდეს კაცობრიობა სიმართლეს, რომ ლისაკენ იგი მისწრაფის.*)

აი აზრი კაცობრიობის ცხოვრებისა, რომელიც დიდი ხანია ამ სიტყვებშია გამოთქმული: „ღმერთს რომ მარჯვენა ხელში სიმართლე ეპყრა და მარცხენაში მისკენ მისწრაფება, მე მარცხენას ავირჩევდიო.“ აი ეს დიადი აზრი უდევს საფუძვლათ ნ. ბარათაშვილის იმ უუმშვენიერეს ნაწარმოებს, სადაც იგი ბედის საზღვრის იქით გადაფრენას ლამობს და თავგანწირული ეევედრება თავის მერანს:

„გაჭეგეთ ქარი, გაუბე წყალი, გადაიარე კლდენი და დრენი
გასწი, გაჭეურცხლე და შემიმოკლე მოუომენელსა სავალნი დღენი“-ო

ეს თავგანწირული მხედარი კაცობრიობის გოდების მტვირთველია; ეს ფრთოსანი მერანი მისი დაუღალავი ენერგიაა, რომელიც მას ხელს უწყობს გადალახოს, დათრგუნოს აუცილებლობის საზღვარი; ეგ „თვალბედითი შავი ყორანი“ კაცობრიობის ვარამია, იდეალის განუხორციელებით გამოწვეული, „ციური ნამი“ და „ვარსკვლავნი თანამავალნი“ ის სიამტკბილეა, რომელთაც განვიცდით ამ იდეალისაკენ „მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურს ლტოლვის დროს: ეგ აღსარებაა დიდბუნებოვან გმირისა, რომელიც ადამიანისთვის იტანჯება, რომელიც ტვირთულობს მის სულის აღფრთოვანებას.

„რაა მოგშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუდა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა;
საც დამიდამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლოო;
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა, ვამცნო გულისა მე სიდუმლოო“.

*) Густ. Лебонъ. Психологія народовъ имассъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ თუ მართლა ჩვენს მგოსანს ვერ აუტანია თავისი სამშობლო, იგი მას ვერ შეუთვისებია და ამიტომაც მიაჭენებს თავის მერანს მის საზღვრებს იქით, როგორც ეგ ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსებს ჰგონიათ? პირიქით იგი თავის სუმბულთან ერთად იტანჯება და მოსთქვამს რომ „მოკლებულია თავის სამშობლოს გულს, მის სწორთა ეკვალიდთ, მშვენიერს ცას და მის ბულბულს“...

იგი თავის ყვავილის საძებრათაც კი წავა, რომელიც „განაშორეს სამშობლოს ველსა,“ და თუ მგოსანი მზათ არის ყოველივე ის დაუტევოს, რაც მისთვის ცის ნამივით და დედა-მიწის გულივით აუცილებელი საჭიროა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავის დიად მისწრაფებას, დიად სიყვარულს უდიდეს მსხვერპლსაც შესწირავს; იგი ცრემლებს შეიშრობს და გულს დაიწვავს დასანაცრებელს რომ სისუსტემ არ დასძლიოს, რადგანაც დარწმუნებულია:

„ცუდათ (ხომ) მაინც (ადარ) ჩაიგდის ეს
განწირულის სულის კვეთება!
და გზა უკვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომთ მოძმესა ჩემსა სიძნელე
გზისა გაუადვილდეს,
და შეუმოკრად მას ჭუნე თვისი შავის ბედის
წინ გამოუქრიდეს!“

ნ. ბარათაშვილი არ არის პესიმისტი და თუ მის პოეზიას ნაღვლის ბეჭედი ატყვია, ეგ იმდენათ, რამდენათაც იმის ტემპერამენტის, ნიჭის და მისწრაფების პატრონს ვერ ეპოვნა თავისი დამაკმაყოფილებელი გარემოება და რამდენათაც მისი იდეალი შორს იყო ამ ცოდვილ ქვეყნის სინამდვილესთან.

ს. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი და საქართველო

მოკლე მიმოხილვა ურთიერთობისა

I.

შესავალი

ლიდმა ერის ერიდობამ სამასი წლის წინეთ რუსეთის მეფედ აირჩია მიხაილ თეოდორეს ძე რომანოვი, რომლის მეფობაც, თითქოს განგებითაო, ხასად მოეგლინა რუსეთსა მოწყვნილ განსაცდელთაგან.

მიხაილ თეოდორეს ძის სახელოვან მთამომავალთა შორის ხელმწიფემ ეკატერინე მეორემ 170 წლის შემდეგ თავს იდო უზენესი მფარველობა ქართლ-კახეთის და მისი მეფის ერეკლე მეორისა, ხოლო ხელმწიფემ ალექსანდრე პირველმა 18 წლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს გამგეობაცა.

ამ გვარად რომანოვთა სამეფო გვარეულობას წილად ხვდა, რუსეთის სხვაგვარიშვილ მეფეთა შორის, საბრძანებლის გაწევა სამხრეთისაკენ, რუსეთის ბატონი შეიქმნა ქართლის ბატონიცა და ორთავ ქვეყნის ბედი ერთად გამოინასკვა.

ეს თორმეტი წელიწადია, რაც ქართველობა მშვიდობიანად სცხოვრობს რუსეთის კეისართა საფარველ ქვეშ და ადარ გაისმის ხმა მდევრისა, როგორც ძველად იყო შიშიანობის დროს, როცა, გრ. ორბელიანის თქმით,

ბაბუკნი, მხნობით აღტაცებულნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერთ საძიებლად დაცემად მათზე
შეგროვდებოდენ, წამს შეტურვილნი.

მაგრამ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი კეთილ დღეობის ყამი დაუდგა 1861 წ. თებერვლის 19-სა, როცა კეთილშეგვარე ხელმწიფემ ალექსანდრე მეორემ მოსპო ბატონყმობა და 1912 წ. დეკემბრის 19-სა, როცა მისმა სახელოვანმა შვილიშვილმა ხელმწიფემ ნიკოლოზ მეორემ, მან, ვინცა ეხლა სვიანად მეფობს, კეთილ ინება და ბრძანა სრულიად გაუქმება ნაბატონარ გლეხთა დროებით ვალდებულობისა.

რუსთ ხელმწიფის მფარველობა, რუს-ქართველთ ერთობა, რომელსაც ჩვენი წინაპარნი მეთექვსმეტე საუკუნითგან შეჭნატრიდნენ, როგორც ზეციერ მანნასა, დიდი ამბავია, ბევრ ნაირად უურ დასაგდები. არა ერთი მეისტორიე აალაპარაკა და საკითხი სხვა და სხვა თვალით გაარჩევინა. ის ამბავი შეიქმნა აგრეთვე საგანი მჭევრმეტყველებისა და პოეზიისა.

II.

ცნობა მეთექვსმეტე საუკუნემდე.

საქართველოს მეფენი რუსეთის დიდ მთავრებს და მეფეებს მეთექვსმეტე საუკუნემდისაც იცნობდნენ, მაგრამ გაგონებითა, რათგანაც მიწერ-მოწერა და ურთიერთობა მათ შორის მხოლოდ შემდგომ გაიმართა. ჩრდილოეთის ამბები საქართველოში შემოდიოდა ეიეჩაუთა ქვეყნითგან. იქაურ ხალხთან საქართველოს მისვლა-მოსვლა იმდენად დიდი ჰქონდა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ არაბთა ტფილისითგან განდევნამ და მათი მფლობელობის დამხობამ მაჰმადიანთ ქვეყნებთან და მათ შორის ეიეჩაუეთთან კავშირი ვერ შეაწუხეტინა ქართველ დიდ კაცებს და დიდ ვაჭრებსა. როცა სამეფოს დიდებულნი, სპასალარნი და ერის თავნი შეიყარნენ პატრიარქისა და ეპისკოპოსთა წინაშე **„შემოყვანებად სიძისა თამარისათვის“**, ერიდობაში ხმა გაისმა რუსეთის დიდი კნიაზის ანდრია ბოგოლიუბსკის ძლიერების და რუსთა მართლმადიდებელი ქრისტიანობისა. დამსწრე ტფილელი მგვიდრი თავადი ქართლისა და ტფილისის ამირა ბულასან იცნობდა თურმე შვილს იმ კნიაზისას, **ქართლის ცხოვრების** თქმით, **დიდისა მეფისა, რომელსა ჰმონებენ სამასნი მეფენი მის კერძოსანი.** შვილი გიორგი მტირე დარჩენოდა მამასა და სავალთ (ვსეგოლოდ) ბიძისაგან დეგნილი გადახვეწილიეო ეიეჩაუეთის მეფის ქალაქს სვინჯასა. ერიდობის რჩევით და მოწონებით მაშინვე გაიგზავნა ეიეჩაუთა ქალაქში ტფილელივე დიდ ვაჭარი ზანქან ზორობაბელი, რომელმაც მოიყვანა გიორგი რუსი, მატიანის თქმით, **კაცი დიდად გვარიანი, პირითა შვენიერი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთ:გან დიდად საჩენი.** რუსუდან დედოფლისას, რომელიც მამიდა იყო თამარისა, კვლავ შეიყარნენ იგივ დიდებულნი და **„თამარს აწვევდეს ქორწინებასა“**, მაგრამ გიორგი რუსის სიძობა გამოდგა უნაყოფო და თამარ მეფე რომ სულ უძეოდ არ გადასულიყო, გაჭყარეს გიორგი რუსსა და მიათხოვეს დავით სოსლანს, ოსეთის ბაგრატიონთა გვარიშვილს, ვისკენაც ჭქონდა გული და ვისთანაც პატარობითვე შეზრდილიყო რუსუდან დედოფლის დარბაზში.

როგორც ზემოთა ვსთქვით, რუსეთთან ურთიერთობა მაშინ არავითარი ჭქონია საქართველოსა. მაშასადამე წმ. თამარ მეფის, რუსთა დინარ დედოფლის, ძლიერების ამბებიც ეიეჩაუეთის გზითვე გადასულა რუსეთში და სამკვიდროდ შექმნილა რუსთა საერო საისტორიო პოეზიისა. შესაძლოა იმ გზითვე ჭქონოდეს უკვდავ შოთა რუსთაველს რუსის სასენდი გაგონილი, რაცა ფრიდონისას მეუღლა ზანზარს მიმავალი ავთანდილის სიმდერის მოსასმენად და მის შესამობად მოსულ სხვა ერთა შორის რუსნიც მოუხსენებია თავის

ვეფხის ტყაოსანში. მაგრამ როცა რუსეთის მეფე იოანე მეოთხე მრისხანე ყაზანის აღების დროს 1552 წ. ამხნევებდა თავის ჯარს იევრთა ბრძნისა და მამაკაცისებრ გონიერის დედოფლის უდვთო სპარსეთზე მრავალჯერ გამარჯვებითა, საქართველოს ამბები ბერძენ-ბერ საქართველოს გზით უნდა ჰქონოდა გაგონილი, რათგანაც რუსეთისა და საქართველოს მეფეთა შორის ურთიერთობა უკვე დაწყებულ იყო მეთექვსმეტე საუკუნითგან. მაშასადამე იმ დროამდე რუსეთისა და საქართველოს და მათ მეფეთა შორის ურთიერთობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონია, მხოლოდ სათქმელი კია ის, რომ იმ თავითგანვე რუსთ ხელმწიფის ძღიერება და რუსთ მართლმადიდებელი ქრისტიანობა ყოფილა ისეთი ჯადო, რასაც მეტად დაუხლოვებია საქართველო რუსეთისათვის.

III.

დასაწყისი საქართველოს ერთმეფობის და ეკლესიის დარღვევისა.

1453 წ. კონსტანტინოპოლი ბურჯი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა ოსმალთაგან შეიმუსრა და ქართველთ ერთმორწმუნე და მფარველი ბიზანტიის საკეისრო დაიმხო. იმ დროითგანვე საქართველოს ბედიც უკუღმა დატრიალდა. ბიზანტიის საკეისროში, სახელდობრ მაკედონიაში, სინას მთაში, იერუსალემს, თუ საბრძანებლის სხვა ადგილებში საქართველოს დიდებული მონასტრები ჰქონდა, სადაც მოდვაწეობდნენ ჩვენი ქვეყნის ზნეობრივ და გონებრივ განმანათლებელი წმ. მამები, სადაც სწავლობდა ჩვენი ახალგაზდობა. ოსმალთა ბატონობამ, რომელიც ტანჯვით და მსხვილით ავრცელებდა მაჰმადიანობას ბიზანტიის ნაუფლებ ქვეყნებში, შეუძლებელ ჰყო ქართველთ თავისუფალი მოდვაწეობა სამზღვარგარეთ თავიანთ მონასტრებში და სრულებით მოუსპო ღონე ბერძნული განათლების მიღებისა. რა უნდა ექმნა საქართველოს? საშველად ვინ მოეწვია განმარტოებულსა, რომელიც, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმში, ადარ წარმოადგენდა ძღიერ მრთლიანობას და დაღუპვის გზას დასდგომოდა მას ექეთ, რაც ალექსანდრე მეფემ 1442 წ. დიდის წვითა და დაგვით მეორედ გაერთიანებული საქართველო დაჰყო სამ დამოუკიდებელ სამეფოდ და დუმკვიდრა თავის სამ შვილს, სახელდობრ ქართლი უფროს ყახტანგსა, იმერეთი შუათანას დიმიტრის და კახეთი უმცროს გიორგისა. მალე ქართლს მოსწყდა სამცხე, ხოლო იმერეთს სვანეთი, ოდიში, ათხაზეთი და გურია და თავისუფალ სამთავროებად გადაიქცა. ამ უბედურებას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის დარღვევა. 147 ეითგან დასავლეთ საქართველოს მეფისა და მთავართა მეცადინეობით სამუდამოდ დაჯდა კათოლიკოზი ბიჭვინთას ათხაზეთში, ხოლო ოცდა ათი წლის შემდეგ გადგნენ, უეჭველია, ადგილობრივ მთავართავე შთაგონებით, მიტროპოლიტნი სამცხისა მაწუკერელი და კახეთისა ალავერდელი.

ვის უნდა გაეწია ბიზანტიის მაგიერობა ქართველთ ხატარა სამეფოებისა და სამთავროებისათვის, რომელთაც სამარეს უთხრიდა ძიგნით მთავრობის მოუვარეობა ივერიის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მამათა, აგრეთვე ბრძოლა მეფე—მთავართა შორის, ბერადი სარგებლობით და ანგარიშით გამართული, ხოლო გარეთგან საფრთხე ოსმალ სპარსთა ძღიერებისა. ისეთი ქვეყანა მაშინ იყო მხოლოდ მოსკოვის სამეფო და კიდეც იგულეს მოსკოვის მეფე თავიანთ მფარველად საქართველოს მეფეებმა და მთავრებმა. მაგრამ რა იცოდნენ, თუ მოსკოვის და იმისი მეფის სიყვარული ოსმალეთსა და სპარსეთს აამხედრებდა ქართველობის მოსასპობად? მარი ბრალეს თქმით ხონთქარმა და ყეინმა განუწყვეტელი

შური და მტრობა ჩამოაგდეს ქართველთა შორის, რათა თავისუფლად ემოქმედნათ საქართველოს თვითეულ კუთხეში ქართველი ჯაშუშებისაგან წყალობით. ამის გამო ქართველ მეფე მთავრებს ტახტი რომ შეერჩინათ, მაჭმადიანობა აღუარებიათ, ხოლო მათ ურჩობა— მტრობას და ქრისტიანადვე დარჩენის სურვილსა ის მოჭუოლია, რომ ქრისტესთვის მოწამეობის გვირგვინი მიუღიათ (დედოფალი ქეთევან, მეფე დავარსა II), ან რუსეთს გადასულიან (მეფენი არჩილ II, ვახტანგ VI) ზოგჯერ კიდევ თვით მაჭმადიანი მეფენი, თუ დიდებულნი, ოსმალ სპარსთა ქიშპობის გამო, შია რომ ეოფილან, სუნი გამხდარან (მეფე ისე, ძმა ვახტანგისა, დიდი მოურავი გიორგი საკაძე).

IV

დასაწყისი რუს ქართველ მეფეთა ურთიერთობისა.

საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის პირველად კახეთის სამეფომ ჩამოაგდო ურთიერთობა რუსეთის სამეფოსთან. კახთ ბატონის ალექსანდრე ლევანის ძის ელჩები იოანიმე მდგელი, კირილე ბერი და სხვები 1586 წ. ოკტომბრის 9-სა წარუდგენენ რუსთ ხელმწიფეს თეოდორე ივანეს ძეს, მიართვეს ალექსანდრე მეფის წერილი და სთხოვეს მფარველობა და შემწეობა თურქთა წინააღმდეგ. რუსთ ხელმწიფემ მოისმინა სათხოვარი ივერთ მეფისა და 1587 წ. აპრილის 11-სა გაუგზავნა ელჩები როდიონ ბირკინი და სხვები, რომელთაც დაევალათ რუსეთის ქვეშევრდომად მიეღოთ, როგორც ივერიის მეფე და მისი შვილები, ისე სახელმწიფოს დიდებულნი და საზოგადოდ მრთელად ივერია.

კახეთის მეფის მისწრაფებას მხარი დაუჭირეს ქართლის მეფეებმა. 1619 წ. რუსთ ხელმწიფეს მიხაილ თეოდორეს ძეს, პირველ რომანოვს, ქვეშევრდომობის სურვილი განუცხადეს იმერთ მეფემ და ოდიშ-გურიის მთავრებმა, აგრეთვე კახთ ბატონმა თეიმურაზმა, ხოლო 1657 წ. ეძიებდა რუსთ ხელმწიფის მფარველობას ჩვენი მთის ხალხიცა (თუშები).

უკანასკნელი წარმომადგენელი რუსთ ხელმწიფისა საქართველოში იყო კოვალენსკი, მეფის გიორგი მეცამეტის კარსა ხელთუფალი მინისტრი, რომელთანაც ერთად საქართველოში მოვიდა გენერალი დაზარევიცა ეგერთ გუნდითა.

იმ ხნის განმავლობაში, რაც რუს ქართველთ მეფეები ერთმანერთს ელჩებს უგზავნიდნენ, მათ ურთიერთობას თავითგანვე დაჭყვა, როგორც ვნახეთ, ერთგვარი მისწრაფება, რომელიც მოითხოვდა რუსთ ხელმწიფის მიერ მფარველობის და შეწევნის მაგიერ, ქართველთ მეფეს და ხალხს მიეღოთ ფიცი ერთგულობისა და ქვეშევრდომობისა. როცა არჩილ მეფე შვედთა მეფეს კარლოს წერილით სთხოვდა, მოელო მოწყალება და შვედთაგან ტუფე ქმნილი მისი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი გაეთავისუფლებინა, თანვე შეუთვალა, ორი (ოსმალ-სპარსთ) ურწმუნო მეფის წყალობით მამულ და თავისუფლებ-დაკარგულნი გადმოვედით რუსეთში, მოწყალებით მიწვეულნი რუსთ ხელმწიფისაგან და საფარველად მივენდვენით მას, როგორც მთავარს ეოველის ერისას, რომელიც კი აღიარებს ბერძნის წმინდა სარწმუნოებასაო. საქართველოს მეფეებს და მთავრებს ოდონდ აღარ ენახათ სპარს-ოსმალ-ლეკთაგან ალხრეა ძვირფასის მამულის და შეგინება ქრისტეს სჯულისა, მზად ეოფილან, თავს ედოთ ეოველივე ვალდებულება რუსთ ხელმწიფეთა წინაშე. უკანასკნელთ დიდის მოწყალებით მოუსმენიათ ხოლმე საქართველოს ელჩთაგან იმათ მეფე-მთავართ სათხოვარი და ეოველთვის, რაცა მშვიდობიანობა ჰქონიათ სახელმწიფოში და ომის ხარჯისაგან თავისუფალნი ეოფილან, აუსრულებიათ

მათი სათხოვარი, საჩუქრები, საეკლესიო ნივთები, თუ ფულად შემწეობა თვალ და სარჩოდ და მეომართ დასაქირავებლად ეოვლთვის გამოუგზავნათ. გახსენებული აკადემიკოსის მარი ბრუსს შრომით გამოტემული მიწერ-მოწერა რუს ქართველ მეფეთა შორის 1770 წლამდეა მიეგანილი. რა კი ამ მასალებს ვისარგებლებთ, ცნობასაც მხოლოდ იმ დრომდე შემოვიტანთ. მოსვლიათ, მაგალითად, მეჩიტაბადეები და ბაზიერები, სიასამურის ბეწვეული 5846 მანეთზე მეტად დირებული, ოქრომკედით ნაქარგი ფარჩეულობა და სხვა მრავალი წვრილმალი ჩივი, მზამზა ხატები, ერთხელ 250 ხატი თეიმურაზ მეფესა, ძველი ხატებისთვის საჭირო წამალი, ოქრო ვერცხლი და მეხატ-მესარკმლეები, ჯარის მოშველების მაგიერ იმავ მეფეს და ხვებს 26,000 ეფიმოკი და 12,500 მან. საქართველოს სამეფო გვარეულობის იმ წევრებს, რომელნიც რუსეთში სცხოვრებდნენ, ეძლოდათ მაგალითად იმერთ დედოფალს ეკატერინეს 2000 მან., ვახტანგ მეფეს მოსკოვში მიეცა 3000 მან., ხოლო პეტერბურგში 8000 მან., მერმე წლიურად დაენიშნა 24000 მან. საერთო სარჩოდ მისთვის და მისი ამალისათვის, რომელსაც შეადგენდა 1186 კაცი და ქალი. სპარსთა მთავრობა ერთგულებისათვის ლევან დადიანს წლიურად აძლევდა ათას თუმანს, ხოლო მაჭმადიანი ისე მეფის შვილს ანტონ კათალიკოზს წლიურად ეძლოდა შაჭისაგან ხუთასი თუმანი. რუსეთის მთავრობაც ჯამაგირს ურიგებდა ივერთ სამეფო გვარეულობის წევრებსა, ხოლო იმათი სიკვდილის შემდეგ ბატონი შვილებიც ადარ იშალიდნენ და განაგრძობდნენ შუამდგომლობას, ჯამაგირი სძლოდათ იმათაც. ასე მოიქცა იმერთ მეფე ალექსანდრე 1726 წ. და ზედმეტად კიდევ სთხოვდა რუსთ ხელმწიფეს ჩამობრძანებას იმერეთ-გურია-ოდიშის სანახავად. ზოგჯერ მეფეთა, თუ მთავართ სახლობის წევრნი დიდ მიწერ-მოწერაშიც ეოფილან რუსთ ხელმწიფეებთან, მოწეალებას მოელოთ და ნება მიეცათ მათთვის რუსეთში გადასახლების და ცხოვრებისა, ბევრს მათგანს უარიც მოსვლია, ზოგი კიდევ გზაშივე დაბრუნებულა, რადგანაც ნება დაურთველად წასული ეოფილა. როცა გარემოება ხელს უწყობდა რუსთ ხელმწიფეებს, ჯარიც მოუშველებიათ ივერთ მეფეთათვის. კიორგი კახთ ბატონს მოუვიდა 40 მსროლელი ჯარის კაცი და მათთან ერთად ასის თავი მიხაილ სენოვსკი კახეთის დასაცველად თურქთა და კუმუხთ წინააღმდეგ.

რუსეთის მეფეთა ელჩების მოქმედებაში შესამჩნევია ერთი გარემოება. როცა საქართველოს ელჩები მივიდოდნენ და მაართმევდნენ ივერთ მეფეთა გამოგზავნილ ძღვენს და საჩუქარს, რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი აგრძნობინებდნენ ხოლმე, თქვენმა მეფეებმა არ უნდა იფიქრონ, ვითომც რუსთ ხელმწიფეს სჯერდეს მათი საჩუქრები, რუსთ ხელმწიფე ისეთი მდიდარია, რომ თავისი ოქრო ვერცხლით აავსებს მრთლად ივერიასო. ხოლო როცა საქართველოში იყვნენ, თვალუური ეჭირათ, საქართველოს მეფეები ხონთქრის, ან ყეენის ელჩებთან რაგორ ურთიერთობაში იყვნენ, სწყინდათ, თუ მეტ პატივს სცემდნენ მაჭმადიანთ მეფეთა წარმომადგენლებს, მაგალითად მეტად იწყინეს, როცა შეიტყეს, მეფეს კიორგი ალექსანდრეს ძეს სწადია განჯის ქალაქსრო თავის ქალის შერთვა.

ქართველთ სამეფო გვარეულობა მდიდარი იყო უფრო თვალ მარგალიტით და სხვა განძეულობითა, ოქრო ვერცხლში ჩასმული წმინდა ხატებითა და ნაწილებითა, ამიტომ რუსთ ხელმწიფეებს რაცა სთხოვდნენ შემწეობას, თანვე უძღვნიდნენ ხოლმე ასეთ საჩუქრებსა, თუმცა საჩუქრები სხვანაირიც ეოფილა ხანდახან. მაგალითად კახთ ბატონის ალექსანდრე ლევანის ძისაგან მირთმევია თოლადის რახტი, ოქროში დაფერილი და თვალ მარგალი-

ტით მოოჯვიდი, ცხრა თოფი ფარჩეული, ეომრალი ცხენი, ოქროს მოსართავით გაწყობილი. ეკატერინე იმერთ დედოფალს გაუგზავნია მარმარილოს თასი ოქროთი და თვალმარგალიტით შემკული, ოთხი ოქროს ბეჭედი, ეუთი წნელის ვერცხლისაგან გაკეთებული, ოქროს სარტყელი, მარჯნის კრიალოსანი და სხვა, თეიმურაზ ხირველსა წმ. ნაწილები თავისი დედის ქეთევან დედოფლისა, ალექსანდრე მეფეს ქრისტეს სისხლი ძველებური ოქროს ჯურჯლითა და ნაწილები მოწამის და მოციქულის სტეფანე დიაკონისა ოქროში ჩასმული, ხოლო ნაწილები დიდის კონსტანტინე მეფის, წმ. დიმიტრისა და სხვებისა ვერცხლში ჩასმული, იაკობ მიტროპოლიტს იმერთ მეფის ბრძანებით (იოანე და პეტრე ალექსის ძეთათვის) დვთის მშობლის ქსოვილი კვართის ნაწილი, რომელსაც უფლის სიასხლი სცხებია და ეოფილა ხობის მონასტრიოგან წაღებული. 1641 წ. როცა არჩილ მეფე ოსმალ სპარსთა მანქანებით იმერეთიოგან დევნილი რუსეთს გაღაიხვეწა, მარი ბრონსესა და პლ. იოსელიანის მოწმობით, თან წაუღია მოსკოვს სამოსელი და საბელი, რომლითაც აწამეს და ხელები შეუკრეს იესო ქრისტეს, აგრეთვე მანგელდთ ეპისკოპოსის მიტრა, რომელიც ეხლა დაცულია მოსკოვის მიძინების ტაძარში და რომელსაც წარწერა ჭქონია, რუსულად დედოფლის დროინდელია და შიგ დაცულია სამსჭვალი უფლისა, მირიან მეფისთვის კონსტანტინე დიდის ნაჩუქარია. ზოგჯერ იმ წმინდა ნაწილების მზიდველებს გზაში უბედურებაც შემთხვევიათ. ერთ იმერელ არხიმანდრიტს იმავ არჩილ მეფესთან აშტარხანს მიჰქონდა ორი ხატი წმ. ნაწილებითა, ძვირფასი თოლებით მოოჯვიდი, მდიდარი სახარება და ძვირფასი ფარჩეულობა, მაგრამ ავაზაკებს თერგში გაუძარცვავთ.

რუს ქართველ მეფეთა ურთიერთობას ერთხელ დამოუკიდებლობის ხასიათიც ჰქონდა. მოსკოვის მეფე ბარის გოდუნოვი საქართველოს ბატონი შვილთა შორის ეძიებდა სასიძოს თავისი ქალის ქსენიასათვის და სატოლოს თავისი ვაჟის თეოდორესთვის. როცა ქართლში გამეფდა გიორგი მეათე სვიმონ ხირველის ძე, 1600 წ. კახეთითგან დაბრუნდა რუსთ მეფის ელჩი ტატიშჩევი, წარუდგა მეფეს და სთხოვა ასული ელენე რუსთ ბატონიშვილის სასძლოდ, ხოლო რუსთ ბატონის ასული ქსენია ცოლად შეაძლია ქაიხოსრო მუხრან ბატონსა, გიორგი მეფის დისწულსა. მაგრამ ტრუ დიმიტრისაგან ბორის მეფის დამარცხებამ ხელი შეუშალა და არც ერთი ქორწინება არ მომხდარა ისევე, როგორც არ მოხდა ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის კონსტანტინე (XI) პალეოლოგის და იგერიის ბატონის გიორგი (VIII) ალექსანდრეს ძის ასულის ქორწინება ოსმალთა მიერ 1453 წ. კონსტანტინოპოლის აღების და სასიძო კეისრის მოკვლის გამო.

V.

დასაწყისი რუს ქართველთ სამღვდელოების ურთიერთობისა.

რუს ქართველ მეფეთა შორის ურთიერთობას და მიწერ-მოწერას მოჰყვა რუს-ქართველთ სამღვდელოების კავშირებაც. რუს-ქართველ მეფეთა ელჩებში ორთავ მხრით ერევნენ სამღვდელო პირნიც. მაგრამ საქმის თანასწორობა მეფემაგ დაიწყო. იმავ ალექსანდრე კახთ ბატონმა რუსეთის პატრიარქს იობს მიართვა ერთი თოფი ფარჩა და ექვსი თოფი ქამხა სხვა და სხვა ფერი. იმასვე ქართველთ ნიკოლოზ მიტროპოლიტმა აახლა ერთი ქურანა ცხენი. ქართველ მღვდელ მთავრებს რუსთ პატრიარქისაგან ეპისტოლე მოსდიოდათ, ხოლო ქართველთ მეფეთა კარს წარმოგზავნილი ასული. ერთ ელჩები ქართველთ სარწმუნოების გამო კითხვაშიაც იყვნენ. ასეთი ელჩი იყო იოსებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხიმანდრიტი. ზებედე ალავერდელს და იოსებ არხიმანდრიტს ხშირად ჰქონიათ დაპირაკი სარწმუნოების თაობაზე. ზებედე ალავერდელი მსურველი ეოფილა, ენახა თურმე წირვა რუსულის წესითა, მაგრამ მამა იოსებს მოუთხოვია ზოგჯერ ეკლესიის ხელახლად კურთხევა. მამა იოსებსა და სხვებს გაჰკვირებია, როცა უნახავთ, ზოგიერთ ეკლესიას საკურთხეველი ზედ კედელზე ჰქონია მიდგმული ასე, რომ გარშემოვლა შეუძლებელი ეოფილა, ალსავლის კარები მხოლოდ კრეტსაბმლიანი ეოფილა, თვით ეკლესიაკი ზოგჯერ უჯვრო. ზებედე ალავერდელის განმარტებით, ურწმუნოთა თარეშობის ბრალი ეოფილა ისეთი სანახობა ზოგიერთის ეკლესიისა, თორემ, მაგალითად მაშინ უჯვრო ალავერდის ტაძარს გუმბათის ჯვარი მანამდე ჰქონია ვერცხლისა, თვალ მარგალიტით მოოჭვილი. გაჰკვირვებიათ აგრეთვე, როცა უნახავთ, ჯვართამალველების წესი შეუსრულებიათ ქართველ სამღვდელოებას წირვის წინეთ და არა მათებურად ცისკარზე, როცა უნახავთ, ხალხი ეკლესიაში მდგარა ქუდ დახურული და შეიარაღებული და მეფესთან ერთად მოუხდია ქუდი მხოლოდ სახარების და ბარძიმ ფეშხუმის გამოსვენების და შიშითა მდგომისათა სიტუვების წარმოთქმის დროს, რასაც ადგილი ჰქონია კახეთის ალავერდის ტაძარში ზებედე ალავერდელის წირვაზე. რომელსაც თეიმურაზ მეფე დასწრებია. ასევე გაჰკვირვებიათ დადიანის კარსა ეოფილ ელჩებს თედოტ ელჩინს და პავლე მდვდელსა, როცა უნახავთ ოდიშში ზიარება ორი მოლოზნისა, რომელნიც არც მისვლისას მთხოვეიან ბარძიმსა, არც წამოსვლისას.

როგორც სქართველოს მეფენი თეიმურაზ კახეთისა და ალექსანდრე იმერეთისა სცდილობდნენ დაინტერესებინათ რუსთ ხელმწიფენი და მათი ელჩები სქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე, რასაც მათი მოხსენებით, შეადგენდა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა და სხვა მადნეული. მთად, თუ ბარად უხვად სპეოვარი, რის გამოსაკვლევადაც რუსთ ხელმწიფის პავლეს მეფობაში გამოგზავნილ იქმნა გრაფი მუსინ პუშკინი, გატაცებული მოძღვრე საქართველოში რუსთ ხელმწიფობის დამყარებისა, ისევე საქართველოს მაკურთხეველნი სცდილობდნენ კახეთში ზებედე ალავერდელი და ოდიშში მიტროფანე მიტროპოლიტი, სიძველე და სიწმინდე ქართველთ მართლმადიდებელი ქრისტიანობისა მადლა დაეუენებინათ. საქართველო ივერთ სასულიერო ბერთა განმარტებით იყო საცავი ქრისტიანობისთვის ისეთი წმინდა და ძვირფასი ნაწილებისა, როგორიც იყო მდვთის მშობლის და მაცხოვრის ქსოვილი კვართები, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და სამსჯვალები, წმ. იოანე ნათლის მცემლის მკლავი და სხვა კიდევ მრავალი მსოფლიო საქრისტიანო სიწმინდე. ქართველთ ეკლესიის და სარწმუნოების ვითარების გამოკითხვის და შესწავლის დროს გამოირკვა ისიც, რომ წმ. გვამი დინარ, ქართველთ თამარ მეფისა, დაცული ეოფილა იმერეთში და ქრისტიანობა ქართველთა შორის უველაზე უფრო ადრე შემოსულა დადიანთ საბრძანებელ კოლხეთში ჯერ წმ. ანდრია მოციქულის, მერმე წმ. ნინო ქალწულისაგან, რომელიც იერუსალიმით ეოფილა.

VI

რუსეთის მფარველობა დევნილ ქართველ მეფე მთავართათვის.

რუსთ ხელმწიფენი დარწმუნდნენ, თუ რამდენად აუტანელი ცხოვრება ჰქონდათ ოსმალთა ხონთქრის და სპარსთა ეეინისაგან იმ ქართველ მეფე მთავრებსა, რომელნიც მამულს და ქრისტიანობას არ ჰღალატობდნენ და მართლმადიდებელი ქრისტიანე მოსკოვისკენ თვალ-ხელ ალეზერობდნენ. ასეთ მეფეებს მათი მფარველობა არ მოჰკლე-

ბიათ არა თუ საქართველოში, არამედ მის გარეთაც. ხოხოქრებთან და უეინებთან შუამდგომლობდნენ, არ შეეწუხებინათ საქართველო, არ წაებიღწათ მისი სიწმინდენი და მძევლად, ან ტუვედ წაუვანიდი ქართველები გაეთავისუფლებინათ და არ ეწამებინათ. მაგრამ თუ ოსმალთა და სპარსთა მტარვალობას რამე ეშველებოდა ხან და ხან საქართველოში, მის გარეთ და თვით ოსმალ სპარსთა საკუთარ ქვეყნებში კი რუსთ ხელმწიფის ელჩების შუამდგომლობას ზოგჯერ არავითარი ნაყოფი ჰქონია. ასეთი უნაყოფო გამოდგა რუსთ ხელმწიფის ელჩის ივანე გორობინის მეცადინეობა სპარსეთში დუარსაბ მეორის გასათავისუფლებლად. თუმცა შაჰაბაზის დიდედა (მამით) შალიკანი ქალი იყო, ხოლო ცოლი ლელა (ქრისტიანობაში თინათინ) დგიძელი და წმ. ლუარსაბ მეფისა, ქრისტიანობისა და ქრისტიანე რუსეთის ერთგულობისათვის მაინც არ დაინდო თავისი ტუვე ცოლის ძმა და 1622 წ. მოახრჩობინა მშვილდის ბაწრითა ისევე, როგორც არ დაინდო და გახურებული შანთებით აწამებინა თეიმურაზ მეფის დედა წმ. ქეთევან დედოფალი.

ის მეფე-მთავრები, ბატონიშვილები, დიდებულები, რომელთაც ნება დაერთოთ რუსეთში გადასახლებისა, არათუ შეწუნარებულ იქმნენ, როგორც ერთგულები და მიეცათ მათ მამული, ემები და სარჩო-საბადებელი, არამედ ბევრ მათგანს დაუფასდათ ნიჭი და სახელმწიფოს სამსახურში ჩაირიცხნენ, მეტ ნაწილად მხედრებად, რომელთაც თავი ისახელეს რუსეთისთვის თავის განწირვითა, როგორც მაგალითად არჩილ მეფის ვაჟმა ალექსანდრე ბატონიშვილმა შვედებთან, ხოლო პეტრე ბაგრატიონმა და სხვებმა ფრანგებთან ბოროდინის ბრძოლაში. ზოგიერთს კიდევ, როგორც ვახტანგ მეფეს და მის ვაჟს ბექარ ბატონიშვილს მიენდოთ 1734 წ., საიდუმლოდ მოლაპარაკებოდენ სომეხთ პატრიარქს და თავთავ კაცებსა, მოეგოთ მათი გული და დაეიმედებინათ რუსეთის მფარველობაზე. ვახტანგ მეფის თანა მოდვაწე იყო დიდად განათლებული ბატონის ასული დარეჯან, არჩილ მეფის ქალი, რომელიც უთარგმნიდა რუსულად პეტრე დიდის მიმართ წერილებს და მასთანვე შუამდგომელი იყო ორთავ მეფისა. სხვებმა არჩიეს თავიანთი დაკარგული მამულის თავგადასავალი ბეჭდვით, თუ მოხსენებით ეუწყებინათ რუსეთის აღზევებულ პირთათვის. ასეთი იყო ქართველთ ზნეობრივ და გონებრივ აღორძინების მოტრფიალე პოეტი არჩილ მეფე, რომელმაც 1703 წ. მოსკოვში თ-ლს გოლიცინს სხვათა შორის აუწყა, ნამსახურალი ხალხი, ვაჭრები და ხელოსნები სრულიად საქართველოში ყველა შეიარაღებულია და ომის დროს შეიძლება ასიათასზე მეტიც გამოვიდეს.

რუსთ ხელმწიფის მეფრველობის დროს ქართლ-კახეთი შესწავლილ იქმნა მის ელჩთაგან არა თუ ეკონომიერის, არამედ პოლიტიკურის სარგებლობის თვალითაც ასე, რომ 1801 წ. მიუცილებელიც შეიქმნა ქართლ კახეთის სამეფოს შეერთება, რასაც შემდეგ იმერეთის სამეფოს და საქართველოს სხვა ნაწილების შეერთებაც უნდა მოჰყოლოდა. ქართლ კახეთის შემოერთებით რუსეთის ვაჭრობა სპარსეთის და ინდოეთისკენ უნდა გაწეულიყო. ასეთი იყო აზრი, ამბობს ბ. ნ. დუბროვინი, მაშინდელ მთავრობის მრავალ პირთა და მათ შორის გრაფის შუსინ პუშკინისაო. მაგრამ ქართლ კახეთის შემოერთება რუსეთისთვის ნაძღვილ საქმით იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ მის დიდ საპოლიტიკო მნიშვნელობას ეხლა რუსეთ ინგლისის შეთანხმებაც ჭმოწმობს სპარსეთში გავლენის სფეროების გასაყოფებლად.

VII

რუსთ ხელმწიფის მფარველობის იდეა მწერლობაში.

საქართველოს მეფემთავრებს და სახელმწიფოს კაცებს, რომელნიც ისეთის თანგანწირვით იღვწოდნენ რუსთ ხელმწიფის მფარველობის შემოსაღებად, სწამდათ თავიანთი მოდგაწეობის სარგებლობა საქართველოსა და ქართველობისათვის, მაგრამ ის სარგებლობა სწამდათ თუ არა ქართველ ან თანამედროვე, ან მერმენდელ მწერლებსა? დიახ სწამდათ და რუსთ ხელმწიფენი კიდეც შეიქმნენ მათგან კეთილ მოსაგონებელნი მრავალ ნაირად საქართველოსა და ქართველთ მფარველობისათვის. ამისათვის ჭდალადებდა ძლიერის ხმის ყოფით ეპისკოპი ამბროსი ნეკრესელი, მოდგაწე და მქადაგებელი, ამისათვის ენას ამუსიკებდნენ ბოეტები დ. გურამიშვილი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი.

რა იტოდა გულუბრუვილო მოქანდაკემ, თუ ქალაქის სიონის ტაძრის გუმბათზე მისი გამოქანდაკებული ლომი, რომელიც ჯაჭვით დაუბამს, საშინელი სიმბოლო შეიქმნებოდა სპარსეთისათვის. რას იფიქრებდა, თუ 1801 წლამდე ქართლ კახეთის ნამდვილი სისხლის მწოველი სპარსეთი მას აქეთ გახდებოდა ჯაჭვით დაბმული, რომელსაც საძრაობა მოესპობოდა, რომ კვლავინდებურად ბრჭყალებში მსხვერპლად სჭეროდა ქართველი, როგორც უმანკო კრავი. სპარსეთისთვის იმ საშინელმა სიცხადემ ააშალებინა ხმა ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსსა. სიყრმითგანვე ქართველ მეფეთა ბრძანებით რაც შესძლებია, შრომა დაუდვია და მანიფესტის გამოსვლის დროსაც დამაშვრალა უდიდებულესი ხელმწიფის ალექსანდრე პირველის ერთგულთ ბრძანებითა. დღეს აქამოდეო, ისწრაფის კიდევ მოახსენოს, დაუძახოს და მოაგონოს თავისს სამწყსოსა, ქრისტეს მაგინებელ უსჯულოთაგან საქართველოს შეწუხება, რეკვა, ტაეგეობა და აოხრება, რაც გამოგვივლია, შევსწრებივართ, თვალწინ გვიდგია. მაგრამ დიდმა ხელმწიფემ ალექსანდრემ მოიდო ჩვენზე მოწყალება და ეგვალას იმედი გვაქვს და ვსასოებთ, იმ განსაცდელს ადარ შეგვესწრათო. ალექსანდრე ხელმწიფის მოწყალება ისეთი იყო, მისის თქმით, ერთს სატოდავად გაეინულს და გაციებულს მზისა სითბო მიადგეს, ერთს მომაკვდავსა და სულის ამოსვლაზე მიწურულს დვთის მოწყალების მადლმა მიჭხედოს და დიდი მეცნიერი დოკტორი წამალის მიტემით მიეშველოს და სული მოუბრუნოს, ან კიდევ ერთ ადიდებულ ზღვის ტალღას ერთი ხვამალი, თუ ნავი დასანთქელად მიმოდაჭქონდეს და იმაში მყოფნი ერთს დვთის შოწყალების ნავთ საყუდელს ეწივნენო. ალექსანდრე ხელმწიფე, ვით მოსე, წინამძღოველ და მხსნელიეო ქართველთა, მათთვის შეიქმნა ჭეშმარიტად ვარსკვლავად, მზედ, მთვარედ, ცისკრად და მთიებად და თვით სასუფეველში შემყვანებლად ამიტომ მოწყვნული შეწყალება ქართველობას უნდა დაენახა და დვთის მოწყალებად შეერიცხა, ხოლო გამომსხნელი სელმწიფისათვის მადლობა შეეწირა, ოაყვანი ეცა, ბატიკი ეცა და მორჩილი ყოფილიეო მისიო. მათი დიდებულებისაგან წარმოგზავნილი **ესე ინსპექტორ და კავალენეკი, პეტრე და ივანე ივანიჩი** დიდი ხელმწიფის ალექსანდრეს მოწყალებას ახარებდნენ საქართველოს ერთა. სახარებელი კი იყო მისი იმპერატორობის ძალითა და ძლიერებითა ქართველთ მტერთა დაცემა, გამოხსნა მათი მაჭმადიანთაგან. საქართველოს სანატრელმა მეფეებმა ხმა უყვეს დიდ იმპერატორსა და დალადებით ეგედრებოდნენ ხსნასაო. მაშინ დიდმა იმპერატორმა განიდგიძა, როგორც მძინარე ლომმა და როგორც მოწყალე უფალმა მოგვხედა და გამოგვიხსნა მაჰმადიანთ მეფემ თავის დაქნევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუქარისაგანაო. ინსპექტორ და კავალენტი ნუგეშინის სცემენ საქართველოს ერსა, ახარებენ, როგორც თავიანთ შვილებს, ნუ სტირთ, ნუ მწუხარე ხართ, რამეთუ აღდგინებულ არს საქართველო და დაცემულ არს ეიზიდბაშნი. ნუ გეშინიათ მათ ხელთაგან დასხნილნო, განიხარეთ, განიხარეთ! რადუითეს, რადუითესო! ამბროსი ნეკრესელი ამბობდა, დიდი იმპერატორი პეტრე პირველი, საქართველოს მოწყალე ჩვენი დაცემულობის აღდგინებას ისწრაფდაო, აგრეთვე იმპერატრიცანი ელისაბედ და ეკატერინე, მაგრამ გულარ უსწრო საწუთროს ყამმაო, ახლმა იოანემ კი ქრისტეს საუკარელმა მოწაფემ, ე. ი. დიდმა იმპერატორმა ალექსანდრემ წინა უსწრო და გვახარებს ერთგულ მონებს აღდგინებას ჩვენი დაცემულობისას უწყალო მაჭმადიანთაგან და გვიბრძანებს, აჭა ესერა ცოცხალ იქმნენით ქრისტეს ძალით და ჩემის ხელმწიფების შეწევნითაო. ნეკრესელის თქმით ალექსანდრე ხელმწიფე ვარსკვლავი იყო, რომელიც ადმოხდა იაკობისაგან, რათა დ ცემულიუვნენ მთავარნი მოაბისანი, ე. ი. ოსმალნი, სპარსნი და ლეკნიო. თუმცა ქართველობა ძველადაც ეკედრებოდა რუსთ ხელმწიფეს მტრებისაგან გამოხსნასა და შეწევნასა, მაგრამ დიდებულმა ხელმწიფემ ალექსანდრე პირველმა უფრო თავს გამოიდო ქართველთ შეწყალება, კიდეც ადასრულა ძალითა, ჯარითა, ხაზინითა, რიგის მიცემითა და ჩვენი მტრების შეშინებითაო.

რუსთ ხელმწიფეთა პეტრე დიდის და სხვების ამბავი თუ ამბროსი ნეკრესელისთვის შოიძველებდა, დავით გურამიშვილისთვის თანადროული იყო. დავით გურამიშვილიც ირიცხებოდა იმ მწერალთა შორის, რომელნიც ქართლის ადორძინებისათვის იღვწოდნენ. ქართველთ განახლების საუძველად სახავდნენ აღდგენას ქრისტიანობისას, რომელიც საშინელ განსაცდელში იყო, იმდენად დაუძლურებული, რომ არაკაცს შეეძლო დაძლა სპარსელისთვის, რომა მის მგრეხელ ხელს სვეტიცხოველის სიწმინდე გამოჭქონდა წასაბილწავად. მაშინდელ ქართველობას ქართველთ ქრისტიანობის დამცველი უნდა ეძებნა საქართველოს გარეთ რუსეთში, სადაც ხელმწიფე ძლიერი და მათებრ ქრისტიანი ეგულებოდათ. ვახტანგ მეექვსეც მიიქცა ჩრდილოეთისკენ და **ჩლაპიტნა** მისწერა პეტრე დიდსა, რომელმაც თავისთან მიეპატიჟა.

კურთხეულმცა არს ღვთისაგან
პეტრე ხელმწიფის ხსენება!
რა საქმე ვახტანგ მეფისა
სცნა, მისი შველა ინება-ო,
ჭდადადებს დავით გურამიშვილი.
ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა:
მოდი, მიგიჩნევ მამადო!
იესო ქრისტეს მიენდევ,
ნუ მოგატყუებს მაჰმადო,
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო,
გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე,
ვით თივას ცეცხლებრ მამადო.

ამ სასიხარულო ამბის მიდებამ ვახტანგ მეფე იმდენად დააიმედა, რომ პოეტის თქმით,

შეეტყობოდათ, განთიად
ჩაცმა არ სწადდათ თალხისა,
ეგონათ სწორედ ტრიალი
მრუდის საწუთროს ჩალხისა.

ადგა და კიდეც წავიდა, თუმცა რჩევის დრო,

ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს,
იმათ არად განიხარეს

და მოახსენეს

მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ,
ყველა ჩვენზე წამოდგების,
ვირემ რუსნი გვიშველიან,
მანამ ჩვენი გარდაგვხდების-ო.

პეტრე დიდის მეფობა, პირადობა და მისი დგვწლი რუსეთისათვის დავით გურამიშვილმა გამოსთქვა ორი შესანიშნავი ტაეპითა, რომელიც რუსეთის ისტორიაში აღსაბეჭდია ოქროს ასოებითა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს პეტრეს თქმულნი უკვდავნი,
მის დღეში არ მოკვდებიან.
მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარია.

ბოეტის თქმით, პეტრე იეო ჩრდილოეთის ხელმწიფე, მეწირველი თეორის რუსეთისა, მომდები თვით მხურობელობისა და ბირველი ცხებული, რომელმაც ბირველ ემურ რბილი და ბირბლაგვი ხრმალი გამოიბირა. ვიდრე ცოცხალი იეო,

ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე,
სამართალ დაუმცარია,
მტერთა მებრძოლთა ყოველთა
მან ყველას ხელი დარია.

მისი შემკვიდრე შეფენი, რომელნიც ტახტზე ჯდებიან, მის ბრძანებას მოწმობენ, მის მცნებაზე დგებიან, გინდ უხნდეთ წინააღმდეგად, წინ არ აღუდგებიან, მისი ბრძანების სრულ ეოფას არა ზარობენ, წინ უძეგსთ მისი ანდერძი, მით დგანან, მითვე მგზავრობენ, მითვე დაშქრობენ, ვაჭრობენ, მოდუქანმობაზარობენო.

ჩვენს ბოეტს მოსწონებია რუსის ჯარის გაწეობაც, მათი ერთ ფერად ტანთა ცმა, აბჯრის სხმა, შესვლა-გამოსვლა მწეობრ რიგად, ქცევა, ვით ჯარის ბრუნვა და ციხის მოქლონთა დამუსრვა. დ. გურამიშვილმა რუსის ჯარი რუსეთში ჭნახა, თვით მსახურებდა რუსის ჯარში, მაშასადამე რაც გვაუწეა მისი ვითარებისა, შთაბეჭდილება არის ბირადი მნახველის და განმცდელის ადამიანისა.

მეორე ბოეტმა ბესიკმა კი რუსის ჯარის გაწეობა აგვიწერა ისე, როგორც ენახა საქართველოში; ბოეტი მომსწრე იეო ასპინძის ომისა, როცა

რუს ქართველ კახნი მოადგნენ
აწყურსა დარაზმულები.

ასწერა მტკვრის იქით მდგარ ოსმალთა და ლეკთა ჯარიცა, ხოდო მისი თქმით

რუსნიცა წითელ მწვანითა
და ლურჯით შეხამდებოდნენ;
თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდნენ,
ვარსკვლავთა ეგვანებოდნენ,
ზარბაზნის გრგვინვა და თოფის
ცის კიდეთ ეუბნებოდნენ.

მაგრამ ვაუბად მიიჩნია, როცა გრანი ტოტლებენი ჯარით გაბრუნდა, რა ციდი დასდოერეკლე შეფესა, ჩვენთვის კეთილს არა იქო.

რუსთ ხელმწიფე ეკატერინე მეორე ნათლიეო ჩვენი ბოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა. ბოეტის მამა გარსევან ჭავჭავაძე კი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის დესპანად იეო ეკატერინე მეორის კარსა და იმ ორ მეფეთა შორის 1783 წლის ბირობის ერთგული მოთავე და ხელის მომწერი იეო თავისი მეფის მაგიერ. მაშასადამე ჩვენი ბოეტიც უნდა ადზრდილიეო იმის შეგნებით, რომ ის დიდი საქმე, რომელიც ერეკლე მეფემ იდვა, უნდა ეოფილიეო საფუძველი ახალი ქართლის ადორძინებისა, ძველი ქართლის ბედის გადაწყვეტით უნდა დაბადებულიეო ბედი ახალი ქართლისა. ბოეტმა კავკასიის ბუნების საშინელება და მშვენიერება სწორ უბოვარის სიტყვა ხელოვანებით დაგვიხატა. მისი აზრით კავკასით საქართველოსკენ რუსთა მოძრაობის მნიშვნელობაც ისევე ძლიერი იეო ევერთ კეთილდღეობისათვის. კავკასიის მთა, სოფლის დასაბამითგანვე ცნობილი იეო შეუვალად,

გარნა რომელს ბოლოს ღა
როსთ მხედარად აღზრდილი
მიებჯინა უდრეკლად
მამაცი ციციშვილი.
შეიწრებულმა თერგმა
კრძალვით იცნო საზღვარი
და ტინამან შარა გზათ
ფართოდ გაუღო კარი.
შეეტდვნენ ჩრდილოს ვაშტნი
წიაღსა გრანიტთასა,
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს,
არც სიმაღლეს მთათასა.
ფოლადნი ქვათ მკვეთელნი
ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი
მედგრად მჩეხელნი ცეცხლთა
ჰსცემდნენ, ჰგლეჯდნენ, ჰქუხოდნენ,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კავკასი მკვნესარედ
ევეთთა მიერ წყლულთა
თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!
გაიხსნა გზა და ეშვათ
ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს
მათ შორის განათლება.

ის განათლება იყო, უეჭველია, რუსთა მშვიდობიანობის ნაყოფი. იმავე მშვიდობიანობამ და განათლებამ ჩვენს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს შემოხვევა მისცა 1844 წ. ლეკეთისა და ჩეჩნის წინააღმდეგ ომისა გამო წარმოეთქვა მუქარითა:

ძრწოდე კავკასო! ახლო არს
დღე შენის აღსასრულისა,
შეთქმულან შენზე ერთ პირად
ძენი ქართლისა სრულისა
აღებად შენგან სისხლისა,
უბრალოდ დაქცეულისა,
აღმორთმევადა უწყალოდ
შენს შორის ბოროტ სულისა.

1844 წლის ომმა, სადაც სარდალიც, ლაშქარიც ქართველები იყვნენ, ცხად ჰყო, რომ ქართველთა შორის გმირნი და ძველნი მამაცნი უძიროდ არ გადასულიყვნენ და დაშთენოდნენ საშვილიშვილოდ ვაჟკაცი შვილები, ის ომი მასხარულებელი იყო ქართველ ვაჟკაცთა, მათი თავდადება ერთგვარი მსხვერპლი იყო ხელმწიფის ნიკოლოზ პირველის დიდებისა და სახელოვნებისთვის შეწირული. ომსა მაწკეველი ხმა ნიკოლოზ პირველისა თითქოს პატარა კახის ხმა ეოფილიყვეს, ქართველნი ისე შეებნენ მტერსა. ლეკეთისა და ჩეჩნის დამორჩილებამ პოეტს განუმტკიცა იმედი, მისი სამშობლოის მტერთაგან აწიოკებას სამუდამოდ ბოლო მოელებოდა. ამიტომ სიხარულით ღაღად ჰყო:

ჰე ძმანო, ნუ თუ არ გესმისო
მეფის ირაკლის ხმა მაღლით?
გიხმობთ, ქართველნო, ჰე შაბაშ
კურთხევა თქვენდა ზე მაღლით,
ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი,
ღირსნი თქვენთა წინაპართა,
იმპერატორსა ემსხვერპლეთ,
ვაი დაჰმართეთ წარმართთა!

ირაკლი მეფის ოცნება იყო, მოსწრებოდა ქართლ-კახეთის მოსვენებას მტერთაგან, მოსწრებოდა ქართველთ მეუდრეობას და განათლებას, რაც ისე საჭირო იყო მათთვის, ამიტომ როცა პოეტმა ჩვენა,

სადაც იქამდინ ხმლით და ძალით
ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის
მართავდა ხელი,

მეხლ მოდრეკილმა პატარა კახის საფლავის წინ ინატრა მხცოვანი გმირის წმინდა ანრდიოლის გაცოცხლება, რომ გადმოეხედა ახალი ქართლის, თავისი პირმშო შვილისთვის და ეხილა აღსრულება თავისი ხელმწიფური სიტყვისა, რომელიც სიკვდილის ყამს უთხრა დაობლებულ ქართლსა. ხოლო მისი ქვედი ანდერძის ტკბილი ნაყოფი, რომელსაც სწამდნენ მისნი ძენი, ის იყო, რომ

მათი ცხოველი
ტროფიალებით აღსავსე სული
უდნობდა ყინულს
ჩრდილოეთსა განცეცხლებული.
მუნით ჰზიდევდნენ
თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ
მოსამკალთა ერთი ათასად!
არღარა ერჩდა
ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვეღარ ურყევდა
განსვენებას მისი აღტყელვა;
შავი ზღვის ზვირთნი
ნაცვლად მისთა მოსისხლე მტერთა,
მას მოუგვრიდნენ
მრავალის მხრით მისთა მოძმეთა.

თუ პატარა კახს რუსთ ხელმწიფის მფარველობა უებარ წამლად მიეჩნდა ქართველთ ხსნისა და ადორძინებისთვის, გრ. ორბელიანი საუკეთესო განმმარტებელი იყო ივერიის სიმტკიცის, იმ უკანასკნელი გმირის ანდერძისა. ირაკლის ანდერძით, მაშასადამე რუსთ ხელმწიფის მფარველობით კი არ უნდა დახშოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველს მოდოდინი უკეთესის მერმისისა,
ივერიის სულიერი აღორძინებისა, არამედ უნ-
და ადფრიოვანებოდა კიდეც. აი რა იყო ის
მოდოდინი, რომელიც გრ. ორბელიანმა დი-
დის სიტყვა ხელოვანებით განმარტა, რომა
თავის უკვდავ სადღეგრძელოში ხელმწიფე
ნიკოლოზ პირველი ადღეგრძელა. გრ. ორ-
ბელიანის სიტყვა უტვლელად მოგვაგს, გა-
უმარტებლად.

ხელმწიფე ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სურგძელებითა!
მხედარნი შენნი
ერთგულნი მხნენი,
ვსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა!
გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა,
შენდა შესაფერ შესაწირავად;
ტაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა,
მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად!
ძველი ივერი,
შენი ივერი,
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა:
შენგან მოელის,
რომ სწავლის ლამპარ ს
კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა!
შენგან მოელის,
ვით გაზაფხულის
ყვავილი მზისგან აღმოცენასა!
განახლებული,
განათლებული
ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა!
მტრისა მძლეველსა,
ჩვენსა მფარველსა,
მარჯვენას შენსა განაგრცობ ჩვენზე,
ახლის ცხოვრებით
ავყვავილდებით,
ვითარცა მდელო მზის შარავანდზე!
მტერი შეძრწუნდეს,
რა მოახლოვდეს
მხნეობით დაცულს შენსა სამზღვარსა
თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!
ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად
მეფე გვიცოცხლე მრავალჟამიერ!

პეტრე მირიანიშვილი.

უმთავრესი წყაროები, რაც ვისარგებლეთ, შემდეგია:

1. **რუს ქართველ მეფეთა მიწერ-მოწერა**, გამოცემული მარი ბროსეს შრომითა სანკტ-პეტერბურგს.

2. **საქართველოს ისტორია** მარი ბროსესი, ქართული თარგმანი განმარტებითა ნ. ს. დოდობერიძის მიერ. ტფილისი 1895 წ.

3. **ქართლის ცხოვრება**, გამოც. ზაქარია ჭიჭინაძისა, ტფილისი 1897 წ.

4. **გიორგი XII** უკანასკნელი მეფე ქართლ-კახეთისა ან ქართლ-კახეთის შემოერთება რუსეთთან, ნ. დუბროვინისა, რუსულად სანკტ-პეტერბურგი 1897 წ.

5. **ქადაგებანი** და **მოძღვრებანი** ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზისა, გამოც. ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ, ტფილისი 1881 წ.

6. **დავითიანი**, თქმული დ. გურამიშვილის მიერ გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი 1894 წ.

ვ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

1881 წელს მთავრობის მიერ მოწონებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმის გარშემო

როგორც ვიცით, წარსულ საუკუნის მეოთხმოცე წლებში საკმაოდ გაძლიერდა ქართველთა ეროვნული გრძნობა, თვით შემეცნებასთან შეერთებული...

ხალხმა თანაც იგრძნო სწავლა-განათლების საჭიროება და ბევრგან ხარბადაც დაეწაფა ცოდნათა წყაროს... ამავე დროს დაარსდა ქართული სამუდამო სცენა, რომელიც დ. ერისათვის „სამშობლო"-მ დააშვენა და რომელმაც არა ერთსა და ორს ქართველს აღუზარდა წმინდა სიყვარული სამშობლოსი, გაჩაღდა პრესა,— ხალხი გზას იკაფავდა ეროვნული კულტურული წარმატების მისაღწევად... საზოგადოების მოწინავე წრეებში თითქმის ყველგან მშობლიური ენის დაცვის შესახებ მსჯელობდნენ. ზოგს დღეს სასაცილოდ არ ჰყოფნის ჭალადიდელის „დედის დარიგება"-ში მოყვანილი სიტყვები, რომლითაც დედა მიიართავს პატარა ბავშვს, სკოლაში გასამგზავრებლად გამზადებულს:

„მაგრამ ამას გთხოვ უკეთესზე ეფერო
არ დაივიწყო სამშობლო ენა!"

მსგავსი სიტყვებით რ-მ მიმართოს დედამ თავის ბავშვს რუსეთში რუსმა, ინგლისში—ინგლისელმა, რასაკვირველია, ასეთი დედა სასაცილო იქნება... მაგრამ საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება ქართველთაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ისეთს პირობებში მოთავსდა წარსულ საუკუნის მეოხმოცე წლებში, რომ მსგავსი სიტყვების არა თუ მხოლოდ დაზეპირება, არამედ ღრმად შეგნებაც ქართველი ბავშვისთვის აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენდა...

ადამიანის ბუნება ისეა გაჩენილი, რომ მას სურს ყველგან თავისს მზგავსს ადამიანსვე ხედავდეს. ქართველს მეტად ეხარიან, როდესაც ხედავს რუსს ან გერმანელს ქართულს ენაზე მოლაპარაკეს, გაქართველებულს .. აგრეთვე რუსს ესიამოვნება გარუსებული ან რუსულად მოლაპარაკე ქართველის ნახვა. მსგავსი მოვლენა ფსიხოლოგიურად ბუნებრივია .. მაგრამ სულ სხვა საკითხია, როდესაც რომელსამე ერს ძალათ თავზე ახვევენ გადაგვარებას მაშინ ოდეს მას არ სურს მოკვდეს, არამედ სურს დაიცვას თვისი თავი, შეინახოს თვისი ვინაობა და ააღორძინოს თვისი ეროვნული კულტურა... ქართველი ერი ძველი ისტორიულიერია. ბევრს ქარცეცხლს გადაუვლია მ-სთავზე... მას სწყუროდა ეროვნული სიცოცხლე, სურდა თვით არსებობის შერჩენა. ეროვნული სიცოცხლის ძლიერმა წყურვილმა გააბედვინა მას რუსეთთან შეერთება... დიდის ხნის ომით დაღლილს მას დროებით მეძინა, მაგრამ არა სასიკვდილოდ, არამედ დასასვენებლად... მეოთხმოცე წლებში წარსულის საუკუნისა მისი სიცოცხლის წყურვილი მთავრობისთვის ცხად იქმნა... ამ წყურვილის თვის, როგორც ფაქტისთვის, მთავრობას ანგარიში უნდა გაეწია... ბ აკი მანაც პირველ ხანად მას ანგარიში გაუწია.. იმდროს ხელმწიფის მოადგილედ იყო ჩვენში დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, სახელმწიფოებრივი სიბრძნით დაჯილდოებული. მან ალლო აუღო თავის დროს, შეიგნო ქართველი ერის ძირითადი მისწრაფება, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშე გაეძლიერებინა თვისი ერროვნული კულტურა და დაეცვა თვისი ეთნოგრაფიული თვითარსებობა... ამასთანავე ხსენებულმა ხელმწიფის მოადგილემ და მაშინდელმა საოლქო მზრუნველმა ნეველოვმა 1880 წლამდის ძლიერ კარგად იცოდნენ, რომ ქართველს ერს უყვარდა რუსული ენა და რუსული კულტურა და პირველის და მეორის შესწავლას ესწრაფებოდა... მაგრამ ესეც კარგად შეგნებული ჰქონდათ, რომ ქართველი რუსულს ენას სწავლობდა არა იმისთვის, რომ თვისი ვინაობა დაეკარგა, თვისი ერროვნება და მშობლიური ენა უარეყო და გადაგვარებულიყო, არამედ იმისთვის, რომ რუსეთის, მოწინავე მოაზრე გვამებთან სულიერი კავშირი დაემყარებინა და თვისი გონება განევითარებინა, თვისი მსოფლ-მხედველობა გაეფართოებინა. 1878—1879 წლის დამსწრე მასწავლებლები მოგვითხრობენ, რომ სანამ 1881 წლის გეგმა დამტკიცდებოდა, ჯერკიდევ 1878 წლის მაშინდელი სახალხო სკოლების დირეკტორის ს. ნ. სტრელეცკის თავჯდომარეობით შემუშავდა მეტად მშვენიერი გეგმა არა რუსთა სკოლებისათვის. ამ გეგმის ძალით რუსული ენის სწავლება, მაგალითად ქართულს სკოლაში, იწყებოდა მესამე წლიდამ. თვით სტრელეცკი იმყამად პოლიტიკანობის გარეშე იდგა. აი რა ბრძანა მან მასწავლებელთა წინაშე ქალ. სიღნაღში: „ოღონდ მუყაითად მოეკიდეთ საქმეს, რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენი საქმე, ხალხს მივცეთ რამე და მე სრულიადაც არ ვერევი იმ საქმეში, თუ რაენაზედ გაქვთ სწავლა. აქ პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი“... სკოლებში სწავლება მაშინ კარგად მიდიოდა... რუსული ენის სწავლება იწყებოდა მესამე წლიდამ. უნდა გენახათ, რომ გაკვირებულიყავით, თუ რა ადვილად ეხერხებოდათ ბავშვებს ამ წლიდამ რუსულის სწავლა, რადგანაც საზრისი გახსნილი ჰქონდათ და სულ ადვილად ხვდებოდნენ. რასაც ეხლა სამს წელიწადს ვერ ათვისებინებენ ცრუ პედაგოგნი, პოლიტიკანები, მაშინ ერთს წელს სულ ადვილად ითვისებდნენ... მაგრამ სახალხო განათლების ვითომ მოკეთეებმა ამ გეგმას ძირი გამოუთხარეს.,. მზრუნველი ნეველოვი გადააყენეს და იმის ნაცვლად კირილე იანოვსკი დანიშნეს.., 1878 წლის გეგმის ნაცვლად დაიბადა 1881 წლის 13 იანვრის გეგმა, რომელსაც მაშინ ყველა შეხვდა მეტის მეტად მტრულად... ეწყინათ მასწავლებლებს უკანასკნელი გეგმის გამოცემა და 15 მასწავლებლობას თავი მიანება... (დ. ხ—შვილი. სახალხო გაზეთი № 813). სასულიერო უწყების ქვეშე მყოფს სასწავლებლებში კი 1878 წლის გეგმით არ ასწავლიდნენ. „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლებიდამ დედა ენა სრულიად გამოძევებული იყო. მასწავლებელს აკრძალული ჰქონდა მისი ხმარება პირველი ოთხი თვის შემდეგ. ქართული ენა სრულიად გამოკლებულია საგნების რიცხვიდამ, არც ერთი საათი არ არის დადებული მისი სწავლებისათვის (იაკობ გოგებაშვილი. რჩეული ნაწერები. გვ. 13). განსვენებული ი. გოგებაშვილი ურჩევს დასავლეთის საქართველოს მასწავლებლებს, რომელნიც მაშინ ცუდის მეთოდით ასწავლიდნენ, შემოეღოთ 1878 წლის გეგმა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებდა და რომელმაც კეთილი ნაყოფის გამოღებისთვის ყველას თანაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნობა დაიმსახურა. (ეს გეგმა დაბეჭდილია მზრუნველის ცირკულიარში 1878 წლ. № 10). ამ გეგმის ძალით რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი. თვით მთავრობის წარმომადგენელმა ღენერალმა სტაროსელსკიმ, „ნამესტნიკის“ თანაშემწემ, მიმართა სახალხო მასწავლებლებს 1878 წელში შემდეგი სიტყვებით: სკოლამ უნდა აამაღლოს ხალხი გონებით, ზნეობით, კეთილ-დღეობით და ამით შეეწიოს თვით სახელმწიფოს დიდებას. თუ ამ მაღალ მიზნის მიღწევას დაუშლის რუსულ ენის სწავლება, მოგვახსენეთ და ჩვენ შეგვიძლიან მომეტებულადაც შევუმსუბუქოთ სასოფლო სკოლას ეს ვალდებულება (რჩეული ნაწერები გვ. 47).

1881 წლის გეგმა ყველა არარუსთა სკოლებისათვის იქმნა დამტკიცებული და მას თუმცა ნაკლულევანებანი აქვს და 1878 წლის გეგმასთან შედარებით უფრო ნაკლები ღირსებისაა,—მაგრამ იმის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის სავსებით ანტიპედაგოგიური იყოს... სამშობლო ენას ამ გეგმით ცოტაოდნად მაინც საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სკოლაში. ამ გეგმის ძალით პირველს განყოფილებაში სამშობლო ენაზე ბავშვთათვის წერა-კითხვის სწავლებას მოუნდება 4—5 თვე. ყოველ შემთხვევაში გეგმის აზრით, პირველი წლის დამლევს ბავშვს უნდა ჰქონდეს შესწავლილი მშობლიურს ენაზე წერა-კითხვა, მშობლიურს ენაზედვე უნდა სწავლობდეს ბავშვი ანგარიშს და საღმრთო სჯულს... გეგმას არ აქვს არავითარი სურვილი პირველს წელსვე შეასწავლოს ბავშვს რუსული წერა-კითხვა და მით გაუძნელოს მას განვითარების საქმე. პირველი წელი არის წელი მშობლიური ენის საკეთილო გავლენისა ბავშვის ბუნებაზე...

არარუსმა ბავშვმა პირველს წლის გასულს უნდა იცოდეს: ა) სამშობლო ენაზე წერა-კითხვა; ბ) სამშობლო ენაზე (და ცოტა რუსულზედაც) ანგარიში ასამდის და საანგარიშო ამოცანების გაკეთება ოცამდის. გ) სამშობლო ენაზედვე საღმრთო სჯულიდამ უმთავრესი ამბები... დ) ბავშვმა უნდა გაიცნოს რამდენიმე რუსული სიტყვა და ფრაზა... („Нѣкоторое количество русскихъ словъ и выраженій“)... გეგმა კრინტსაც არა სძრავს პირველს წელს რუსული წერა-კითხვის სწავლების შესახებ, რომელსაც ჩვენი არა მკითხე მასწავლებლები ძალად აჩეჩებენ საცოდავ ქართველს ბავშვებს მაშინ, როდესაც ისინი ძლივს კითხულობენ მშობლიურს ენაზე. გეგმა ამბობს: „რუსული სიტყვების და ფრაზების სწავლება უნდა დაწყებულ იქმნას პირველ წლის მეორე ნახევრიდამ. ეს სწავლება უნდა სწარმოებდეს ყოველ დღეს ნახევარ საათით ან 45 წუთით და გრძელდებოდეს წლის დამლევამდე. სწავლების მასალა: გარეშემორტყმული საგნების სახელწოდებანი, ან იმ მასალის შესწავლა, რომელიც შეტანილია პირველს რუსულს სასწავლო წიგნში და აგრეთვე რუსული ანგარიში (იგულისხმება ზეპირი და ასამდის).

მოვუსმინოთ გეგმას მეორე განყოფილების შესახებ. ამ განყოფილების გათავებისას, მესამე განყოფილებაში გადასვლის ჟამს მოწაფეებმა უნდა იცოდნენ. ა) სრულიად თავისუფლად კითხვა, წერა და გადაცემა წაკითხულისა მშობლიურს ენაზე; ბ) საღმრთო ისტორია მშობლიურს ენაზე დაბეჯითებით; გ) საანგარიშო ამოცანები არა რთულის ხასიათისა ასამდის მათის განმარტებით მშობლიურს ენაზე და, შეძლებისა და გვარად რუსულადაც, დ) თავისუფლად კითხვა და წერა რუსულს ენა-

ზე, ისე კი რომ რუსულად წაკითხული სამშობლო ენაზე განმარტოს ბავშვმა... წარმოიდგინეთ, რომ მეორე წელსაც რუსულს ენაში იმდენი ყურადღება არ ექცევა წაკითხულის გადაცემას რუსულადვე. გეგმას საჭიროდ მიაჩნია ბავშვმა რუსულად წაკითხული გაიგოს და მშობლიური ენით გადასცეს. სჩანს, რომ აქაც მშობლიური ენა პატივმოსილია, მისი უფლება სკოლაში შელახული არაა... გეგმასაც სახეში აქვს ბავშვის განვითარება მშობლიური ენის საშუალებით.

მესამე განყოფილებაში რუსული და მშობლიური ენა თანასწორად მიდიან სწავლების ჟამს რუსულის ენის და ანგარიშის შესწავლის დროს, ისე კი რომ ამ განყოფილებაშიაც სადმრთო სჯული, რომელსაც ჩვენი სულიერი მამები, სკუფიაკამილავკის მიღების გულისთვის დღესაც ბევრგან რუსულად ასწავლიან, მხოდოდ მშობლიურს ენაზე უნდა ისწავლებოდეს...

ცხადად სჩანს, რომ 1881 წლის გეგმით პირველს და მეორე განყოფილებაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს მშობლიური ენის შესწავლას სკოლაში, ხოლო მესამე განყოფილებაში რუსულს და მშობლიურს ენებს ერთგვარი უფლებანი აქვთ სწავლების საქმეში. ხსენებული გეგმა დამყარებულია რამდენადმე საღს პედაგოგიურს პრინციპებზე. ღენერალ-ლეიტენანტმა სტაროსელსკიმ, ხელმწიფის მოადგილის თანაშემწემ, როდესაც მზრუნველს გაუგზავნა მოადგილის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმა, სხვათა შორის მისწერა მას: „ხელმწიფის მოადგილემ ინება განსაკუთრებული სიამოვნებით წაეკითხა ოქმში შეტანილი სასწავლო გეგმა არარუსთა პირველ დაწყებითი სკოლებისთვის შედგენილი და სავსებით მოიწონა ეს გეგმა, რადგანაც ის შეესაბამება როგორც საღს პედაგოგიურს მოთხოვნილებათა; ისე ამ დასაწყისებს, რომელნიც კავკასიის არა რუსთა პირველ დაწყებითის სკოლებისთვის დამყარებულ იქმნენ მისი უმაღლესობის ხელმწიფის მოადგილის მიერ უმაღლესად მოწონებულ მოსაზრებათა თანახმად“ (იხ. Истор. записка объ управ. Кавказомъ. т. II. Составилъ С. Э. Эсадзе. Приложеніе стр. 172—176).

მოადგილის მიერ უმაღლესად მოწონებულ მოსაზრებათა თანახმად... მაგრამ როგორც ვიცით, 1881 წლის შემდეგ რუსთა ცხოვრებაში დამყარდა რეაქცია, რომელმაც საქართველოც არ დაივიწყა. მიხეილ ნიკოლოზის ძე შესცვალა მან—დანდუკოვ—კარსაკოვით (მთავარმართებლის ხარისხით), ექსარხოსი ლმობიერი იოანიკე, რომლის შუამდგომლობით კვლავ შემოიღეს სამოცდა მეათე წლებში განდევნილი ქართული ენა სასულიერო უწყების სასწავლებლებში და შტატის საგნადაც კი გახადეს,—ცნობილი პავლე ექსარხოსით, რომელთანაც მოუხდა შეხლა დიმიტრი ყიფიანს, ხოლო—მზრუნველის ნეველროვის მაგივრად—მოგვივლინა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი მზრუნველის თანამდებობაზე, ფრიად ღრმად განსწავლილი პედაგოგი, მაგრამ ადგილობრივი ენების შესახებ კი მრუდი შეხედულობის ადამიანი, ნამდვილი რუსიფიკატორი... და 1881 წლის გეგმა მთელი 24 წლის განმავლობაში ქაღალდზე დარჩა... მის განხორციელება საქმით არ ხდებოდა, მაგრამ გეგმა უარყოფილი... არიყო... მას ისევ ჰქონდა იურიდიული ძალა, როგორც ხელმწიფის მოადგილის მიერ დამტკიცებულს კანონს.

აი რას მოგვითხრობს ბ. ჯორჯაძე „სახალხო გაზეთი“-ს მე—811 ნომერში: „1881 წელს იანვარში დამტკიცებული იყო კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის მიერ სამოს-

წავლო გეგმა... მაგრამ ეს გეგმა 1885 წელს გაუქმებულ იქმნა არა იმ პირის მიერ, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივი სამოსწავლო დაწესებულების მიერ''. ამ გარემოებამ, როგორც ვიცით, დიმიტრი ყიფიანის დიდი ყურადღება მიიქცია, და 1881 წლის გეგმას თამამად ესარჩლებოდა ეს დაუვიწყარი მოღვაწე... გეგმა გააუქმა მზრუნველმა, რომლის უფლების ფარგალში სრულიად არ შედის ახალი კანონის გამოცემა და ძველის კანონის გაუქმება... ჯერ კიდევ 1881 წელს, როდესაც გეგმა ახლად დამტკიცებულიყო, კირილე პეტრეს ძემ იანოვსკიმ გაზეთს «Кавказъ»-ში მოათავსა წერილი ადგილობრივი სკოლების შესახებ, რომელშიც გამოხატა თვისი სულის კვეთება და უკმეოდა მუნჯურს მეთოდს, უსამართლოდ წოდებულს ,,ბუნებრივს მეთოდად''... აი რას სწერდა მზრუნველი:

„ბავშვები ითვისებენ საკუთარკო უცხო ენებს, ხანდახან ორ-ორსაც ერთსა და იმავე დროს ისეთი გუბერნიორი კაცების და ქალების შემწეობით, რომელთაც ზოგჯერ სრულიად არ იციან ბავშვთა მშობლიური ენა. ასეთი ბუნებრივი საშუალება უნდა უსათუოდ ხმარებულ იქმნას დასაწყისს სკოლაში რუსული ენის სწავლების ყამს''... (რჩ. ნაწ. გვ. 52) ცხადად სჩანს, საოთკენაა მიპყრობილი ყურადღება მზრუნველისა!. და იმ ბუნებრივს მეთოდს, ჩვენებურად მუნჯურს, ის ნელანელა და თანდათანობით ახორციელებდა ჩვენებურს სკოლებში... ცნობილი ლევიცკი იყო ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან მზრუნველის იანოვსკისა... სწორედ სწავლის ასეთმა მსვლელობამ ჩვენებური სკოლა თვით მკვლელობამდის მიიყვანა... მუნჯური მეთოდის სკოლის პირველი სიკვდილი 1905 წელში მოხდა...

სინამდვილემ და ხალხის შეგნებამ სკოლა, 1881 წლის გეგმის უარმყოფელი, უარჰყო... მუნჯური მეთოდით გაჟღენთილი სწავლება ჩვენს ხალხს არ მოსწონდა... სკოლას და ხალხს შორის დიდი უფსკრული დამყარდა, 1905 წელს, როდესაც რუსეთში მოძრაობა დაიწყო, ჩვენმა ხალხმა ახდილად და თამამად დაჰგმო თავისი სკოლები, და გადაწყვიტა მათში შვილები აღარ გაეგზავნა. ამ დროს კავკასიის ოლქის მზრუნველად იყო ბ. მიხეილ რომაულის ძე ზავადსკი, განვითარებული პედაგოგი და შორს მჭვრეტელი ადმინისტრატორი... მან შეიგნო დროს ხასიათი, სამართლიანად სცნო ხალხის მოთხოვნილება და 20 ივლისს 1905 წელს მე—10405 ნომრით გამოსცა შემდეგი საყოველთაო განკარგულება (ცირკულიარი). აი რა სწერია ამ ცირკულიარში: 1881 წლის 13 იანვრის სასწავლო გეგმა, ჯერ არავისგან არაა მოსპობილი (ჩვენია ხაზი) და დღესაც ბეჯრს სკოლაში იხმარება. შემდეგ წინადადებას იძლევა ასწავლონ 1, 2 და 3 განყოფილებაში საღმრთო სჯული, მშობლიური ენა და ანგარიში სამშობლოენაზე. ამის გამო ამბობს ბ. ზავადსკი, — საჭიროდ ვსთვლი, 1) რომ სახალხო სკოლათა ინსპეკტორების შორის ადგილები ისე იყოს განაწილებული, რომ მათ იცოდნენ მცხოვრებთა უმრავლესობის ენა. თუ როგორ მელიმე ინსპეკტორმა საკმაოდ არ იცის ხალხის ენა, აუცილებლად საჭიროა, რომ მან ხელი მიჭყოს იმის შესწავლას, და თუ ამისთვის საჭირო იქნება ხარჯი, მე დაუყოვნებლივ მას გამოვნახავ, როცა კი მომახსენებენ ამის თაობაზე; 2) რომ ინსპეკტორებმა სკოლათა რევიზიის დროს აუცილებლად მიაქციონ ყურადღება იმას, თუ

რა მეთოდებით ასწავლიან სამშობლო ენას, რამდენი მასალა და როგორ გაუვლიათ ამ ენაში! 3) საზოგადოების წევრთა ყოველნი განცხადებანი მშობლიური და რუსული ენების სწავლების შესახებ ინსპექტორებმა სარევიზიო ანგარიშებში უნდა ჩაწერონ, რათა მე თავის დროზე შევიტყო ეს განცხადებანი და მათ გამო მივიღო შესაფერი ღონისძიებანი; 4) საჭიროა გაძლიერებულ იქმნან ღონისძიებანი მშობლიურ ენის მცოდნე სამასწავლებლო კანდიტატების მოსამზადებლად; 5) უნდა გაძლიერებულ იქმნან სკოლათა სამზრუნველოები, რომელთაც ნება ეძლევათ აღირჩიონ და დასამტკიცებლად წარმოადგინონ მასწავლებლის ადგილზე კანდიდატები... მათი აზრები იმის შესახებ, თუ რაგვარი პირველ დაწყებითი ცოდნა უნდათ თავიანთის ბავშვებისთვის მხედველობაში უნდა იქმნან მიღებული... ბ. ზავადსკის ეს მშვენიერი აზრი დამყარებული საღს პედაგოგიურს შეგნებაზე, ხელმწიფის მოადგილემ გრაფმა ვორონცოვ—დაშკოვმა დაამტკიცა თავის მხრით 29 ენკენისთვეს 1905 წელსა და ბრძანა, რათა სასოფლო სკოლებში იხელმძღვანელონ 1881 წლის გეგმით (იხ. ცირკულიარი კავკასიის სასწ. ოლქის 1905 წლისა № 10 გვერდები 854—857)... გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა კვლავ 8 იანვრის 1907 წელს დაადასტურა თვისი წინანდელი ბრძანება 1881 წლის გეგმის თაობაზე... ასე იყო ამ გეგმის საქმე 1907 წლამდის, სანამ ბ. ნ. თ. რუდოლფს კავკასიაში მზრუნველად დანიშნავდნენ... ახალმა მზრუნველმა თეორიულად ბევრი საკეთილო და კეთილშობილური აზრი გამოთქვა სწავლა აღზრდის შესახებ... დიდი ყურადღება მიაქცია მოწაფეთა ფიზიკურს აღზრდას. სასწავლებელთა რიცხვი მის დროს საგრძნობლად გამრავლდა... საკმაოა მოვიგონოთ, თუნდა ის გარემოება, მაგალითად, რომ ქუთაისის გუბერნიაში 1908 წელს იყო 249 სამინისტრო სკოლა, 1912 წელს კი ეს რიცხვი ავიდა 347-მდის, ტფილისის გუბერნიაში 1908 წ. იყო 173 სკოლა, ხოლო 1912 წელს კი—285. ამ ორს გუბერნიაში ყოფილა 1908 წელს—სულ 422 სკოლა, ეს რიცხვი 1912 წელს. —632-მდის ასულა,—მომატებია 210 სკოლა. სკოლათა გამრავლების მხრით საქართველო არც ისე უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა, მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორი სული ტრიალებს მათში, რარიგ სწარმოებს დიადი საქმე ბავშვთა გონების და ზნეობის განვითარებისა, მათის გაადამიანებისა... რომ ამ მხარესაც ბ. მზრუნველი ყურადღებას აქცევს, ეს სჩანს იმისვე სიტყვებიდამ, რომელიც ჩაწერილია მის 1910 წლის ანგარიშში:

საკლასო მეცადინობათა დროის საუკეთესოდ გამოსაყენებლად საჭიროა არა გადიდება სასწავლო საგნების კურსის შემცველობისა, არამედ გაღრმავება სასწავლო მასალის მნიშვნელობისა, ამ მასალისთვის განმავითარებელი ხასიათის მიცემა, ისე კი, რომ სასკოლო მეცადინობა შეკავშირებული იყოს ცხოვრებასთან. დასაწყისმა სკოლამ მარტო წერა-კითხვა კი არ უნდა ასწავლოს, არამედ ცოდნის მოხმარებაც ცხოვრებაში... მშვენიერი სიტყვებია, თუ კი რომ მათი დედა აზრს განახორციელებენ მისნი ხელქვეითნი. მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება... ჯერ ერთი, რომ დღეს ინსპეკტორებად საქართველოში ინიშნებიან, ბ. ზავადსკის აზრის თითქოს საწინააღმდეგოდ, სრულიად უვიცნი ქართულის ენისა, რომელთაც არ შეუძლიანთ გაუწიონ კანტროლი სამშობლოს ენის სწავლებას, რომლის კარ-

გად შესწავლა ცხოვრების არსებობითს მოთხოვნილებადაა დღეს გადაქცეული... რაც დრო მიდის, ჩვენი ხალხის ფართო მასსა უფრო ეტანება დედა ენის შესწავლას, შეგნებულად ექცევა ამ საქმეს, მაგრამ ამასთანავე მას სურს შეისწავლოს სახელმწიფო ენაც...

1912 წელს ზაფხულში **ბორჯომში** მომხდარმა ამიერ კავკასიის სახალხო სკოლების დირექტორთა და ინსპექტორთა კრებამ ბევრი საკითხი გამოარკვია (იხილე ამ კრების ანგარიში), 1881 წლის გეგმის უარყოფა არ დაადასტურა კრებამ, თუმცა მის გარშემო ბევრი იტრიალა... მხოლოდ ზოგიერთ მასწავლებელს გასაძრომი ადგილები დაუტოვა. საქმე ისაა, რომ ამას წინად ვერაგულად მოკლულმა გორის საოსტატო სემინარიის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბ. ტერ-არუთიუნოვმა ნებსით თუ უნებლიედ კრებაზე მშობლიური ენა გამოაცხადა სრულიად გამოუსადეგრად რუსულის ენის შესწავლის დროს და ხმამაღლა აღიარა, რომ საჭიროა ამიერ კავკასიის სკოლებისათვის შედგენილ იქმნას კარგი სახელმძღვანელო, რასაკვირველია, მუნჯური მეთოდის პრინციპებზე დამყარებული... ძლიერ საჭიროაო —ბრძანა ამიერ კავკასიელმა პედაგოგმა ტ. არუთინოვმა, რომ „ამ სფერაში ვიმუშაოთ, რადგან ეს მუშაობა ბავშვებს შრომას გაუადვილებს და მათს ბედნიერებას გაძღიერებს, და ჩვენ კი ჭეშმარიტს კმაყოფილებას მოგვანიჭებს“... მუნჯური მეთოდი—გააძლიერებს ბავშვების ბედნიერებას და მასწავლებელთაც ჭეშმარიტს კმაყოფილებას მიანიჭებს—ეს სიტყვები მეოცე საუკუნეში მიგვაჩნია დანჯღრეულს გამოძახილად, სამარცხვინო სიტყვებად... ტერ არუთიუნოვზე შორს აღარც ცნობილნი ლევიცკი და ვოსტორგოვი წასულან... უფრო გონივრები აღმოჩნდნენ ტერ-არუთიუნოვის მსმენელნი! მათ წინადადება მისცეს ტ. არუთიუნოვს—დადგენილების გამოტანამდის კრებისთვის წაეკითხა რამდენიმე გაკვეთილი, შემუშავებული მის მიერ წამოყენებული მეთოდის მიხედვით. მანაც რვა გაკვეთილის სანიმუშო კონსპექტი წაუკითხა კრებას... გაკვეთილები აღსავსეა აბდა-უბდური აზრებით, რომლებიც შეტანილია მუნჯური მეთოდის არსებულს სახელმძღვანელოებში... ამ გაკვეთილთა უსუსურობის და ანტიპედაგოგიურობის დასამტკიცებლად შევჩერდეთ მერვე გაკვეთილზე. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ გაკვეთილს, ბ. ტერ-არუთიუნოვის აზრით, მასწავლებელი აძლევს არარუს ბავშვებს (ქართველს, სომხებს და სხვა...) პირველს წელსვე ერთის თვის შემდეგ დაახლოებით 5—6 დვინობისთვეს... იმასაც სამშობლო ენის დაუხმარებლად. გაკვეთილის საგანია:

„Встань по утру, не лѣнись;
Мыломъ вымойся, утрись,
Частымъ гребнемъ причешись,
Да и Богу помолись“.

ამ ლექსის შინაარსის განსამარტებლად მასწავლებელი უჩვენებს სურათს, რომელზედაც დახატულია მძინარე ბავშვი. აი ბავშვს სძინავს (თვითონაც მასწავლებელი ხუჭავს თვალებს და თავს სდებს ხელზე, ვითომ იძინებს). მოწაფეები იმეორებენ და თვითონაც მასწავლებლის მსგავსად იძინებენ.

მასწავლებელი. ჩვენ გვძინავს დამით (ჯდება სკამზე, ხუჭავს თვალებს და სდებს თავს მაგიდაზე). ამავე დროს მოწაფეები დახურვენ ფანჯრების დარაბებს, რომ ამით შეიგნონ სიტყვა: „Ночью“... მასწავლებელი აჩვენებს საპონს, Это мыло ...моють руки... უჩვენებს ხელის ბანვას... ერთს მოწაფეს აძლევს საპონს, მიჰ-

ყავს პირის საბანთან და ხელებს აბანინებს... ბოლოს და ბოლოს ერთს მოწაფეს ვითომ აძინებს. ეს მძინარე იღვიძებს ლექსის წარმოთქმის დროს, იღებს საპონს, იბანს ხელ-პირს, პირს იხოცავს, იღებს ხელში სავარცხელს და ივარცხნის თავს, მიბრუნდება ხატისკენ და ხელების აპყრობით მიმართავს მას... და სხვა... მეტი მასხრობა და სარწმუნოებრივი გრძნობის შელახვა შეუძლებელია... სჩანს, რომ ბორჯომის კრებაზეც აღიძრა საკითხი უკვე დასამარხავად გამზადებულის მუნჯურის მეთოდის შესახებ... სამწუხაროა ისაა, რომ მის გაცოცხლების იარაღად გახდა რუსი პედაგოგი კი არა, არამედ ტომით ჩვენებური სომეხი. ბ. ა. ი. სლოვინსკიმ, რომლის ხელქვეითი მასწავლებელიც იყო ბ. ტ-არუთინოვი გორის საოსტატო სემინარიაში, ძლიერ შეაქო მუნჯური მეთოდის მოტრფიალე პედაგოგი... აი შექების სიტყვები: ტ-არუთინოვი იშვიათი მასწავლებელია სწავლების გარეგან მორთულობის და გამჭრიახობის მხრით... საოსტატო სემინარიაში ის დიდს შედეგებს აღწევდა ამ მეთოდით...

ეს მეთოდი გვიმოძღვრებს, რომ მასწავლებელმა ისარგებლოს რუსული სიტყვების იმ შემთხვევითი რაოდენობით, რომელიც კი ექნებათ მოწაფეებს, თუნდა ერთს იმათგანს მაინც... ეს მეთოდი თხოულობს, რომ ყოველი განკარგულებანი მასწავლებელმა აძლიოს პირველი დღიდამვე მოწაფეებს რუსულად. ეს მეთოდი თხოულობს აგრეთვე უფრო მეტს ახლო ყოფნას მასწავლებლისას მოწაფეებთან... ერთმა წევრმა სამართლიანად შენიშნა, რომ ეს მეთოდი არაა ახალი კავკასიაში; მას 30 წლის ისტორია აქვს... მაგრამ ამ მეთოდმა ვერ მოიპოვა თანაგრძნობა და ვერც გავრცელდა, რადგან მას თან ახლდა მრავალ-რიცხვოვანი ხელოვნურობა, რასაც ვერ ალცდა ბ. ტერ-არუთინოვიც (მაგალითად, ძილი კლასში, გაღვიძება და სხვა)... ეს მეთოდი ჯერ არაა შემუშავებული... ის გამოსადეგია გამოუცდელი მასწავლებლის ხელში, ხოლო გამოცდილი მასწავლებელი კი მის მეოხებით ვერავითარს სარგებლობას ვერ მიაღწევს... ყოველ შემთხვევაში კრებამ დაადგინა: მეთოდიურ მოსაზრებათა გამო მასწავლებელმა უნდა ისარგებლოს ხანდახან შესაფერის შემთხვევით, რათა გააცნოს ბავშვებს რუსული სიტყვები და ფრაზები სწავლის პირველ დღიდანვე პირველს განყოფილებაში... ეს გაცნობა შეიძლება დაიწყოს მასწავლებელმა თვის საკლასო განკარგულებათაგან, განსაკუთრებით ისეთ განკარგულებათაგან, რომელნიც ერთი სიტყვისგან შესდგებიან .. კრებამ შენიშნა, რომ 1881 წლის გეგმაში ნახსენები: მეცადინობა რუსულს ენაში, რომელიც იწყება პირველ წლის მეორე ნახევრიდამ, ნიშნავს რუსული ენის ლექსიურ გაკვეთილთა სისტემატიურს შესწავლას ამისთვის განსაზღვრულს საათების დანიშვნით... გამოდის, რომ რუსული ენის ხმარება გაკვეთილის სახით კი არა, არამედ საბაასოდ მოწაფეებთან, მათთან სასაუბროდ, სასურველია. პირველი დღიდამვე... კრების ამასთანა დადგენილება მართალია არაა სრული უარყოფა 1881 წლის გეგმისა, მაგრამ მისი ნახევრად უარყოფა მაინც არის. მასში რომ „ხანდახან“ სწერია, ბევრი მასწავლებელი ისე გაიგებს, რომ მას ავალებენ პირველ დღიდამვე ბავშვს სკოლაში რუსული ენა ასწავლოს, მით უმეტეს, რომ დადგენილების მესამე მუხლში ასეა ნათქვამი: როცა მოწაფეებს მიიღებენ სკოლაში, მასწავლებელმა უნდა შეიტყოს, თუ ვინ რამდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული სიტყვა იცის... და ისარგებლოს ამითი იმ ბავშვებისათვისაც, რომელთაც რუსული ენა არ იციან... ამ დადგენილებას ზოგიერთი ვიცი მასწავლებელი ისე გაიგებს, რომ რუსული ენის ცოდნა ბავშვებისთვის სავალდებულოა სოფლის სკოლაში მისაღებად... ვინიცის, რომ ერთს ბედნიერს დღეს მან არ მოითხოვოს რუსულს ენაში გამოცდა სოფლის ბავშვებისა. ჩვენს უკუღმართს დროში არც ეს იქნება გასაკვირველი...

კრებას რუსულს სახელმძღვანელოთა სიაში ამიერ კავკასიის სკოლებისთვის არ შეუტანია პირველს და მეორე ნომრის ქვეშ იაკობ გოგებაშვილის სახელმძვანელო: „Русское Слово“... ჯერაა სახელმძღვანელონი: „болѣе соотвѣтственныя“ (№ 1), შემდეგ მეორე ნომრით აღნიშნული არიან სახელმძღვანელონი, „каторыя могутъ быть вводимы“ აქ მოხსენებულია სახელმძღვანელოები პ. კორხანიდისა, ჯაფარიძის და ზედგინიძისა და მარტინოვსკისა, პირველი ნაწილი. მესამე ნომრის ქვეშ კი არიან მოხსენებულნი ერთად შემდეგის სათაურით: „книги, допускаемыя впредь до изданія болѣе соотвѣтственныхъ цѣлямъ и задачамъ начальной школы:

1. ლევიტსკი. რუსული ენის კურსი
1. გოგებაშვილი. რუსკოე სლოვო...

პირველი ადგილი კრებას ლევიცკის წიგნისთვის დაუთმია. სოფლის უვიცი და მშიშარა მასწავლებელი, რომელიც უფროსის ნებას მის სახის გამომეტყველებაზე ჰკითხულობს, რასაკვირველია, აღირჩევს იმ სახელმძღვანელოს, რომელიც პირველადაა ნახსენები და არა გრგებაშვილისას, რომლის სახელმძღვანელოს მესამე ნომრის სიაში მეორე ადგილი უჭირავს, ხოლო სახელმძღვანელოთა მთელს სიაში, რომელიც შეიცავს 30 წიგნს, უკანასკნელი ადგილი... თამამად შეიძლება ითქვას გოგებაშვილის სახელმძღვანელოს შესახებ, რომ ისიც იხსენება სიისა ბოლოს გდებული.! არაა ამის შემდეგ გასაკვირელი, თუ ბევრგან ჩვენმა მასწავლებლებმა, რომელთაც მაინც ნება აქვთ შემოიღონ ის სახელმძღვანელო, რომელიც მოსწონთ, უარი განაცხადეს გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ხმარებაზე და შემოიღეს ისეთი სახელმძღვანელონი, რომელნიც რუსთათვის არიან შედგენილნი... რა გასაკვირველია ამის შემდეგ ის გარემოებაც, რომ სახალხო სკოლათა ინსპეკტორმა ბ. ტერ-გასპარიანცმა გაილაშქროს 1881 წლის გეგმის წინააღმდეგ... ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბორჯომის კრების ჟურნალები დაეგზავნათ ერთს წიგნად, რომელიც 355 გვერდს შეიცავს, მასწავლებლებს სახელმძღვანელოდ... თვით ბ. მზრუნველი კი მომხრეა თვალსაჩინო-პრაკტიკულის მეთოდისა რუსულის ენის სწავლებაში... (იხ. ამ წიგნის 87 გვ.) ეს მეთოდი მაღლა სდგას მუნჯურს მეთოდზე იმითი მაინც, რომ არ უარყოფს სამშობლო ენის ხმარებას შეძენილი ცოდნის შესამოწმებლად და განყენებულ ცნებათა შესათვისებლად... ის უახლოვდება გოგებაშვილის მეთოდს და უჭირავს საშუალო ადგილი ამ მეთოდსა და მუნჯური მეთოდის შორის. ეს ის მეთოდია, რომლის შესახებ ამასწინად ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელმა დასტამბა ვრცელი წერილი კავკასიის სასწ. ოლქის ცირკულიართა მეორე ნომერში. (1912 წ.) ჩვენის მხრით დიდი თაყვანის მცემელი ვართ რუსულის ენისა და ფრიად გვწყინს, როდესაც ამ საგანს ცუდის მეთოდის და სწავლების უდროვოდ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყების მეოხებით არა რუსის ტვინის გამიჯალაყებლად ხმაროობენ... ცუდი მეთოდის მეოხებით შესაძლოა არა რუს ბავშვს რუსული ენაც შესძულდეს, როგორც მიზეზი მისი წვალებისა სასწავლო მასალის შეუგნებლობის გამო... რუსულს ენაზე გულაცრუებული ბავშვი სკოლასთან გასწყვეტს ყოველსავე კავშირს და არ იქნება მასთან არსებითად შეერთებული... ამის მეოხებით არ შესრულდება ის მშვენიერი აზრებიც, რომელთაც ასე ხშირად გვამცნებს ბ. მზრუნველი: საჭიროა, რომ ხალხს სკოლის ხალისი ჰქონდეს, რომ სკოლა გახდეს მიმზიდველათ არათუ მოზარდ თაობისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც... უნდა შემუშავებულ იქმნან პირობები, რომელთ მეოხებით ხალხი სკოლის გარეშე ეცდება შეძენილი ცოდნის დამტკიცებას და აგრეთვე განვითარებას... ჩვენ კი გვგონია, რომ თუ ტერ-არუთიუნოვის და ლეკიცკის მეთოდს იხმარს მასწავლებელი, ბავშვებს სამუდამოდ შესძულდებათ სკოლა, რადგან ისინი მიხვდებიან, რომ მასწავლებელი განძრახ არ ხმაროობს მათს დედა-ენას, არაფრად აგდებს მათის პირველი ლოცვის ენას და მიმართავს ოინბაზურ—ჯამბაზურს საშუალებებს რუსულის ენის სწავლების ჟამს... ვინ არ იცის, თუ რაოდენ ძლიერნი არიან პირველ სიბავშვის ჟამს მიღებული განცდანი და შდაბეჭდილებანი... ისინი ძნელად აღმოიფხვრებიან ბავშვის ბუნებიდან და სამარის კარამდის არ განშორდებიან მას... ჩვენ ვემხრობით და ვმოძღვრებთ რუსულის ენის სწავლების ისეთს მეთოდს, რომლის მეოხებით ბავშვი (არარუსი) სწავლობს ამ ენას შეგნებით, ადვილად, თავის ჭკუის ნიჭთა და ძალების დაუზიანებლად. ასეთს მეთოდში ჩაქსოვილია ბრძნულად წინდი რუსულის ენის სიყვარულისა... იგია სასურველი და ძვირფასი როგორც ეროვნულის და პედაგოგიურის, ისე პოლიტიკურის მხრითაც. ცხადზე უცხადესია აქედამ, რომ მუნჯურის მეთოდის მომხრენი და 1881 წლის გეგმის დამარღვეველნი ვერ უწევენ კარგს სამსახურს ვერც არარუს ბავშვის განვითარებას, და ვერც რუსულის ენის გავრცელებას ჩვენში. ისინი ძალა უნებურად ჩვენს მხარეში რუსულის ენის და რუსული მოქალაქობრიობის გავრცელების მტერნი გამოდიან.

ელი — აძე.

P. S. ეს წერილი დამთავრებული გვქონდა, როდესაც „სახალხო გაზეთი"-ს მე—815 ნომერში წავიკითხეთ ცნობა ამის შესახებ, რომ კავკასიის ოლქის მზრუნველმა ბ. ნ. თ. რუდოლფმა ქუთაისიდამ მისულ დეპუტაციას უთხრა, რომ 1881 წლის გეგმას არ მოვსპობო და ამ გეგმის გამო დათხოვნილ მასწავლებლებს კვლავ სამსახურში დავაბრუნებო...

ჩვენ მოველოდით, რომ ეს ასე მოხდებოდა!

ელი—აძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

(მისი სასცენო ასპარეზზე 32 წლის მოღვაწეობის გამო)

თებერვლის 10-ს ქართველმა ერმა დიდის ამბით იდღესასწაულა თავისი ნიჭიერის, სასცენო ასპარეზზე მოღვაწის ლადო მესხიშვილის იუბილე. ლადო მესხიშვილი ფრიად ნიჭიერი მსახიობია, რომელმაც ქართულს სცენას შესძინა არა ერთი მაღალ ნიჭიერი მსახიობი. იუბილიარის მოღვაწეობა მეტად თვალსაჩინოა და ჩვენი ერის წინმსვლელობაში დიდათ ღირს შესანიშნავიც. „განათლების“ რედაქცია ითვალისწინებს იუბილიარის სასცენო მოღვაწეობას, მისს ნიჭს, უნარს და ღვაწლს, რაც მან დასდო ჩვენს სამშობლოს და სიამოვნების გრძნობით აღჭურვილი წრფელის გულით ულოცავს ქართველ ერს და ქართული სცენის მოღვაწეს ამ ღირს შესანიშნავ დღესასწაულს.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწერილი ამბები

სოფლის სკოლები.

(წერილი დიდი-ჯიხაიშიდან)

მოხდება ხოლმე ხანდახან—ეს თუ ის სა-ზოგადო კაცი სრულიად შეუმჩნეველი რჩება საზოგადოებაში და ეს სასურველი, არაა ჩემის აზრით. მოდვაწეობა საზოგადოთ ორგვარი არის: პროგრესიული და შავრაზმული! და ამიტომ საჯხისთვის სულ ერთი არაა თუ ვინ რაგორ მოდვაწეობს, საზოგადო საქმის საოთვეში მდგომი ესა თუ ის პიროვნება თუ რა „ჯურის“ მოდვაწე ბრძანდება! სკოლა საზოგადო საქმეა მისი ხელმძღვანელიც საზოგადო კაცია და აი ამიტომ ყურნად „განათლებას“ მინდა ვაცნობო დიდი-ჯიხაიშის ორ-კლასიან ნორმალურ სკოლის ზედამხედველის ჯერ კიდევ საზოგადოებაში მეუმჩნეველ ბ-ნ. ს. დოდობერიძის „საზოგადო მოდვაწეობა“ განათლების საქმეში.

სწავლა მან გორის სოსტატო სემინარიაში მიიღო. პირველათ ს. თარცხანაყანევში მასწავლებლობდა, შემდეგ გორა-ჯიხაისში ზედამხედველათ და შემდეგ კი, როცა ს. დოდობერიძე ნათლიმამა შეიქნა საჯხო სკოლების ინსპექტორის ბ-ნ სულაკოვისა—დანიშნულიქმნა დიდი-ჯიხაშის ნორმალურ სკოლის ზედამხედველათ, იმიტომ რომ, როგორც უფროსები ამბობენ, ბ-თ სერგო „დიდი ენერგიის“ პატრონია სასკოლო საქმეებშიო!...

უნდა მოგახსენოთ, რომ სოფელი—დიდი-ჯიხაიში უეკულტურესს სოფელთაგანია ქუთაისის გუბერნიაში. გარდა სხვა ბევრ კულტურულ დაწესებულებათა (სასოფლო ქსენონი ათეთქა, ბანკი, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, ბაზრობა. შუამდგომლობა ადრეულია საქალაქო სკოლის დაარსების შესახებ). აქ არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, აგრანომიული განყოფილებით, ორ-კლასიანი საქალო სასწავლებელი აბრეშუმის საქსოვ განყოფილებით, არსებობს აგრეთვე ამავე სოფლის სხვა და სხვა ადგილას ორი-თითოკლასიანი სასწავლებელი და ერთიც ორ-კლასიანი; ერთი სიტყვით, არსებობს ხუთი სასწავლებელი სხვა და სხვა ადგილას, სადაც შეათანა რიცხვით 400-ზე მეტი მოწაფე სწავლობს და ეველა ამ სასწავლებლების მამგე-ზედამხედველათ ბ-ნი სერგო ითვლება. ამ სასწავლებლებში ასწავლის 13 მასწავლებელი (კაცები და ქალები); და აი ამოდენა პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელი გახლავს ბ-ი სერგო. უნდა ვიფიქროთ, რომ სწავლა-განათლების საქმე ამ სოფლათ ფართოდ და საუკეთესოთ უნდა იყოს დაყენებული, მაგრამ, სამწუხაროთ, სკოლათა რიცხვს აქ ვერ შეედრება სწავლის სიკეთე!... როგორც ვიცით ადმინისტრაციის სიტყვით, „ენერგიული მუშაკი“ ,ოდობერიძე, მართალია, წასულ წელს, დირექციის წაალობით ჯილდოთ „ანა“ ჰიიღო ბ-ნმა სერგომ და ეს ხუმრობა არ გეგონოთ სოფლის მასწავლებლისთვის. თქვენ ახლა წინდაწინვე მიხვდებით, თუ რაგვარი „მოდვაწე“ უნდა იყოს ეს „მასწავლებელი“

და მართალია, თავისს „პრინციპის“ ერთგული დაჩვეული ბრძანდება ეს „მოდვაწე“ მაშინ, როდესაც მთელი კავკასია დადადებს ბ-ნ კრუპსკის, გრაზდოვის და ტერ-გასპარიანცის უკანონობაზე 81 წ. პროგრამის შე-

ცვლის გამო; ბ-ი დოდობერიძე წარბ-შეუხრელათ და ენერგიულათ განაგრძობს დირექციის მიერ დანაგალებ საქმეს—1881 წ. პროგრამის დალატს! —მაგრამ, უკაცრავათ, აქ ცოტა ფაკტიურად ვცთები—დოდობერიძის „დალატი“ დირს შესანიშნავი მით არის, რომ ჯერ კიდევ დირექციის განკარგულება არ შიელო მას და უამისოდაც ახალის. ე. ი. დირექციის პროგრამით ასწავლიდა ეს ვაუბატონი, ე. ი. პირველ ენკენისთვიდან „აწამებს“ და აწამებდა რუსულის „დეჭვით“ ახალად მიდებულ სოფლის განუვითარებელ ბავშვს, ჰო, და ახალ პროგრამას წინ როგორ აღუდგებოდა ბ-ი სერგო?! სიამოვნებით განაგრძობს ამ პროგრამით „წვალებას“! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, იცის თუ არა ბ-ი სერგოს ამგვარი, „მოდგაწეობა“ დიდი-ჯიხაიშის სკოლათა პედაგოგიურმა საბჭომ და თუ იცის, რატომ ხმას არ იდებს ამის გამო? ჩვენ ვიცით ამ პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობა, ვიცით, რომ ბევრ მათგანს სამშობლო და „სამშობლო“ ენა წამ და უწუმ ენაზე აკერია და რატომ არავერს ამბობენ: სჩანს ისინიც სერგოს „პრინციპის“ ბრძანებულან და მის „ბრძანებასაც“ მონურათ ასრულებენ! ბ-ო მასწავლებლებო! თქვენ გიწოდებენ ინტელიგენციას, საზოგადოების მოწინავე ნაწილს, მაგრამ ვაი იმ ხალხს, რომელსაც თქვენისთანა ორგზოვი ჭირის უფლები ჰყავს! ამა მოიგონეთ ხანის სასწავლებლის ამბავი? იქაურ მასწავლებლებმა უარჰყვეს გრაზდოვის წინადადება ახალი პროგრამით სწავლების შესახებ! რით განირჩევიან ისინი თქვენგან? ეჭვი არაა, თავისს მდგომარეობის მეტის შეგნებით და სინდისიერობით. ბ-ნი სერგო მასწავლებლებს ქართულათ დაპარაკს უკრძალავს „გაზ. მერცხალი“ და თქვენ ამის შესახებ ხმასაც არ იღებთ, განაგრძეთ ბ-ბო თქვენი მოდგაწეობა და იცოდეთ „ხალხიც“ „ლირსეულათ“ დაათვალებს თქვენს შრომას!...

რობერტ.

ბიბლიოგრაფია

Ambidextrie. Etude expérimentale et critique par varia Kipiani. Bruxelles. 1912 (ორხელმარჯვობა. ექსპერიმენტალი და კრიტიკული ნაკვლევი ვარია ყიფიანისა. ბრუსელი. 1912).

დასახელებული თხზულება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანს საგანს შეეხება, ამიტომ მივაქცევთ მაზედ „განათლების“ მკითხველების ყურადღებას და ვურჩევთ გაიცნონ იგი. აქ კი რავდენისამე სიტყვით გადავცემთ მკითხველს მის დასკვნას.

ადამიანში შეინიშნება ერთგვარი ბუნებრივი უხეოო-მასწორობა: ან მარჯვენა ხელი აქვს უფრო მარჯვე, ან მარცხენა ხელი. პირველს შემთხვევაში ის არის ხელმარჯვენა, მეორეში ხელმარცხენა. მაგრამ ადამიანს სხვა და სხვა მიზეზით უპირატესობა მიუცია მარჯვენა ხელისთვის და ბავშვებს პატარობითგანვე აჩვევს საქმეში უმთავრესად მარჯვენა ხელის ხმარებას. ამის გამო, ბავშვი თუ ბუნებით ხელმარჯვენა არის, მისი მარჯვენა ხელი დიდად განსხვავებული ხდება თავის სიმარჯვით მარცხენისაგან, ხოლო თუ ბავშვი ბუნებით ხელმარცხენა არის, მისი მარჯვენა ხელი სიმარჯვით ხშირად უთანასწორდება მარცხენა ხელს და ბავშვი ხდება ორხელმარჯვი. ამნაირად ადამიანი სამნაირია: ხელმარჯვენა, ხელმარცხენა და ორხელმარჯვი. ამ სამთ თვისებათაგან ადამიანისთვის დიდს ნაკლულევანებას შეადგენს

ორი პირველი თვისება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ორსავე შემთხვევაში ადამიანს უხმარებლად და გამოუსადეგრად რჩება საქმიანობისათვის ცალი ხელი, მეორე იმიტომ, რომ ცალის ხელის ხმარება და მეორის უხმარებლობა მოქმედობს. ტვინზე იმ სახით, რომ ერთი ნახევარი ტვინისა ბევრს შემთხვევაში, რომელშიაც მის მოქმედება დაკავშირებულია ხელის მოქმედებასთან, უმოქმედოდ რჩება და ვერ ავითარებს დაუოდილს ნიჭს. მაგალითად: მეტყველების ნიჭი, თავის ტვინის ორსავე ნახევარშია მოთავსებული, მაგრამ, რაკი ამ ნიჭის გავითარება დაკავშირებულია ხელების მოქმედებასთან, იგი ვითარდება მხოლოდ ტვინის ერთ-ერთის ნახევარში, თუ ადამიანი ცალხელმარჯვია. როცა ადამიანი ხელმარჯვენა არის, მისი მეტყველების ნიჭი განვითარებულია მხოლოდ მარცხენა ტვინის ნახევარში, ხოლო როცა ადამიანი ხელმარცხენა არის, მისი მეტყველების ნიჭი განვითარებულია მხოლოდ მარჯვენა ტვინის ნახევარში. ასეთი კავშირი ტვინის ნახევრებისა მარჯვენა და მარცხენა ხელებთან იმის ბრალია, რომ ტვინის მარჯვენა ნახევრითგან გამავალი ნერვები სხეულის მარცხენა მხარეში იფანტებიან, ხოლო ტვინის მარცხენა ნახევრითგან გამავალი სხეულის მარჯვენა მხარეში იფანტებიან. როდესაც ადამიანს დამდა მოსდის მარჯვენა ხელისა, დაზიანებულია მარცხენა ნახევარი ტვინისა, რომელშიც ზიანდება მეტყველების ნიჭიც. რადგან ხელმარჯვენა ადამიანს ტვინის მარჯვენა ნახევარში მოქცეული მეტყველების ნიჭი სრულებით გაუვითარებელი აქვს მარცხენა ხელის უმოქმედობის გამო, ამიტომ მარჯვენა ხელზე დამდა-დაცემული ადამიანი ვედარ ახერხებს დაპარაკს. ხოლო ეოფილა მაგალითები, რომ, როდესაც მარჯვენა ხელზე დამდა-დაცემულს დაუწყია მარცხენა ხელის ვარჯიშობა და შესწავლია მის ხმარებას, დაპარაკის ნიჭიც დაბრუნებია, რაიცა აიხსნება იმით, რომ მარცხენა ხელის მოქმედებას ტვინის მარჯვენა ნახევარში მოთავსებული ნიჭი აუძრავს და გაუვითარებია. აქედგან ცხადია, თუ გვინდა, რომ ტვინის ორსავე ნახევარში იყოს განვითარებული მეტყველების ნიჭი, უნდა ორივე ხელი ერთნაირად მარჯვე ჰქონდეს ადამიანს, ე. ი. იყვეს ორხელმარჯვი.

მესამე დირსება ორხელმარჯვობისა ის არის, რომ იგი იცავს ადამიანს და კერძოდ მოსწავლე თაობას იმ ნაკლულევანებათაგან, რომელნიც ვითარდებიან სკოლაში ეოფნის დროს, მაგალითად: ხერხემლის გამრუდებისაგან, სიბეტისგან, მხარგვერდელობისაგან და სხვათაგან. ამ ნაკლულევანებათა გაჩენის მიზეზად უგანსაკნელს დროს სთვლიდნენ დახრილს წერას, მაგრამ ეს ნამდვილი მიზეზი არ არის და სწორი წერა არა სპობს ამ ნაკლულევანებათა. პირიქით, იგი უფრო მეტს შრომას აყენებს თითების კუნთებს, რომელნიც მუდამ გაჭიმულნი უნდა იყვნენ. დახრილი წერა აუცილებელი შედეგია ბუნებრივად წერისა. როდესაც ადამიანი მარჯვენა ხელით სწერს, მას ემარჯვება ხელის გადახრა მარჯვნითგან მარცხნივ. მარცხენა ხელით რომ სწერდეს, მაშინ ასოები ბუნებრივად შეიქნებიან დახრილნი მარცხნითგან მარჯვნივ. ამის გამო სწორი წერა, როგორც უფრო ძნელი თითებისათვის და წინააღმდეგი ბუნებისა, ავტორს მიაჩნია შეუსაბამოდ. იგი შესაძლებლად ჩაუთვლის სწორს წერას მხოლოდ ქართულის ასოებისას და ლურსმულის ნიშნებისას, რადგან პირველნი წარმოადგენენ რკალებისა და ნახევარ-რკალების შეზავებას, ხოლო მეორენი დაშვებულს ან დაწვენილს ისრებს.

ახალნაფლის წერისაგან წარმოშობილი ბავშვების ნაკლულევანებანი შეიძლება აცილებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოღებული იქნება ორისავე ხელით წერა. მარჯვენა ხელით წერის დროს რომ ერთს მხარეზე იხრება ბავშვის ხერხემალი და მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სხეული, სამაგიეროდ, მარცხენა ხელით წერის დროს როგორც ხერხემალი, ისე მთელი სხეული გადახრილი იქნება მეორე მხარეს და ამნაირად ადარ მოხდება სხეულის გამრუდება.

ამიტომ საჭიროა, მშობლებმა და პედაგოგებმა მიაქციონ ყურადღება ბავშვების ორისავე ხელის ვარჯიშობას და ისე ადზარდონ ისინი, რომ შეეძლოთ ერთნაირის სიმარჯვით ხმარობდნენ მარჯვენა ხელსაც და მარცხენასაც ეოგელსავე საქმეში, კერძოდ კი წერასა და ხატვაში. წერა თანაბრად უნდა განაწილებული იყვეს მარჯვენასა და მარცხენა ხელს შორის. მარჯვენა გვერდზე უნდა მარჯვენა ხელით იწერებოდეს, მარცხენა გვერდზე მარცხენით. ახლანდელი წერა კითხვა ისეთია, რომ ხერხემლის და მხრის გაგვერდელავების გარდა, თვალებსაც აბეტებს. თვალი მუდამ მარცხნითგან იწყებს კითხვას და უცებ სწყვეტს მას სტრიქონის გათავებისას მარჯვნივ. მერმე ისევ უკან ბრუნდება და ხელახლად იწყებს კითხვას ახალის სტრიქონისას. ამნაირად წამდა-უწუმ ადამიანს უხდება სტრიქონითგან თვალის მოშორება და შემდეგ იმავე სიგძის შანძილზე ტუეიდ-უბრალოდ თვალის გაყოლება თეთრს ქაღალდზე. წამ-და-უწუმ სტრიქონის შეწყვეტა და ძებნა შემდეგის სტრიქონისა თვალს ძალიან ღლის და ასუსტებს, ამას ზედ ემატება ტუეიდ-უბრალოდ ბოლოდგან თავში თეთრს ქაღალდზე გაყოლება, რაიცა ერთი ორად მეტს შრომას აყენებს თვალს და უფრო ასუსტებს მას. რომ მოისპოს ასე ხშირ-ხშირი შეწყვეტა ცქერისა, ხელახლად სტრიქონის ძებნა და ტუეიდ-უბრალოდ თვალის გამოყოლება თეთრს ადგილზე, გაუნახევრდება თვალს შრომა და მაშასადამე სიბეტეც შესაფერად იკლებს. ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც მოსწავლე მიჩვეული იქნება ორისავე ხელით წერას და წიგნები იქნება დაბეჭდილი იმავე წესით, როგორითაც წერა უნდა იყვეს. წერა კი ასე უნდა ხდებოდეს. ერთი სტრიქონი რომ მარცხნითგან მარჯვნივ იწერებოდეს, მეორე მის მიმეოდი მარჯვნითგან მარცხნით უნდა იწერებოდეს, შემდეგი სტრიქონი ისევ მარცხნითგან მარჯვნივ, ხოლო მის მომეოდი მარჯვენითგან მარცხნივ. მარჯვენა გვერდზე, როგორც ვთქვით ზევით, უნდა მარჯვენა ხელით იწერებოდეს და პირველი სტრიქონი იწეებოდეს მარცხნითგან; ხოლო მარცხენა გვერდზე უნდა იწერებოდეს მარცხენა ხელით და პირველი სტრიქონი იწეებოდეს მარჯვნითგან. ამნაირად წერის დროს ადამიანის როგორც ხელებია ისე თვალი და მთლად სხეული თანაბრად იცვლიან თავის მდებარეობას და მიმართულებას, რის გამოც ადარ არის შესაძლებელი ცალგვერდელობა და ღალიობა.

ქ-ნი ეიფეანი გამოცდილებით დარწმუნებულა, რომ ბავშვები ადვილად და გაუჭირებლად ეჩვევიან ამნაირს წერა-კითხვას. ცოტა-ოდნად ძნელია მხოლოდ სწავლება მასწავლებლისათვის, რომელიც უკვე მიჩვეულა მხოლოდ მარჯვენა ხელის ხმარებას და ერთის მხრით წერა-კითხვას. შაგრამ ეს სიძნელე არც ისე დიდი ეოფილა, რომ უარ აეოფინოს ასეთი ფრიად სასარგებლო ცვლილება.

დ. კარიჭაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

О ПОДПИСКѢ въ 1913 году на еженедѣльный иллюстрированный журналъ

ВОКРУГЪ СВѢТА

XXIX годъ изданія.

Журналъ будетъ выходить въ 1913 году

ПО НОВОЙ, ЗНАЧИТЕЛЬНО РАСШИРЕННОЙ ПРОГРАММѢ.

Журналъ ставитъ своею цѣлью широкое и всестороннее ознакомленіе своихъ читателей съ культурной жизнью и творческой работой человѣчества.

Пріобрѣтя исключительное право на изданіе произведеній Л. Н. ТОЛСТОГО, „ВОКРУГЪ СВѢТА" дастъ своимъ подписчикамъ въ 1913 году, кромѣ 50 номеровъ журнала,

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ

Л. Н. ТОЛСТОГО,

ВЪ ДВУХЪ ИЗДАНІЯХЪ,

ПОДЪ РЕДАКЦІЕЙ И СЪ ПРИМѢЧАНІЯМИ П. И. БИРЮКОВА.

ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ, состоящее изъ **24-ХЪ КНИГЪ,** будетъ содержать въ себѣ

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ СОЧИНЕНІЙ,

вышедшихъ какъ до 81-го года, такъ и послѣ этого года, а также и посмертныя.

Въ это изданіе войдутъ слѣдующія произведенія:

ДѢТСТВО, ОТРОЧЕСТВО и ЮНОСТЬ. Съ приложеніемъ неизданныхъ варіантовъ.

ВОЕННЫЕ РАЗСКАЗЫ: Набѣгъ, Казаки, Севастополь въ декабрѣ 1854 г., въ маѣ 1855 г. и въ августѣ 1855 г., Рубка лѣса, Встрѣча въ отрядѣ съ московскимъ знакомымъ.

РАЗСКАЗЫ: Утро помѣщика, Метель, Записки маркера, Два гусара, Альбертъ, Люцернъ, Три смерти, Семейное счастье, Поликушка, Холстомѣръ, Декабристы, Тихонъ и Маланья, Идиллія.

ВОЙНА и МИРЪ. Романъ. Съ приложеніемъ неизданныхъ варіантовъ.

АННА КАРЕНИНА. Романъ. Съ приложеніемъ неизданныхъ варіантовъ.

ПОВѢСТИ и РАЗСКАЗЫ 80-хъ и 90-хъ годовъ: Смерть Ивана Ильича, Ходите въ свѣтѣ, Крейцерова соната съ послѣсловіемъ, Хозяинъ и работникъ.

ДРАМАТИЧЕСКІЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ: Власть тьмы, Плоды просвѣщенія, Первый винокуръ, Живой трупъ, Свѣтъ во тьмѣ свѣтитъ, Отъ ней всѣ качества.

ВОСКРЕСЕНІЕ. Романъ.

ХУДОЖЕСТВЕННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ посмертнаго изданія: Хаджи-Муратъ, Отецъ Сергій, Дьяволъ, Послѣ бала, Алеша-горшокъ.

Какъ при жизни Л. Н. Толстого, такъ и послѣ его смерти велась идейная борьба по поводу его религіозныхъ и философскихъ идей, но у Л. Н. Толстого есть то, что ни у кого не вызываетъ разногласія и на чемъ сходятся люди разныхъ убѣжденій, а именно его художественныя произведенія.

Текстъ настоящаго изданія провѣренъ П. И. Бирюковымъ большей частью по первымъ изданіямъ или по рукописямъ. Въ дополненіяхъ къ „Войнѣ и Миру", „Аннѣ Карениной" и нѣкоторымъ другимъ сочиненіямъ даны новые, нигдѣ ранѣе не опубликованные варіанты. Такимъ образомъ, это изданіе художественныхъ произведеній Л. Н. Толстого явится наиболѣе тщательно редактированнымъ изданіемъ изъ всѣхъ, ранѣе бывшихъ.

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ будетъ состоять изъ **48 КНИГЪ** и заключать

полное собраніе всѣхъ сочиненій Л. Н. ТОЛСТОГО,

какъ художественныхъ, такъ и философскихъ, педагогическихъ и публицистическихъ, доступныхъ русской публикѣ по цензурнымъ условіямъ.

Съ внѣшней стороны оба изданія не будутъ носить обычнаго характера журнальныхъ приложеній, а будутъ отпечатаны на хорошей, плотной бумагѣ четкимъ шрифтомъ.

Подписная цѣна на журналъ „ВОКРУГЪ СВѢТА" съ 24 книгами, содержащими собраніе художественныхъ сочиненій Л. Н. ТОЛСТОГО, съ пересылкой и доставкой **7 р.**

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: 3 руб. при подпискѣ, 2 руб. къ 1 апрѣля и 2 р. къ 1 іюля.

Подписная цѣна на журн. „ВОКРУГЪ СВѢТА" съ 48-ми книгами полнаго собранія всѣхъ сочиненій Л. Н. ТОЛСТОГО съ пер. и дост. **11 р.**

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 4 рубля, къ 1 апрѣля 4 рубля и къ 1 іюля 3 рубля.

Замѣна перваго изданія вторымъ и наоборотъ послѣ подписки не допускается.

Принимается подписка на 1913 годъ

Педагогическій журналъ

ОБНОВЛЕНІЕ ШКОЛЫ

Отдѣлъ „Экспериментальной Педагогики“

подъ редакціей пр. доц. Нью-Іоркскаго Униварситета, д-ра философіи и педагогики П. Р. Радосавльевича.

Вопросъ о вспитаніи и обученіи въ настоящее время особенно живо заинтересовалъ психологовъ и педагоговъ. Идетъ кипучая работа въ области изслѣдованій психики дѣтей и тѣхъ методовъ и пріемовъ воспитанія и обученія, которые наиболѣе соотвѣтствуютъ душевному строю дѣтей, ихъ стремленіямъ и интересамъ. Однако усиліями однихъ ученыхъ реформы воспитанія и обученія не произвести: необходимо самому обществу и педагогамъ-практикамъ идти навстрѣчу новому теченію, послужить тою культурною средой, которая поддержитъ и закрѣпитъ новое въ школѣ и жизни. Журналъ „Обновленіе школы“ задается цѣлью проводить эти новыя педагогическія вѣянія изъ лабораторій, школъ, изслѣдов. психологовъ и психологовъ-педагоговъ въ общество—въ жизнь.

Въ первыхъ номерахъ напечатаны работы: прив.-доц. Нью-Іоркскаго Университета Д-ра П. Р. Радосавльевича, Ц. П. Балталона, проф. Дюфура, Евгенія Елачича, М. И. Конорова, В. Лая, В. и Ю. Лабунскихъ, О. Липмана, Д. Лютша, В. Р. Мрочека, Н. Е. Ртмянцева, Н. Томилина, Ал. Туфанова, Ф. В. Филипповича и др.

ПРОГРАММА: 1) Статьи, очерки, наброски, опыты по психологіи дѣтства и экспериментальной педагогикѣ. 2) Опыты, статьи, очерки, наброски по экспериментальной методикѣ обученія. 3) Статьи, очерки, наброски и опыты по гигіенѣ и физическому воспитанію дѣтей. 4) Очерки по народному образованію. 5) Критика и библіографія. 6) Педагогическая хроника. 7) Объявленія.

Кромѣ того, время отъ времени въ журналѣ „Обновленіе Школы“ будутъ помѣщаться труды „Передвижныхъ курсовъ обновляющейся школы“, организуемыхъ редакціе журнала для чтенія лекцій учителямъ, воспитателямъ и родителямъ (въ столицахъ и въ провинціи). *Журналъ выходитъ 10 книжками въ годъ.*

Подписной годъ начинается съ 1 го сентября и съ 1-го января.

Подписная цѣна 2 рубля годъ

Желающіе продолжить подписку до 1 января, благоволятъ уплатить еще 1 рубль.

Адресъ редакціи и конторы **С.-Петербургъ, Мойка, 54.**

Редакторъ *Александръ Зачиняевъ.*

О подпискѣ въ 1913 годъ

на ежемѣсячный иллюстрированный Дѣтскій журналъ для семьи и начальной школы

„МІРОКЪ“

годъ XII изд.

подъ редакціей Вл. А. Попова.

12 Законченныхъ книжекъ журнала, содержащихъ разнообразный и занимательный матеріалъ для чтенія, всегда обильно и художественно иллюстрированный.

Въ 1913 г. будутъ даны слѣдующія 8 безплатныхъ приложеній:

1) *300-лѣтній юбилей дома Романовыхъ.* (Настѣнный листъ съ потретами русскихъ царей). 2) *Жемчужинки русской поэзіи.* (Сборникъ стиховъ для заучуванія и чтенія вслухъ въ семьѣ и школѣ). 3) *Жизнь холоднаго сѣвера* (Настѣнный листъ). 4) *Миніатюрный звѣринецъ въ комнатѣ.* (Книжка). 5) *Наши пѣвчія птицы.* (Настѣнная таблица). 6) *Индусскія сказки* (съ рисунками-силуэтами). 7) *Тайны морского дна.* (Настѣнный листъ). 8) *Самая веселая книжка* (со множествомъ рисунковъ).

Подписная цѣна на журналъ „Мірокъ“ со всѣми приложеніями **1 р. 50 к.**

Адресъ конторы журнала «Мірокъ»: Москва, Тверская, д. № 48, Т-ва И. Д. Сытина.

დამატება ჟურნალ „განათლებისა“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები

ქ. ო. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ოქმი

სხდომისა ქართულს გიმნაზიაში

1912 წელს მარტის 21.

დაესწრო: თავმჯდომარე **გ. ნ. ყაზბეგი**, მისი ამხანაგი—**ა. ბ. მდივანი**, გამგეობის წევრნი: **ა. თ. ყიფშიძე, დ. გ. კარიჭაშვილი, ლ. გ. ბოცვაძე.** წარმომადგენელები: **კიტა აბაშიძე, ი. ბაქრაძე, ს ყიფიანი, პ. ლორთქიფანიძე, მ. ნასიძე, მ. ბახტაძე, ვ. კახიძე, ი. ალექსიშვილი. ვ. ბურჯანაძე, ივლ. გოგოლაშვილი, ვ. ვაშაკიძე, ნ ჯანაშია.**

21 მარტს, დილის 10 საათზე განყოფილებათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ საზოგადოების კანცელარიაში. აქ გამგეობის წევრის დ. კარიჭაშვილის ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ძვირფასი და დასურათებული ხელთნაწერები წ. კ. საზოგადოების ბიბლიოტეკისა, შემდეგ გაიცნეს საქმის წარმოება და წიგნით ვაჭრობის წესი, დაათვალიერეს აგრეთვე წიგნების საწყობი და თავჯდომარესთან ერთად გაემგზავრნენ ქართულ გიმნაზიაში. აქ დაათვალიერეს გიმნაზიის შენობა, საისტორიო მუზეუმი, წ. კ. საზოგადოების მუზეუმი და დაესწრნენ გიმნაზიის მოწაფეთა გიმნასტიურ ვარჯიშობას. შემდეგ გ. ნ. ყაზბეგმა ისევ გახსნა სხდომა, რომელსაც დაესწრო: **ა. ბ. მდივანი, დ. გ. კარიჭაშვილი, ა. თ. ყიფშიძე, ლ. გ. ბოცვაძე, კიტა აბაშიძე, იაზონ ბაქრაძე, სამსონ ყიფიანი, ი. ალექსიშვილი, მ. ნასიძე, პ. ლორთქიფანიძე, ვ. ბურჯანაძე, ნ. ჯამაშია, ვაშაკიძე, ვ. კახიძე, ივლ. გოგოლაშვილი და მ. ბახტაძე.** თავჯდომარემ სთხოვა წარმომადგენლებს მოახსენონ კრებას, ვის რა დავალება აქვს.

ქუთაისის წარმომადგენელმა ს. ყიფიანმა განაცხადა: ჩვენ დაგვავალეს აღვძრათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი საკითხი; ერთი შეეხება სტიპენდიების განაწილებას, ხოლო მეორე ერთნაირი მართლწერის დამყარებას ჩვენს ლიტერატურაში ლიტელატურულ მართლწერის შესახებ. უნდა მოგახსენოთ ორი სიტყვა: რამდენიმე გრამატიკაა ქართული ენისა, მაგრამ ლიტერატურაში ერთნაირი მართლწერა ვერ დამყარდა; ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან მოკიდებული სილოვან ხუნდაძის გრამატიკამდე სულ სხვადა სხვა მართლწერაა. ეს არასასიამოვნო მოვლენა სკოლაშიაც კი შეიტანეს. მაგალითად, ერთ სასწავლებელში ერთს კლასში რომ ერთ მართლწერას მისდევენ, იმავე სასწავლებლის მეორე კლასში სულ სხვა მართლწერაა დამყარებული. ქუთაისის განყოფილების გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. მთავარმა გამგეობამ უნდა იკისროს ამ საქმის მოწესრიგება და მეთაურობა, მოახდინოს ლინგვისტთა კრება თბილისში მართლწერის შესამუშავებლად. ამასთანავე წაიკითხა შემდეგი გეგმა, რომელიც შეუმუშავებიათ ქუთაისში:

მოხსენება ქართ. შორის წ.-კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილებისა ქართული ენის მცოდნეთა კრების მოწვევის შესახებ.

წ.-კ. საზ. ქუთ. განყ. უკანასკნელ საზოგადო კრებაზე (წელს 22 იანვარს) ამ განყოფილების ერთმა წევრმა (გრ. გველესიანმა) შემდეგი წინადადება შემოიტანა: საჭიროა ერთი სალიტერატურო ენა, ერთი ფორმები გრამატიკისა და მართლწერისა შემუშავდეს, რათა ამ საშუალებით თავისთავად მდიდარი ქართული ენა კულტურულ, განვითარებულ ენათა მდგომარეობაში ჩადგეს, ესე იგი თავი დააღწიოს იმ პრიმიტიულ მდგომარეობას, რომელშიც იგი დღეს იმყოფება და რომელსაც მრავალნაირი დაბრკოლება, უხერხულება და სიძნელე შეაქვს თუ პერიოდიულ პრესაში და თუ საზოგადოთ ქართულ მწერლობაში,—ამიტომ საჭიროა ეთხოვოს წერა—კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას ითავოს ქართველ ლინგვისტთა კრების მოწვევა ხსენებულ მიზნის განსახორციელებლათ.“

საზოგადო კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაავალა ქუთაისის განყოფილების გამგეობას თანაბარი შუამდგომლობის აღძვრა მთავარ გამგეობის წინაშე.

ვასრულებთ რა კრების ამ გარდაწყეტილებას, საჭიროდ ვრაცხთ მოგაწოდოთ მოკლეთ ჩვენი გეგმა და ზოგიერთი მოსაზრებანი შესახებ ჩვენ მიერ განზრახულ ქართველ ლინგვისტთა კრებისა:

1) ლინგვისტთა კრება მოწვეულ უნდა იქმნეს თბილისში;

2) ვინაიდან, ჩვენის ფიქრით, ერთჯერ მოწვეული კრება დაკისრებულ მისიას ვერ შეასრულებს, ამიტომ საჭიროა კრებას პერიოდული ხასიათი მიეცეს, ესე იგი გაიმართოს იმდენი კრება, რამდენიც საჭირო იქნება დასახულ მიზნის განსახორციელებლად, თუნდაც ეს რამდენიმე წელიწადიც გაგრძელდეს;

3) კრების მოწვევის დრო და ყოველი კრების ხანგრძლივობა წინდაწინვე განსაზღვრულ უნდა იქმნეს პირველ კრების მიერვე, რომელიც სასურველია დაინიშნოს არა უგვიანებს მიმომდინარე წლის ზაფხულისა;

4) კრება უნდა შედგეს იმ პირთაგან, რომელთაც წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა ირჩევს ქართული ენის, ხალხის და ქვეყნის ზედ-მიწევნით მცოდნეთა შორის. ამ პირთა არჩევის დროს მთავარი გამგეობა განყოფილებათა რჩევითაც ხელმძღვანელობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) კრებას საჭიროებისამებრ გარეშე მცოდნე პირთა მოწვევის უფლებაც უნდა ჰქონდეს;

6) თუ კრებაში მონაწილეობის მისაღებათ არჩეული პირი თვით ვერ შეიძლებს, ნივთიერ ხელმოკლეობისა გამო, გასწიოს საგზაო თუ სხვა ხარჯები, ამ შემთხვევაში ხარჯებს ჰკისრულობს მთავარი გამგეობა და მისი განყოფილებანი;

7) პირველი კრების პროგრამას არდგენს საზოგადოების მთავარი გამგეობა, ხოლო შემდეგ კრებათა პროგრამებს თვით ამ კრების მიერ არჩეული საორგანიზაციო კომიტეტი;

8) პირველი კრების პროგრამა დროით უნდა დაურიგდეს კრებაში მონაწილე პირთ, რათა მათ საკმაო დრო ჰქონდეთ მოხსენებათა დასამზადებლად;

9) თავდაპირველი მუშაობა პირველი კრებისა ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: პირველ ყოვლისა კრებამ უნდა გაარკვიოს ის ზოგადი პრინციპები, რომელნიც საფუძვლათ უნდა დაედვას შემდეგ კრებათა მეცადინეობას მაგ. რას უნდა ვემყარებოდეთ ენის ფორმათა დამუშავებაში—ხალხს თუ ძველ მწერლობას, თუ თანამედროვე კლასიკებს, თუ აკადემიურ, თეორეტიულ კვლევა-ძიებას, თუ ყველას ერთად და სხვა და სხვა? ან რა პრინციპები მივიღოთ ენის გამშვენიერებისა და გამარტივებისათვის? ან უცხო და სამეცნიერო ტერმინების გადმოღება—შემუშავებისათვის რა ვიღონოთ, რა გზას დავადგეთ ერთხელ და სამუდამოთ? საჭიროა თუ არა შემოვიღოთ ბეჭდურ სიტყვაში ასომთავრული და სხვა და სხვა?) იმ ზოგად პრინციპების მიხედვით, რომელთაც კრება მიიღებს სახელმძღვანელოთ, უნდა გარდაწყდეს ყველა სადავო საკითხი გრამატიკისა და მართლწერისა. კონკრეტიულათ რომ ვსთქვათ, საჭიროა იმავე პირველმა ლინგვისტთა კრებამ აირჩიოს თავის წრიდან მცირე კომისია, რომელსაც დაევალება სალიტერატურო ქართულის სახელ მძღვანელოს პროექტის შედგენა კრების მიერ მიღებულ პრინციპიალურ თუ პრაკტიკულ დირეკტივების მიხედვით. ეს პროექტი მეორე და შემდეგ კრებათა მსჯელობის საგნად უნდა იქმნეს;

10) სახელმძღვანელო იმ უკანასკნელ რედაქციით, რომელსაც ლინგვისტთა კრება და ენის მცოდნე მეცნიერნი (სახეში გვყავს ჩვენი პროფესორები) დაადასტურებენ, უნდა გამოსცეს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ.

ამ მოკლე გეგმაში, უეჭველია, ბევრი რამ წინდახედული არ არის. მაგრამ აღძრული საკითხის პრინციპიალურათ გარდაწყვეტისათვის უფრო ვრცელი გეგმა საჭიროც არ არის, თუ წინადადება მიღებულ იქმნა, მაშინ ის ორგანო, რომელსაც კრების მოწვევა და ყოველი თავდარიგი და მზრუნველობა დაეკისრება, შეიმუშავებს, გაითვალისწინებს საგნის ყოველს წვრილმანობას და სხვათა შორის იგივე ორგანო, ვის წინაშეც ჯერარს, აღძრავს თანაბარ შუამდგომლობას კრების მოწვევის შესახებ.

იაზონ ბაქრაძე: ეს მოხსენება დანიშნული იყო მთავარ გამგეობისათვის და არა საზოგადო კრებისათვის წარსადგენათ. ხოლო თუ ამ კრებას მოხსენდა, ეს იმიტომ, რომ ერთმანეთის აზრი გაგვეგო და სხვასაც წარმოეთქვა თავის აზრი ამ საკითხის შესახებ.

კიტა აბაშიძის აზრით საგანი მეტად რთული და დიდმნიშვნელოვანია.—ამ ჟამად არავინ არის მომზადებული ამ საკითხის გასარჩევად: არც მთავარი გამგეობა და არც წარმომადგენლები. უმჯობესი იქნება იგი განსახილველად გადაეცეს მთავარ გამგეობას, და გამგეობა ისე მოიქცეს, როგორც საუკეთესოდ დაინახავს. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ლინგვისტთა მოწვევა გამოიწვევს დიდ ხარჯს და საიდან უნდა დაიფაროს ეს ხარჯი.

ნ. ჯანაშია, ვარ. ბურჯანაძე და პ. ლორთქიფანიძე. მხარს უჭერენ ქუთაისის განყოფილების წინადადებას, რადგან ახლა ჩვენს ლიტერატურაში დიდი არევ-დარევაა მართლწერის მხრით; მართალია კერძო მწერლებს იძულებულს ვერ ვყოფთ დაემორჩილონ ლინგვისტთა გადაწყვეტილებას, მაგრამ სკოლებისათვის ხომ შემუშავდება ერთი სალიტერატურო ენაო.

ვ. კახიძის და ი. ალექსიშვილის აზრით ქუთაისის განყოფილების წინადადებაში მხოლოდ სურვილია გამოთქმული; რასაკვირველია იგი სავალდებულო არ არის მთავარი გამგეობისათვის, რომელიც მოხსენებას სახელმძღვანელოდ მიიღებს და, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ეცდება მის განხორციელებას.

მიხეილ ნასიძე სრულის თანაგრძნობით ეკიდება ქუთაისის განყოფილების აზრს, ბაქოს განყოფილების გამგეობასაც დაუვალებია მისთვის ამ საგანზე აღძრას საკითხი; მხოლოდ იქ ფიქრობენ, რომ სალიტერატურო ენის შემუშავება უნდა დაევალოს ერთსა ან ორ კაცს, და არა მთელს კრებას, რადგან ეს საკაბინეტო შრომაა; ერთი სიტყვით ძირითადი შრომა, საფუძვლის ჩაყრა უნდა იკისროს მეცნიერმა. ამისათვის უნდა დაინიშნოს პრემია, უნდა გამოიცეს ქართული ლექსიკონი და მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული გრამატიკა. ეს საქმე ფრიად მნიშვნელოვანია და ამიტომ უნდა იკისროს მთავარმა გამგეობამ; თუ საჭიროდ დაინახავს, ჩაირიოს საქმეში ესა თუ ის მეცნიერი, როგორც მაგალითად, მარი, ან ჯავახიშვილი.

დ. კარიჭაშვილს საჭიროდ მიაჩნია საზოგადოების გამგეობამ თავს იდოს ეს საქმე და სახელმძღვანელო გრამატიკის შედგენას ხელი შეუწყოს. მაგრამ ამისთვის არ არის საჭირო ლინგვისტთა კრების მოწვევა, არც რამე მნიშვნელობა ექნება პროფესორის მარრისადმი მიმართვას. პროფ. მარრი დიდიხანია იკვლევს ქართულ გრამატიკას, უეჭველია მალეც გამოაქვეყნებს თავის ნაშრომს, მაგრამ იგი ის არ იქნება, რაც ჩვენ გვინდა. ის იქნება მეცნიერული განმარტება ჩვენის ენისა და ახალის ფორმებისა, რაიცა ვერ გადასწყვეტს ახლა აღძრულს საკითხს—ერთგვარის გრამატიკის დამყარებას ჩვენს სასწავლებლებში და მწერლობაში. ის საქმე, რაც ახლა გასაკეთებელია უნდა გაკეთდეს, რაც შეიძლება მალე და იმ ძალებით, რაც მოგვეპოვება. ამისთვის მე ვფიქრობ ასე უნდა მოიქცეს ჩვენი საზოგადოება, არჩეულ იქნას კომისია ხუთის კაცისაგან. ამ კომისიას მიენდოს აღნიშვნა, განსჯა და ასე თუ ისე გადაწყვეტა ყველა იმ კითხვებისა, რომელნიც გამომდინარეობენ ჩვენის სამწერლო ენის არეულ-დარეულობისაგან. კომისიის შრომა შემდეგ განხილულ იქნას გამგეობის სხდომებზე, რომელებზედაც იქნებიან მოწვეულნი განყოფილებათა წარმომადგენლები ქართულის ენის მცოდნე პირთაგან. ამ სხდომებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული მოსაზრებანი კომისიის უმრალესობისა თუ უმცირესობისა უნდა შეიქმნენ ჩვენის სკოლებისათვის სავალდებულონი. თავჯდომარემ საგანი გამორკვეულად გამოაცხადა. საკითხი ღირსია დიდის ყურადღებისა; ქუთაისის განყოფილების გამგეობას ჩინებული აზრი მოსვლია, რომ აღძრეს ეს საკითხი. ფრიად საჭიროა, რომ ჩვენს სკოლებში და ლიტერატურაში ერთნაირი მართლწერა გამეფდეს; საჭიროა შესაფერი სახელმძღვანელო. მაგრამ ამის გადაწყვეტა საზოგადო კრებას არ შეუძლია, ხარჯის შესახებ კი უნდა მოხსენდეს საზოგადო კრებას. ამისთვის თუ მოგვანდობთ, ჩვენ ამ საქმის ყოველსავე წვლილს გამოვიკვლევთ და შემდეგ მოგახსენებთ.

კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს დაპირება.

ს. ყიფიანი. სტიპენდიებს არიგებს ქუთაისის თავად-აზნაურობა, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო; თავად აზნაურობა ძლიერ უწესოდ ანაწილებს სტიპენდიებს, უმეტეს შემთხვევაში ულირსნი ღებულობენ. ქუთაისის განყოფილება კრიტიკას არ უკეთებს მთავარ გამგეობას, მაგრამ სურს კი გაიგოს, რა სისტემას ადგია მთავერი გამგეობა სტიპენდიების განაწილების დროს, ვალდებული ხდებიან თუ არა სტიპენდიატები, რომ მიღებული ფული შემდეგში დაუბრუნონ საზოგადოებას. ხშირად მიმართავენ განყოფილების გამგეობას თხოვნით სტიპენდიის შესახებ; ამიტომ შესაძლებელია თუ არა განყოფილების გამგეობამ ცნობები მოგაწოდოს ამა თუ იმ პირის შესახებ და იქნება თუ არა მხედველობაში მიღებული ამნაირი ცნობები. საქმის მწარმოებელმა მოახსენა კრებას, რა წესი არსებობს ახლა სტიპენდიების განაწილებისა *).

ნ. ჯანაშიას და ვ. ბურჯანაძეს საჭიროდ მიაჩნიად განყოფილების დახმარება ცნობების შეკრების დროს ამა თუ იმ მთხოვნელის შესახებ. ამასთანავე თხოულობენ, თუ შესაძლებელი იქნება, სტიპენდია დაინიშნოს „საზოგადოების“ სკოლების საუკეთესო მოწაფეებისათვის, რომ იმათგან მომზადდეს ჩვენი სკოლის მასწავლებლები. **იაზონ ბაქრაძე** იმ აზრისაა, რომ სპეციალ სასწავლებლის მოწაფეს არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა, ყველას ერთნაირად უნდა ვუყუროთ, ყველას ერთნაირი პატრონობა უნდა; მხოლოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ უნიჭიერეს ყმაწვილებს, იმათ, რომელთაც თავი უკვე გამოიჩინეს ან ლიტერატურაში, ან ხელოვნებაში; სტიპენდია უნდა გადიდდეს ხუთ თუმნამდის, რადგან 25 მანეთით თავის შენახვა რუსეთში ყოვლად შეუძლებელია.

კიტა აბაშიძე წინაალმდეგია განყოფილების რეკომენდაციისა. იმის აზრით გამგეობა თითონ გამოარკვევს ვინ უფრო ღირსია და ისეთ ყმაწვილებს მისცემს სტიპენდიას, ვისაც ნიჭი უკვე გამოუჩენია. ამით დასრულდა სტიპენდიის შესახებ ბაასი. შემდეგ სოხუმის წარმომადგენელმა **ნ. ჯანაშიამ**. კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართული ენის საქმე ძალიან კოჭლობს სკოლებში, განსაკუთრებით კი სოხუმის ოლქში და სურვილი გამოსთქვა, რომ შემუშავდეს შესაფერი სახელმძღვანელოები როგორც სოფლის სკოლებისათვის, ისე საშუალო სასწავლებლებისათვის.

რამდენიმე წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა შემოსავლის 20/0 შემცი-

*) ეს წესი უკვე დაბეჭდილია ჟურნალ „განათლების“ ივნვრის დამატებაში.

ეროვნული

რების შესახებ. მაგრამ რადგან ეს ხარჯი საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული, ამის გამო შუამდგომლობა უარყოფილ იქმნა. და განმარტებული, იქმნა, რომ განყოფილებამ უნდა წარმოადგინოს 20% ყველა ნაირ შემოსავლისა და არა მხოლოდ საწევრო ფულისა, როგორც ზოგსა ჰგონია. რასაკვირველია სპეციალი თანხა თავისუფალია 20% გადასახადისაგან.

მოისმინა რა ყველას სურვილები, თავჯდომარემ მადლობა გამოუცხადა წარმომადგენლებს, რომ მოსვლა არ დაიზარეს და თავიანთი აზრი გაგვიზიარეს ამა თუ იმ საგნის შესახებ, უსურვა მათ ნაყოფიერი მოქმედება და იმედი გამოსთქვა, რომ ამნაირი კრებები ხშირად ხდებოდეს ხოლმე, რადგან ეს იქნება ჩვენი შემაკავშირებელი ერთი ძაფთაგანიო, და კრება დახურულად გამოაცხადა.

თავჯდომარის შემდეგ სიტყვის ნება ითხოვა ფოთის წარმომადგენელმა ი. ალექსიშვილმა, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი განაცხადა; მთავარმა გამგეობამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ მით, რომ თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში განყოფილება დაარსა, დღეს მოიწვია მათი წარმომადგენლები, გააცნო თავისი მოქმედების წეს-რიგს, მოისმინა ყველას წადილი, განხილულ იქმნა რამდენიმე მეტად სასარგებლო და საყურადღებო საკითხი, შემუშავდა საერთო გეგმა შემდეგის მოქმედებისა. ყველა ეს, რასაკვირველია, დიდ სარგებლობას მოუტანს საქმეს, განყოფილება უფრო მეტის ენერგიით შეუდგება მუშაობას და ეცდება მეტი სინათლე შეიტანოს განსაკუთრებით იმ კუთხეში, სადაც ეს უფრო საჭიროა. ამიტომ, ბატონო თავჯდომარევ, ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ ფოთის განყოფილების სახელით როგორც თქვენ, ისე გამგეობის წევრთ ამ კრების მოწყობისათვის.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კიტა აბაშიძემ, დაახასიათა წ. კ. საზოგადოების წინანდელი და ახლანდელი მოქმედება, პატივისცემით მოიხსენია „საზოგადოების“ დამაარსებელნი და მადლობა გამოუცხადა ახლანდელს გამგეობას და მის თავჯდომარეს, როგორც ამ კრების გამმართველს და სხდომის საუკეთესო ხელმძღვანელს.

სხდომა დასრულდა.

ოქმი

საზოგადო კრებისა 11 ივნისის 1912 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა **ა. ბ. მდივანმა**. დაესწრო 58 წევრი.

თავმჯდომარემ კრებას მოაგონა გარდაცვალება ი. ს. გოგებაშვილისა, ნ. ზ. ცხვედაძისა, დ. ზ. სარაჯიშვილისა, ნ. ბ. დოდობერიძისა, მდვდელი ი. გვარამაძისა, პატრი თამარიშვილისა და პატრი დ. მუდაშვილისა, აღნიშნა მათი დვაწლი საზოგადოების წინაშე და სთხოვა პატივი ეცათ განსვენებულთა ხსოვნისათვის. კრებამ ფეხზე აღგომით პატივი სცა განსვენებულ საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით საქმის მწარმოებელმა წაიკითხა სარეგიზიო კომისიის მოხსენება წლიური ანგარიშის შესახებ და გამგეობის განმარტება ამ რევიზიის შესახებ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა მსურველთ გამოთქვან თავისი აზრი ანგარიშის შესახებ.

ხართიშვილი: რატომ გამგეობამ არ ასრულა მარშანდელი წლის საზოგადო კრების დადგენილება წევრთა რიცხვის შემცირების მიზეზის გამორკვევის შესახებ.

თავმჯდომარე: ეს გარემოება ახსნილია ჩვენს მოხსენებაში და ბასი ამის შესახებ შემდეგში იქნება. ახლა გთხოვთ მხოლოდ წლიური ანგარიშის შესახებ იმსჯელოთ.

პ. გელეიშვილი: გამგეობა ილიას ძეგლის შესახებ სრულებით არაფერს ამბობს თავის მოხსენებაში, თითქოს განგებ სდუმსო; გთხოვთ შეგვატყობინოთ, რა მდგომარეობაშია ახლა ილიას ძეგლის საქმე.

თავმჯდომარე: ამ ერთ კვირაში დასრულდება.

პ. გელეიშვილი: ჩემის აზრით უმჯობესი იქნება ის ძეგლი არ დამთავრდეს, რადგანაც ის სრულებით არ შეეფერება ილიას სახელს, რადგანაც ის იქნება ქართული ნიჭისა და შემოქმედების დასაფლავება. თხოულობს არჩეულ იქმნას კომისია ძეგლის დასათვალიერებლად.

ი. რატიშვილი: ჩემდა სასირცხოდ არ მინახავს ილიას ძეგლი, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ბრესაში გამოთქმულსა და საზოგადოების აზრს გამგეობამ ანგარიში გაუწიოს.

თავმჯდომარე: ძეგლი შენდება და მისი შეჩერება არ შეიძლება, ფული გვაქვს მიცემული. სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია დაათვალიერებს ძეგლს და თუ რამ ნაკლს შენიშნავს კომისია და იმის გასწორება შესაძლებელი იქნება, გავასწორებთ. ერთი სიტყვით გამგეობა ისე მოიქცევა, როგორც კომისია ურჩევს.

ირ. რამიშვილი: ძეგლი ჯერ დასრულებული არ არის, იმას ბევრი ნაკლი აქვს და იმიტომ, სანამ დრო, იგი ისე უნდა შეკეთდეს, როგორც იმ დიდებულს ადამიანს შეეფერება. აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია კომისიის არჩევა.

თავმჯდომარე: გამგეობა წინააღმდეგი არ არის კომისის არჩევისა; გთხოვთ დაასახელოთ, ვინ გსურთ კომისიაში.

არ. მამულაიშვილმა მწუხარება გამოთქვა, რომ ილიას ძეგლზე კონკურსი არ იყო გამოცხადებული.

შ. მესხიშვილი. თხოულობს მოხსენდეს კრებას, რა ბირობებში იყო გაცემული ძეგლის აშენება.

გამგეობის წევრმა **შ. მიქელაძემ** განმარტა, რომ ძეგლი ორი ნაწილისაგან შესდგება: ქანდაკება-ქალი, რომელიც ქართული გიმნაზიის შენობაში დგას, და ჩარჩო, სადაც ის ქანდაკება უნდა დაიდგას. ამ ორ ნაწილს ორგანიული კავშირი აქვთ ერთმანეთში, ამის გამო ცალცალკე იმათი შეფასება უსერხულია. ამასთანავე განმარტა, რა ბირობებით იყო გაცემული ძეგლის აშენება.

დ. დუმბაძე (სარეგიზიო კომისიის წევრი): ძეგლის შესახებ გამგეობამ გამოიჩინა დაუდევრობა. მინდა ისეთ ბირს, რომლის იმედი ჰქონდა, და ამით ეოფელივე საზრუნავი თავიდან აიცდინა. რამდენჯერმე უნდა მოეწვია სპეციალისტთა კომისია და იმათი დადგენი-

ლებით ეხელმძღვანელა. არსად საქმეში არა სჩანს არც ქურდიანისა და არც სხვისა აზრი ილიას ძეგლის შესახებ.

2) **შ. მესხიშვილის** აზრით თუ ის ძეგლი უვარგისია და არ შეეფერება დიდებულ ილიას სახელს, მაშინ ის უთუოდ უნდა შეჩერდეს, რადგან შეუფერებელი ძეგლი ჩვენი შემარცხვენელი იქნება; ორჭოფად საკითხის დაყენება არ შეიძლება.

1) **იაკობ ნიკოლაძე**: აცხადებს, რომ ძეგლი უხეიროდ მოაყრდება, რადგან იგი მინდობილი აქვს არასპეციალისტს. ძეგლის, ე. ი. ქანდაკების დადგმა იმ ჩარჩოში, რომელიც ახლა კეთდება, მას შეუძლებლად და თავის სახელის დასამცირებლად მიაჩნია.

თავმჯდომარე: საორჭოფო არაფერი გვაქვს. ამოდენა საზოგადოებაში ეოველად შეუძლებელია საოთნადოდ გამოირკვეს, ძეგლი რამდენად უვარგისია, ან კარგი. გამგეობას კომისია ჰყავს არჩეული სპეციალისტებისაგან, ის გამოარკვევს ეოველსავე წვრილს, ნაკლი კომისიისა ჩვენებისამებრ შესწორებული იქნება და ძეგლიც უსათუოდ უნდა დასრულებულ იქმნას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დასასხელა ის პირნი, ვისი მოწვევაც გამგეობას გადაწყვეტილი აქვს: გ. თ. გრინევსკი, ა. ნ. კალგინი, ო. ი. შმერლინგი, ი. ი. ნიკოლაძე, ს. მ. კლდიაშვილი, დ. გ. ჯორჯაძე, გ. ზ. ქურდიანი. ამათ კრებამ დაუმატა ე. ს. თაყაიშვილი, ი. ა ჯავახიშვილი, პეტრე გელეიშვილი და კიტა აბაშიძე.

ამის შემდეგ კამათი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა ეკადება კომისიას.

შ. მესხიშვილის აზრით, თუ კომისია ძეგლს დაიწუნებს და არ მიიღებს, მაშინ ეს უსათუოდ უნდა მოხსენდეს საზოგადო კრებასა. გამგეობა კომისიაში არ უნდა შედიოდეს, რადგანაც მას ბრალი უდევს ამ სამწუხარო საქმეში.

კიტა აბაშიძე ჩემდა სამარცხვინოდ, მხოლოდ გუშინ გახდდით ძეგლის დასათვალიერებლად ერთ მცოდნე და გამოცდილ პირთან ერთად. იმან, რაც გაკეთებულია ილიას საფლავზე, ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თავის უვარგისობით. არა თუ სპეციალისტი, ცოტაოდნად მომზადებული კაციც კი შეატეობს, რომ ძეგლის ჩარჩო უვარგისია და ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს. ასე ამბობენ მცოდნე პირები. ამის გამო აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ იგი მცოდნე პირებისაგან შემდგარმა კომისიამ დათვალიერონ და თავისი პირუთვნელი მსჯავრი წარმოსთქვას; ეოველივე ნაკლი შესწორებულ უნდა იქმნეს და ძეგლიც ისე დასრულდეს. ძეგლის დანგრევა და ხელახლად ახალის დაწყება შეუძლებელია. ქანდაკება მზათ გვაქვს, ახლა მხოლოდ ქანდაკების შესაფერი ჩარჩო გაკეთდეს. კომისიამ ისიც უნდა გვითხრას, თუ რამდენად რიგიანად და პროექტის თანახმად შასრულა დავალება ძეგლის ამშენებელმა. კომისიაში გამგეობაც უთუოდ უნდა შედიოდეს, რადგან გამგეობას თავისი მოვალეობანი აწევს საზოგადოებისაგან.

ალშიბაია: არ მესმის, როგორ შეიძლება კომისიაში არა სპეციალისტი ერიოს; ეურნალისტი საზოგადო და საერთო შთაბეჭდილებაზე დაამყარებს თავის მსჯელობას და არა მათემათიკურ დებულებაზე. ამიტომ ძეგლის ნაკლი და დირსება ადნიშნულ უნდა იქმნას სპეციალისტების მიერ.

3. **გელეიშვილის** აზრით კომისიას უნდა მიენდოს მხოლოდ დათვალიერება და ნაკლის ადნიშვნა იმ ადგილისა, რაზედაც ძეგლი უნდა დაიდგას.

გამგეობის წევრი **ფ. გოგიჩაიშვილი**: აუცილებლად საჭიროა ძეგლის ეოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილს მიექცეს ჯეროვანი ეურადღება; ეოველივე ნაწილი თითოეული კუთხე ძეგლისა ერთი მეორის შეფერებული უნდა იეოს, ერთი მეორეს უნდა ამშვენებდეს. ამიტომ კომისიამ უნდა დაათვალიერონ და შეათვსონ როგორც თვით ქანდაკება ძეგლი, ისე იმისი ჩარჩო, რომელიც ახლა კეთდება.

გრ. დიასამიძე: კამათიდან სჩანს, რომ თითქოს ჩვენ რაღაცას გვიმალავენ; ისე კამოდის, რომ ძეგლი არ ვარგა, თქვენ ეს

ითა და აქამდის კი არა გაგიგეთებიათ რა ამის შესახებ. ამიტომ საჭიროა შეფასება, როგორც ქანდაკებისა, ისე იმ ჩარჩოსი, სადაც ძეგლი უნდა დაიდგას.

კრებამ კომისიას დავალა გასინჯოს მთელი საქმე ძეგლის შესახებ როგორც ქანდაკება, ისე მისი ჩარჩო; გამოარკვიოს ეოველივე ნაკლი, აღნიშნოს რის გასწორება შეიძლება, და შემდეგ კომისიის დასკვნა მოხსენდეს საზოგადო საკანგებო კრებას.

ამის შემდეგ დაიწეო მსჯელობა წლიური ანგარიშის შესახებ.

ხართიშვილმა წარმოსთქვა გრძელი სიტეეა და მოიეანა სტატისტიკური ცნობები, როდის რამდენი წევრი ჰყავდა წ.-კ. საზოგადოებას და რამდენი შემოსულა იმათგან. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ წევრთა რიცხვი კლებულობს, ხან მატულობს, საწევრო ფულის რაოდენობაც ამ გვარივე ცვლებადშია. ფულის გადახდის შესახებ გამგეობას სრულებით არ უზრუნვია. ბევრ დარიბს უნდა ჩაწერვა, მაგრამ უსახსრობის გამო საწევრო ფული წელიწადში სამი მანეთი ვერ გადაუხდია. საწევრო ფული უთუოდ შემცირებულ უნდა იქმნას.

ირ. რამიშვილი: პირველად მე გავაცხადე საწევრო ფულის დაკლების შესახებ; დღესაც მე მიჭირს და კიდევ ვითხოვ შემცირებას. როცა საწევრო მცირედი იქნება, მაშინ დემოკრატიული ნაწილი ბლომად ჩაეწერება, თავის საქმედ გაიხდის საზოგადო საქმეს და ამას ხომ აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ეს დიდი საქმეა და დიდათ საესურველია.

კიტა აბაშიძე: რევიზიამ აღნიშნა და გამგეობაც აღიარებს, რომ წიგნების ანგარიში არეულია, ალბათ გამგეობამ ვერ მოიცალა, რომ სწორი სია შეედგინა და ანგარიში გაესწორებინა. ეს ნაკლი აუცილებელად უნდა გასწორდეს. სკოლების უნუგეშო მდგომარეობას მივაქცევ საზოგადოების ეურადღებას და ვითხოვ რომ მასწავლებლებს ჯამაგირი მოეატოს. სამ თუმნათ კარგი მასწავლებელი არ წამოვა ჩვენთან; სამინისტრო სკოლებში მასწავლებლები უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ჩვენს სკოლებში. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ჩვენი მასწავლებლები სამინისტრო სკოლებში გადადიან. საჯობიან ნაკლები რიცხვი იეოს სკოლებისა და კარგა მოწეობილი, სამაგალითო სკოლები, ვიდრე ბევრი და ურიგოთ მოწეობილი. ამასთანავე ვითხოვ ან სრულიად დაიკეტოს ყალამშიის სკოლა, ან და მოეწეოს იგი რიგიანად, რომ სკოლა სკოლასა ჰგავდეს, მასწავლებელი ხალისით შედიოდეს შიგ და ხალისით ეკიდებოდეს თავის მოვალეობის ასრულებას.

ირ. რამიშვილი: გამგეობა ეურადღებას მიაქცევს ნავთლუღის სკოლის მდგომარეობას და მოითხოვს ამ სკოლის მასწავლებლების ნიეთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გ. იმნაიშვილი: მოითხოვს შემდეგში აღნიშნულ იეოს ხოლმე ანგარიშში როდის გაიხსნა სკოლა და სად და რომელ მაზრაში არსებობს იგი. მთავარ გამგეობას სკოლა ბევრი არა აქვს. რაც არის, ისიც ვერ არის ჯეროვან მდგომარეობაში, წინარეხის სკოლაში, მაგალითად, ერთს მასწავლებელს ოთხ განეოფილებაში 60 ბავშვი ჰყავს. ეს არა ნორმალური მოვლენაა და ეოვლად შეუძლებელია ამისთანა სკოლაში სწავლა რიგიანად სწარ-

მოებდეს და სწავლებამ რაიმე ნაყოფი მოიტანოს. ამას გარდა ძლიერ საჭირო, რომ გამგეობამ მივარდნილ ადგილებს მიაქციოს ყურადღება და იქ გახსნას სკოლა, რომ ამით დედა-ენის დაცვას ტოტალი მაინც ხელი შეუწყოთ.

სარევიზიო კომისიის წევრი კ. კანდელაკი: როგორც მოგახსენეთ წიგნების ანგარიში არეულია. ამას გამგეობაც არა ჭეშმარიტს უარს, მაგრამ ეს კიდევ არ გმარა. ჩვენის აზრით წიგნების ანგარიშის ამ მდგომარეობაში დატოვება ერთი დღითაც შეუძლებელია. ამიტომაც ამ გარემოებას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება. სკოლების მდგომარეობაც უნუგეშოა. სკოლები ცარიბია და სასწავლო ნივთების შეძენა არ შეუძლიათ. გამგეობას კი სასწავლო ნივთების შესახებ დაუდგენია ერთი სკოლის შესახებ ნაწილი უფულოდ დაურიგდეს უღარიბეს მოწაფეებს, დანარჩენი გაიყიდოსო. ამნაირად საკითხის დაყენება შეუძლებელია: კომისიის აზრით სკოლებს მუქთად უნდა ურიგდებოდეს სასწავლო ნივთები. ანგარიში სკოლისა ვრცლად უნდა იყოს.

გამგეობის წევრმა ლ. ბოცვაძემ ახსნა რა მიზეზის გამო დაიხურა ყალამშიის სკოლა. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, უნდა მოგახსენოთ, რომ გამგეობა ყველა სკოლას აძლევს სახელმძღვანელოებისათვის წელიწადში ხუთს თუმანს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ იქ, სადაც მცხოვრებლებს სკოლის შენახვაზე არაფერი ეხარჯებათ, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ნივთები მაინც უფასოდ თავიანთ შვილებს. შარშან გამგეობამ სცადა ეს და ორი სკოლის შესახებ მოახდინა განკარგულება, რომ სასწავლო ნივთები უღარიბეს მოწაფეებს მუქთად დარიგებოდათ, სხვებს კი ფულით შეეძინათ. მაგრამ ამ ცდამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი და ისევ ადგენილ იქმნა ძველი წესი.

ექვთიმე თაყაიშვილმა განმარტა, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სკოლას. მაგალითად, გომარეთის სკოლამ სასწაული მოახდინა, ელფერი შეუცვალა სოფლელებს, შეგნება შეიტანა ხალხში; 15 წლის წინათ გომარეთში წერა-კითხვა სრულიად არავინ იცოდა, თელს სოფელში თავის სახელისა და გვარის მომწერს ვერ იშოვიდით. ახლა სულ სხვა: იქ მასწავლებელი პატრონად გაუხდა სოფელს, მის გაჭირებასა და დალხინებას ინაწილებს და აი ამიტომაც არის, რომ სოფლელებსაც, თერმე სკოლა უყვართ და მასწავლებელს ისე უყურებენ, როგორც თავისიანს. ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია, რომ ბორჩალოს მაზრაში კიდევ გაიხსნას სკოლა, განსაკუთრებით სკოლას საჭიროებს სოფელი კლტეისა. გთხოვთ ეს ჩემი წინადადება შეიტანოთ ოქმში.

ამის შემდეგ, რადგან შუადამე უკვე გამხდარიყო, კრება გადაიდო 13 ივნისისთვის.

ოქმი

საზოგადო კრებისა 13 ივნისს 1912 წ.

კრება გახსნა თავჯდომარის ამხანაგმა ა. ბ. მდივანმა. დაესწრო 53 წევრი. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი. **თავმჯდომარე** შეეკითხა დამსწრეთ, ხომ არავისი სიტყვაა გამოტოვებული და ან ხომ არავის სურს გასწორების შეტანა.

ნ. ტ—ძემ მოითხოვა ოქმში შეტანილ იქმნას მისი სიტყვები, რომ ბორჩალოს მაზრაში არის სოფლები, სადაც ქართული ენა განსაცდელშია; ამიტომ სკოლას თუ გახსნით სადმე, უპირატესობა ბორჩალოს მაზრის სოფლებს უნდა მიეცესო.

ხართიშვილმა შენიშნა, რომ მისი გრძელი სიტყვა ძლიერ მოკლედ არის მოყვანილი, ხოლო რაც მოყვანილია სრულს სურათს არ იძლევა იმისას, რაც მან სთქვა.

თავმჯდომარემ სთხოვა ბ-ნ ხართიშვილს გადასცეს მდივანს თავისი სიტყვა, თუ დაწერილი აქვს, და იგი სავსებით იქნება შეტანილი ოქმში. ამის შემდეგ წინა კრების ოქმი დამტკიცებულ იქმნა და კამათი დაიწყო ისევ წლიური ანგარიშის შესახებ.

ა. ნ. **ჯავახიშვილმა** დიდხანს ილაპარაკა გამგეობის მოქმედების შესახებ და დაწვრილებით აღნიშნა, რა ნაკლულევანება აქვს თითეულ სკოლას. მისი აზრით განყოფილებათა სკოლები უკიდურეს მდგომარეობაშია, ვიდრე მთავარი გამგეობისა. უკანასკნელის სკოლები ძლიერ გაჭირებას განიცდიანო. შემდეგ გადავიდა ცხრილებზე და იმის დასამტკიცებლად, რომ ანგარიში შესაფერისად არ არის შედგენილი, დაასახელა თითქმის ყველა ნაკლულევანებანი, რაც კი ცხრილებში შენიშნა, უმნიშვნელოც კი. ყურადღება მიაქცია იმ ცხრილს, სადაც აღნიშნულია, გამგეობის რომელი წევრი რავდენჯერ დასწრებია კრებას, და ამტკიცებდა, რომ გამგეობის წევრინი დატვირთულნი არიან საქმით და ვერ ასწრობენ ისე გაუძღვენ წ. კ. საზოგადოების საქმეებს, როგორც ეს სასურველიაო ამის გამო წინადადება შემოიტანა, რომ ახლანდელ გამგეობასთან დაარსდეს განყოფილებანი, რომელნიც დამოუკიდებლად და თავისუფლად იმუშავებენ თავის სფერაში; ერთი განყოფილება უნდა განაგებდეს სკოლების საქმეს, მეორე ბიბლიოთეკებისას, მესამე მუზეუმისას, მეოთხე წიგნების გამომცემლობისას და სხვა. ხოლო მუშაობის მთლიანობისათვის თითოეული განყოფილება გზავნის თითო წევრს მთავარ გამგეობის სხდომაზე, რომ იქ ამცნოს და დაიცვას განყოფილების საჭიროებანი.

ხართიშვილი შეეხო გიორგი-წმინდის სკოლიდან მასწავლებლის გადაყვანას მეორე სკოლაში. როცა თითონ მასწავლებელი მიდის, უკეთეს ადგილს ეძებს, მაშინ რა გვეთქმის, უნდა დავემორჩილოთ გარემოებას, მაგრამ როცა ჩვენ თითონ ვსტოვებთ სკოლას უმასწავლებლოდ, როგორც ეს გიორგი-წმინდის სკოლაში მოხდა, ეს შეუძლებელია და დაუდევრობაში ჩაეთვლება გამგეობას. მან წინ-და-წინ უნდა მოისაზროს და გაითვალისწინოს ამნაირი მდგომარეობა, აჩენილი უნდა ჰყავდეს და მასწავლებელის გადაყვანისათანავე უნდა დანიშნოს სამაგიერო.

წიგნების შესახებ უნდა მოგახსენოთ, ჩვენ საწყობში ბევრი ისეთი წიგნია, რომელსაც გასავალი არა აქვს, არ იყიდება და ტყვილად ადგილს იჭერს საწყობში. ამნაირი წიგნები აუცილებლად უნდა დაურიგდეს სკოლებს და ბიბლიოტეკებს. მოითხოვა აგრეთვე, რომ წევრთა სიაში შედიოდენ ის პირნიც, რომელნიც ოდესმე ყოფილან წევრად და გავიოთ, რა მიზეზით დაუნებებიათ თავი წევრობისათვის, რომ რაიმე გავლენა ვიქონიოთ მათზეო.

დ. ვაჩნაძე ამბობს: ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში გამგეობას

თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებია. ის მდგომარეობა, რაც ოცი წლის წინათ ყოფილა, დღეს უცვლელად რჩება. გამგეობის წევრნი დატვირთულნი არიან საქმეებით. საჭიროა როგორც საზოგადოებისა, ისე გამგეობის წევნი მეტის ყურადღებით მეოქცენ თავის მოვალეობას.

შ. მესხიშვილის აზრით წ. კ. საზოგადოების მიზანი მარტო წერა-კითხვის გავრცელებით ანუ სკოლების დაარსებით არ განისაზღვრება, დიდად საჭიროა ხალხისთვის დროის შესაფერი წიგნებიც გამოიცეს. ეს რამდენიმე ხანია გამგეობა ბეჭდავს თითქმის ერთისა და იმავე შინაარსის წიგნებს, როგორც, მაგალითად „ასპინძის ომი“ „იავნანამ რა ჰქმნა“ და სხვა. ამნაირ წიგნებს ახლა აზრი და მნიშვნელობა აღარ აქვს, ხალხი აღარ კითხულობს. შარშანაც იყო ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ლაპარაკადვე დარჩა. იტყვით, ფული არა გვაქვსო. მაგრამ კარგი წიგნი ხარჯს ყოველთვის აინაზღაურებს. დღეს ხალხს საკითხავი წიგნი არა აქვს, იგი „არ შეგცივდეს ბარაშკა ჯან“-ისთანა წიგნებით იკვებება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა შედგეს გარკვეული გეგმა წიგნების ბეჭდვისა და წინადადება შემომაქვს გამგეობამ მოიწვიოს ამისათვის სპეციალური კომისია.

ირ. რამიშვილის აზრით სტიპენდიები რიგიანად და სამართლიანად ვერ რიგდება; ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბსა და ნიჭიერს, უსწავლელსაც კი და არა უსათუოთ იმას, ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. სტიპენდიატთა სია უნდა იბეჭდებოდეს, რომ ყველამ იცოდეს, ვინ არის ჩვენი მოვალე; აგრეთვე ყურადღება მიექცეს იმას, რომ სტიპენდიატები კარგად სწავლობდნენ. ვინც ზარმაცობს და ბეჯითობას არ იჩენს, იმას უნდა მოესპოს. ცნობების შესაკრებად კარგი იქნება გამგეობა საზოგადოებას დაიხმარებდეს, ჩვენც დაგვეკითხებოდეს ხოლმე.

გამგეობის წევრმა დ. კარიჭაშვილმა პასუხი გასცა წინა ორატორებს და განმარტა, რამდენად შემცდარი დასკვნა გამოჰყავთ მათ ანგარიშისა და გამგეობის მოქმედების შესახებ. სკოლებისა და ბიბლიოთეკების არა სასურველი მდგომარეობა, აგრეთვე წიგნების გამოუცემლობა სახალხო საკითხავად აიხსნება უმთავრესად მოუცლელობითა და უსახსრობით. რაც შეეხება სტიპენდიატების სიას, იგი საჭიროა იბეჭდებოდეს და შემდეგში გასწორებული იქნება. გამგეობის ოქმში აღნიშვნა იმისა, თუ რომელი მთხოვნელი რა საბუთით იქმნა დაკმაყოფილებული და ან რა საბუთით ეთქვა უარი, გამგეობას შეუძლებლად და უხერხულად მიაჩნია.

კიტა აბაშიძე: როცა ჩვენს წარმომადგენლებს შენიშვნას ვაძლევთ, ვეცადოთ არაფერი უსამართლობა მოვახვიოთ თავზე. ყველამ იცის, რომ სხვა და სხვა სფერაა მოქმედებისა; ზოგჯერ გამგეობას დაუდევრობა ეტყობა, მაგრამ ზოგჯერ კი სიმართლე მისკენ არის. საზოგადოება ღარიბია, სახსარი არა აქვს და გამგეობაც მეტს ვერ გააკეთებს. მიეცით ფული, გამგეობაც მეტს გააკეთებს; მაშინ თქვენც მეტის მოთხოვნის უფლება გექნებათ. სტიპენდიების შესახებ უსამართლო საყვედურია; ყოვლად შეუძლებელია ყველა მთხოვნელი დაკმაყოფილო; არ კმარა მარტო სიღარიბე, საჭიროა ნიჭიც ჰქონდეს და იმედს იძლეოდეს სტიპენდიატი, მაგრამ ცნობების შეგროვებას არ იკითხავთ? იმაზე უძნელესი არა არის რა: არ არის ისეთი საშუალება, რომ შესაძლებელი იყოს უტყუარი ცნობების შეკრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ შესაძლებელია უნებლიეთი შეცდომაც. ამის გამო ისევ ისა სჯობია ვეცდოთ პრესისა თუ სხვა საშუალებით გავავრცელოთ ხალხში აზრი, რომ შემომწირველები დახმარების დროს ნუ შეგვბოჭავენ განსაზღვრული პირობებით. ის თანხები, რომლებიც დღეს გვაქვს საგანგებო მიზნით და პირობებით შემოწირული, სრულს ჩვენს განკარგულებაში რომ იყვნენ, გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანდნენ ჩვენს საზოგადოებას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ანგარიშის შესახებ საკმაოთ გამოითქვა აზრი და შენიშვნები შეტანილი იქნება ოქმშიო.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში და მიიღო შემდეგი დადგენილებანი:
1 „გამგეობამ მოიწვიოს საგანგებო კომისია, რომელიც მასთან ერთად შეიმუშავებს წიგნების გამოცემის გეგმას“.

2. შესდგეს კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს გეგმა წ. კ. საზოგადოების მომავალი მოქმედებისა. ამ კომისიაში კრებამ აირჩია: ა. ნ. ჯავახიშვილი, ივანე მ. ჭავარიანი, ივანე ზურაბიშვილი, შალვა მესხიშვილი და პეტრე გელეიშვილი.

და 3. წიგნების ანგარიში უსათუოთ გასწორებულ იქმნას.

ბ-ნმა ხართიშვილმა შემოიტანა შემდეგი წინადადება. „დადგენილ იქმნას, რომ სათანადო ყურადღებით მოეპყროს ხოლმე გამგეობა და სარევიზიო კომისია საზოგადო კრების დადგენილებასო“. ეს წინადადება კრების მიერ უარყოფილ იქმნა. ამის შემდეგ კრებას მოხსენდა წ. კ. საზოგადოების სოხუმის განყოფილების თხოვნა 10000 მანეთის სესხის სახით მიცემის შესახებ ადგილობრივი ქართული სკოლის შენობის დასამთავრებლად. გამგეობის წევრმა ლ. ბოცვაძემ წაიკითხა გამგეობის დადგენილება ამ საკითხის შესახებ. გამგეობის მეორე წევრმა დ. კარიჭაშვილმა განმარტა ქართული სკოლის მნიშვნელობა სოხუმში და ის მოტივები, რომლებითაც გამგეობა ხელმძღვანელობდა, როცა ის შესაძლებლად ხედავდა სოხუმის განყოფილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებას; „მართალია, თუ ფორმალურად შევხედავთ საქმეს, თანხა ხელუხლებელი უნდა იყოს. მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით საკითხს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ თანხა დროებით იქნება ხელ-ხლებული, ის გადავა შენობაში და შემდეგ ისევ დაგვიბრუნდება ნაწილ-ნაწილ და ისევ ხელუხლებელ თანხად გახდებაო.“

კამათში მონაწილეობა მიიღეს გრ. რცხილაძემ, შ. მესხიშვილმა, კიტა აბაშიძემ, ვ. რცხილაძემ და სხვებმა. კრების უმრავლესობამ უარჰყო სოხუმის განყოფილების თხოვნა, რადგან თანხა ხელუხლებელია და რადგან არავითარი საშუალება არ რჩება ხელთ მთავარ გამგეობას, რომ შემდეგში იმედი იყოს იმ ფულის უეჭველის დაბრუნებისა.

ღამის 12 საათზე სხდომა დაიხურა და შემდეგი დაინიშნა პარასკევს, 15 ივნისს, საღამოს 7 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმი

საზოგადო კრებისა ივნისის 15 1912 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ბ. მდივანმა, სადამოს 8 საათზე, დაესწრო 62 წევრი. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

ხართიშვილმა განაცხადა, რომ იმისი სიტყვები მასწავლებლების უდროოდ გადაყვანის შესახებ განსაკუთრებით შეეხებოდა გიორგი-წმინდის სკოლას, რადგან იქიდან მასწავლებელი უდროო დროს კავკავში გადაიყვანეს და გიორგი-წმინდის სკოლა უმასწავლებლოდ დასტოვეს. აი ეს, ჩემის აზრით, დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს გამგეობას.—

ამ შენიშვნის შემდეგ ოქმი დამტკიცებულ იქმნა.

გამგეობის წევრმა შ. დედაბრიშვილმა წაიკითხა გამგეობის მოხსენება იმ უიმედო ვალების შესახებ, რომელიც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს და ბალანსიდან გამოსარიცხია. ამისთანა ვალები უდრის 2613 მან. 24 კაპ.

ამასთანავე ბ-ნმა დედაბრიშვილმა განმარტა ძველი ნისიების გარემოება და გამგეობის სახელით ითხოვა მოხსენებული ჯამის ბალანსიდან ჩამოწერის ნება.

ხართიშვილის აზრით სანამ კრებას ძველი ნისიების გარემოება ისე კარგად და დაწვრილებით არ ექნება შესწავლილი, როგორც ეს გამგეობას აქვს, მანამდის კრება ვერ მოსპობს ამ ვალს, ვერ აპატიებს მოვალეებს; რომ ვაძლევთ, უნდა ვიცოდეთ, ვის ვაძლევთ და რად ვაძლევთო.

ირ. რამიშვილის აზრით საკმარისია საბუხგალტერო წიგნიდან ამოიშალოს; პატიებით კი ნუ ვაპატიებთ, იქნება შემდეგში მოვახერხოთ გადახდევინება.

გამგეობის წევრი დ. კარიჭაშვილი: წინათ არა ერთხელ დაგვალებია ბალანსი გაანთავისუფლეთ ძველი ვალებისგანო; ჩვენც შევასრულეთ თქვენი დავალება. საზოგადო კრებაზე ძველი ნისიების განხილვა და გარემოების დაწვრილებით შესწავლა ოფოლად შეუძლებელია. თუ აღშურვილი ვართ ნდობით, მაშინ ჩვენი ეს მოხსენებაც უნდა მიღებულ იქმნას; თორემ აქ რაღაც უნდობლობაა. მოხსენებული 2613 მან. 24 კაპ. ბალანსიდან ჩამოიწერება, ხოლო პირად ანგარიშებში ისევ დარჩება.

სარევიზიო კომისიის წევრი კ. კანდელაკი ამტკიცებს, რომ ის, რაც აღნიშნული აქვს გამგეობას, უთუოთ უნდა გამოირიცხოს ბალანსიდან, ხოლო პირად ანგარიშში კი დარჩეს, რომ შემდეგში იქნება შესაძლებელი გახდეს ცოტათი მაინც განადგდება.

კრებამ დამტკიცა გამგეობის წინადადება 2613 მან. 24 კაპ. „საზოგადოების“ ანგარიშიდგან გამორიცხვის შესახებ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წესი

უგანათ. თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა.

(დასასრული)

§ 9. საკონკურსო კომისია გაარჩევს და დააფასებს საკონკურსოდ წარმოდგენილს თხუზულებებს სამის თვის განმავლობაში. შემდეგ თავის აზრებს თხზულებებთან ერთად გადასცემს გამგეობას.

§ 10. საკონკურსო კომისიისაგან ერთხმად დაწუნებულს თხზულებას გამგეობა უბრუნებს ავტორს, ხოლო მოწონებულს თხზულებებს, და იმ თხზულებებს, რომელთა შესახებ წევრნი საკონკურსო კომისიისა ვერ შეთანხმდნენ გადასცემს მათ შესახებ წარმოდგენილის აზრებითურთ საპრემიო კომიტეტს, რომელიც შესდგება სამისავე საკონკურსო კომისიის ცხრა წევრისაგან.

§ 11. საპრემიო კომიტეტის კრებაზე წაკითხულ იქმნება საკონკურსო კომისიების აზრები და შემდეგ კენჭის ყრით გადაწყდება მიღებულ იქმნან საკონკურსოდ თუ არა ის თხუზულებანი, რომელთა შესახებ საკონკურსო კომისიის წევრნი სხვა და სხვა აზრისანი ყოფილან.

§ 12. ორის თვის განმავლობაში საპრემიო კომიტეტის წევრნი მოვალენი არიან გაიცნონ როგორც საკონკურსო კომისიებისაგან ერთხმად მოწონებული თხუზულებანი, ისე ისინი, რომელთაც საპრემიო კომიტეტი საკონკურსოდ მიღებულად ჩათვლის, თანახმად წინა მუხლისა.

§ 13. ორის თვის გასვლის შემდეგ საპრემიო კომიტეტი დანიშნავს სხდომას, რომელზედაც ხელახლად იქნება წაკითხული საკონკურსო კომისიების აზრები, მოსმენილი იქნება სხვა წევრთა აზრებიც და შემდეგ შეუდგებიან მსჯელობას, თუ რომელი თხუზულება იქმნას ცნობილი პრემიის ღირსად. წევრების აზრის მოსმენის შემდეგ კენჭი ეყრება სათითაოდ ყველა თხუზულებას და რომელსაც კენჭთა ყველაზე დიდი უმეტესობა შეხვდება, ის თხუზულება იქნება ცნობილი გრიგოლ დადიანის პრემიის ღირსად.

§ 14. თუ ორს ან მეტს თხუზულებას მოუვიდა თანაბარი უმეტესობა, კენჭის ყრა ხელმეორედ ხდება ამ თხუზულებებს შორის.

§ 15. საპერემიო კომიტეტი ადგენს თავის სხდომების პროტოკოლს. ეს პროტოკოლები ისე, როგორც საკონკურსო კომისიებისა და მათ თვითეულთ წევრთა აზრები გადაეცემა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას, რომელიც პრემიას მისცემს საპრემიო კომიტეტისაგან პრემიის ღირსად ცნობილის თხუზულების ავტორს.

§ 16. თუ საპრემიო კომიტეტში ორი ან მეტი თხუზულება მეორე კენჭის ყრის შემდეგაც ერთნაირად ღირსად იქნა ცნობილი, ამ შემთხვევაში გამგეობა თავის შეხედულობისამებრ მიუსაჯავს პრემიას ერთ-ერთს მათგანს.

§ 17. თუ საპრემიო კომიტეტმა არც ერთი საკონკურსო თხუზულება არა სცნო პრემიის ღირსად, გამგეობა ხელახლად ნიშნავს კონკურსს შემდეგისათვის.

§ 18. როგორც საკონკურსო კომისია, ისე საპრემიო კომიტეტი ირჩევენ თავიანთ წევრთა შორის თავჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს კომიტეტის სხდომებს; საპრემიო კომიტეტი ირჩევს აგრეთვე მდივანს სხდომის პროტოკოლების საწარმოებლად.

§ 19. თუ საკონკურსო კომისიებს დააკლდათ შუა მუშაობის დროს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც რამე მიზეზით აღარ შეეძლება შრომის გაგრძობა, კომისიის დანარჩენნი წევრნი განაგრძობენ თავიანთ შრომას და მათგან საერთოთ დადგენილი ან, თუ ვერ მოთანხმდებიან, ცალ-ცალკე გამოთქმული აზრი გადაეცემა საპრემიო კომიტეტს თავის დასკვნის დასადგენათ საკონკურსოდ მიღების შესახებ ისევე, როგორც მოხსენებულია მეთერთმეტე მუხლში იმ შემთხვევისათვის, როდესაც საკონკურსო კომისიის აზრი არ არის ერთხმად დადგენილი ანუ როდესაც ყოველს წევრს კომისიისას თავისი განსაკუთრებული აზრი ექნება.

§ 20. თუ საკონკურსო კომისიას დააკლდა ორი წევრი ან რამე მიზეზით სამთავე წევრთ თავი დაანებეს, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ახლად ირჩევს კომისიის წევრთ, რომელთაც მუშაობის გათავების ვადად ისევ სამი თვე ეძლევათ.

§ 21. საპრემიო კომიტეტის სხდომა ჩაითვლება კანონიერედ, როდესაც დაესწრება ექვსს წევრზე არა ნაკლები. თუ რამე მიზეზით საპრემიო კომიტეტის მუშაობის დაწყების დროს, ამ კომიტეტის წევრთა რიცხვს—ცხრას აკლდება რავდენიმე წევრი, მაშინ ცხრად შესასრულებლად გამგეობა ირჩევს ახალს წევრებს იმდენს, რავდენიც საჭირო იქნება.

§ 22. პრემიის ჯილდოდ ცნობილი თხუზულება დარჩება ავტორის სრულს საკუთრებად, ხოლო თუ გამგეობა მოინდომებს მის გამოცემას, ავტორი მოვალეა დაუთმოს გამგეობას იმავე პირობით, როგორც სხვები მოინდომებენ, ან როგორც მორიგდებიან გამგეობა და ავტორი. თუ ავტორმა არ გამოსცა თითონ დაჯილდოვებული თხუზულება, ან არ გამოაცემინა სხვას ვისმე ხუთის წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში გამგეობას აქვს უფლება გამოსცეს თავის ხარჯით და წმინდა შემოსავლითგან მისცეს ავტორს ნახევარი.

§ 23. პრემიით დაჯილდოვებულის ხელთნაწერის თხუზულების პირს გამგეობა გადააღებინებს თავის ხარჯით და ინახავს საზოგადოების წიგნთ-საცავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლის: თვის.

(წელიწადი მეექვსე)

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ-თვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველ-კვირეულ გაზეთ

„მინაურ საქმეებზე“

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მან., გაზეთისა 4 მან., ორივე ერთად 8 მან. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურად 7 მან. დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ საზოგადოებრივია.

რედაქტორი **მლ. ს. მჭედლიძე.**

ШКОЛА и ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДѢЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМѢСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

3-й г. изданія **Открыта подписка на 1913 г.** 3-й г. изданія

Задача газеты: тѣсное единеніе школы съ жизнью и семьи со школою; свободное развитіе всѣхъ видовъ школы, отъ высшей до низшей.

Въ число безплатныхъ приложеній на 1913 г., *не менѣе 80 печ. лист.*, входятъ, между прочимъ, трактатъ о воспитаніи *Джона Локка*, сборникъ статей самаго выдающагося представителя эксперим. психологіи *Стэнли Холла* и другія классическія произведенія, необходимыя не только каждому педагогу, но и всѣмъ интересующимся школой и воспитаніемъ.

Программа газеты: 1) Статьи по вопросамъ: а) организаціи школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ, характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія; дѣятельность законодательныхъ учрежденій, правительства и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и за границей. 7) Обозрѣніе спеціальной литературы, русской и иностранной. 8) Объявленія.

Освѣщеніе всего, что касается умственнаго, нравственнаго и физическаго воспитанія, школьнаго и дошкольнаго, какъ въ Россіи, такъ и заграницей, обезпечивается сотрудничествомъ профессоровъ, преподавателей средней и низшей школы, земск. и город. дѣятелей, членовъ Г. Думы и Г. Совѣта, дѣятелей разл. обществъ и родительскихъ организацій.

Въ газетѣ участвуютъ между прочимъ: Проф. М. Алексѣенко, Х. Алчевская, акад. В. Бехтеревъ, проф. И. Боргманъ, И. Бѣлоконскій, проф. В. Вагнеръ, В. Вахтеровъ, акад. В. Вернадскій, В. Гердъ, проф. Н. Гредескулъ, проф. Д. Гриммъ, проф. В. Данилевскій, Я. Душечкинъ, Е. Звягинцевъ, проф. П. Каптеревъ, проф. М. Капустинъ, проф. Н. Карѣевъ, проф. А. Кизеветтеръ, проф. М. Ковалевскій, акад. А. Кони, проф. Н. Ланге, А. Липовскій, Н. Лубенецъ, проф. И. Лучицкій проф. А. Мануйловъ, П. Милюковъ, Н. Михайловъ, проф. А. Нечаевъ, акад. Д. Овсянико-Куликовскій, Ф. Ольденбургъ, А. Острогорскій, проф. Л. Петражицкій, А. Петрищевъ, И. Пентрукевичъ, проф. А. Посниковъ, А. Пругавинъ, Г. Россолимо, Н. Рубакинъ, М. Стаховичъ, І. Титовъ, Д. Тихомировъ, графъ И. Толстой, Н. Тулуповъ, проф. Г. Хлопинъ, В. Чарнолускій, проф. Г. Челпановъ, Н. Чеховъ, П. Шестаковъ, А. Шингаревъ, акад. И. Янжулъ и др. и изъ иностранныхъ ученыхъ: проф. Ренэ Вормсъ, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Бьюссонъ, де-Гревъ, Томассенъ и др.

Редакція газеты имѣетъ корреспондентовъ въ разныхъ городахъ Имперіи и за границей и спеціальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтѣ и Г. думѣ.

Подписная цѣна:	на годъ	на 6 м.	на 3 м.
Съ доставкой и пересылкой	6 р.	3 р.	2 р.

Для учащихъ въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб. и къ февраля, 1-му марту, 1-му апрѣля и 1-му мая по 1 руб.

Подписка принимается въ Главной Конторѣ, *Петербургъ, Кабинетская, д. Губернскаго Земства. № 18*, во всѣхъ почт.-тел. отдѣл. и въ солидн. книжн. магаз.

Объявленія: Строка нонпарели впереди текста **60** коп., позади—**30** коп.

Редакторъ: *Г. А. Фальборкъ.* Издатели: *Н. В. Мѣшковъ и Г. А. Фальборкъ.*

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.